

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ეკონომიკისა და სავაჭრო ინსტიტუტი

ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე

# დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ

(სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი)



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი — 1980

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მესამე თავის მუხლებს სამეცნიერო-პრაქტიკულ კომენტარს. შესწავლილია და გაანალიზებული კანონმდებლობა ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების საწინააღმდეგო დანაშაულთა შესახებ; სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოთა პრაქტიკის საფუძველზე გაშუქებულია მათთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები.

ნაშრომი განკუთვნილია სასამართლოს, პროკურატურის და სხვა სახელმწიფო ორგანოთა მუშაკებისათვის. ის აგრეთვე სარგებლობას მოუტანს სწავლულ იურისტებს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და მასწავლებლებს.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ადამიანის იმ უფლებათა შორის, რომელთაც იცავს საბჭოთა მართლწესრიგი, ყველაზე მნიშვნელოვანია მისი უძირითადესი უფლებები — სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივისა და ღირსების. ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მის თავისუფლებას, პატივსა და ღირსებას, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების მშვიდობიანი არსებობის ელემენტარულ უფლებებად შეიძლება ჩაითვალოს, სოციალურ ღირებულებათა სისტემაში უმაღლესი საფეხური უჭირავთ. გასაგებია ამიტომ, რომ მათზე ზრუნვა, მათი ყოველმხრივი დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს პირველხარისხოვანი ამოცანაა.

ზემოთ ჩამოთვლილ სიკეთეთა დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ გარანტიებს (ეკონომიკურს, იდეოლოგიურს, ორგანიზაციულსა და სხვ.). აღნიშნულ სიკეთეთა დასაცავად. ამ გარანტიათა შორის გათვალისწინებულია ადამიანის უფლებების სასამართლოს წესით დაცვა. ამით საბჭოთა კავშირის ძირითადმა კანონმა ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივისა და ღირსების დაცვა, პირველად საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის ისტორიაში, კონსტიტუციურ პრინციპად გამოაცხადა. სახელდობრ, საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს აქვთ პატიოსნებისა და ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება“ (მუხ. 57-ე).

ზემოთ ჩამოთვლილ სიკეთეთა სამართლებრივი დაცვის მეთოდებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათ დაცვას სისხლისსამართლებრივი წესით. პასუხისმგებლობა ამ სიკეთეთა დანაშაულებრივი ხელყოფისათვის გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მესამე თავში, რომლის სათაურია „დანაშაული პიროვნების

სიციოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ“.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მიღებასთან დაკავშირებით პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მიუხედავად ამისა, ამ დარგში ქართულ ენაზე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წლის) გამოცემის დღიდან თითქმის არაფერია დაწერილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე საჟურნალო წერილს, რომლებიც თემის ზოგიერთ, ცალკეულ საკითხებს ეხებიან.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ამ ნაკლის შევსებას. მასში მოცემულია პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემადგენლობების იურიდიული ანალიზი, რომელიც ემყარება ამ საკითხზე არსებული მეცნიერული ლიტერატურისა და კანონმდებლობის შესწავლა-შეფასებას, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის განზოგადებას. შესადარებლად გამოყენებულია აგრეთვე რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა. ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლების სწორად გამოყენებისათვის მართლმსაჯულების აღსრულებისას.

ნაშრომი შესრულებულია მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარის სახით. კანონის ტექსტი მოცემულია იმ ცვლილებებითა და დამატებებით, რომლებიც განიცადა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსმა 1980 წ. 1 იანვრამდე.

მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარის ავტორები არიან: ვ. მაყაშვილი — მუხ. მუხ. 108, 115, 135, 136, მ. მაჭავარიანი — მუხ. მუხ. 117—121, თ. წერეთელი — მუხ. მუხ. 104, 105, 109, 122—134, 137, 138, თ. შავგულიძე — მუხ. მუხ. 106, 107, 110—114, 116.

# საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი

## განსაკუთრებული ნაწილი

### თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ

მ უ ხ ლ ი 104. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში

განზრახ მკვლელობა:

1. ანგარებით;
2. ხულიგნური ქვენაგრძნობით;
3. დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;
4. ორი ან რამდენიმე პირისა;
5. წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა;
6. ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით ან ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალი პირის სიცოცხლისათვის;
7. სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, აგრეთვე დაკავშირებული გაუპატიურებასთან;
8. ჩადენილი სისხლის აღების ნიადაგზე;
9. ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, ვისაც აღდრე ჰქონდა ჩადენილი განზრახ მკვლელობა (106 და 107 მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობის გარდა), —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ან ისჯება სიკვდილით.

1. მკვლელობა არის სხვა ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად მოსპობა. ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სხვა პირადი სიკეთის დაცვა ხელყოფისაგან საბჭოთა მოქალაქის ერთ-ერთ კონსტიტუციურ უფლებადაა აღიარებული.

ბული. ადამიანის სიცოცხლე მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სიკეთეა. ამიტომ მკვლელობა პიროვნების ხელმყოფ დანაშაულთა შორის განსაკუთრებით მძიმედ ითვლება. მით უფრო მეტი საფუძვლით ითქმის ეს განზრახ მკვლელობაზე.

„განზრახი მკვლელობა ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულია მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელმყოფ დანაშაულთა შორის. ამიტომ გადამწყვეტი ბრძოლა მასთან სასამართლო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“<sup>1</sup>.

2. მკვლელობის ობიექტი ადამიანის სიცოცხლეა. კანონი იცავს ადამიანის სიცოცხლეს დაბადებიდან სიკვდილამდე. ჩანასახის მოსპობა დედის საშოში მკვლელობად არ ითვლება. თუ არსებობს განსაზღვრული, კანონით გათვალისწინებული პირობები (იხ. სისხლის სამართ. კოდექსის 123-ე მუხ.), ჩანასახის მოსპობა შეიძლება დაისაჯოს როგორც დამოუკიდებელი დანაშაული (უკანონო აბორტი). მაგრამ ამ შემთხვევაში დანაშაულის ობიექტია არა თვითონ ჩანასახი, არამედ ქალის ჯანმრთელობა. ადამიანის სიცოცხლის დასაწყისად ითვლება არა ის მომენტი, როცა ბავშვი სავსებით გამოეყო დედის საშოს, ან ის, როცა მან სუნთქვა დაიწყო, არამედ მშობიარობის პროცესის ის მომენტი, როცა ხდება ბავშვის გამოყოფა დედის საშოდან. ამიტომ ადამიანის მკვლელობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ იმ მომენტიდან, როდესაც ნაყოფი ნაწილობრივ მაინც გამოყოფილია დედის საშოდან, თუნდაც იგი ჯერ კიდევ არ სუნთქავდეს.

3. მოკვლა შეიძლება მხოლოდ ცოცხალი ადამიანისა. სიკვდილიც თანდათანობით მიმდინარე პროცესია. კლინიკური სიკვდილი, ე. ი. სუნთქვისა და მაჯისცემის შეწყვეტა, გულის მოქმედების შეჩერება ნამდვილ სიკვდილს არ მოასწავებს: თანამედროვე მედიცინაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანი გამოჰყავთ კლინიკური სიკვდილის მდგომარეობიდან. ამიტომ ამჟამად სიკვდილის მომენტად ითვლება, გულის მოქმედების შეჩერებასთან ერთად, იმავდროულად თავის ტვინის ნერვული ელექტრონული აქტივობის უკუუბრუნებელი შეწყვეტის მომენტი, ე. ი. ფიზიოლოგიური სიკვდილი. ამ მომენტის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ საკითხის გადაჭრისათვის, თუ რა დროიდან შეიძლება

<sup>1</sup> იხ. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილება „განზრახი მკვლელობის საქმეების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. Сб. пост. Плен. ВС СССР, 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 184.

ამოღებულ იქნეს დონორის გული გადანერგვის ოპერაციისათვის გამოსაყენებლად.

4. თუ პირი ფიქრობს, რომ კლავს ცოცხალ ადამიანს, სინამდვილეში კი მისი ხელყოფა უკვე მკვდარი ადამიანის წინააღმდეგ იყო მიმართული, გვაქვს ე. წ. „მცდელობა უვარგის ობიექტზე“. საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში გაბატონებული შეხედულების თანახმად ასეთ მცდელობას გარკვეული საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს და ამიტომ დასჯადობის მხრივ იგი უნდა გაუთანაბრდეს დანაშაულის მცდელობას. ტყის დამამზადებელი პუნქტის მუშა დ. მოკლა ვინმე ვ.-მ და მკვდარი იატაკზე დატოვა. მთვრალი ო. შემოვიდა ოთახში და დაინახა იატაკზე დაგდებული დ.; სიმთვრალისა და სიბნელის გამო ვერ გაარჩია, რომ დ. მოკლულია და მოკვლის მიზნით თავში წალდი ჩაარტყა. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა სწორად სცნო ო.-ს ქმედობის კვალიფიკაცია რსფსრ-ის სისხლის სამართ. კოდექსის მე-15, 103-ე მუხლებით (საქ. სსრ მე-17, 105-ე მუხლები — მკვლელობის მცდელობა ან მომზადება)<sup>2</sup>.

5. მკვლელობის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სხვა ადამიანის სიცოცხლე. თვითმკვლელობის ცდა სისხლის სამართლის დანაშაულს არ წარმოადგენს. არ იწვევს პასუხისმგებლობას არც ხელის შეწყობა სრულწლოვანი შერაცხადი ადამიანის თვითმკვლელობისათვის. მაგრამ თუ იმ პირს, ვინც შეაგულიანეს თავი მოეკლა ან რომლის თვითმკვლელობას ხელი შეუწყვეს, არ ჰქონდა უნარი ანგარიში მიეცა თავისი თავისათვის საკუთარ მოქმედებაში ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის, ადგილი ექნება არა თანამონაწილეობას თვითმკვლელობაში, არამედ მკვლელობას, ვინაიდან მოკლული აქ გამოყენებულია როგორც „ბრმა იარაღი“ საკუთარი სიცოცხლის მოსასპობად<sup>3</sup>.

6. მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. მოქმედება ან უმოქმედობა ადამიანის ნების გამოვლინებას უნდა წარმოადგენდეს. დანაშაულის ჩასადენად სუბიექტს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა საშუალებანი, მაგალითად, საწამლავი, ცივი იარაღი, ცეცხლსასროლი იარაღი, წყალში

<sup>2</sup> იხ. Сб. пост. Презид. и опред. судеб. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг. М., 1974, с. 213—214.

<sup>3</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ., 1976, გვ. 137—138.

ჩაგდება. დახრჩობა, ცეცხლის წაკიდება და ა. შ. ადამიანის მოკვლა შეიძლება როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური საშუალებებით.

7. მკვლელობა შედეგიანი (მატერიალური) დანაშაულია, მაშასადამე მკვლელობის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს სხვა ადამიანის სიკვდილი წარმოადგენს. თუ ეს შედეგი არ განხორციელდა, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მკვლელობის მომზადებაზე ან მცდელობაზე.

8. დამნაშავის მოქმედებასა (უმოქმედობასა) და ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ ქმედობასა და ადამიანის სიკვდილს შორის არსებობს მაშინ, როდესაც მოქმედება იყო სიცოცხლის მოსპობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, ე. ი. როცა მოქმედების არარსებობის შემთხვევაში დანაშაულებრივი შედეგი (სხვა ადამიანის სიკვდილი) არ დადგებოდა. პირიქით, თუ მოქმედების არარსებობის შემთხვევაშიც ადამიანი ამ დროს და ამ სახით მაინც მოკვდებოდა, ეს იმის დამადასტურებელია, რომ აღნიშნული მოქმედება არ არის სიცოცხლის მოსპობის აუცილებელი პირობა, არ არის დაკავშირებული მიზეზობრივად ადამიანის სიკვდილთან. რ.-მ და ს.-მ სცემენ ო.-ს და მიაყენეს მას ნაკლებად მძიმე სხეულებრივი დაზიანება. ნაცემი ო. მოათავსეს საავადმყოფოში, სადაც იწვა თავის ტვინის შერყევის დიაგნოზით. საავადმყოფოდან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გამოწერეს და ერთი თვის განმავლობაში სახლში იყო. ერთი თვის შემდეგ იგი სახლიდან დაიკარგა და რამდენიმე დღეში ნახეს ქუჩაში დავარდნილი, სისხლჩაქცეული. საავადმყოფოში მიყვანისთანავე ო. გარდაიცვალა. საექიმო ექსპერტიზამ ვერ დაადგინა მიზეზობრივი კავშირის არსებობა დაზარალებულის სიკვდილსა და ო.-სათვის წინათ მიყენებულ სხეულებრივ დაზიანებას შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ ო.-სათვის სხეულის დაზიანება კიდევაც რომ არ მიეყენებინათ, იგი მაინც მოკვდებოდა<sup>4</sup>.

მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში შეიძლება ჩაბმული იყოს მესამე პირის ან თვით დაზარალებულის მოქმედება. მაგალითად, დამნაშავე საწამლავს უსხამს წყალში მსხვერპლს, ხოლო უკანასკნელი თვით სვამს წყალს. ეს, რა თქმა უნდა, არ გაწყვეტს მიზეზობრივ კავშირს დამნაშავის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შო-

<sup>4</sup> იხ. Сб. пост. Презид. и опред. суд. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг., М., 1974, с. 212—213.



რის. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1961 წ. 31 მარტის განჩინებაში მიუთითა, რომ შეცდომა, რომელიც დაუშვა ექიმმა დაზარალებულისათვის ოპერაციის გაკეთების დროს, არ სპობს მიზეზობრივ კავშირს დამნაშავეის მოქმედებასა და დაზარალებულის სიკვდილს შორის, თუ ამ შედეგის ძირითადი მიზეზი დამნაშავეის მოქმედება იყო, თუნდაც დამტკიცებულ იქნეს, რომ ასეთი შედეგი ექიმის მართებული მოქმედების შემთხვევაში არ დადგებოდა<sup>5</sup>.

9. მაგრამ ყოველი მოქმედება, რომელიც მავნე შედეგის აუცილებელი პირობა იყო, როდი შეიძლება ჩაითვალოს პასუხისმგებლობის ობიექტურ წანამძღვრად; პასუხისმგებლობის ობიექტურია წანამძღვარია მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც მისი ჩადენის მომენტში ქმნიდა რეალურ შესაძლებლობას ზეგავლენა მოეხდინა მოვლენათა ფაქტიურ მსვლელობაზე. თუ ადამიანის მოქმედებამ იმდენად უმნიშვნელო როლი შეასრულა მავნე შედეგის წარმოშობაში, რომ მოქმედების მომენტში მას არ შეუქმნია რეალური შესაძლებლობა ზეგავლენა მოეხდინა მოვლენათა იმ მსვლელობაზე, რამაც მავნე შედეგი გამოიწვია, ასეთი მიზეზობრიობა არ შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში სისხლის სამართლის მიერ. მაგალითად, ვინმემ ჭეჭა-ჭუხილის დროს ტყეში გაგზავნა კაცი იმ იმედით, რომ ტყეში მეხი ჩამოვარდებოდა და მას მოკლავდა. თუ მოვლენათა სრულიად შემთხვევითი და საბედისწერო დამთხვევის გამო მეხმა მართლაც მოკლა კაცი, გამგზავნის მოქმედებას მაინც არ ექნება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, ვინაიდან მას არ ჰქონდა რეალური შესაძლებლობა ზემოქმედება მოეხდინა მოვლენათა მსვლელობაზე იმ მიმართულებით, როგორც მიზეზობრივი კავშირი ფაქტიურად განვითარდა.

10. მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობასა და ადამიანის სიკვდილს შორის არსებობს მაშინ, როდესაც:

ა) პირს ჰქონდა სპეციალური ვალდებულება ხელი შეეშალა განსაზღვრული ადამიანის (ან ადამიანთა) სიკვდილისათვის იმ ფუნქციებისა და ამოცანების შესაბამისად, რაც მას დაკისრებული აქვს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ სფეროში. მოქმედების სპეციალური ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს: 1. თვით კანონიდან (მაგალითად, დედა ვალდებულია საზრდო მისცეს ჩვილ ბავშვს); 2. იმ მდგომარეობიდან, რაც მოქალაქეს უჭი-

<sup>5</sup> იხ. «БСРС СССР», 1961, № 2, с. 33—34.

რავს ქვეყნის სახელმწიფოებრივ, სამეურნეო ცხოვრებაში და სხე. (მაგალითად, ადვილად ფეთქებადი საამქროს უფროსი ვალდებუ-  
ლია მიიღოს აუცილებელი გამაფრთხილებელი ზომები აფეთქე-  
ბის თავიდან ასაცილებლად; საავადმყოფოს უფროსი ვალდებულია  
მიიღოს აუცილებელი ზომები ავადმყოფის მკურნალობისათვის და  
ა. შ.): 3. წინა მოქმედებიდან, რომლითაც შექმნილია საშიშროება  
ადამიანის სიცოცხლისათვის. მაგალითად, მთასვლელი, რომელმაც  
იკისრა გამოუცდელი ტურისტების გაცილება მთებში, ვალდებუ-  
ლია აღმოეჩინოს მას დახმარება; მოქალაქე, რომელმაც შეიტყუა  
გამოუცდელი მკურავი წყალში, ვალდებულია აღმოეჩინოს მას  
დახმარება სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში.

ბ) უმოქმედობის მიზეზობრიობის მეორე პირობა არის ის, რომ  
პირს უნდა ჰქონდეს ფაქტიური შესაძლებლობა შეასრულოს თავი-  
სი მოვალეობა და ხელი შეუშალოს მავნე შედეგის განხორციელე-  
ბას, ამ შემთხვევაში—კაცის სიკვდილს. პირიქით, თუ იმას, ვინც სა-  
ფრთხე შექმნა, არ ჰქონდა თავისი ვალდებულების შესრულების შე-  
საძლებლობა, უმოქმედობა არ იქნება მიზეზობრივ კავშირში შედეგ-  
თან. მაგალითად, თუ მთასვლელი თვით იმყოფებოდა სიცოცხლი-  
სათვის საშიშ მდგომარეობაში და შესაძლებლობა არ ჰქონდა და-  
ხმარება აღმოეჩინა ტურისტებისათვის, მისი უმოქმედობა არ იქნე-  
ბა მიზეზობრივ კავშირში შედეგთან.

გ) საჭიროა დადგენილ იქნეს, რომ თუ პირი შეასრულებდა  
მისთვის სავალდებულო და შესაძლებელ მოქმედებას, მავნე შედე-  
გი, ე. ი. ადამიანის სიკვდილი, თავიდან იქნებოდა აცილებული. თუ,  
შიუხედავად ასეთი მოქმედების შესრულებისა, კაცი მაინც მოკვდე-  
ბოდა, უმოქმედობა არ არის მიზეზობრივ კავშირში მის სიკვდილ-  
თან.

11. მკვლელობა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო. ადამიან-  
ისათვის სიცოცხლის მოსპობა, რომელიც ჩადენილია აუცილებე-  
ლი მოვერიების მდგომარეობაში, დასჯად მკვლელობას არ წარმო-  
ადგენს<sup>6</sup>. დაზარალებულის თანხმობა არ სპობს მკვლელობის მართლ-  
საწინააღმდეგო ხასიათს. ასეთი მკვლელობა, თუნდაც იგი შებრალებ-  
ის მოტივით იყოს ჩადენილი, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუ-  
ხისმგებლობას ჩვეულებრივი წესით. მკვლელობა მართლზომიერი  
არ არის იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილია საკუთარი სი-

<sup>6</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ.,  
1976, გვ. 97—107.

ცოცხლის გადასარჩენად. ასეთ მკვლევლობას ჩვენი კანონმდებლობა არ თვლის უცილებლად აუცილებლობის მართლზომიერ აქტად.

12. ყველა სახის მკვლევლობის სუბიექტი შეიძლება იყოს შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან.

13. ადამიანს სიცოცხლე შეიძლება მოუსპონ როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. გაუფრთხილებლობითი მკვლევლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართ. კოდექსის 108-ე მუხლში (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

განზრახი მკვლევლობის დროს პირი ითვალისწინებს თავისი მოქმედების შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, შეგნებულ აქვს ამ მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და სურს ადამიანის მოკვლა (პირდაპირი განზრახვა) ან შეგნებულად უშვებს, რომ მის მოქმედებას კაცის სიკვდილი მოჰყვება (ევენტუალური განზრახვა). მოქმედების შედეგის გათვალისწინება ნიშნავს არა მარტო კაცის სიკვდილის, არამედ აგრეთვე მოქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის გათვალისწინებას. განზრახვა გულისხმობს აგრეთვე ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას.

მკვლევლობის სურვილი გულისხმობს, რომ: 1) ადამიანის სიკვდილი ქმედობის უშუალო მიზანია. მაგალითად, დამნაშავე კლავს თავის მტერს სისხლის აღების მიზნით; 2) კაცის მოკვლა დამნაშავესათვის დასახული მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალებაა. მაგალითად, ბოროტმოქმედი კლავს ადამიანს მისი მემკვიდრეობის მიღების მიზნით; 3) ადამიანის სიკვდილი შეიძლება არც მიზანი იყოს ბოროტმოქმედისა და არც მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება, მაგრამ მკვლელს მიაჩნდეს, რომ მის მოქმედებას აუცილებლობით მოყვება ადამიანის სიკვდილი და ურიგდებოდეს ასეთ შედეგს. მაგალითად, ბოროტმოქმედი აფეთქებს იარაღის საწყობს, სადაც დარაჯს სძინავს. დამნაშავეს არა აქვს მიზნად დასახული კაცის მოკვლა, მაგრამ მისი დანაშაულებრივი გეგმის განხორციელებასთან დარაჯის სიკვდილი დამნაშავეს წარმოდგენაში აუცილებლობით არის დაკავშირებული და იგი ამ სიკვდილს ურიგდება<sup>7</sup>.

14. მკვლევლობა შეიძლება იყოს წინასწარ მოფიქრებული განზარხებით ან უცარი განზრახვით (იხ. იმავე მუხ. კომენტ.). განზრახ-

<sup>7</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ., 1976, გვ. 46—63.

ხი მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოწვეულია დამნაშავეის ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით, გამოყოფილია ცალკე შემადგენლობად.

15. თუ პირის განზრახვა მიმართული იყო სხეულის დასაზიანებლად, მაგრამ ამას შედეგად მოჰყვა სიკვდილი, მან შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ სხეულის განზრახ დაზიანებისათვის და, სათანადო პირობების არსებობისას, გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის. სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, გამოყოფილია ცალკე შემადგენლობად (იხ. 110-ე მუხ. მე-2 ნაწ. კომენტ.).

16. „როდესაც სასამართლო წყვეტს საკითხს დამნაშავეის განზრახვის შინაარსის თაობაზე, მან მხედველობაში უნდა მიიღოს ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოების ერთობლიობა, კერძოდ, უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენის იარაღი და საშუალება, კრილობათა და სხვაგვარ სხეულებრივ დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და ლოკალიზაცია (მაგალითად, ადამიანის სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ორგანოებში), დამნაშავეის დანაშაულებრივი ქმედობის შეწყვეტის მიზეზები და სხვ., აგრეთვე დამნაშავეისა და დაზარალებულის ყოფაქცევა დანაშაულის ჩადენამდე, მათი ურთიერთდამოკიდებულება“<sup>8</sup>.

17. შეცდომა მოკლულის პიროვნებაში (error in persona) ზეგავლენას არ ახდენს პასუხისმგებლობაზე, ვინაიდან ერთი ადამიანის სიცოცხლე სამართლებრივი თვალსაზრისით იმავე ღირებულებას წარმოადგენს, რასაც მეორე ადამიანის სიცოცხლე. ამიტომ თუ დამნაშავეს უნდოდა მოეკლა ა., მაგრამ სიბნელეში ვერ გაარჩია და მის მაგივრად მოკლა ბ., იგი პასუხს აგებს ადამიანის განზრახ მკვლელობისათვის.

ეს დებულება კარგად არის დასაბუთებული რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1973 წლის 7 მარტის დადგენილებაში ტ.-ს საქმეზე. ტ.-მ პირადი უსიამოვნების ნიადაგზე გადაწყვიტა ს.-ის ცოლის მოკლა. ამ მიზნით სანადირო თოფი ესროლა ფანჯარასთან მდგომ ადამიანს, რომელიც სიბნელეში ეს ქალი ეგონა. სინამდვილეში ტყვია მოხვდა ქალის ქმარს და მიაყენა მას სასიკვდილო ჭრილობა. ბაშკირეთის ასსრ-ის უმაღლესმა სასამართლომ დააკვალიფიცირა ტ.-ს დანაშაული, როგორც ერთი პირის (ცოლის)

<sup>8</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 187.

განზრახი მკვლელობის მცდელობა და მეორე პირის (ქმრის) გაუფრთხილებლობითი მკვლელობა. რსტსრს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა სამართლიანად უარყო ტ-ს მოქმედებაში გაუფრთხილებლობითი მკვლელობა და მიუთითა: „...სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო, რომ დამნაშავეს შეცდომა ისეთ ფაქტიურ გარემოებაში, რომელიც... დანაშაულის შემადგენლობას არ ეკუთვნის, არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ბრალის ფორმაზე. ასეთი შეცდომა არ გამორიცხავს განზრახ ბრალს, რადგანაც მკვლელობის განზრახვისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ჩადენილ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს ადამიანის სიკვდილი. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო აგრეთვე ის გარემოება, რომ როგორც ს.-ს ქმრის, ისე ს.-ს ცოლის სიცოცხლე იურიდიულად თანასწორი ღირებულების ობიექტებია“<sup>9</sup>.

თუ კანონი ზოგიერთი პირის მოკვლას უფრო მძიმე დანაშაულად თვლის (მაგალითად, სისხლის სამართ. კოდექსის 104-ე მუხლით ორსული ქალის მკვლელობა ითვლება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად), ხოლო პირმა არ იცის, რომ მის მიერ მოკლული სწორედ ამ კატეგორიის პირებს ეკუთვნის (მაგალითად, არ იცის, რომ ქალი ორსულადაა), დამნაშავე პასუხს აგებს არა დამამძიმებელ გარემოებებში, არამედ მათ გარეშე ჩადენილ მკვლელობისათვის.

18. თუ ვინმეს გადაწყვეტილი ჰქონდა განსაზღვრული პირის მოკლა, მაგრამ მის მიერ ნახმარი იარაღი ან საშუალება ამ პირს ასცდა და სხვა ადამიანს მოუსპო სიცოცხლე (მაგალითად, დამნაშავემ ესროლა ა.-ს, მაგრამ მოახვედრა ბ.-ს), პირი პასუხს აგებს დანაშაულის იდეალური ერთობლიობის წესით ერთი პირის განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის და მეორე პირის გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის.

19. თუ პირი შეცდომით ფიქრობს, რომ არსებობს მისი მოქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება (მაგალითად, მას ჰგონია, რომ იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში), განზრახ მკვლელობა გამორიცხულია და მან შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის<sup>10</sup>.

<sup>9</sup> «БВС РСФСР», 1973, № 11, с. 12.

<sup>10</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ., 1976, გვ. 104—105.

20. „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-15 მუხლის აზრით, მკვლელობის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, ე. ი. მაშინ, როდესაც დამნაშავეს მოქმედება მოწმობს, რომ იგი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების შედეგად ადამიანის სიკვდილს და სურდა კიდევაც ეს, მაგრამ კაცი არ მოკვდა დამნაშავეის ნებისაგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო“<sup>11</sup>. როგორც დავინახეთ, მკვლელობის პირდაპირი განზრახვა მაშინაც არსებობს, როდესაც მკვნი შედეგი არ არის დამნაშავეის ქმედობის არც მიზანი და არც მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება, მაგრამ იგი დამნაშავეის წარმოდგენაში აუცილებლობით არის დაკავშირებული მისი დანაშაულებრივი გეგმის განხორციელებასთან. ასეთ შემთხვევაში, თუ კაცი სიკვდილს გადაარჩა დამნაშავეის ნებისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, აგრეთვე გვექნება დანაშაულის მცდელობა.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 19 ივლისის დადგენილებაში კ.-ს საქმეზე ნათქვამია: „...როდესაც კ.-მ დაზარალებულს დანა ძლიერად ჩაარტყა ისეთ ადგილას, სადაც მოთავსებულია ადამიანის სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანოები, ე. ი. გული და ფილტვები, მას უეჭველად შეგნებულნი ჰქონდა, რომ თუ რომელიმე სასიცოცხლო ორგანო ჰრილობის არეში მოხვდებოდა, მისი დაზიანება აუცილებლად გამოიწვევდა დაზარალებულის სიკვდილს“<sup>12</sup>. ასეთი მსჯელობის საფუძველზე პლენუმი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კ.-ს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახი მკვლელობის მცდელობა.

პირიქით, მცდელობა არ შეიძლება ევენტუალური განზრახვის დროს, როდესაც პირი ითვალისწინებს თავისი მოქმედების შედეგად ადამიანის სიკვდილის არა აუცილებლობას, არამედ შესაძლებლობას და ამავე დროს არ სურს ასეთი შედეგი, თუმცა შეგნებულად უშვებს, ურიგდება მას. ამ დებულებას თანმიმდევრულად ატარებს სასამართლო პრაქტიკა. ასე, მაგალითად, საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1973 წლის 28 სექტემბრის დადგენილებაში ბ.-ს საქმეზე მითითებულია: „დანის მოქმედების დროს ბ. შეიძლება უშვებდა კიდევაც სიკვდილის შესაძლებლობას, მაგრამ მას ეს შედეგი არ სურდა, ე. ი. ბ. მოქმედებდა ევენტუალური

<sup>11</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 187.

<sup>12</sup> «ВС СССР», 1965, № 6, с. 36.

განზრახვით. ევენტუალური განზრახვის დროს კი დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს ფაქტიურად დამდგარი შედეგისათვის...“<sup>13</sup>.

21. განზრახი მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს რამდენიმე პირის თანამონაწილეობით. თანამონაწილეობის უფრო მარტივ სახეს წარმოადგენს თანაამსრულებლობა, როდესაც მკვლელობის ყველა მონაწილე ერთობლივად, როლების წინასწარი განაწილების გარეშე, ახორციელებს დანაშაულს. თანამონაწილეობის უფრო რთულ სახეს წარმოადგენს თანამონაწილეობა ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით, როდესაც ხდება როლების განაწილება ორგანიზატორის, ამსრულებლის, წამქეზებლის ან დამხმარეს შორის.

თანაამსრულებლობის შემთხვევაში არ არის საჭირო მითითება მე-19 მუხლზე, მკვლელობის ყველა თანაამსრულებლის მოქმედება უშუალოდ უნდა იქნეს კვალიფიცირებული კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლით, რომელიც შეესაბამება ჩადენილ დანაშაულს.

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ უძნელდებათ მკვლელობის თანაამსრულებლისა და დამხმარის განსხვავება ერთმანეთისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის დადგენილებაში „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლოს პრაქტიკის შესახებ“ მითითებულია, რომ განზრახ მკვლელობის „ამსრულებლებად ცნობილ უნდა იქნენ ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ ერთობლივად, მკვლელობის განზრახვით და უშუალო მონაწილეობას იღებდნენ დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის პროცესში“<sup>14</sup>.

მკვლელობის თანაამსრულებლობა გვექნება არა მარტო მაშინ, როდესაც ყველა თანამონაწილე უშუალოდ ასრულებს დანაშაულის მთელ შემადგენლობას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი შემადგენლობის ნაწილს ასრულებს. ამიტომ განზრახ მკვლელობის დროს ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ის პირი, ვინც ტყვია მოახვედრა დაზარალებულს ან სასიკვდილო მახვილი ჩასცა მას, არამედ ისიც, ვინც ამ მომენტში ხელფეხი გაუკავა დაზარალებულს და მისცა დანარჩენებს შესაძლებლობა ბოლომდე მიეყვანათ ბოროტი განზრახვა. აქ თუმცა როლების ერთგვარ განაწილებას აქვს ად-

<sup>13</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1974, № 1, გვ. 14; იხ. ანალოგიური დადგენილებები: „საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1969, № 3, გვ. 17; 1971, № 1, გვ. 18—19.

<sup>14</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 186.

ვილი, მაგრამ თითოეული მონაწილე ასრულებს დანაშაულის შე-  
მადგენლობის რაიმე ნაწილს და შედეგი—კაცის სიკვდილი—  
ყველა მათგანის მოქმედებით არის გამოწვეული.

ო.-მ შურისძიების ნიადაგზე მოკლა ე. თავში რამდენჯერმე გა-  
ზის ჩარტყმით. იმ მომენტში, როდესაც ო. ე.-ს გაზს ურტყამდა,  
მას ეხმარებოდა ბ., რომელმაც ე.-ს ხელები გაუკავა. პირველი  
ინსტანციის სასამართლომ ბ. ჩათვალა მკვლელობის დანაშაულის  
დამხმარედ და მისი მოქმედება მე-19 მუხლის მეშვეობით დააკვა-  
ლიფიცირა, თანაც ასეთი კვალიფიკაცია იმით დასაბუთა, რომ ბ.-ს  
მკვლელობის აქტი უშუალოდ არ შეუსრულებია, მან მხოლოდ მოს-  
პო დანაშაულის დაბრკოლება. სსრკ უმაღლესი სასამართლოს ბიუ-  
ლეტენში მოთავსებულ წერილში სავსებით მართებულად არის მი-  
თითებული ბ.-ს მოქმედების არასწორ კვალიფიკაციაზე: „თუმცა  
ბ.-ს თვითონ არ დაურტყამს ე.-სათვის თავში გაზი, რამაც მსხვერ-  
პლის სიკვდილი გამოიწვია, მაგრამ მან უშუალო მონაწილეობა მი-  
იღო თვით დანაშაულის შესრულების პროცესში. ბ. მკვლელობის  
თანამსრულებელია“<sup>15</sup>.

მკვლელობის დამხმარე არ იღებს უშუალო მონაწილეობას და-  
ნაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში, არამედ ჩვეულებ-  
რივად მოსამზადებელ მოქმედებას ასრულებს, ე. ი. მოქმედებს და-  
ნაშაულის ჩადენამდე. გამონაკლისის სახით დამხმარე შეიძლება  
მოქმედებდეს დანაშაულის ჩადენის მომენტშიც. მაგალითად, ვინ-  
მე დარაჯად დგას მაშინ, როდესაც მისი ამხანაგები კაცს კლავენ.  
დარაჯად დგომა არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ ახორციე-  
ლებს დანაშაულის შემადგენლობას, იგი მხოლოდ უაღვილებს ამ-  
სრულებლებს მკვლელობის ჩადენას. ამიტომ ეს მოქმედება განხი-  
ლულ უნდა იქნეს არა როგორც თანამსრულებლობა, არამედ რო-  
გორც დახმარება.

თანამონაწილეობა გულისხმობს განზრახ მოქმედებას. ეს შე-  
ეხება უპირველეს ყოვლისა წაქეზებას.

პირი შეიძლება ცნობილი იქნეს წამქეზებლად მხოლოდ იმ  
შემთხვევაში, თუ თავისი მოქმედებით იგი ცდილობს აღუძრას  
მეორე პირს დანაშაულის ჩადენის განზრახვა. წამქეზებლის გან-  
ზრახვა უნდა მოიცავდეს იმ კონკრეტულ დანაშაულს, რომლის გან-  
ხორციელებაც მას სწადია და რომელზედაც იგი სხვას იყოლიებს.

<sup>15</sup> «БС СССР», 1960, № 4, с. 57.



წამქეზებელი არ შეიძლება მოქმედებდეს გაუფრთხილებლობით. ამ დებულებას მკაცრად იცავს საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა.

3. მოცემული იყო პასუხისგებაში ცოლის მკვლელობისათვის, ხოლო მისი დედა — როგორც ამ მკვლელობის წამქეზებელი. საქმის მასალებით მტკიცდებოდა, რომ დედამთილი ცუდად ეპყრობოდა რძალს, უმაღავედა საქმელს, უკრძალავდა მეზობლებთან ურთიერთობას და ხშირად აბეზღებდა მას თავის შვილთან, რომელიც სცემდა ცოლს, ემუქრებოდა და ყოველმხრივ ამცირებდა. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 2 დეკემბრის დადგენილებაში ამ საქმეზე აღნიშნულია, რომ საქმის მასალებით არ მტკიცდება მკვლელობისაკენ წაქეზების ფაქტი, თუმცა დედის ასეთმა საქციელმა შეიძლება ერთგვარი ზემოქმედება მოახდინა შვილზე და თბიქტურად მკვლელობის ერთ-ერთი ხელისშემწყობი მიზეზი გახდა. „მაგრამ, — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — ამა თუ იმ პირის მოქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება განვიხილოთ როგორც წაქეზება, თუ დამტკიცებულია, რომ ეს მოქმედება ჩადენილი იყო დანაშაულის ჩადენაზე სხვა პირის დასაყოლიებლად“<sup>16</sup>.

დახმარება დანაშაულში აგრეთვე განზრახვას გულისხმობს. ლოგიკურად წარმოუდგენელია როგორც გაუფრთხილებლობითი დახმარება განზრახ მკვლელობაში, ისე განზრახი დახმარება გაუფრთხილებლობით მკვლელობაში.

22. 104-ე მუხლში ამომწურავად ჩამოთვლილია ის გარემოებანი, რომლებიც ამძიძებენ პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის. ისეთი დამამძიძებელი გარემოება, რომელიც მითითებული არ არის 104-ე მუხლში, არამედ აღნიშნულია 39-ე მუხლში, მხედველობაში მიიღება მხოლოდ კონკრეტული ღონისძიების არჩევისას 105-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ფარგლებში. თითოეული გარემოება, მოხსენიებული 104-ე მუხლში, საკმარისია იმისათვის რომ განზრახი მკვლელობა დამამძიძებელ გარემოებაში ჩადენილად ჩაითვალოს. მაგრამ, ცხადია, თუ განზრახი მკვლელობის დროს ორი ან რამდენიმე დამამძიძებელი გარემოება არსებობს, ეს კიდევ უფრო დაამძიძებს პასუხისმგებლობას.

23. როდესაც განზრახი მკვლელობა ჩადენილია 104-ე მუხლში მითითებული ორი ან მეტი დამამძიძებელი გარემოების არსებობი-

<sup>16</sup> Сб. пост. Плен. и опред. кол. ВС СССР 1959—1971 гг., М., 1973, с. 87.

სას, მისი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს 104-ე მუხლის ყველა იმ პუნქტით, რომელშიც ეს დამამძიმებელი გარემოებებია დასახელებული. თუმცა სასჯელი ცალ-ცალკე პუნქტის მიხედვით არ დაინიშნება. მაგრამ მხედველობაში იქნება მიღებული რამდენიმე დამამძიმებელი გარემოების არსებობა<sup>17</sup>. ასეთი კვალიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა სათანადოდ იქნეს შეფასებული მკვლელის მიერ ჩადენილი დანაშაული და თვით მკვლელის საზოგადოებრივი საშიშროება, საქმის ყველა გარემოება, და დამნაშავეს სამართლიანი სასჯელი დაენიშნოს.

24. სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეიძლება გამოიკვეს, რომ ქმედობა არასწორად არის კვალიფიცირებული 104-ე მუხლის ამა თუ იმ პუნქტით და საჭიროა მისი კვალიფიკაციის შეცვლა ამავე მუხლის სხვა პუნქტით. თუ კვალიფიკაციის შეცვლა დაკავშირებულია ბრალდების ფორმულის შეცვლასთან, ასეთ შემთხვევაში, თანახმად სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის დადგენილებისა, სასამართლოს უფლება არა აქვს პროცესის ყველა სტადიაში თვით შეცვალოს ქმედობის 104-ე მუხლის ერთი პუნქტი იმავე მუხლის მეორე პუნქტით, არამედ მან უნდა დააბრუნოს საქმე დამატებითი გამოძიებისათვის. სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია შეცვალოს 104-ე მუხლის ერთი პუნქტი, მეორე პუნქტით, როდესაც კვალიფიკაციის ასეთი შეცვლა არ იწვევს ბრალდების ფორმულის შეცვლას და ამიტომ არ არღვევს ბრალდებულის დაცვის უფლებას<sup>18</sup>.

25. განზრახი მკვლელობა ანგარების მიზნით. 104-ე მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულია მკვლელობა ანგარებით. თანახმად სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებისა „განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. ანგარებით მკვლელობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე მიზნად ისახავდა მიეღო რაიმე მატერიალური გამორჩენა (ფული, ქონება, ქონებრივი უფლება, საბინაო ფართობის უფლება და ა. შ.) ან თავი გაეთავისუფლებინა მატერიალური ხარჯისაგან, მაგალითად, ვალის გადახდისაგან, ალიმენტის გადახდისაგან და სხვ<sup>19</sup>.

ამგვარად, ანგარებითი მკვლელობა გულისხმობს ან რაიმე მა-

<sup>17</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг. ч. 2, М., 1978, с. 191.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 187.

ტრიალური მრგების მიღებას ან ასეთივე ვალდებულებასაგან თავის გათავისუფლებას. თუ მკვლეელი არც ერთი ამ მოტივით არ ხელმძღვანელობდა, მისი ქმედობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ანგარებითი მკვლელობა. შ.-მ მკვლელობის განზრახვით მსუბუქად დაქრა თავისი ყოფილი ცოლი კ., რომელმაც არ გადაუხადა მას 200 მან., რასაც სარემონტო სამუშაოებისათვის დაპირდა. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1965 წ. 20 ივლისის დადგენილებაში მიუთითა, რომ შ.-ის მოქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ანგარებითი მკვლელობის მცდელობა, რადგან მისი მოქმედების მამოძრავებელი მოტივი იყო უკმაყოფილება კ.-ს მიმართ, რომელმაც არ აღნაზღაურა სახლის შესაკეთებლად გაწეული ხარჯი<sup>20</sup>.

ანგარებითი მკვლელობის ტიპობრივი მაგალითია ბავშვის მკვლელობა ალიმენტის გადახდისაგან თავის დაღწევის მიზნით. კ. ცნობილი იყო დამნაშავედ ხუთი თვის შვილის ოქსანას მკვლელობაში. კ.-ის მეუღლე აპირებდა მასთან გაყრას და სასამართლოს წესით ალიმენტის მოთხოვნას; რადგან კ. უარს ამბობდა დახმარებოდა ოჯახს და ხშირად ეჩხუბებოდა ცოლს. ალიმენტების გადახდის თავიდან ასაცილებლად, კ.-მ ბავშვი მოწამლა<sup>21</sup>.

სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშვა საკითხი, თუ როგორ უნდა იქნეს კვალიფიცირებული მკვლელობა, ჩადენილი იმ ვალისგან თავის დაღწევის მიზნით, რაც ქურდობაში ერთობლივი მონაწილეობისაგან წარმოიშვა. პ.-მ და ტ.-მ ერთად მოიპარეს ქსოვილები და საღებავები. მათი რეალიზაცია იკისრა პ.-ს ცოლმა. როდესაც ტ.-მ მოისურვა თავისი კერძი ფულის ან ქსოვილის მიღება, პ.-მ სთხოვა დაეცადა. ტ. დაჟინებით ითხოვდა თავის წილს. მაშინ პ.-მ გადაწყვიტა მისი თავიდან მოცილება და არასრულწლოვან ს.-სთან ერთად მოკლა იგი. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ქონების დანაშაულებრივი გზით შექმნა არ ანიჭებს იმ პირს, ვინც ამ ქონებას დაეუფლა, მასზე კანონიერ უფლებას“<sup>22</sup>. მაგრამ ამავე დროს კოლეგიამ მიუთითა, რომ პ.-ს მიერ მკვლელობა ჩადენილი იყო ტ.-ს ქონებრივი პრეტენზიე-

<sup>20</sup> Сб. пост. Плен. и опред. кол. ВС СССР по уголовным делам 1959—1971 гг., М., 1973, с. 195—196.

<sup>21</sup> Сб. пост. Презид. и опред. судеб. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг., М., 1974, с. 228—229.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 230.

ბის თავიდან აცილების მიზნით. ხოლო „განზრახი მკვლელობა, ჩადენილი რაიმე მატერიალური გამორჩენის მიღების ან მატერიალური ხარჯისაგან გათავისუფლების მიზნით, კვალიფიცირებულ უნდა იქნეს სისხლის სამართ. კოდექსის 102-ე მუხ. „ა“ პუნქტით“<sup>23</sup> (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხ. 1 პუნქტ. — ავტ.).

მკვლელობა არ შეიძლება ჩაითვალოს ანგარებით ჩადენილად, თუ პირის მიზანია არა ქონების, ქონებრივი უფლების თუ გამორჩენის მიღება ან ასეთივე ვალდებულებისაგან გათავისუფლება, არამედ საკუთარი ქონების შენარჩუნება, თუნდაც მკვლელობაში გამოვლანდეს დამნაშავეის კერძომესაკუთრული ინსტიქტი, მისი სიხარბე, გაუმამძრობა და სხვ. მისთ. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა სავსებით სამართლიანად არ ჩათვალა ანგარებით მკვლელობად ნ.-ს მოქმედება, რომელმაც მოკლა მის ბაღში ხენდროს მოსაკრეფად შეპარული ო. პრეზიდიუმმა 1962 წ. 12 დეკემბრის დადგენილებაში მიუთითა, რომ „მკვლელობის ანგარებითი მოტივი გულისხმობს პირის მისწრაფებას მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლოს ქონებას ან სხვა ფასეულობას, რაც დაზარალებულის მფლობელობაშია, ან პირის სურვილს სხვაგვარი მატერიალური გამორჩენა მიიღოს ჩადენილი დანაშაულისაგან. ამ შემთხვევაში კი ნ.-ს დანაშაულის ჩადენით არავითარი მატერიალური გამორჩენა არ მიუღია და არც შეეძლო მიეღო. მაშასადამე, მას მკვლელობა ანგარების მოტივით არ ჩაუდენია“<sup>24</sup>.

იმისათვის, რომ ქმედობა დავაკვალიფიციროთ როგორც ანგარებითი მკვლელობა, მნიშვნელობა არა აქვს, თავის სასარგებლოდ უნდოდა მიეღო გამორჩენა დამნაშავეს თუ სხვის სასარგებლოდ. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1967 წ. 13 იანვრის განჩინებაში მ.-ს საქმეზე მითითებულია, რომ „...ანგარების მოტივი, როგორც ამ დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება, გულისხმობს ქონების მესაკუთრის ან მისი მოსარგებლის მოკვლას იმ მიზნით, რათა ამ ქონებას დაეუფლოს ან მატერიალური გამორჩენა მიიღოს თვით მკვლელმა ან სხვა პირმა, რომლის ბედ-იღბალიც მკვლელს აინტერესებს“<sup>25</sup>.

ანგარებითი მკვლელობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას,

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> «БС РСФСР», 1963, № 3, с. 5.

<sup>25</sup> «БС СССР», 1967, № 4, с. 23.

უშუალოდ მკვლევლობისთანავე მიიღებს ქონებას ან ქონებრივ გამორჩენას მკვლელი, თუ მკვლევლობის მომენტიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. მთავარია, მკვლევლობა ჩადენილი იყოს ანგარების მიზნით. თუ მკვლევლობა ჩადენილია არა ანგარების, არამედ რაიმე სხვა (მაგალითად, შურისძიების) მოტივით, ხოლო მსხვერპლის გადაარცივის მიზანი მკვლელს მკვლევლობის დამთავრების შემდეგ აღეძრა, ასეთ შემთხვევაში გვექნება არა მკვლევლობა ანგარების მიზნით, არამედ ორი დანაშაულის ერთობლიობა: მკვლევლობისა, რომელიც უნდა დაკვალიფიცირდეს 105-ე მუხლით, და ქურდობისა, რომელიც ქონებრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით იქნება კვალიფიცირებული. კ.-მ, რომელიც დაავადებული იყო შიზოფრენიით, სთხოვა თავის ამხანაგს ბ.-ს მოეკლა იგი. ბ.-მ მისი თხოვნა შეასრულა და მოკლა კ. მკვლევლობის ჩადენის შემდეგ ბ.-ს აღეძრა განზრახვა მიეთვისებინა მოკლულის თოფი (რომლითაც კ. იყო მოკლული) და ფული. პირველი ინსტანციის სასამართლომ ბ.-ს მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც ანგარებითი მკვლევლობა. რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სწორად არ სცნო ბ.-ს ქმედობის ასეთი კვალიფიკაცია და მართებულად მიუთითა: „მსჯავრდებულის მიერ კ.-ის მოკვლის შემდეგ მისი თოფისა და ფულის მითვისება არ იქლევა იმის საფუძველს, რომ მის დანაშაულს რსფსრ სისხ. სამართ. კოდექსის 102-ე მუხლის „ა“ პუნქტი (საქ. სსრ სისხ. სამართ. კოდექსის 104-ე მუხ. I პუნქტი — ავტ.) მიუთყენოთ. ამ პუნქტით გათვალისწინებული ანგარების მიზანი მკვლევლობის მოტივს უნდა წარმოადგენდეს. ხოლო თუ მოკლულის ქონების დაუფლების მიზანი მკვლევლობის შემდეგ წარმოიშვა, ეს გარემოება არ იწვევს კვალიფიკაციას სისხ. სამართ. კოდექსის 102-ე მუხლის „ა“ პუნქტით“<sup>26</sup> (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის I პუნქტით).

ამისათვის, რომ ანგარებითი მკვლევლობა დამთავრებულად ჩაითვალოს, არ არის აუცილებელი მკვლელმა ნამდვილად მიაღწიოს დასახულ მიზანს, ე. ი. მიიღოს ქონება ან ქონებრივი გამორჩენა. მაგალითად, ვინმემ მოკლა კაცი შემკვიდრეობის მისაღებად, მაგრამ შემკვიდრეობა ფაქტიურად ვერ მიიღო. ეს არის არა ანგარებითი მკვლევლობის მცდელობა, არამედ დამთავრებული ანგარებითი მკვლევლობა. ანგარებით მკვლევლობაში, ისე როგორც ყველა მიზნობრივ დანაშაულში, სუბიექტური მხარე სჭარბობს ობიექ-

<sup>26</sup> იხ. «БСР РСФСР», 1966, № 5, с. 7—8.

ტურ მზარეს, ე. ი. მიზანი ვრცელდება ისეთ გარემოებაზე, რომელიც მუხლის დისპოზიციის ობიექტურ ნიშნებში არ შედის.

„ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩაღვნილი განზრახვი მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს აღნიშნულ დანაშაულთა ერთობლიობის წესით, რამდენადაც ყაჩაღობა მოცული არ არის რსფსრ-ის სსსხ. სამართ. კოდექსის 102-ე მუხლის „ა“ პუნქტით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსსხ. სამართ. კოდექსების შესაბამისი მუხლებით“<sup>27</sup>. (საქ. სსრ სსსხ. სამართ. კოდექსის 104-ე მუხლის I პუნქტი).

ქმედობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს ერთობლიობის წესით როგორც ანგარებითი მკვლელობა და ყაჩაღობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მკვლელობის მიზანი იყო სხვისი ქონების (მატერიალური ნივთების) უშუალოდ დაუფლება, როდესაც ეს დაუფლება ხდებოდა დაზარალებულზე თავდასხმის მეშვეობით. თუ ერთ-ერთი ეს პირობა არ არსებობს, ერთობლიობა გამორიცხულია. კერძოდ, თუ პირი ქონების დაუფლებისათვის მიმართავს არა უშუალო თავდასხმას პიროვნებაზე, არამედ კლავს მას თანდათანობით საწამლავის მეშვეობით, ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც მხოლოდ ანგარებითი მკვლელობა. ერთობლიობის წესი არ გამოიყენება მაშინაც, როდესაც მკვლელს მიზნად ჰქონდა დასახული ქონებრივი გამოარჩენის მიღება ან ვალდებულებისაგან გათავისუფლება ან, თუნდაც ქონების (მატერიალური საგნების) მიღება, მაგრამ არა უშუალოდ მკვლელობისთანავე, არამედ მომავალში (მაგალითად, ახლო ნათესავის მოკვლა მისი სიკვდილის შემდეგ შემკვიდრეობის მიღების მიზნით.) ასეთ შემთხვევებში მოქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც მხოლოდ მკვლელობა ანგარებით.

26. მკვლელობა ხულაგური ქვენა გრძნობით. საქართველოს სსრ სსსხლ. სამართ. კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს მაშინ, როდესაც იგი ჩადენილია „საზოგადოების აშკარა უპატივცემლობის, საერთო ცხოვრების წესებისა და სოციალისტური მორალის ნორმების უგულვებელყოფის საფუძველზე, ყოველგვარი საბაზის გარეშე ან სრულიად უმნიშვნელო საბაზით...“<sup>28</sup>.

მკვლელობა ხულაგური ქვენა გრძნობით პიროვნების უკი-

<sup>27</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 187.,

<sup>28</sup> იხ. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილება. Сб. пост. Плен. СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 187—188.

დურესი ზნეობრივი დაქვეითების მაჩვენებელია. პიროვნება აშკარად უპატივცემულოდ ეკიდება საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებას, მის მორალურ და სამართლებრივ ნორმებს, მის კულტურულ მონაპოვრებს, აბუჩად იგდებს სხვა ადამიანთა ღირსებას და თვით სიცოცხლესაც კი. ზოგჯერ არათუ სერიოზული, არამედ საერთოდ არავითარი საბაზი არ არსებობს იმისათვის, რომ ხულიგანმა ადამიანი გაიმეტოს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ა.-ს საქმე: გ.-მ დაპატიჟა თავისი ამხანაგები, მათ შორის ა., რესტორანში. ა. ძალიან დათვრა და სრულიად უმიზეზოდ დაუწყო ლანძღვა-გინება თავის მასპინძელს. როცა რესტორნიდან გამოვიდნენ, მან ორჯერ დანა ჩასცა გ.-ს და მოკლა იგი. ამგვარად მან ჩაიდინა მძიმე დანაშაული ყოველგვარი საბაზის გარეშე<sup>29</sup>.

ხულიგნური ქვენა გრძნობით მკვლევლობა უმეტეს შემთხვევაში სიმთვრალეში ხდება. ამიტომ ალკოჰოლიზმთან ბრძოლა არის იმავე დროს ბრძოლა ხულიგნობის წინააღმდეგ და, მაშასადამე, ხულიგნური მკვლევლობის წინააღმდეგაც. ამასთან სიმთვრალეში მკვლევლობა თავისთავად ყოველთვის როდი ადასტურებს იმას, რომ იგი ხულიგნური მოტივითაა ჩადენილი. ზოგჯერ დამნაშავე, რომელმაც რაიმე მოტივით კაცის მოკვლა გადაწყვიტა, განზრახ თვრება, რათა უფრო გაბედულად მოიყვანოს სისრულეში თავისი ბოროტი განზრახვა.

მკვლევლობა ხულიგნური ქვენა გრძნობით ხშირად ჩხუბის დროს ხდება. მაგრამ ჩხუბში ჩადენილი მკვლევლობა ყოველთვის როდი გამოწვეული ხულიგნური ქვენა გრძნობით. ჩხუბის საბაზი შეიძლება იყოს რაიმე პირადი ანგარიში მოჩხუბრებს შორის და მკვლევლობა შეიძლება მოხდეს სამაგიეროს გადახდის მიზნით. ამიტომ ზოგჯერ იმის დასადგენად, რომ მკვლევლობა ნამდვილად ხულიგნური ქვენა გრძნობითაა ჩადენილი, საჭიროა გარკვეულ იქნეს, ქონდა თუ არა მკვლელს ნაცნობობა ან რაიმე ურთიერთობა მოკლულთან.

სომხეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1977 წლის 7 თებერვლის განაჩენით დამნაშავედ ცნო ჯ. ხულიგნური მოტივით ს.-ს მკვლევლობაში და მიუხაჯა მას სიკვდილით დასჯა. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ეს კვალიფი-

<sup>29</sup> «БВС СССР», 1966, № 2, с. 28—29.

კაცია სწორად არ ჩათვალა. თავის 1977 წლის 22 ივლისის განჩინებაში კოლეგიამ მიუთითა, რომ მკვლელობას წინ უძღოდა უმართებულო ქცევა დაზარალებულისა, რომელმაც შეურაცხყოფა მიაცენა მკვლელს, აგინა თვით ჯ. და მისი დედა. ამის შემდეგ ჯ-მ დიდხანს ვერ მოისვენა, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგებმა მოაშორეს იმ ადგილს, სადაც მას ს.-სთან შელაპარაკება მოუვიდა, ცოტა ხნის შემდეგ იგი ისევ დაბრუნდა და ს.-ს დანა ჩასცა. „ასეთ გარემოებებში, — ნათქვამია განჩინებაში, — ჯ-ს მოქმედება განხილული უნდა იქნეს როგორც ჩადენილი პირადი უსიამოვნების საფუძველზე, რომელიც გამოწვეული იყო დაზარალებულის მიერ მიყენებული შეურაცხყოფით; ეს მოქმედება შეიცავს სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 99-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, ე. ი. მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე“<sup>30</sup>.

განზრახვი მკვლელობა, ჩადენილი ექვიანობით, სამაგიეროს გადახდის სურვილით ან რაიმე სხვა მოტივით, რომელიც პირადი ურთიერთობის ნიადაგზე წარმოიშვა, არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც მკვლელობა ხულიგნური მოტივით, სადაც არ უნდა იყოს ჩადენილი იგი.

ხულიგნური მოტივით მკვლელობის გარდა, დამნაშავემ მკვლელობის ჩადენამდე ან მკვლელობის ჩადენის პროცესში ან უშუალოდ მის შემდეგ შეიძლება ჩაიდინოს სხვაგვარი ხულიგნური მოქმედება, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, ე. ი. მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას საზოგადოებისადმი. ასეთი შემთხვევები, თანახმად სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებისა, უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით, მაშასადამე, საქ. სსრ სისხ. სამართ. კოდექსის 104-ე მუხ. მე-2 პუნქტით და 228-ე მუხლით<sup>31</sup>.

27. დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის შემდეგი სახე არის მკვლელობა დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (104-ე მუხლის მე-3 პუნქტი). სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილების თანახმად, ასეთია „მკვლელობა, ჩადე-

<sup>30</sup> «БВС СССР», 1978, № 2, с. 22.

<sup>31</sup> Сб. пост.Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 188.



ნილი იმ მიზნით, რათა ხელი შეშლოდა დაზარალებულის მართლ-  
ზომიერ მოქმედებას, რომელიც მიმართული იყო მოკლულის სამ-  
სახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესასრულებლად,  
ან მკვლელობა, რომელიც წარმოადგენს სამაგიეროს მიზლვას ასე-  
თი საქმიანობისათვის“<sup>32</sup>.

ასეთი მკვლელობა გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, და-  
ზარალებულის საქმიანობის მართლზომიერ ხასიათს. თუ დაზარა-  
ლებული უკანონოდ მოქმედებდა და იგი სწორედ ამ უკანონო სა-  
ქმიანობასთან დაკავშირებით მოკლეს, მკვლელობა არ დაკვალიფი-  
ცირდება სისხლის სამართ. კოდექსის 104-ე მუხ. მე-3 პუნქტით.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოხსენებულ დად-  
გენილებაში მოცემულია სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მო-  
ვალეობის განსაზღვრება. „სამსახურებრივი მოვალეობის შესრუ-  
ლებად, — ნათქვამია ამ დადგენილებაში, — ითვლება ადამიანის  
ყოველი საქმიანობა, რომელიც შედის მის სამსახურებრივ მოვა-  
ლეობათა წრეში, ხოლო საზოგადოებრივი მოვალეობის შესრუ-  
ლებად — როგორც მოქალაქეების მიერ სპეციალურად მათზე  
დაკისრებულ საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულება, ისე სხვა  
მოქმედებათა შესრულება საზოგადოებისა და ცალკე პირების სა-  
სარგებლოდ (სამართალდარღვევათა აღკვეთა, ხელისუფლების ორ-  
განოებისათვის შეტყობინება, რომ ჩადენილია ან მზადდება და-  
ნაშაული და ა. შ.)“<sup>33</sup>.

მოქალაქეების მიერ სპეციალურად მათზე დაკისრებული მო-  
ვალეობის შესრულება იქნება, მაგალითად, სახალხო მსაჯულის,  
ამხანაგური სასამართლოს წევრის, ადგილკომის, საზოგადოებრივი  
ინსპექტორის მოვალეობის და სხვ. მისთ. ასრულება. მაგრამ, რო-  
გორც დავინახეთ, სასამართლო პრაქტიკა საზოგადოებრივი ვალის  
შესრულებად თვლის აგრეთვე საზოგადოების ან ცალკეული ადა-  
მიანის დაცვის მოქალაქეობრივი ვალის შესრულებასაც და განსა-  
კუთრებით ინტენსიურად იცავს ამ მომენტში ადამიანის სიცოცხ-  
ლეს. ამისი მრავალი მაგალითი გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში.  
მოვიყვანოთ ერთი. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამარ-  
თლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1970 წ. 16 ოქტომბრის გან-  
ჩინებაში ლ.-ს საქმეზე ნათქვამია: „კ. მოკლულია ლ.-ს ხულიგნუ-  
რი მოქმედების აღკვეთასთან დაკავშირებით, ხულიგნური მოქმე-

<sup>32</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 188.

<sup>33</sup> იქვე.

დების აღკვეთაში მონაწილეობა მოქმედი კანონმდებლობით განიხილება როგორც საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულება. ამიტომ ლ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა ლატვიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით<sup>34</sup>.

დაზარალებულის მიერ სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასა და მკვლელობას შორის მიზეზობრივი კავშირი უნდა იყოს, თუმცა აუცილებელი არ არის, რომ მკვლელობა უშუალოდ მოყვეს ამ მოვალეობის შესრულებას. მკვლელობის გამოჩვევე სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასა და მკვლელობის ფაქტს შორის შეიძლება საკმაოდ დიდი დრო გავიდეს. მაგალითად, სრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წ. 29 ივნისის დადგენილებით ფ.-ს მოქმედება კვალიფიცირებულ იქნა რაფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 და 102-ე მუხლის „გ“ პუნქტით, თუმცა სამსახურებრივ მოქმედებას, რის გამოც ფ.-მ დაზარალებულის მკვლელობის მცდელობა ჩაიდინა, 19 წლის წინათ ჰქონდა ადგილი. პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „...პასუხისმგებლობას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული მკვლელობის მცდელობისათვის შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი დრო გავიდა დაზარალებულის მიერ იმ სამსახურებრივი მოქმედების შესრულების შემდეგ, რის გამოც ჩადენილია მკვლელობის მცდელობა. მნიშვნელობა აქვს ნხოლოდ იმას, რომ მკვლელობა ჩადენილია სწორედ ამ ქმედობისათვის შურისძიების მიზნით“<sup>35</sup>.

104-ე მუხლის მე-3 პუნქტით მკვლელი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, როცა მან სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მოკლა თვით ის პირი, ვინც ამ მოვალეობას ასრულებდა, და არა მისი ნათესავი. მაგალითად, სრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1962 წ. 1 დეკემბრის დადგენილებით არ დააკვალიფიცირა აღნიშნული პუნქტით მკვლელობის მცდელობა, რომელიც ჩაიდინა ა.-მ, ვინაიდან ა. ცდილობდა მოეკლა არა თვით ის პირი, ვისი სამსახურებრივი მოქმედებითაც იგი იყო უკმაყოფილო, არამედ მისი ქმარი<sup>36</sup>.

<sup>34</sup> «БВС СССР», 1971, № 2, с. 33.

<sup>35</sup> «БВС СССР», 1966, № 5, с. 23.

<sup>36</sup> იხ. Сб. пост. Плен. и опред. клл. ВС СССР 1959—1971 гг., М., 1973, с. 202—204.

სუბიექტური მხრით მკვლელს არა მარტო ძირითადი შედეგის, ე. ი. ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის, არამედ აგრეთვე მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართაც უნდა ჰქონდეს განზრახვა, ე. ი. შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ კლავს ადამიანს სწორედ მის სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით, ან იგი უნდა ჰკლავდეს კაცს ასეთი საქმიანობის გამო სამაგიეროს მიზლის მიზნით. თუ ასეთი ხასიათის განზრახვა დამნაშავეს არა აქვს, მან არ შეიძლება პასუხი აგოს 104-ე მუხლის მე-3 პუნქტით.

ქ. ერევანში ოპერისა და ბალეტის თეატრის სკვერში გაძარცვეს ორი არასრულწლოვანი. არასრულწლოვანებმა ეს მილიციას აცნობეს, მილიციამ კი დამნაშავეთა დაკავების მიზნით გაგზავნა კომკავშირის ოპერატიული შტაბის აქტივისტები მ. და ვ. როცა ეს პირები სკვერში მივიდნენ, აქ მათ ნასევში ახალგაზრდები დახვდათ. მ.-მ და ვ.-მ დააპირეს მათი შეპყრობა. მაშინ ახალგაზრდებმა კომკავშირელები გალანძღეს, სილაც გააწნეს, დაბოლოს ერთმა მათგანმა ვ. დანით მოკლა, ხოლო მეორემ მ. მსიმედ დაჭრა. ახალგაზრდები პასუხისმგებანი იყვნენ მიცემულნი ისეთი განზრახვა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისათვის, რაც დაკავშირებულია დაზარალებულთა მიერ მათი საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 12 მარტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულთ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ იმაზე, თუ რას ესარჩლებიან მათ მ. და ვ., მათ არც ის იცოდნენ, რომ ეს უკანასკნელნი ოპერატიული შტაბის წევრები არიან და უფლება აქვთ აღკვეთონ წესრიგის დარღვევა და დააკავონ დამნაშავე. „ასეთ პირობებში, — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ განსასჯელთა მოქმედება ჩადენილია დაზარალებულის მიერ თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებით“<sup>37</sup>.

მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა მის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას, მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, კვალიფიცირდება არა 104-ე მუხ. მე-3 პუნქტით, არამედ 209<sup>1</sup> მუხლით. მაგრამ თუ მკვლელმა არ იცოდა, რომ იგი კლავდა ასეთ პირობებში მილიციის მუშაკს ან სახალხო რაზმელს, მაშინ ქმედობის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს 104-ე მუხ. მე-3 პუნქტით.

<sup>37</sup> «БВС СССР», 1975, № 4, с. 20.

სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის ან ხელისუფლებას წარმომადგენლის მკვლელობა, ჩადენილი მის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით, კვალიფიცირდება არა 104-ე მუხ. მე-3 პუნქტით, არამედ — როგორც ტერორისტული აქტი — 67-ე მუხლით.

28. ორი ან მეტი პირის მოკვლა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის შემდეგი სახეა (104-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ამ მკვლელობის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ ორი ან მეტი ადამიანის მოკვლა მოცულობით ერთი საერთო განზრახვით. ამიტომ, თუ დამნაშავეს გადაწყვეტილი ჰქონდა ერთი ადამიანის მოკვლა და ასეც გააკეთა, მაგრამ მერე მოკლა მეორე ადამიანიც, რომელიც შემთხვევითი მოწმე გახდა პირველი მკვლელობისა, აქ არ გვექნება 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობის შემადგენლობა, არამედ ორი დამოუკიდებელი განზრახვით ჩადენილი მკვლელობა, რომლებიც ცალ-ცალკე უნდა დაკვალიფიცირდეს, თუნდაც დროის მახედვით მათ შორის მეტად მცირე ინტერვალი იყოს.

104-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობის მეორე თავისებურება ის არის, რომ, როგორც წესი, ორივე მკვლელობა ერთდროულად უნდა მოხდეს, თუმცა გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ორი ან რამდენიმე პირის მკვლელობა დროის სულ მცირე მონაკვეთით იყოს დაშორებული ერთმანეთისაგან.

როდესაც ორი ან რამდენიმე პირის მკვლელობა დამნაშავეს ერთიანი განზრახვის განხორციელებას არ წარმოადგენს, ამ ქმედობების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს არა 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით, არამედ ამავე მუხლის მე-9 პუნქტით (მკვლელობა იმ პირის მიერ, ვისაც აღრე ჩადენილი ჰქონდა მკვლელობა).

104-ე მუხლის მე-4 პუნქტით კვალიფიკაციისათვის არ არის აუცილებელი ორი ან რამდენიმე პირი ერთი მოქმედებით იყოს მოკლული (მაგალითად, იმ სახლის დაწვით, სადაც რამდენიმე კაცს სძინავს). ასეთი მკვლელობა შეიძლება რამდენიმე ერთმანეთზე მოყოლებული მოქმედებითაც იქნეს ჩადენილი.

არ შეიძლება ქმედობის კვალიფიკაცია 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით მაშინ, როდესაც მკვლელობა ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებებში. ამაზე პირდაპირ მიუთითებს სსრკ-ის უმაღლესი

სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1967 წლის 22 დეკემბრის განჩინება კ.-ს საქმეზე: „ორი პირის მკვლელობა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, თუ ერთ-ერთი მათგანი ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ან ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეული იყო დაზარალებულის მიერ ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით“<sup>38</sup>. უფრო მოგვიანებით ეს დებულება განმეორდა სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებაში „განზრახვი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“<sup>39</sup>.

104-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ მოკლულია ორი კაცი მაინც. როდესაც დამნაშავეს განზრახული ჰქონდა ორი ან რამდენიმე პირის მოკვლა, მაგრამ ფაქტიურად მოახერხა მხოლოდ ერთი ადამიანის მოკვლა, ხოლო მეორის მიმართ ადგილი ჰქონდა მცდელობას, სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის ზემოხსენებული დადგენილების თანახმად, მკვლელის მოქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით როგორც დამთავრებული დანაშაული, ე. ი. როგორც ორი პირის დამთავრებული მკვლელობა, რამდენადაც ორი პირის მოკვლის განზრახვა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავეს ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. პლენუმი წინადადებას იძლევა დავაკვალიფიციროთ ასეთი შემთხვევები დანაშაულთა ერთობლიობის წესით, როგორც 104-ე მუხლის შესაბამისი პუნქტით ან 105-ე მუხლით გათვალისწინებული დამთავრებული მკვლელობა და როგორც 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობის მცდელობა<sup>40</sup>.

თუ დამნაშავეს განზრახული ჰქონდა მარტო ერთი ადამიანის მოკვლა, მაგრამ ამ დანაშაულის ჩადენის დროს იგი მოქმედებდა მრავალი ადამიანისათვის საშიში საშუალებით, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით, არამედ იმავე მუხლის მე-6 პუნქტით<sup>41</sup>.

<sup>38</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР по уголов. делам 1959—1971 гг., М., 1973, с. 215.

<sup>39</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 190.

<sup>40</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 190.

<sup>41</sup> «БВС РСФСР», 1966, № 9, с. 7—8.

29. ორსული ქალის მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად ითვლება იმის გამო, რომ გარდა ქალის სიცოცხლისა, დამნაშავე ხელყოფს აგრეთვე ჩანასახის სიცოცხლეს.

ორსული ქალის მკვლელობა მხოლოდ მაშინ არის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი, როდესაც დამნაშავემ დანამდილებით იცის, რომ ქალი ორსულადაა. არ შეიძლება ამ პუნქტით კვალიფიკაცია, თუ დამნაშავეს ეჭვი ჰქონდა, მაგრამ ნამდვილად არ იცოდა, რომ ქალი ორსულია. რსფსრ უმადლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ბ.-ს საქმეზე მიუთითა, რომ რამდენადაც ბ.-ს მხოლოდ ეჭვი ჰქონდა, რომ მისი ცოლი ორსულია, დანამდილებით კი ეს ფაქტი ცოლმაც არ იცოდა, არ შეიძლება ითქვას, თითქოს მან დანამდილებით იცოდა ცოლის ორსულობა, და ამიტომ მისი ქმედობა არ უნდა იქნეს კვალიფიცირებული რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ე“ პუნქტით<sup>42</sup> (საქ. სსრ სსხ. სამართ. კოდექსის 104-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

30. მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით (104-ე მუხლის მე-6 პუნ.) ხშირად ძნელი დასადგენია იმის გამო, რომ საზოგადოდ ყოველგვარი განზრახი მკვლელობა დამნაშავის სისასტიკეს ადასტურებს. ამიტომ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ მასში გამოვლინდეს უკიდურესი, წრეს გადასული სისასტიკე. სსრკ უმადლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებით თანახმად „...კანონი უკავშირებს განსაკუთრებულ სისასტიკეს როგორც დანაშაულის ჩადენის საშუალებას, ისე სხვა გარემოებებსაც; რომლებიც ადასტურებენ, რომ დამნაშავემ განსაკუთრებული სისასტიკე გამოავლინა“<sup>43</sup>. მკვლელობა ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით, უპირველეს ყოვლისა, მაშინ, როდესაც თვით მოქმედება, რომლითაც იგი ხორციელდება, განსაკუთრებით მწვალებლურ ხასიათს ატარებს, როდესაც „სიცოცხლის მოსპობის წინ ან მის პროცესში დამნაშავე განზრახ აწამებს დაზარალებულს ან მძიმედ ტანჯავს მას მრავალი კრილობის მიყენებით ან მწვალებლური საწამლავის გამოყენებით“<sup>44</sup>. საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადე-

<sup>42</sup> იხ. «ВВС РСФСР», 1965, № 11, с. 9—10.

<sup>43</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., т. 2, М., 1978, с. 188.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 189.

ნალი მკვლელობის შემდეგი მაგალითები: ხ.-მ ეკვიანობის ნიადაგზე ჯერ აწამა თავისი ცოლი ნ. ხ. — მოტეხა ხელი, გაუხეთქა თვალის კაკალი, ჩაარტყა სახეში სურა, ხოლო შემდეგ ესროლა ტყვია და მოკლა<sup>45</sup>. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ მკვლელობა დააკვალიფიცირა 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით. ამავე პუნქტით დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ პ. უ.-ს ქმედობა. ამ უკანასკნელმა ეკვიანობის ნიადაგზე შეიტყუა თავისი ცოლი ტუალეტში, გადასხა ბენზინი და ცეცხლი წაუკიდა მას<sup>46</sup>. სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის დადგენილება განსაკუთრებით სასტიკ მკვლელობად თვლის აგრეთვე კაცის მოკვლას მისი ახლო ნათესავების თანდასწრებით, როდესაც დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მათ განსაკუთრებულ ტანჯვას აყენებს<sup>47</sup>. ამიტომ თუ დედას კლავენ მისი ჩვილი ბავშვის თვალწინ, ეს განსაკუთრებით სასტიკ მკვლელობად არ ჩაითვლება; მკვლელობას არ შეუძლია მიაყენოს ჩვილს მორალური ტანჯვა, რადგან მას ამ ქმედობის არსი არ ესმის. მოკლულის ნათესავთა ყოფნა მკვლელობის ადგილას დანაშაულის ჩადენის მომენტში ყოველთვის როდი ნიშნავს იმას, რომ მკვლელობა უნდა იქნეს კვალიფიცირებული როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი. ასეთი კვალიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მკვლელი, რომელმაც იცის, რომ მკვლელობას ესწრებიან დაზარალებულის ახლობლები, განზრახ მათ გასაწამებლად მიმართავს მკვლელობის განსაკუთრებით მწვალებლურ საშუალებას.

მკვლელობად განსაკუთრებული სისასტიკით ითვლება აგრეთვე გვამის შებილწვა, რითაც, რა თქმა უნდა, მკვლელი წრეგდასულ სისასტიკეს ავლენს (ასეთი მოქმედებაა, მაგალითად, გვამის დაჩეხვა, მისთვის თვალების ამოთხრა და სხვ. მისთ.). თუ გვამის მოსპობა ან დაჩეხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით მოხდა, ეს არ ჩაითვლება განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობად<sup>48</sup>.

მ.-მ მოკლა თავისი ცოლი, ხოლო მკვლელობის შემდეგ, დანაშაულის დაფარვის მიზნით, დაანაწევრა მისი გვამი. სასამართლომ მისი ქმედობა დააკვალიფიცირა საქ. სსრ სისხლის სამართლის კო-

<sup>45</sup> საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი. საქმე № 235—74.

<sup>46</sup> საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, საქმე № 114—74.

<sup>47</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР, 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 189.

<sup>48</sup> ი ქ ე ე.

დექსის 104-ე მუხლის I და მე-6 პუნქტებით (მკვლელობა ანგარებით და განსაკუთრებული სისასტიკით). საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე საქმე გაარჩია საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, რომელმაც სწორად არ ცნო მ-ს დანაშაულის კვალიფიკაცია 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით. პრეზიდიუმის 1975 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „დანაშაულის დაფარვის მიზნით მკვლელობის შემდეგ გვამის დანაწევრება, თუ კი დამნაშავემ ეს მოკლულის აბუჩად აგდების მიზნით არ გააკეთა, არ მიუთითებს განსაკუთრებული სისასტიკით დანაშაულის ჩადენაზე“<sup>49</sup>. ამიტომ პრეზიდიუმმა ამორიცხა განაჩენიდან მითითება მე-6 პუნქტზე და დასტოვა კვალიფიკაცია 104-ე მუხლის პირველი პუნქტით.

მოქმედება არა მარტო ობიექტურად უნდა წარმოადგენდეს განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობას, არამედ სუბიექტმა უნდა იცოდეს, რომ იგი განსაკუთრებული სისასტიკით კლავს და უნდოდეს სწორედ ასეთი მკვლელობა ან უნდა უშვებდეს ამას. მაშასადამე, განსაკუთრებული სისასტიკის მიმართ მკვლელს შეიძლება ჰქონდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვა. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ სცნო ს.-სა და ი.-ს მოქმედებაში მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, ვინაიდან, თუმცა მათ ბავშვი ნელა მოქმედი საწამლაკით მოწამლეს, მაგრამ არ ჰქონდათ განზრახვა ბავშვის მწვალებლური საშუალებით მოკვლისა<sup>50</sup>.

სასამართლო პრაქტიკაში არაერთხელ ყოფილა მითითებული, რომ „ჭრილობათა სიმრავლე მკვლელობის ან მისი მცდელობის დროს ყოველთვის როდი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დანაშაულის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენის დამადასტურებელი საბუთი, რამდენადაც, კანონის აზრით, ეს ნიშანი მარტო მკვლელობის საშუალებასთან როდია დაკავშირებული, არამედ სხვა გარემოებებთანაც, რომლებიც ადასტურებენ, რომ დამნაშავეს განზრახვა მიმართული იყო დანაშაულის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენაზე, და მკვლელმა შეგნებულად მიაყენა დაზარალებულს განსაკუთრებული ტანჯვა თუ წვალება“<sup>51</sup>. რსფსრ უმაღლესი სასამართ-

<sup>49</sup> „საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1976, № 1, გვ. 16.

<sup>50</sup> Сб. пост. Презид. и опред. суд. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг., М., 1974, с. 251—252.

<sup>51</sup> Сб. пост. Плен. и опред. кол. ВС СССР по уголовным делам 1959—1971 гг., М., 1973, с. 210.



ლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ანალოგიურ საქმეზე ნათქვამია: „ის გარემოება, რომ დაზარალებული-სათვის მიყენებულმა ჭრილობებმა მისი ხანგრძლივი ტანჯვა გამოიწვია, მხოლოდ მაშინ გამოდგება როგორც განსაკუთრებით მტანჯველი საშუალებით ჩადენილი მკვლელობის დამადასტურებელი საბუთი, თუ დამტკიცებული იქნება, რომ დამნაშავემ განზრახ მიაყენა მსხვერპლს ისეთი ჭრილობები, რომლებსაც, როგორც მან იცოდა, ერთბაშად კი არ უნდა მოეკლათ კაცი, არამედ მხოლოდ ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ“<sup>52</sup>.

როდესაც სასამართლო აკვალიფიცირებს მკვლელობას როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილს, მან განაჩენში უნდა მიუთითოს, თუ რატომ ჩათვალა მკვლელობა განსაკუთრებით სასტიკად<sup>53</sup>. განსაკუთრებული სისასტიკით არის თუ არა მკვლელობა ჩადენილი — იურიდიული საკითხია. იგი უნდა დაადგინოს სასამართლომ და არა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ექსპერტიზის უფლებამოსილებას დადასტუროს, რამდენად მტკიცუნეულია საშუალება, როდის მიაყენეს მკვლელს ჭრილობები — მკვლელობამდე თუ მის შემდეგ და სხვ. მისთ. იმ გარემოებაზე, რომ ექსპერტი არ წყვეტს საკითხს განსაკუთრებული სისასტიკის არსებობის შესახებ, მიუთითებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1975 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება ბ-ს საქმეზე. პრეზიდიუმის დადგენილებაში ნათქვამია: „...განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის ჩადენის კვალიფიკაციის განსაზღვრა იურიდიული კატეგორიაა და ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს... სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს, კანონის თანახმად, უფლება არა აქვს ქმედობას მისცეს იურიდიული კვალიფიკაცია“<sup>54</sup>.

სსრკ უმაღლესი სასამართლო პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებაში „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მითითებულია, რომ მკვლელობა, ჩადენილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეული იყო დაზარალებულის ძალადობით ან მის მიერ

<sup>52</sup> Сб. пост. Презид. и опред. суд. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972, М., 1974, с. 232.

<sup>53</sup> იხ. სსრკ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის 1962 წ. 24 ნოემბრის განჩინება ს.-ს. საქმეზე. «БВС СССР», 1963, № 1, с. 28.

<sup>54</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1976, № 1, გვ. 13.

მკვლელის მიმე შეურაცხყოფით, აგრეთვე მკვლელობა, ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა (მუხ. 104-ე), თუნდაც მკვლელის მოქმედებაში იყოს განსაკუთრებული სისასტიკისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორიცაა მრავალი სხეულგებრივი დაზიანების ბიყენება ან მკვლელობის ჩადენა მსხვერპლის ნათესავთა თანდასწრებით<sup>55</sup>. პლენუმი მხედველობაში იღებს, რომ ძლიერი სულიერი აღელვება და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს წარმოადგენენ და ასეთ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობანი სპეციალურად არიან გამოყოფილი კოდექსის ცალკე მუხლებში (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდექსის 106-ე, 107-ე მუხლები). ამიტომ სწორედ ამ მუხლებით უნდა დაკვალიფიცირდეს ზემოხსენებულ პირობებში ჩადენილი მკვლელობა. ორივე შემთხვევაში, ე. ი. როდესაც სუბიექტი აფექტის მდგომარეობაშია ან როდესაც იგი ცდილობს აიცდინოს სხვისი მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა, მას შემცირებული აქვს საკუთარი მოქმედების კონტროლისა და თავის შეკავების უნარი, აგრეთვე გარემოებათა სწორად შეფასების უნარი.

31. მკვლელობა ჩადენილია მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით (104-ე მუხლის მე-6 პუნქტი), როდესაც ეს საშუალება თავისთავად საყოველთაოდ საშიშია. მაგალითად, კაცის მოსაკლავად დამნაშავემ ცეცხლი წაუკიდა სახლს, სადაც რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა, ან მოუშვა გაზის ონკანი, როდესაც არსებობდა საშიშროება რამდენიმე მძინარე ადამიანის სიკვდილისა, ან აფეთქება მოაწყო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე და ა. შ. როცა კვალიფიკაცია დანაშაულებრივი ქმედობის ამ ნიშნის მიხედვით ხდება, სასამართლომ აუცილებლად მხედველობაში უნდა მიიღოს არა მარტო გამოყენებული იარაღის თვისებები, არამედ ის კონკრეტული ვითარებაც, რომელშიც ჩადენილი იყო მკვლელობა. მაგალითად, თუ დამნაშავემ საფანტით გატენილი თოფი ვინმეს ხალხის შეგროვების ადგილას ესროლა, ეს კვალიფიციური მკვლელობა იქნება. ხოლო თუ მან იგივე თოფი ისეთ ვითარებაში ესროლა გარკვეულ პირს, როდესაც ახლომახლო სხვა არავინ იყო, და

<sup>55</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 189.

ამით სხვა პირთა სიცოცხლისათვის საფრთხე არ შეუქმნია, ეს არ იქნება მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის 1977 წლის 18 თებერვლის დადგენილებაში ნ.-ს საქმეზე მითითებულია, რომ როცა ნ. ესროდა გ.-ს, ქუჩა ცარიელი იყო და საფრთხე სხვას არავის მოელოდა. ამიტომ კოლეგიის აზრით, ნ.-ს მიერ ჩადენილი ქმედობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც მკვლელობა მრავალი ადამიანისათვის საშიში საშუალებით<sup>56</sup>.

მკვლელობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით, როდესაც ჩადენილი საშუალება არა მარტო ობიექტურად არის საშიში რამდენიმე ადამიანისათვის, არამედ დამნაშავეს ამავე დროს სუბიექტურადაც აქვს შეგნებული მის მიერ არჩეული საშუალების ასეთი ხასიათი. ეს დებულება დასაბუთებულია სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 28 თებერვლის დადგენილებაში მ.-ს საქმეზე. „რსფსრ“-ის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „დ“ პუნქტი (საქ. სსრ სისხ. სამართ. კოდექსის 104-ე მუხ. მე-6 პუნქტი — ავტ.) ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მკვლელობისათვის, რომელიც ჩადენილია მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით, ე. ი. ისეთი მოქმედებისათვის, როდესაც დამნაშავეს ქმედობა თუმცა ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობაზეა მიმართული, მაგრამ დამნაშავემ იცის, რომ არსებულ ვითარებაში იგი ქმნის რეალურ საფრთხეს სხვა ადამიანთა სიცოცხლისათვის“<sup>57</sup>.

მკვლელობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ჩადენილი მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით მხოლოდ მაშინ, როდესაც მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხე რეალურია და არა მოჩვენებითი. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წ. 25 სექტემბრის დადგენილებაში ბ.-ს საქმეზე მითითებულია, რომ საფრთხე რამდენიმე ადამიანის სიცოცხლისათვის არ უნდა იყოს მოჩვენებითი, არამედ „სხვა ადამიანთა სიკვდილის შესაძლებლობა აღნიშნულ კონკრეტულ პირობებში ცხადი უნდა იყოს“<sup>58</sup>. „ამავე დროს ამ საქმეზე დამტკიცებუ-

<sup>56</sup> «БВС СССР», 1978, № 1, с. 22. იხ. აგრეთვე «БВС СССР», 1978, № 5, с. 54—55.

<sup>57</sup> «БВС СССР», 1967, № 3, с. 16.

<sup>58</sup> «БВС СССР», 1968, № 4, с. 25.

ლი არ არის, რომ ...ბ-ს მიერ გასროლილი ტყვია დაზარალებულ ე.-ს გარდა, უშუალო საფრთხეს უქმნიდა კიდევ სხვა პირებს<sup>59</sup>.

„რათა განზრახი მკვლელობა კვალიფიცირებულ იქნეს როგორც მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში, საქირაო მკვლელს გარკვეული პირის მოკვლის განზრახვის განხორციელების დროს შეგნებული ჰქონდეს, რომ იგი მკვლელობისათვის ისეთ საშუალებას იყენებს, რომელიც საშიშია არა მარტო ერთი პირის სიცოცხლისათვის“<sup>60</sup>. ამგვარად, დამნაშავეს განზრახვა უნდა მოიცავდეს არა მარტო თვით მკვლელობის ძირითად შემადგენლობას, არამედ აგრეთვე იმასაც, რომ იგი ახორციელებს მკვლელობას რამდენიმე ადამიანისათვის საშიში საშუალებით. თუ დამნაშავეს ადამიანის მკვლელობის დროს შეგნებული არ ჰქონდა, რომ მის მიერ არჩეული მოქმედება საშიშია რამდენიმე ადამიანის სიცოცხლისათვის, 104-ე მუხლის მე-6 პუნქტი არ გამოიყენება, თუნდაც ობიექტურად ასეთი საფრთხე შეიქმნას.

განზრახვა როგორც თვით მკვლელობის ძირითადი შემადგენლობის, ისე იმ გარემოების მიმართ, რომ მკვლელობა ხდება განსაკუთრებით საშიში საშუალებით, შეიძლება პირდაპირი იყოს და ევენტუალურიც. აქ შეიძლება გვექონდეს რამდენიმე კომბინაცია: 1. მკვლელობა ჩადენილია პირდაპირი განზრახვით, მაგრამ დამნაშავეს ევენტუალური განზრახვა აქვს მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართ, ე. ი. შეგნებულად უშვებს, რომ მის მიერ ერთი პირის მოსაკლავად არჩეული საშუალება საფრთხეში აყენებს მრავალი ადამიანის სიცოცხლეს; 2. როგორც მკვლელობის ძირითადი შემადგენლობის, ისე მაკვალიფიცირებელი ნიშნისადმი დამნაშავეს აქვს ევენტუალური განზრახვა. მაგალითად, დამნაშავე სადაზღვევო თანხის მიღების მიზნით გადაწვავს სახლს, თუმცა იცის, რომ ეს ემუქრება იქ მყოფი რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეს; 3. დამნაშავეს შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი განზრახვა როგორც მკვლელობის ძირითადი შემადგენლობის, ისე მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართ. მაგალითად, დამნაშავემ საგანგებოდ შეარჩია კაცის მოსაკლავად საყოველთაოდ საშიში საშუალება.

თუ პირს შეგნებული არ ჰქონდა, რომ მის მიერ არჩეული სა-

<sup>59</sup> «ВВС СССР», 1968, № 4, с. 26.

<sup>60</sup> სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილება „განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, СЗ. пост. Плен. ВС СССР, 1924—1977 гг., ч. 2, 1978, с. 189.

შუალეზა საფრთხეს წარმოდგენს სხვა ადამიანთა სიცოცხლისათვის, მაგრამ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ ამ საშუალებას გამოყენებას შედეგად შეიძლება მოყვეს სხვა ადამიანის სიკვდილიც, ასეთ შემთხვევაში გვექნება ორი დანაშაულის ერთობლიობა: განზრახი მკვლელობისა და გაუფრთხილებლობითი მკვლელობისა.

თუ რამდენიმე ადამიანისათვის საშიში საშუალებით ჩადენილ მკვლელობას ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, თანაც ამ ადამიანთა სიკვდილი მოცული იყო დამნაშავეს პირდაპირი ან ევენტუალური განზრახვით, ასეთი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 104-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებით.

ადამიანის მოსაკლავად რამდენიმე ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალების გამოყენების დროს დამნაშავე, როგორც წესი, ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შეიძლება მოყვეს დანაშაულის ადგილზე მყოფი პირების სიკვდილი ან სხეულებრივი დაზიანება. ამიტომ, თუ ფაქტიურად დამნაშავემ სხვა პირებს სხეულებრივი დაზიანება მიაყენა, ასეთ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობის წესით 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით და შესაბამისი მუხლით სხეულის განზრახი დაზიანების შესახებ<sup>61</sup>.

32. 104-ე მუხლის მე-7 პუნქტში გათვალისწინებულია განზრახი მკვლელობა, ჩადენილი სამი სახის დამამძიმებელი გარემოების არსებობისას: 1. მკვლელობა სხვა დანაშაულის დასაფარავად; 2. მკვლელობა სხვა დანაშაულის გასაადვილებლად; 3. მკვლელობა გაუპატიურებასთან დაკავშირებით.

რამდენადაც პირველი ორი სახის მკვლელობის აუცილებელ ელემენტს განსაზღვრული მიზანი წარმოდგენს (სხვა დანაშაულის დაფარვის ან სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზანი), ამდენად ასეთი მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ასეთი მიზანი დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვლება იმისდა მიუხედავად, თუ რა სიმძიმის იყო ის დანაშაული, რომელსაც მკვლელი ფარავდა ან რომლის გასაადვილებლად მან კაცი მოკლა, აგრეთვე იმისდა მიუხედავად, თვითონ ჩაიდინა ეს დანაშაული, თუ სხვა ვინმემ. განსაკუთრებით ხშირად ამ სახის მკვლელობა გვხვდება ყაჩაღობის დროს ქონების გატაცების მიზნით ან იმ მიზნით, რომ ცოცხალი არ დარჩეს დაზარალებული ან მოწმე,

<sup>61</sup> იხ. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილება, Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, 1978, с. 189.

რომელმაც შემდგომ მკვლელი შეიძლება ამხილოს ჩადენილ დანაშაულში.

104-ე მუხლის მე-7 პუნქტით ქმედობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი არ არის მკვლელმა ნამდვილად მიაღწიოს მიზანს, ე. ი. ნამდვილად დაფაროს სხვა დანაშაული ან გაიაღვილოს სხვა დანაშაულის ჩადენა.

33. როდესაც დამნაშავემ მოკლა ადამიანი სხვა დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად ან უკვე ჩადენილი დანაშაულის დასაფარავად, იგი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობის წესით (104-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობისათვის და იმ დანაშაულისათვის, რომლის დასაფარავად ან გასაადვილებლად მან მკვლელობა ჩაიდინა). თუ დამნაშავემ ბოლომდე ვერ მიიყვანა ის დანაშაული, რომლის გასაადვილებლადაც მკვლელობა იყო ჩადენილი, იგი, მკვლელობასთან ერთად, პასუხს აგებს ამ დანაშაულის მცდელობის ან მომზადებისათვის (მე-17 მუხლის პეშვეობით).

34. მკვლელობა გაუპატიურებასთან დაკავშირებით ჩვეულებრივად გვხვდება გაუპატიურების ფაქტის დამალვის მიზნით. ზოგჯერ კი მკვლელობა წარმოადგენს სამაგიეროს გადახდას გაუპატიურების დროს წინააღმდეგობის გაწევისათვის. გამორიცხული არ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი მიზნად არ ისახავს დაზარალებულის მკვლელობას, მაგრამ ითვალისწინებს, რომ მის მიერ გამოყენებული ფიზიკური ძალადობის შედეგად ქალი შეიძლება მოკვდეს და შეგნებულად უშვებს ამას. მაგალითად, იმისათვის, რომ დაზარალებულმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიოს, დამნაშავე თავში ჩაართყამს ჯოხს, თანაც ითვალისწინებს, რომ ქალი ამ დარტყმით შეიძლება მოკვდეს, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის სიკვდილს. მაშასადამე, გაუპატიურებასთან დაკავშირებული მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით.

სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებაში „განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მითითებულია, რომ განზრახი მკვლელობა, დაკავშირებული გაუპატიურებასთან, ორი დანაშაულის შემადგენლობას გვაძლევს და ამიტომ ყოველთვის კვალიფიკირებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით (საქ.

სსრ სისხლის სამართ. კოდექსის 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით და 117-ე მუხლის მე-3 ნაწ.)<sup>62</sup>.

35. შერისძიების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა არ არის მითითებული 104-ე მუხლში როგორც მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში. აქედან კანონი იცნობს მხოლოდ ერთ გამონაკლისს, სახელდობრ, 104-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად ითვლება მკვლელობა სისხლის აღების ნიადაგზე. სისხლის აღება წარმოადგენს გვაროვნული წყობილების გადმონაშთს, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ კუთხეში. სისხლის აღების მოტივით მკვლელობის საშიშროებას ისიც აძლიერებს, რომ მან თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს საპასუხო შესაგებელი და ა. შ. ამიტომ ჩვენი კანონმდებლობა ასეთი სახის მკვლელობას მეტად საშიშად თვლის.

სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც მკვლელი იმ პირთა წრეს ეკუთვნის, სადაც სისხლის აღების ჩვეულება ჯერ კიდევ შემორჩენილია და როდესაც მკვლელობის მოტივი სწორედ საგვარეულო სისხლის აღება იყო. 104-ე მუხლის ეს პუნქტი არ შეიძლება განვრცობით იქნეს განმარტებული.

36. დაბოლოს, მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება მისი ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ან იმ პირის მიერ, ვისაც წინათაც ჰქონდა ჩადენილი განზრახი მკვლელობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი პირების მიერ წინათ ჩადენილია 106-ე და 107-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობა.

მკვლელობის ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ იმის დამადასტურებელია, რომ ეს პირი მეტად დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს: მიუხედავად წინასწარი მსჯავრდებისა ორი ან მეტი დანაშაულისათვის, მასში მტკიცედ არის ფესვგადგმული დანაშაულებრივი ჩვევები, იგი ჯიუტად ეწინააღმდეგება მართლწესრიგს, მასზე ზეგავლენას ვერ ახდენს ვერც მსჯავრი და ვერც განაჩენის აღსრულება. ასევე დიდ საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის ის, ვინც განმეორებით ჩაიდინა ისეთი მძიმე დანაშაული, როგორცია მკვლელობა, ვინც ასე უსუ-

<sup>62</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., т. 2, М., 1978, с. 189—190.

გულოდ ეკიდება ყველაზე ძვირფას საზოგადოებრივ სიკეთეს — ადამიანის სიცოცხლეს.

კანონი არ თვლის ზემოაღნიშნული პირების მიერ ჩადენილ მკვლელობას მკვლევლობად დამამძიმებელ გარემოებებში, როდესაც ეს დანაშაული ჩადენილია უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების დროს, რომელიც გამოწვეული იყო დამნაშავეს ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულის უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით (იხ. 105-ე მუხ. კომენტ.), ან თუ იგი ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების დროს (იხ. 107-ე მუხ. კომენტ.). ასეთი მკვლელობა არსებითად თვით დაზარალებულს არამართლზომიერი მოქმედებით არის პროვოცირებული და არ არის შედეგი იმ განსაკუთრებული დანაშაულებრივი ჩვევებისა, იმ მძიმე ამორალური განწყობისა, რის გამოც გამოაცხადა კანონმდებელმა 104-ე მუხლის მე-9 პუნქტში მოხსენიებული მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად.

104-ე მუხლის მე-9 პუნქტით შეიძლება პასუხი აგონ მხოლოდ ისეთმა პირებმა, რომლებიც კანონით დადგენილი წესისამებრ ცნობილი იყვნენ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად განზრახი მკვლელობის ჩადენამდე.

37. მკვლელობა ჩაითვლება განმეორებით ჩადენილად, თუ პირს წინათ ჩადენილი ჰქონდა განზრახი მკვლელობა, გათვალისწინებული 104-ე ან 105-ე მუხლით, ე. ი. განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ან დამამძიმებელ-გარემოებათა გარეშე, აგრეთვე თუ პირმა წინათ ჩაიდინა მკვლელობა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით (67-ე და 68-ე მუხლები), დივერსიასთან დაკავშირებით (69-ე მუხლი), ბანდიტური თავდასხმის დროს (78-ე მუხლი), შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობის დეზორგანიზაციასთან დაკავშირებით (78<sup>1</sup> მუხლი), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა (209<sup>1</sup> მუხლი), სამხედრო უფროსის მკვლელობა (258-ე მუხლის „გ“ პუნქტი). მკვლელობა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც განმეორებით ჩადენილი, თუ ადრინდელი მკვლელობა ჩადენილი იყო ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (106-ე მუხლი) ან აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით (107-ე მუხლი).

104-ე მუხლის მე-9 პუნქტით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა პირი მსჯავრდებული ადრე ჩადენილი მკვლელობისათვის.



104-ე მუხლის მე-9 პუნქტით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს აგრეთვე იმას, დამთავრებული იყო თუ არა ორივე განზრახი მკვლელობა ან ამსრულებელი იყო თუ თანამონაწილე ამ დანაშაულთა ჩამდენი<sup>63</sup>.

ქმედობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით, „თუ წინათ ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის დამნაშავეს ნასამართლობა მოხსნილი აქვს ამნისტიის ან პატიების ძალით ან გაქარწყლებული თუ მოხსნილი აქვს კანონით დადგენილი წესისამებრ, აგრეთვე თუ მკვლელობის ჩადენის მომენტში წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გასულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადები, მითითებული სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 41-ე მუხლში“<sup>64</sup>.

თუ პირი წინათ ჩადენილი მკვლელობისათვის ან მისი მკვლელობისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ეს პირველი დანაშაული დამოუკიდებლად უნდა დაკვალიფიცირდეს, ხოლო უკანასკნელი დანაშაული, იმისდა მიხედვით, დამთავრებულია იგი თუ დაუმთავრებელი, დაკვალიფიცირდება ან 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით ან მე-17 მუხლით და 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით.

38. განზრახი მკვლელობა, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების დროს, უნდა დაკვალიფიცირდეს ერთობლიობის წესით სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე ან 105-ე მუხლით და 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

39. განზრახი მკვლელობა პირმა შეიძლება ჩაიდინოს როგორც ბანდის მონაწილემ ბანდიტური თავდასხმის დროს. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის ზემოთ მითითებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ ასეთ შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს ბანდიტიზმისათვის (საქ. სსრ სისხ. სამართ. კოდექსის 78-ე მუხ.) და დამატებითი კვალიფიკაცია შესაბამისი მუხლით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის შესახებ (104-ე მუხ.) საჭირო არ არის<sup>65</sup>.

40. თუ განსაკუთრებით საშიშმა რეციდივისტმა ან მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა, რომელიც ტერორით აშინებდა

<sup>63</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 190.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 190—191.

<sup>65</sup> იქვე, გვ. 192.

გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს ან ადმინისტრაციაზე თავდასხმას აწყობდა, ამ დროს განზრახ კაცი მოკლა, მისი ქმედობა უნდა კვალიფიციარებულ იქნეს არა მარტო იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში ღებორგანიზაციის შეტანისათვის (მუხ. 78<sup>1</sup>), არამედ აგრეთვე შესაბამისი მუხლით განზრახი მკვლელობის შესახებ, რადგანაც 78<sup>1</sup> მუხლის დისპოზიცია არ მოიცავს დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობას<sup>66</sup>.

41. რადგანაც მკვლელობის მოტივის, მიზნისა და საშუალებების ზუსტად დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ქმედობის სწორად კვალიფიკაციისათვის, სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის ზემოხსენებული დადგენილება რეკომენდაციას აძლევს სასამართლოებს ყველა შემთხვევაში ზედმიწევნით შეისწავლონ ეს გარემოებანი და თანაც განაჩენში მიუთითონ კონკრეტულ მტკიცებულებებზე, რითაც სასამართლო ასაბუთებს თავის დასკვნას. თუ რაიმე ეჭვი არსებობს მკვლელის ფსიქიურ სრულფასოვნებაში, აუცილებელია ჩატარდეს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, თუნდაც ამისთვის საჭირო იყოს მისი მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული დაკვირვებისათვის<sup>67</sup>.

მკვლელობა საზოგადოდ და, მით უმეტეს, მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია. ამიტომ მისთვის გათვალისწინებული სასჯელიც შესაბამისად მეტად მკაცრია: თავისუფლებიან აღკვეთა რვიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ ანდა სიკვდილით დასჯა. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება განზრახ მკვლელობაში მხილებული პირებისათვის სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის მტკიცედ დაცვას. კერძოდ, საჭიროა შესწავლილ იქნეს დამნაშავეს დამახასიათებელი თვისებები, მისი დამოკიდებულება შრომისადმი, ყოფაქცევა ოჯახში, დამოკიდებულება მოკლულთან, მისი საქციელი დანაშაულის ჩადენის მომენტში და ა. შ.<sup>68</sup>.

სასამართლოებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ სიკვდილით დასჯის გამოყენების დროს. სსრკ უმაღლესი

<sup>66</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 192.

<sup>67</sup> იქვე, გვ. 186.

<sup>68</sup> იქვე.

სასამართლოს პლენუმის ზემოხსენებული 1975 წ. 27 ივნისის დადგენილება ერთხელ კიდევ მოაგონებს მოსამართლეებს, რომ „დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის კანონი დასაშვებად თვლის სიკვდილით დასჯის გამოყენებას, მაგრამ მას იგი სავალდებულოდ არ მიაჩნია“<sup>69</sup>. დადგენილებაში ნათქვამია „სიკვდილით დასჯის გამოყენების საკითხი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რაც მითითებულია სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 32-ე მუხლში (საქ. სსრ სისხლ. სამართ. კოდექსის 37-ე მუხლში — ავტ.). თუ გამოყენებულია სიკვდილით დასჯა, განაჩენში აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული ამ სასჯელის დანიშვნის მოტივები“<sup>70</sup>.

### მუხლი 105. განზრახ მკვლელობა

**განზრახ მკვლელობა, რომელიც ჩადენილია 104-ე მუხლში აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, —**

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.**

1. 105-ე მუხლით მკვლელობა უნდა დაკვალიფიციროდეს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩადენილი არ არის 104-ე მუხლით გათვალისწინებულ დამამძიმებელ და 106—107-ე მუხლებში აღნიშნულ შემამსუბუქებელ გარემოებებში.

ამ მუხლით კვალიფიცირდება, მაგალითად, მკვლელობა, ჩადენილი შურისძიების ან ექვიანობის ნიადაგზე, მკვლელობა ჩხუბის დროს, ახლადშობილის მკვლელობა და ა. შ.

2. პრაქტიკაში შედარებით ხშირად გვხვდება მკვლელობა ექვიანობის ნიადაგზე. თუ ამ მკვლელობის ჩადენის დროს პიროვნებამ განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა ან თუ არსებობს 104-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა რამ გარემოება, მაშინ მკვლელობა დაკვალიფიცირდება 104-ე მუხლის შესაბამისი პუნქტით როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი. მაგრამ თუ ექვიანობით მკვლელობა ჩადენილი იყო ძლიერი და უეცარი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც აღეძრა დამნაშავეს იმის გამო, რომ თვით მსხვერპლმა მიაყენა მას მძიმე შეურაცხყოფა ან იხმარა მის მიმართ უკანონო ძალადობა, იგი უნდა დაკვალიფი-

<sup>69</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 192.

<sup>70</sup> იქვე.

ცირდეს 106-ე მუხლით. დანარჩენი შემთხვევები კი კვალიფიცირდება 105-ე მუხლით.

ტ.-ს უყვარდა ბ. და მათ ერთმანეთისათვის სიტყვა ჰქონდათ მიცენული. როდესაც ტ. დაბრუნდა თავის სოფელში ქალაქიდან, სადაც ინსტიტუტში სწავლობდა, ბ.-მ მას შეატყობინა, რომ მშობლები ნებას არ აძლევენ მას გაყვეს ცოლად და ისიც იძულებულია დაემორჩილოს და მათ მიერ არჩეულ მამაკაცს გაყვეს. ამის შემდეგ ტ. დათვრა, ღამის 12 საათზე მივიდა ბ.-სთან, რომელსაც ეძინა და დაწით მოკლა იგი. მკვლელობის მოტივად ტ.-მ ის მოიყვანა, რომ მას არ უნდოდა ბ. სხვისთვის მიეთხოვებინათ. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დააკვალიფიცირა ტ.-ს დანაშაული როგორც მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე<sup>71</sup>.

3. ზოგჯერ მკვლელობა ექვიანობის ნიადაგზე დაკავშირებულია შურისძიებასთანაც. ს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მეგობრობდა პ.-ს ქალთან და სთხოვა მას ცოლად გაჰყოლოდა, როდესაც ქალმა უარით უპასუხა, ს.-მ მას თავში რამდენიმეჯერ ჩაარტყა ქანჩის გასაღები. ქალი რომ დაეცა, ს.-ს იგი მკვდარი ეგონა და ხრამში გადააგდო. ქალი სიკვდილს გადაარჩა მისთვის დროული საექიმო დახმარების აღმოჩენის შედეგად. ამ შემთხვევაში ს.-მ ჩაიდინა ქალის მკვლელობის მცდელობა. მისი დანაშაულის მოტივი იყო ექვიანობა, დაკავშირებული შურისძიებასთან. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სწორად დააკვალიფიცირა ს.-ს მოქმედება როგორც მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელი გარემოებების გარეშე<sup>72</sup>.

4. მკვლეობა შუ რ ი ს ძ ი ე ბ ი თ დაკვალიფიცირდება 105-ე მუხლით, თუ იგი ჩადენილი არ არის სისხლის აღების გვაროვნული ზნე-ჩვეულების ნიადაგზე ან თუ იგი არ წარმოადგენს სამაგიეროს მიზლვას თანამდებობის პირისათვის ან მოქალაქისათვის მათ მიერ სამაზურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

5. მკვლელობის გავრცელებულ სახეს წარმოადგენს აგრეთვე მკვლელობა ჩხუბის დროს. მკვლელობა ჩ ხ უ ბ ი ძ დროს შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს 104-ე მუხლით მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ჩადენილია ხულიგნური მოტივით ან როდესაც არსებობს რაიმე

<sup>71</sup> Сб. пост. Плен. и опред. кол. ВС СССР по уголовным делам 1959—1971 гг., М., 1973, с. 222—223.

<sup>72</sup> «ВС РСФСР», 1973, № 6, с. 12.

სხვა დამამძიმებელი გარემოება (მაგალითად, ორი ან მეტი პირის მკვლელობა, განმეორებით მკვლელობა, განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობა და ა. შ.). დანარჩენ შემთხვევებში იგი დაკვალიფიცირდება 105-ე მუხლით. არ არის, რა თქმა უნდა, გამორიცხული შესაძლებლობა 106-ე და 107-ე მუხლებით კვალიფიკაციისა, თუ საქმის ვითარების მიხედვით, არსებობს ამ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნები.

ა. და კ. ერთ დაწესებულებაში მუშაობდნენ. ერთ დღეს, როცა ცოტა ნასვამები იყვნენ, ა.-მ დანით მოკლა კ. საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ ა. დამნაშავედ ცნო ხულიგნური მოტივით მკვლელობაში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია არ დაეთანხმა ამ განჩინებას. თავის 1961 წლის 31 აგვისტოს განჩინებაში კოლეგიამ მიუთითა, რომ „მკვლელობა მოხდა ჩხუბის დროს, რომლის წამომწყებაც თვით დაზარალებული იყო. მასასადამე, სასამართლოს დასკვნა: რომ მკვლელობა ჩადენილია ხულიგნური ქვენა გრძნობით, დასაბუთებული არ არის“<sup>73</sup>. და შეძღვე: „...ა.-ს მოქმედებაში არ არის დამამძიმებელი ნიშნები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით. ამ შემთხვევაში ა.-ს ქმედობა კვალიფიცირებული უნდა ყოფილიყო როგორც განზრახი მკვლელობა, ჩადენილი საქ. სსრ სისხლ. სამართ. კოდექსის 104-ე მუხლში ჩამოთვლილ დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე“<sup>74</sup>.

6. 105-ე მუხლით დაკვალიფიცირდება აგრეთვე ახალშობილის მკვლელობა, ჩადენილი დედის მიერ მშობიარობის პროცესში ან უშუალოდ მის შემდეგ. ასეთი მკვლელობისათვის სასჯელის განსაზღვრისას საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ძლიერი, ფიზიკური ტყვილების (ზოგჯერ აგრეთვე მორალური ტანჯვის) და მშობიარის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების თავისებურებებთან დაკავშირებით დედის ფსიქიკა იმდენად დიდ ტრავმას განიცდის, რომ ეს გარკვეულად ამცირებს მის უნარს შეიგნოს თავისი მოქმედების თვისებები და მნიშვნელობა და უხელმძღვანელოს მას. ასეთი მკვლელობა შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილად ითვლება

<sup>73</sup> Сб. пост. Плен. ВС и опред. кол. ВС СССР 1959 — 1971 гг., М., 1973, с. 222.

<sup>74</sup> იქვე.

მხოლოდ მაშინ, როცა მკვლელი დედაა. თავისთავად ცხადია, ახალ-შობილის მკვლელობა შემამსუბუქებელ გარემოებად არ ჩაეთვლება სხვა პირს (მაგალითად, ბავშვის მამას), რომელიც ასეთ მდგომარეობაში არ იმყოფება.

**მუხლი 106. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში**

განზრახ მკვლელობა, ჩადენილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების დროს, რომელიც გამოწვეულია დამნაშავეს ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გამსწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

1. 106-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობისათვის აუცილებელია, რომ დანაშაული ჩადენილი იყოს უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების ანუ ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

ფიზიოლოგიური აფექტი გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე. იგი ამუხრუჭებს შეგნებულ ინტელექტუალურ პროცესებს და გარკვეული მიმართულებით წარმართავს ქცევას. ასეთმა ფსიქიკურმა მდგომარეობამ შეიძლება დანაშაულებრივი განზრახვისაყენ უბიძგოს ადამიანს.

ფიზიოლოგიური აფექტი, პათოლოგიური აფექტისაგან განსხვავებით, არ გამორიცხავს სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; იგი მხოლოდ ასუსტებს, მაგრამ არ სპობს თვითკონტროლისა და გარემოში სწორად გარკვევის უნარს. ამიტომ ფიზიოლოგიური აფექტი არ გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, არამედ მხოლოდ ამსუბუქებს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

2. აფექტი ხანმოკლე გრძნობაა. იგი ერთბაშად ჩნდება და შეღარებით მალე ქრება. ფიზიოლოგიური აფექტის დროს დანაშაულებრივი განზრახვა უეცრად წარმოიშვება და დაუყოვნებლივ მოიყვანება სისრულეში. იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობის განზრახვა უეცრად არ წარმოშობილა, ან თუმცა უეცრად წარმოიშვა, მაგრამ დაუყოვნებლივ არ ყოფილა მოყვანილი სისრულეში, მკვლელობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ 106-ე მუხლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1976 წლის 23 დეკემბრის დადგენილებაში მიუთითა, რომ „საქართველოს სსრ სსკ-ის 106-ე მუხლით ქმედობა დაკვალიფიცირდება იმ შემთხვევაში, როცა მკვლელობა უშუალო საპასუხო რეაქცია იყო დაზარალებულის არამართლზომიერ მოქმედებაზე“<sup>75</sup>.

3. აფექტის მდგომარეობა გამოწვეული უნდა იყოს უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით, რასაც დაზარალებული მიაყენებს დამნაშავეს ან მის ახლობლებს.

უკანონო ძალადობა არის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, მიმართული პიროვნების წინააღმდეგობის ან მისი თავისუფლების დათრგუნვისაკენ. ძალადობა შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური იძულების ფორმით. იგი ყოველთვის მოქმედებას გულისხმობს. არ შეიძლება ძალადობად ჩაითვალოს დანაშაულებრივი უმოქმედობა ან ისეთი მოქმედება, როგორცაა დანაშაულის ჩადენა დაზარალებულის თანხმობით ან მის მიერ შეუცნობლად (ქურდობა, თაღლითობა და სხვ.).

4. შეურაცხყოფა არის პიროვნების პატივისა და ღირსების დამცირება, გამოხატული უწესო ფორმით.

106-ე მუხლით ქმედობის დაკვალიფიცირება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა აფექტი გამოწვეულია დაზარალებულის მიერ დამნაშავეს მძიმე შეურაცხყოფით. თუ როგორი შეურაცხყოფა შეიძლება ჩაითვალოს მძიმედ, ეს ფაქტის საკითხია. სასამართლომ იგი უნდა გადაჭრას შეურაცხყოფილი პიროვნების ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობისა და გარემო ვითარების დეტალური შესწავლის შედეგად.

5. ძალადობისა და შეურაცხყოფის ხასიათის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს „არა მხოლოდ ის კანონსაწინააღმდეგო ძალადობა, რომელმაც უშუალოდ გამოიწვია აფექტი, არამედ ვითარებაც, რომელიც წინ უძღოდა მკვლელობას“<sup>76</sup> სისტემატურმა ძალადობამ და მძიმე შეურაცხყოფამ შეიძლება ადამიანში გამოიწვიოს ე. წ. „აფექტის აკუმულაცია“. ასეთ ვითარებაში ისეთი ინტენსივობის ძალადობა ან შეურაცხყოფა,

<sup>75</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1976, № 4, გვ. 13.

<sup>76</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1975, № 1, გვ. 22.

რომელიც სხვა შემთხვევაში ვერ გაამართლებდა აფექტს, შეიძლება მკვლელობის 106-ე მუხლით დაკვალიფიციირების საფუძველი გახდეს. საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის ერთ-ერთი დადგენილების მიხედვით, „თუ უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება გამოიწვია დაზარალებულის ისეთმა მოქმედებამ, რომელიც იზოლირებულად აღებული ვერ გაამართლებდა აფექტს, მაგრამ მას წინ უძლოდა მძიმე შეურაცხყოფა ან უკანონო ძალადობა, მკვლელობა უნდა დაკვალიფიციირდეს საქ. სსრ სსკ-ის 106 მუხლით, როგორც უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი“<sup>77</sup>.

6. თუ აფექტი, რომელსაც მკვლელობა მოჰყვა, გამოწვეული იყო დაზარალებულის ისეთი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით, რომელიც ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფის ნიშნებს არ შეიცავს (მაგ. პირმა აფექტის მდგომარეობაში მოკლა ვატმანი, რომლის დაუდევრობის გამო ტრამეის თვლების ქვეშ ჩავარდა და დაიღუპა ამ პირის შვილი), მაშინ აფექტში ჩადენილი მკვლელობა დაკვალიფიციირდება არა 106-ე, არამედ 105-ე მუხლით. ის გარემოება, რომ დანაშაული აფექტში იყო ჩადენილი და აფექტი გამოწვეული იყო დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით, მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის. დროს როგორც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება<sup>78</sup>.

7. ძალადობა ან შეურაცხყოფა, რამაც დამნაშავეის ძლიერი სულიერი აღელვება გამოიწვია, მიმართული უნდა იყოს დამნაშავეის ან მისი ახლობლების წინააღმდეგ. ახლობლებად უპირველეს ყოვლისა უნდა ჩაითვალოს ახლო ნათესავები. საქ. სსრ სსხ-ლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, „ახლობელი ნათესავები“ ნიშნავს მშობლებს, შვილად ამყვანთ, შვილებს, შვილად აყვანილებს, ძმებსა და დებს, პაპას, ბებიას, შვილიშვილებს, აგრეთვე ქმარს და ცოლს. გარდა ახლო ნათესავებისა, ამ მუხლში ახლობლებად იგულისხმებიან აგრეთვე საცოლე და საქმრო, მეგობრები, ბიძაშვილები და დეიდა-შვილები, სიძე, რძალი და სხვა. საერთოდ იმის დადგენა, არის თუ არა პირი დამნაშავეის ახლობელი, ფაქტის საკითხია და იგი სასამარ-

<sup>77</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბოლუტენი“. 1972, № 2, გვ. 20.

<sup>78</sup> იხ. საქართველოს სსრ სსხ-ლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ. 1976, გვ. 219—220.



თლომ უნდა გადაჭრას ადამიანთა კონკრეტული ურთიერთობის გულ:ასმითი შესწავლის საფუძველზე.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ აფექტში მკვლელობა ისეთმა ძალადობამ ან ისეთმა შეურაცხყოფამ გამოიწვია, რომელიც მმართველი იყო არა დამნაშავეის ან მისი ახლობლების, არამედ გარეშე პირის წინააღმდეგ, მაშინ დანაშაული დაკვალიფიცირდება არა 106-ე, არამედ 105-ე მუხლით. ის ფაქტი, რომ აფექტში ჩადენილი დანაშაული გამოწვეული იყო არამართლზომიერი მოქმედებით, თანახმად 38-ე მუხლის მე-5 პუნქტისა, მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

8. იმისათვის, რომ აფექტში ჩადენილი მკვლელობა დაკვალიფიცირდეს 106-ე მუხლით, აუცილებელი არ არის. დაზარალებულის მოქმედება დანაშაულებრივი იყოს. საკმარისია, თუ ეს მოქმედება ობიექტურად წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ძალადობას ან მძიმე შეურაცხყოფას. ამიტომ 106-ე მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინაც, როდესაც დამნაშავეს ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეულია, მაგალითად, ძალადობით, რომელიც სულით ავაღმყოფმა ჩაიდინა.

9. აფექტში ჩადენილი მკვლელობა თავისი გარეგნული ნიშნებით წააგავს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილ მკვლელობას. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს არამართლზომიერ ხელყოფასთან და ხელმყოფისათვის ზიანის მიყენებასთან. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით მკვლელობის ჩადენის შემთხვევაშიც დამნაშავე ზშირად ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში იმყოფება. მაგრამ ძლიერი სულიერი აღელვება არ არის ამ დანაშაულის აუცილებელი ნიშანი, მაშინ, როდესაც 106-ე მუხლისათვის ის ძირითად და უცილობელ ნიშანს წარმოადგენს. შემდეგ, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით მკვლელობის დროს დამნაშავეს ამოძრავებს თავდაცვის მიზანი, იგი იგერიებს თავდასხმას, მაგრამ ამეტებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს<sup>79</sup>. აფექტში ჩადენილი მკვლელობისათვის კი, როგორც წესი, არ არის დამახასიათებელი თავდაცვის მიზანი. აქ მართლზომიერი ხელყოფა უკვე დამთავრებულია და სუბიექტმა ეს იცის, მაგრამ დაზარალებულის მხრივ უკანონო

<sup>79</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ., 1976, გვ. 97—107.

ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფის გამო იგი აფექტის მდგომარეობაშია და განზრახ კლავს ხელმყოფს. მკვლელობის მოტივი ამ შემთხვევაში ძირითადად შურისძიების მოტივია, რომელიც აფექტის მდგომარეობამ განსაზღვრა.

10. დაზარალებულის უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით გამოწვეული უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი გაუფრთხილებელი მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს 108-ე მუხლით<sup>80</sup>. ის გარემოება, რომ დამნაშავე იმყოფებოდა აფექტის მდგომარეობაში, რომელიც დაზარალებულის არამართლზომიერმა მოქმედებამ გამოიწვია, სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვლება.

11. განზრახი მკვლელობა, ჩადენილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეულია დამნაშავეს ან მისი ახლობლის მიმართ დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით, 106-ე მუხლით დაკვალიფიცირდება მაშინაც, როდესაც მკვლელობას თან ახლავს 104-ე მუხლით გათვალისწინებული ისეთი გარემოებანი, როგორიცაა მკვლელობა: ა. ორი ან რამდენიმე პირისა; ბ. წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა; გ. ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით ან ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის; დ. ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, ვისაც აღრე ჩადენილი ჰქონდა განზრახი მკვლელობა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის № 4 დადგენილებაში ნათქვამია: „...მკვლელობა, ჩადენილი უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოიწვია დაზარალებულის ძალადობამ ან მძიმე შეურაცხყოფამ, ანდა ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების ვადამეტებით, თუნდაც იგი შეიცავდეს განსაკუთრებული სისასტიკის ისეთ ნიშნებს, როგორიცაა მრავალი სხეულებრივი დაზიანების მიყენება ან კიდევ მკვლელობა დაზარალებულის ახლობელ პირთა თანდასწრებით, უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სსკ-ის 104-ე ან 105-ე მუხლით“<sup>81</sup>.

<sup>80</sup> იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 4 დეკემბრის № 11 დადგენილება „სასამართლოთა მიერ აუცილებელი მოგერიების თაობაზე არსებული კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ (Сб. пост. Плен. ВС СССР, 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 75).

<sup>81</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 189.

12. თუ დამნაშავემ აფექტის მდგომარეობაში მოკლა ორი ადამიანი, რომელთაგან ერთ-ერთს მის წინააღმდეგ კანონსაწინააღმდეგო მოქმედება არ ჩაუდენია, ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც 106-ე, ისე 104-ე ან 105-ე მუხლებით.

13. აფექტური განზრახვა — პირდაპირი განზრახვაა. აფექტის შემთხვევაში ევენტუალური განზრახვის არსებობა გამორიცხულია. ამის მიუხედავად აფექტური დანაშაულისათვის მოსამზადებელი სტადია არაა დამახასიათებელი. აფექტური დანაშაულებრივი განზრახვა უეცრად აღმოცენდება და იმწამსვე ხორციელდება. თუკი დადგინდება, რომ დამნაშავე აღრევე ემზადებოდა დანაშაულის ჩასადენად, ეს უკვე იმას მოწმობს, რომ მისატყვებელ აფექტურ მდგომარეობას ადგილი არ ჰქონდა. აფექტის მდგომარეობაში დასაშვებია დანაშაულის მცდელობა. იგი დაკვალიფიცირდება მე-17, 106-ე მუხლებით.

14. აფექტის დროს არ არის გამორიცხული თანამონაწილეობა დახმარების ან წაქეზების ფორმით. დამხმარის ან წამქეზებლის მოქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება დაკვალიფიცირდეს 106-ე მუხლით, თუ ისინი ამსრულებელთან ერთად იმყოფებოდნენ მისატყვებელ აფექტურ მდგომარეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მოქმედება დაკვალიფიცირდება მე-19, 104-ე ან მე-19, 105-ე მუხლებით.

**მ უ ხ ლ ი 107. მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს**

**მკვლელობა, ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს, —**

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

1. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა არ არის საზოგადოებრივად საშიში და, ბუნებრივია, არც მართლსაწინააღმდეგო<sup>82</sup>. რაც შეეხება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილ მკვლელობას, იგი ითვლება საზოგადოებრივად საშიშ, მართლსაწინააღმდეგო და სისხლის სამართლის კანონით დასჯად მოქმედებად.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენი-

---

<sup>82</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ., 1976, გვ. 97—101.

ლი მკვლელობა საზოგადოებრივად საშიშია იმდენად, რამდენადაც ამ პირობებში თავდასხმელის მოკვლა თავდასხმის მოსაგერიებლად აუცილებელი არ იყო. ამავე დროს მკვლელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს, რაც განპირობებულია როგორც მოქმედების ობიექტური ხასიათით, ისე თვით დაზარალებულის საზოგადოებრივად საშიში თავდასხმით. თუმცა მკვლელი აჭარბებს იმ ფარგლებს, რაც აუცილებელი იყო მოგერიებისათვის, მაგრამ იგი ნაწილობრივ მაინც ახორციელებს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოგერიების მიზანს.

2. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილ მკვლელობასთან საქმე გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვა აშკარად არ შეესაბამება ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებას<sup>83</sup>.

3. თუ ხელყოფის ობიექტის ღირებულება უმნიშვნელოა, თავდასხმელის მოკვლა არ განიხილება აუცილებელი მოგერიების მართლზომიერ აქტად, თუნდაც სხვა საშუალებით ამ ობიექტის დაცვა შეუძლებელი ყოფილიყო (მაგალითად, მეზალემ მოკლა ბავშვი, რომელიც მისი ბაღიდან ხილს იპარავდა). ასეთი უმნიშვნელო ობიექტის ხელყოფა არ წარმოშობს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას, ამიტომ, შესაბამისად, ასეთი მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს 104-ე ან 105-ე მუხლით.

4. თუ პირმა პირდაპირი განზრახვით გადაამეტა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, ე. ი. მას შეგნებული ჰქონდა, რომ თავდასხმის მოსაგერიებლად ადამიანის მოკვლა საჭირო არ არის და მაინც სურდა ასეთი შედეგის დადგომა, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს არა 107-ე მუხლით, არამედ 104-ე ან 105-ე მუხლით. სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე აუცილებელი მოგერიების ფარგლების ევენტუალური განზრახვით გადამეტების დროს. ასეთ შემთხვევაში მომგერიებელი თუმცა უშვებს თავდასხმელისათვის იმაზე მეტი ზიანის მიყენების შესაძლებლობას, რაც საჭიროა თავდასხმის მოსაგერიებლად, მაგრამ არ სურს ასეთი ზიანის მიყენება. მისი მიზანი დაცვაა, ხოლო ადამიანის სიცოცხლის მოსპობას იგი უშვებს როგორც თანამდევ შედეგს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მისი მიზნის განხორციელებას. ამიტომ ევენტუალური განზრახვით აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების დროს თავ-

<sup>83</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, იქვე, გვ. 102—104.

დამსხმელის მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს 107-ე მუხლით<sup>84</sup>.

5. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება შესაძლებელია აგრეთვე გაუფრთხილებლობის დროსაც. იმ შემთხვევაში, როდესაც მომგერიებელი არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მის მიერ თავდამსხმელის მოკვლა სცილდება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, არ არსებობს ბრალი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებაში და მომგერიებელი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. იმ საკითხის გადაჭრისას, ჰქონდა თუ არა მომგერიებელს ბრალი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებაში, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს „ის გარემოება, რომ სულიერი აღელვების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეული იყო თავდასხმით, მისი მოულოდნელობით, მომგერიებელს ყოველთვის არ ძალუძს ზუსტად შეათვასოს საშიშროების ხასიათი და შეარჩიოს დაცვის თანაზომიერი საშუალებანი, რამაც, ბუნებრივია, შეიძლება ზოგჯერ გამოიწვიოს უფრო მძიმე შედეგიც, რისთვისაც მან პასუხი არ შეიძლება აგოს“<sup>85</sup>.

6. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების სუბიექტური მხრიდან გამომდინარე, არ შეიძლება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების მომზადება ან მცდელობა.

7. მკვლელობა დაკვალიფიცირდება როგორც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილი და არა როგორც კვალიფიცირებული მკვლელობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოგერიების გადაცილებით მოკლულია ორი ან რამდენიმე პირი, ან ორსული ქალი, აგრეთვე მაშინაც, როდესაც ეს დანაშაული ჩადენილია ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის, ან ჩადენილია განსაკუთრებით საშიშრო რეციდივისტის თუ ისეთი პირის მიერ, რომელსაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახი მკვლელობა<sup>86</sup>.

8. დანაშაულის საქ. სსრ-ის 107-ე მუხლით დაკვალიფიცირე-

<sup>84</sup> იხ. საქართველოს სსრ სსსხლ-ის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ., 1976, გვ. 97—107.

<sup>85</sup> იხ. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 4 დეკემბრის დადგენილება „სასამართლოების მიერ აუცილებელი მოგერიების თაობაზე არსებული კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ.. (Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг. т. 2, М., 1978, с. 73).

<sup>86</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., т. 2, М., 1978, с. 191—192.

ბის შეზღვევაში სასამართლო ვალდებულია მიუთითოს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება<sup>87</sup>.

9. მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებად მხოლოდ იმის გამო, რომ:

ა) არ იყო დაცული თავდასხმისა და მოგერიების იარაღის პროპორციულობა;

ბ) მომგერიებელს შეეძლო თავი ეხსნა გაქცევით, მაგრამ მან ეს არ გააკეთა;

გ) თავდამსხმელისაგან მოსალოდნელი ზიანი ნაკლები იყო, ვიდრე თავდამსხმელისათვის ფაქტობრივად მიყენებული ზიანი.

10. მომგერიებლის მიერ თავდამსხმელისათვის იარაღის წართმევა და ამ იარაღით მისი დაზიანება არ არის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება, თუკი საშიშროება არ გამქრალა განიარაღების შემდეგაც.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თავის ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა: „კოლეგია თვლის, რომ თავდამსხმელის ხელიდან მომგერიებლის ხელში იარაღის გადასვლის ფაქტი და მომგერიებლის მიერ ამის შემდეგ თავდამსხმელისათვის გარკვეული ვნების მიყენება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მომგერიებელი დანაშაულს ჩადის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას ადგილი ექნება მაშინ, თუ თავდასხმა დამთავრებულია და ამის გამო აღარ არის საჭირო მომგერიებლის მიერ თავდამსხმელისათვის ამა თუ იმ ხასიათის ვნების მიყენება“<sup>88</sup>.

მ უ ხ ლ ი 108. გაუფრთხილებლობით მკვლელობა

გაუფრთხილებლობით მკვლელობა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

1. გაუფრთხილებლობითი მკვლელობის, ისევე როგორც განზრახი მკვლელობის დროს დამნაშავე სიცოცხლეს უსპობს სხვა ადამიანს. ეს ორი დანაშაული ერთმანეთისაგან ქმედობის სუბიექტური მხარის მიხედვით განსხვავდება.

<sup>87</sup> იხ. საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 28 იანვრის დადგენილება. „საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1975, № 2, გვ. 21.

<sup>88</sup> საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971, № 2, გვ. 23.

გაუფრთხილებლობითი მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც დანაშაულებრივი თვითიმედოვნებით, ისე დანაშაულებრივი დაუდევრობით. კანონი არ ითვალისწინებს დიფერენცირებულ პასუხისმგებლობას სხვადასხვა სახის გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის. მაგრამ თანაბარ პირობებში პირი, რომელიც დანაშაულებრივი თვითიმედოვნებით მოქმედებდა და მასასადამე, შეგნებულად არღვევდა განსაზღვრულ გამაფრთხილებელ ზომებს, უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებს, ვიდრე ის, ვინც მკვლელობა დანაშაულებრივი დაუდევრობით ჩაიდინა. ეს გარემოება სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის კონკრეტული ღონისძიების დანიშვნისას.

2. დანაშაულებრივი თვითიმედოვნების დროს სუბიექტი ითვალისწინებს თავისი მოქმედების შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობის აბსტრაქტულ საფრთხეს, ესმის, რომ ამგვარ მოქმედებას საზოგადოდ შეიძლება მოჰყვეს ამგვარი შედეგი, მაგრამ ამავე დროს დარწმუნებულია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი შედეგი არ დადგება, რადგან დაუფიქრებლად იმედს ამყარებს განსაზღვრულ გარემოებებზე, რომლებმაც მისი ვარაუდით უნდა ააცილინონ მანვე შედეგი. თანაც სუბიექტის ეს უსაფუძვლო რწმენა შეიძლება ემყარებოდეს ან საკუთარი ძალებისა და ნიჭის (კოდნის. გამოცდილების ან სხვა ფიზიკური თუ ფსიქიკური თვისებების) ვადაჭარბებულად შეფასებას ან ბუნების ძალების და მესამე პირების (მათ შორის თვით დაზარალებულის) მოქმედების არასწორად შეფასებას. ამით განსხვავდება დანაშაულებრივი თვითიმედოვნება ევენტუალური განზრახვისაგან, რომლის დროსაც დამნაშავე არათუ დარწმუნებული არ არის, რომ შედეგი არ განხორციელდება, არამედ პირიქით, უშვებს სხვა პირის სიკვდილის შესაძლებლობას<sup>69</sup>.

3. დანაშაულებრივი თვითიმედოვნებით მოქმედს შეიძლება ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ფაქტორის იმედი ჰქონდეს, მაგალითად, ერთი მხრივ, საკუთარი თავის დახელოვნებისა და გამოცდილებისა, ხოლო, მეორე მხრივ, თვით დაზარალებულის განსაზღვრული მოქმედებისა. მოვიტანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. ჩ. სტუმრად იყო ფ.-სთან. ცოტა რომ შეზარხოშდნენ, იმ ხანებში ნანახი კინოსურათის ზეგავლენით, გადაწყვიტეს ნერვე-

<sup>69</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. ობ., 1976, გვ. 64—68.

ბის გამოსაცდელი ექსპერიმენტი ჩაეტარებინათ. ამ მიზნით ჩ. დაჯ-  
და სკამზე კედელთან და ფ.-მ მოწინააღმდეგე მხრიდან ორჯერ გაი-  
სროლა მისი მიმართულებით მცირეკალიბრიანი შაშხანა. შემდეგ  
მათ აღვილები შეიცვალეს და გაისროლა უკვე ჩ.-მ. ტყვია თვალში  
მოხვდა ფ.-ს, რომელიც იქვე მკვდარი დეცა. ჩ. არ უშვებდა ფ.-ს  
სიკვდილის შესაძლებლობას, მას არ ჰქონდა ასეთი შედეგის გან-  
ხორციელების ევენტუალური განზრახვა, რადგან იმედი ჰქონდა  
თავისი უნარისა და გამოცდილებისა (კარგი მსროლელი იყო); ამა-  
ვე დროს საუბრით დარწმუნებული იყო, რომ ფ. ისეთსავე თავდაქე-  
რილობას გამოიჩენდა, როგორც მან (ჩ.-მ) გამოიჩინა, და ტყვიის  
გასროლის მომენტში არ გაინძრეოდა. მაგრამ ჩ.-ს ვარაუდი უსა-  
ფუძვლო აღმოჩნდა. ჩ.-მ უხეშად დაარღვია გამაფრთხილებელი  
ზომები, იგი მოქმედებდა თვითიმედოვნებით და რსფსრ უმაღლესი  
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ  
საესებრით მართებულად დააკვალიფიცირა ჩ.-ს მოქმედება როგორც  
მკვლელობა გაუფრთხილებლობით<sup>90</sup>.

4. მეორე სახის გაუფრთხილებლობითი ბრალის — დანაშაუ-  
ლებრივი დაუდევრობის დროს კაცის სიკვდილის შესაძლებლობის  
საკითხი დანაშაულის წინაშე სულაც არ წარმოიშვება, თუმცა მას  
უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა,  
რომ მის მოქმედებას ან უმოქმედობას შეიძლება მოყვეს ასეთი  
შედეგი.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა დანაშაუდ ცნო  
ვ. 15 წლის ბიჭის-მ-ის დანაშაულებრივი დაუდევრობით მოკვლაში.  
ეზოში ყოფნისას ვ-მ შეამჩნია, რომ მოზარდმა ჯგუფი ფარდულის  
სახურავზე შესულიყო და თუთას კრეფდა. იმის შიშით, რომ ბიჭებს  
სახურავის შიფერი არ ჩაემტვრიათ, ვ-მ ბიჭებს ჯოხი ესროლა.  
ჯოხი მოხვდა მ-ს, რომელიც ჩამოხტა სახურავიდან, რამდენიმე  
მეტრი გაირბინა, დაეცა და მძიმე სხეულებრივი დაზიანების შედე-  
გად გარდაიცვალა. პლენუმმა მხედველობაში მიიღო, რომ როცა  
ვ-მ ბიჭებს ჯოხი ესროლა, იგი არ ითვალისწინებდა ვისიმე სიკვდი-  
ლის ან მძიმე სხეულებრივი დაზიანების შესაძლებლობას. მან  
ჯოხი გაისროლა ბიჭების მხოლოდ სახურავიდან ჩამოგდების მიზ-  
ნით, არავისათვის საგანგებოდ არ დაუმისწინებია, რადგან არავის მი-  
მართ აუგად განწყობილი არ იყო. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის

<sup>90</sup> Сб. пост. Презид. и опред. суд. кол. по уголов. делам ВС РСФСР  
1964—1972 гг., М., 1974, с. 276—277.



გამო პლენუმმა ისეთი დასკვნა გამოიტანა, რომ ვ.-ს არ ჰქონდა ბიჭის მოკვლის ან მისი სხეულებრივი დაზიანების არც პირდაპირი და არც ევენტუალური განზრახვა. ამავე დროს ვ.-მ დანაშაულებრივი დაუდევრობა გამოიჩინა: როდესაც ბავშვებს ჯოხს ესროდა, მას შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა მძიმე შედეგების განხორციელების შესაძლებლობა<sup>91</sup>.

5. გაუფრთხილებლობითი მკვლელობა გულისხმობს წერილობითი თუ დაუწერელი გამაფრთხილებელი წესების დარღვევას, თანაც ამ დარღვევასა და სხვა პირის სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს. ამასთან ერთად საჭიროა, სუბიექტს შესაძლებლობა ჰქონდეს გაითვალისწინოს მიზეზობრივი კავშირის განვითარების ძირითადი რგოლები მაინც. თუ არ არსებობს გათვალისწინების ასეთი შესაძლებლობა, იგი პასუხს არ აგებს დამდგარი შედეგისათვის. მაგალითად, სამშენებლო სამუშაოს წარმოების დროს, გამაფრთხილებელი წესის დარღვევის გამო, მუშას ჩამოუვარდა აგური, რომელიც თავზე დაეცა და სხეულის მსუბუქი დაზიანება მიაყენა გამვლელს, მაგრამ აგურზე ტეტანუსის ჩხირი აღმოჩნდა, რის შედეგადაც დაზარალებული ტეტანუსის ავადმყოფობით დაავადდა და გარდაიცვალა. თუმცა მუშის მოქმედებას შედეგად მოჰყვა დაზარალებულის სხეულის მსუბუქი დაზიანება, რის გამოც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა, მაგრამ მუშა პასუხს არ აგებს გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის, ვინაიდან არ შეეძლო და არც უნდა გაეთვალისწინებინა მიზეზობრივი კავშირის ასეთი უჩვეულო განვითარება. იგი პასუხს არ აგებს არც სხეულის გაუფრთხილებლობითი მსუბუქი დაზიანებისათვის, ვინაიდან ასეთი დანაშაული გათვალისწინებული არ არის სისხლის სამართლის კოდექსით (იხ. 115-ე მუხ. კომენტ.).

6. დებულება, რომ სუბიექტი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს კაცის სიკვდილისათვის, თუ იგი ვალდებული იყო და შეეძლო გათვალისწინებინა მის მოქმედებასა და კაცის სიკვდილს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირის განვითარების ძირითადი რგოლები მტკიცედ დამკვიდრებულია სასამართლოს პრაქტიკაში.

ბ.-მ დაინახა, რომ გ. მის ცხენზე შეჭდა და დააჭანებს, მაშინ ბ.-მ დაიჭირა გ. და სილა გააწნა; შეშინებული გ. გაიქცა, ყორზე რომ ხტებოდა, ფეხი მოიტეხა და შემდეგ საავადმყოფოში სისხლის მოწამვლისაგან გარდაიცვალა. სსრკ უმაღლესმა სასამართლომ მიუ-

<sup>91</sup> «ББК СССР», 1972, № 4, с. 24—25.

თითა: „რამდენადაც ბ.-ს არ შეეძლო გაეთვალისწინებია, რომ გ. ცხენიდან ჩამოხტომის შემდეგ გაიქცეოდა და ფეხს მოიტეხდა, შემდეგ მას სისხლი მოეწამლებოდა და ამისგან გარდაიცვლებოდა, ამდენად ბ.-ს მოქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა“<sup>92</sup>.

7. პირი, რომელსაც ბრალი მიუძღვის გაუფრთხილებლობით მკვლელობაში, როგორც წესი, არ შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან იმის გამო, რომ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას ხელი შეუწყო თვით დაზარალებულის გაუფრთხილებელმა მოქმედებამ. ეს გარემოება შეიძლება სათვალავში იქნეს მიღებული მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას. გაუფრთხილებლობითი ბრალი გამორიცხულია მხოლოდ მაშინ, როცა დაზარალებულის გაუფრთხილებლობას ისეთი ხასიათი ჰქონდა, რომ პირის მოქმედებასა და დაზარალებულის სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირის განვითარების გათვალისწინება და ასეთი შედეგის აცდენა შეუძლებელი იყო. ჩვეულებრივად ამას ადგილი აქვს დაზარალებულის უხეში გაუფრთხილებლობის დროს. კ.-მ მანქანით ცემენტი მიიტანა და ავტომანქანა უკანა სვლით დასაცლელად მიჰყავდა. ამ დროს ავტომანქანას ზურგიდან, შოფრისთვის შეუმჩნევლად, მიუახლოვდა ა., რომელმაც ხელი მოჰკიდა მანქანას და ცდილობდა მანქანის გასაჩერებლად მის უკანა ბორბალში ქვა ჩაეგდო, მაგრამ ფეხი დაუცდა და უკანა ბორბლებს შუა ჩავარდა, რის შედეგადაც მანქანამ ჩაითრია და გასრისა. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1963 წ. 21 ოქტომბრის დადგენილებაში მიუთითა, რომ უბედური შემთხვევა თვით დაზარალებულის უხეში გაუფრთხილებლობით მოხდა, რომ კ.-ს არავითარი ბრალი არ მიუძღვის<sup>93</sup>.

8. სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც დაზარალებულის სიკვდილი გამოწვეულია იმით, რომ თვითონ მან უხეშად დაარღვია სპეციალური გამაფრთხილებელი წესები.

ქ. ბათუმის რაის ქარხნის დირექტორი მ. ქარხნის ტერიტორიაზე გამოსულიყო, თოფი გამოეტანა და ფრინველებს ესროდა. ქარხნის შოფერი ნ. მივიდა დირექტორთან და სთხოვა თოფი, რომ თვითონაც გაესროლა. როცა დირექტორმა უარი უთხრა, ნ.-მ მოუ-

<sup>92</sup> СПВС СССР, 1949, вып. II, с. 42.

<sup>93</sup> «БВС СССР», 1964, № 2, с. 36—37.

ლოდნელად ხელი სტაცა თოფის ლულას და თავისკენ მისწია. ვაისმა თოფის ხმა და ნ. ადგილზევე გარდაიცვალა. ქ. ბათუმის სახალხო სასამართლომ დამნაშავედ ცნო მ. გაუფრთხილებლობით მკვლელობაში. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი არ დაეთანხმნენ მ.-ს ქმედობის ასეთ კვალიფიკაციას. მათი აზრით, შოფერ ნ.-ს სიკვდილი მისივე გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული, რადგან თვით მან უხეშად დაარღვია ცეცხლსასროლი იარაღის ხმარების წესები. ამიტომ ღირექტორი მ. უნდა გაათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან<sup>94</sup>.

9. მესამე პირთა გაუფრთხილებლობითი მოქმედება არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან პირველ მოქმედს, თუ იგი ვალდებული იყო და შეეძლო გაეთვალისწინებინა დაზარალებულის სიკვდილის შესაძლებლობა. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სსხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დამნაშავედ სცნო სტუდენტი ქალის პ.-ს გაუფრთხილებლობით მკვლელობაში არა მარტო მ., რომელმაც უშუალოდ გამოიწვია მისი სიკვდილი, არამედ აგრეთვე ჩ.-ც, რომელმაც „მოაწყო სროლა და ამით ობიექტურად შექმნა ჭიხურის ახლოს გამვლელთა დაღუპვის რეალური შესაძლებლობა. იგი არ ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ასეთ შედეგს, მაგრამ... უნდა გაეთვალისწინებინა მისი დადგომა“<sup>95</sup>.

გაუფრთხილებლად მოქმედის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, როდესაც სხვა ადამიანი იყენებს მის დაუდევრობას დანაშაულის ჩასადენად. მაგალითად, ექთანი დაუდევრად ინახავს ძლიერად მოქმედ შხამს. ამით ისარგებლებს ბოროტმოქმედი, იპარავს ამ შხამს და წამლავს თავის მტერს. ზოგჯერ მეორე პირის გაუფრთხილებლობამაც შეიძლება გამორიცხოს პირველი გაუფრთხილებლად მოქმედის პასუხისმგებლობა, თუ არსებულ პირობებში ამ უკანასკნელს არ შეეძლო ან არ უნდა გაეთვალისწინებინა მეორე პირის მოქმედება და მასთან დაკავშირებული მავნე შედეგი.

10. სასამართლო პრაქტიკა ნტიციედ ადგია იმ შეხედულებას, რომ თანამონაწილეობა გაუფრთხილებლობით მკვლელობაში შეუძლებელია. კ.-მ და შ.-მ, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ბუჩქებს უკან დათვი მოძრაობს, ერთნაირი 16-კალიბრიანი თოფები გაისროლეს ბუჩქების მიმართულებით. ერთ-ერთი მათგანის ტყვია მო-

<sup>94</sup> «БВС СССР», 1976, № 1, с. 23—25.

<sup>95</sup> СПВС СССР, 1948, вып. II, с. 15.

ხედა ადამიანს, რომელიც მათ დათვი ეგონათ. გამოძიებამ ვერ დაადგინა, თუ რომლის ტყვიამ მოკლა კაცი. სახალხო სასამართლომ შესაძლებლად სცნო მათი მოქმედების კვალიფიკაცია როგორც გაუფრთხილებლობით მკვლელობაში თანამონაწილეობისა (თანამსრულებლობის სახით). რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ და სსრკ უმაღლესმა სასამართლომ ასეთი კვალიფიკაცია არამართებულად ჩათვალეს, ვინაიდან „თანამონაწილეობა შეიძლება მხოლოდ განზრახ და არა გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში“<sup>96</sup>.

11. ექიმის არასაპატიო შეცდომა, რომელმაც პაციენტის სიკვდილი გამოიწვია, უნდა დაკვალიფიციირდეს როგორც გაუფრთხილებლობითი მკვლელობა. ექიმის პასუხისმგებლობას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არღვევს თავის პროფესიულ მოვალეობას და არ ითვალისწინებს, რომ მის მიერ გამოყენებული სამკურნალო საშუალების შედეგად პაციენტი შეიძლება მოკვდეს, თუმცა ვალდებული იყო და შეეძლო გაეთვალისწინებინა ასეთი შედეგი. მაგალითად, სასწრაფო დახმარების ექიმი ავადმყოფის გაუსინჯავად და დიაგნოზის დაუდგენლად, შეუშხაპუნებს მას ვენაში ძლიერად მოქმედ საშუალებას, რაც ასეთ ვითარებაში დაუშვებელი იყო; ან ქირურგი ოპერაციის გაკეთების დროს ტოვებს ავადმყოფის ორგანიზმში გარეშე სხეულს, ან ანესტეზიოლოგი უხეშ შეცდომას უშვებს ანესტეზიის საშუალების დოზირების დროს და ა. შ. სულ სხვაა, როცა რთული კლინიკური სურათის გამო ექიმი ვერ ახერხებს სწორი დიაგნოზის დასმას და ამიტომ ვერ ხმარობს ეფექტურ ზომებს ავადმყოფის განსაკურნავად, რის შედეგადაც ავადმყოფი იღუპება. ექიმი ასეთ შემთხვევაში პასუხს არ აგებს, თუ დადგინდება, რომ მის ადგილას იმავე კვალიფიკაციისა და გამოცდილების ექიმსაც, რომელიც სათანადო წინდახედულებითა და კეთილსინდისიერებით იმოქმედებდა, ადვილად შეიძლებოდა ანალოგიური შეცდომა მოსვლოდა.

ექიმის პასუხისმგებლობა მაშინაც გამორიცხულია, როდესაც სიკვდილი შედეგი იყო ამგვარ ვითარებაში დასაშვები და მართლზომიერი რისკისა, რომელიც არ ეწინააღმდეგება თანამედროვე მედიცინის მოთხოვნებს და ანალოგიურ გარემოებებში ნებადართულია.

რამდენადაც ექიმის მიერ დაშვებული შეცდომა დაკავშირებულია მისი პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან, იმდე-

<sup>96</sup> «BBC СССР», 1966, № 5, с. 24—26.

ნად ექიმის ქმედობა, თუ მას ავადმყოფის სიკვდილი მოჰყვა, უნდა დაკვალიფიცირდეს 108-ე მუხლით და არა 188-ე მუხლით, როგორც თანამდებობრივი დაუდევრობა, თუნდაც იგი თანამდებობის პირი იყოს (დისპანსერის გამგე, განყოფილების უფროსი და ა. შ.) და საზოგადოდ ადმინისტრაციულ-მმართველობით ფუნქციებს ახორციელებდეს.

12. გაუფრთხილებლობითი მკვლელობა შეიძლება დაკავშირებულ იქნეს ისეთ მოქმედებასთან, რომელიც თვით არის სისხლის სამართლის წესით დასჯადი (მაგალითად, 110-ე მუხლის მეორე ნაწილი, 123-ე მუხლის მესამე ნაწილი, 241-ე მუხლის მესამე ნაწილი და ა. შ.). თუმცა ასეთ შემთხვევებში მკვლელობა გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული, მაგრამ იგი კვალიფიცირებულ უნდა იქნეს არა 108-ე მუხლით, არამედ სათანადო მუხლით, რომელიც მოიცავს როგორც ძირითად, ჩვეულებრივად განზრახ ქმედობას, ისე დამატებითი შედეგის სახით — გაუფრთხილებლობით გამოწვეულ სიკვდილსაც. ასეთ შემთხვევებში, როცა გვაქვს შერეული ბრალი და ორი შედეგი — ძირითადი და მისგან წარმოშობილი მეორე შედეგი, პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის. ამიტომ ასეთი სახის ქმედობები ზუსტად უნდა გავმიჯნოთ გაუფრთხილებლობითი მკვლელობისაგან.

13. სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ქმედობას აკვალიფიცირებენ როგორც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას, რომელსაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი, სინამდვილეში კი იგი წარმოადგენს გაუფრთხილებლობით მკვლელობას. ასეთი კვალიფიკაციის მაგალითია კ.-ს საქმე. სააგარაკო ადგილიდან დაბრუნების დროს დამნაშავემ ავტობუსში დებოში მოაწყო: სილა გააწნა და ტანისამოსი შემოახია მგზავრ რ.-ს, ხელი ჰკრა კონდუქტორს, დაარტყა თავის ცოლს, თანაც საშინლად იგინებოდა. კ. განაგრძობდა ჩხუბს მას შემდეგაც, როდესაც ავტობუსიდან ჩამოსვეს, იგი აეკვიატა ც.-ს, ცდილობდა დაერტყა მისთვის. ცოლს უნდოდა მისი დაშოშმინება, მაგრამ მან ხელი ჰკრა, ქალი დაეცა და თავი ასფალტს დაარტყა, რისი შედეგიც იყო თავის ქალის ფუძის გადატეხა და ტვინის მძიმე შერყევა. რამდენიმე საათის შემდეგ ქალი გარდაიცვალა. ლატვიის სსრ უმაღლესმა სასამართლომ დააკვალიფიცირა კ.-ს მოქმედება როგორც ბოროტი ხულიგნობა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც შედეგად მოჰყვა დაზა-

რალეზულის საკვდილი. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი არ დაეთანხმა ამ კვალიფიკაციას იმ ნაწილში, რომელიც ქალის სიკვდილს შეეხება. თავის 1964 წ. 21 დეკემბრის დადგენილებაში პლენუმმა მიუთითა, რომ კ.-ს არ ჰქონდა განზრახვა (არც პირდაპირი და არც ევენტუალური) სხეულის მძიმე დაზიანება მიეყენებინა ცოლისათვის; საქმეში არ არის იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ, როდესაც ცოლს ხელი ჰკრა, კ. ითვალისწინებდა მისი მძიმე სხეულებრივი დაზიანების შესაძლებლობას. კ.-მ ეს იმიტომ გააკეთა, რომ ცოლს ხელი არ შეეშალა ც.-სთან ჩხუბში, და ამ მოქმედებას თავისთავად არ გამოუწვევია რაიმე სერიოზული დაზიანება; ქალი მოკვდა იმის გამო, რომ დაეცა და თავი ასფალტს დაარტყა. ამავე დროს, ცოლს რომ ასე ძლიერად ჰკრა ხელი, კ. მოვალე იყო და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა რაიმე მძიმე შედეგის, მათ შორის, სიკვდილის შესაძლებლობაც, ამიტომ მის მოქმედებაში არის გაუფრთხილებლობითი მკვლელობის ნიშნები<sup>97</sup>.

14. სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ უძნელდებათ ისეთი შემთხვევების კვალიფიკაცია, როდესაც ერთი პირი დაარტყამს მეორეს, ეს უკანასკნელი კი კვდება (ჩვეულებრივად ეს ჩხუბში ხდება ხოლმე). ასეთ შემთხვევაში სიკვდილი შეიძლება უშუალოდ იყოს გამოწვეული დარტყმით (მაგალითად, თავში მუშტის ძლიერად ჩარტყმით) ან დაცემით, რის შედეგადაც დაზარალებულმა თავი დაჰკრა მაგარ საგანს (ასფალტს, ქვიან გრუნტს, ცემენტირებული კიბის საფეხურს და ა. შ.). ზემოხსენებულ შემთხვევებში მიზეზობრივი კავშირის არსებობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ზოგჯერ ძნელია ბრალის ან მისი ფორმის დადგენა, ამაზე კი დამოკიდებულია ქმედობის სწორი კვალიფიკაცია. ქმედობა უნდა განვიხილოთ როგორც გაუფრთხილებლობითი მკვლელობა, თუ დამნაშავეს, რომელმაც კაცს განზრახ დაარტყა, შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა დაზარალებულის სიკვდილის შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში პირმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ განზრახ ცემისათვის. იმ საკითხის გადასაწყვეტად, აქვს თუ არა პირს გაუფრთხილებლობითი ბრალი ადამიანის სიკვდილის მიმართ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის კონკრეტული გარემოებანი: დარტყმის სიძლიერე, დამნაშავესა და დაზარალებულის ფიზიკუ-

<sup>97</sup> Сб. пост. Плен. и опред. кол. ВС СССР по уголов. делам, 1959—1971 гг., М., 1973, с. 228—229.

რი მონაცემები, დანაშაულის ჩადენის ვითარება და ა. შ. (მაგალი-  
თად, დარტყმა საციგურაო ადგილას ან მთვრალი კაცისათვის და  
სხვ. მისთ.).

ქმედობა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც გა-  
უფრთხილებლობითი მკვლელობა, თუ დარტყმის დროს დამნაშა-  
ვე ითვალისწინებს სიკვდილის ან სხეულის მძიმე დაზიანების შესა-  
ძლებლობას, მაგალითად, თუ სპორტსმენი — ბოქსიორი შეგნებუ-  
ლად მიმართავს ისეთ ილეთს, რომელმაც შეიძლება მძიმე შედეგი  
გამოიწვიოს, ან დამნაშავე განზრახ ძლიერად დანას ჩასცემს და-  
ზარალებულს სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ორგანოში. ასეთ  
შემთხვევებში, საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, გვე-  
ქნება ან განზრახი მკვლელობა ან სხეულის განზრახი მძიმე დაზი-  
ანება, რამაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია.

სასამართლო პრაქტიკაში ხელის თავში ჩარტყმა, რასაც დაზა-  
რალებულის სიკვდილი მოჰყვა, ზოგჯერ კვალიფიცირდება რო-  
გორც სხეულის განზრახი მძიმე დაზიანება, გართულებული დაზა-  
რალებულის სიკვდილით (მუხ. 110-ე, ნაწ. 2) მაშინ, როდესაც  
სინამდვილეში გვაქვს გაუფრთხილებლობითი მკვლელობა. განა-  
წყენების ნიადაგზე ფ.-სა და ჭ.-ს ერთმანეთთან შელაპარაკება მო-  
უვიდათ და ფ.-მ ჭ.-ს თავში მუშტი ჩაარტყა. ჭ. ნასვამი იყო, იგი  
დაეცა მოასფალტებულ ქუჩაზე და თავის ქალის მოტეხილობის  
შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა. როგორც ფ.-მ თვითონაც აღი-  
არა, მან იცოდა, რომ ჭ. ნასვამი იყო, მაგრამ მისი მოკვლის ან მძი-  
მე სხეულებრივი დაზიანების განზრახვა არ ჰქონია. სახალხო სასა-  
მართლომ ფ. დამნაშავედ სცნო 110-ე მუხ. მე-2 ნაწილით<sup>98</sup>. ასეთი  
კვალიფიკაცია არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. საქმის მასალებ-  
ით დადასტურებული არ არის, რომ ფ. ითვალისწინებდა დარ-  
ტყმის შედეგად ჭ.-ს ასფალტზე დაცემის, თავის დარტყმისა და მძი-  
მედ დაშავების შესაძლებლობას, თუმცა მოვალე იყო და შეეძლო  
გაეთვალისწინებინა თავისი მოქმედების მძიმე შედეგი, რადგან  
იცოდა, რომ ჭ. ნასვამი იყო. ამიტომ მისი ქმედობა შეიცავს გაუ-  
ფრთხილებლობითი მკვლელობის ნიშნებს.

15. გაუფრთხილებლობა ესაზღვრება „შემთხვევას“, რომელიც

<sup>98</sup> ამ შემთხვევისა და საერთოდ ამ კატეგორიის შემთხვევათა სწორი ანალიზი  
იხ. „საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენში“, 1974, № 1, გვ. 16—17; იხ.  
აგრეთვე Сб. пост. Пл. и опред. кол. ВС СССР 1959—1971, М., 1973, с. 40—  
42; «ВС РСФСР», 1965, № 5, с. 7—8.

არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. „შემთხვევის“ დროს პირი მოვალე არ არის ან მას არ შეუძლია გაითვალისწინოს, რომ თავისი მოქმედებით ჰკლავს დაზარალებულს. მაგალითი: ტრაქტორისტი მიდიოდა ყანაში თივის მოსატანად. ტრაქტორს უკან მიჰყვებოდა ცხენის მარხილით უ., მარხილში მასთან ერთად იახუნენ მისი მცირეწლოვანი შვილი, აგრეთვე ლ. და ბ. ტრაქტორს რომ გადაუსწრეს, მარხილი წამოდო ჯირკს და გადაბრუნდა, მარხილიდან გადმოვარდნილი ლ., ტრაქტორმა გადასრისა. დადგინდა, რომ გზიდან მეტრნახევრის სიახლოვეს თოვლის ქვეშ შეუმჩნეველად ეგდო ჯირკი. უ. არ ითვალისწინებდა, რომ მარხილი წამოდებოდა ჯირკს, იქიდან ლ. გადმოვარდებოდა და ტრაქტორის ქვეშ მოჰყვებოდა. მას არც შეეძლო გაეთვალისწინებინა ეს გარემოება. აქ ადგილი აქვს უბედურ შემთხვევას, რომლისთვისაც უ. პასუხს არ აგებს<sup>99</sup>.

16. გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის გათვალისწინებული სასჯელის ფარგლებში (თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშო ერთ წლამდე) მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, თუ დამნაშავეს გაუფრთხილებლობას ორი ან რამდენიმე პირის სიკვდილი მოჰყვა.

თუ სიკვდილი გამოწვეული იყო პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული გამაფრთხილებელი წესების დარღვევით, მიზანშეწონილი იქნება სასამართლომ დამატებით სასჯელად დაუნიშნოს დამნაშავეს გარკვეული საქმიანობის ან გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა.

მ უ ხ ლ ი 109. თვითმკვლელობამდე მიყვანა

დამნაშავისაგან მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის თვითმკვლელობამდე ანდა თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

1. მკვლელობისაგან განსხვავებით, თვითმკვლელობამდე მიყვანის დროს დაზარალებული თვით უსპობს თავის თავს სიცოცხლეს ან ცდილობს თავი მოიკლას, მაგრამ ამას იმიტომ აკეთებს, რომ დამნაშავე მას ცუდად ეპყრობა.

<sup>99</sup> იხ. Сб. пост. Презид. и опред. судеб. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972, М., 1974, с. 10—11.



2. თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი პირი, რომელსაც აქვს უნარი გაიგოს თავისი მოქმედების თვისებები და მნიშვნელობა და უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას. იმ პირის მიყვანა თვითმკვლელობამდე, ვისაც ასეთი უნარი არა აქვს მცირეწლოვანების ან სულით ავადმყოფობის გამო, დაკვალიფიცირდება არა 109-ე მუხლით, არამედ როგორც მკვლელობა.

მკვლელობად ჩაითვლება აგრეთვე შეურაცხი პირის შეგულიანება თვითმკვლელობისადმი ან დახმარების აღმოჩენა თვითმკვლელობაში. რამდენადაც პირი აქეზებს ან ხელს უწყობს ისეთი პირის თვითმკვლელობას, რომელსაც არა აქვს უნარი სწორად განსაჯოს თავისი მოქმედება ან განაგოს იგი, ამდენად ასეთი პირი წარმოადგენს ბრმა იარაღს ბოროტმოქმედის ხელში.

დამნაშავე, რომელმაც თავისი მოქმედებით განზრახ მიიყვანა შეურაცხი პირი თვითმკვლელობამდე ან შეაგულიანა იგი თავის მოსაკლავად ან დახმარება აღმოუჩინა თვითმკვლელობაში, პასუხს აგებს როგორც შუალობითი ამსრულებელი 104-ე ან 105-ე მუხლის მიხედვით.

3. თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანა დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებულია დამნაშავეზე.

4. მატერიალური დამოკიდებულება გულისხმობს, რომ დაზარალებული არსებობის ძირითად საშუალებებს დამნაშავისაგან ღებულობს. ასეთი იქნება, მაგალითად, შრომისუნარმოკლებული მშობლების დამოკიდებულება შვილებისაგან, ან პირიქით, შრომისუნარმოკლებული შვილებისა — მშობლებისაგან ან ნაშვილებისა — შვილად ამყვანისაგან, ცხოვრების სახსრის არამქონე მეუღლისა — მეორე მეუღლისაგან. ამასვე მიეკუთვნება შემთხვევა, როდესაც პირს საკუთარი საცხოვრებელი ბინა არა აქვს და იგი იძულებულია სხვის ბინაზე იცხოვროს.

5. სამსახურებრივი დამოკიდებულება გულისხმობს, რომ დაზარალებული დამნაშავის ხელქვეითია და ამის გამო უკანასკნელს ფაქტიური შესაძლებლობა აქვს თავისი უკანონო მოქმედებით შეავიწროოს ან დაამციროს დაზარალებული.

6. სხვაგვარ დამოკიდებულებად ჩაითვლება, მაგალითად, მეურვეობაში მყოფის დამოკიდებულება მეურვისაგან, მოწათის —

მასწავლებლისაგან, პატიმრის — საპრობილის ან კოლონიის ადმინისტრაციისაგან და ა. შ. ასეთი დამოკიდებულება შეიძლება წარმოიშვას ცოლქმრულ ურთიერთობაშიც, თუნდაც მეუღლე ეკონომიურად არ იყოს დამოკიდებული მეორე მეუღლეზე. ამის მაგალითს გვაძლევს ბ.-ს საქმე. ბ. ლოთობდა, სასტიკად ეპყრობოდა, სცემდა და სისტემატურად შეურაცხყოფას აყენებდა თავის ცოლს. უკანასკნელმა ველარ მოითმინა და საწამლავი დალია. ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მიუთითა, რომ ბ. სწორად არის მსჯავრდებული ცოლის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანისათვის. „ბ.-ა ცოლქმრულ ურთიერთობაში იყო მსჯავრდებულთან და მისგან სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა. ეს ოჯახური ურთიერთობა გარკვეულ დამოკიდებულებას ქმნიდა მათ შორის... ცოლქმრული ურთიერთობიდან გამომდინარე ოჯახური დამოკიდებულება შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ პირობას რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 107-ე (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე) მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის“<sup>100</sup>.

პირიქით, უბრალოდ ერთად ცხოვრების ფაქტი ან სქესობრივი კავშირი, თუ არ არსებობს ერთი პირის მატერიალური ან სხვაგვარი დამოკიდებულება მეორისაგან, საკმარისი არ არის 109-ე მუხლით ქმედობის კვალიფიკაციისათვის. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის ერთ-ერთ დადგენილებაში სწორად იყო მითითებული, რომ ბ. არ შეიძლება დაისაჯოს ლ.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის და რომ „თვითმკვლელობამდე მიყვანას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დაზარალებულს სასტიკად ეპყრობოდა ან სხვა რამ ბოროტ ზემოქმედებას მიმართავდა ისეთი პირი, ვისგანაც დაზარალებული მატერიალურად ან სხვა რამ სახით არის დამოკიდებული. ლ. მატერიალურად არ იყო დამოკიდებული ბ.-საგან“<sup>101</sup>.

8. ერთი პირის დამოკიდებულება მეორისაგან შეიძლება წარმოიშვას რელიგიურ სექტაში მონაწილეობის შედეგად. ორმოცდაათიანთა რელიგიური სექტის ხელმძღვანელებმა თავიანთი უკანონო მოთხოვნებით, მაგალითად, მოთხოვნით, რომ ვითომდა „ცოლვე-

<sup>100</sup> Сб. пост. Презид. и опред. судеб. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг., М., 1974, с. 280—281.

<sup>101</sup> „საბჭოთა სამართალი“, 1958, № 2, გვ. 77—78.

ბის“ მოსაზრებით აღუცილებელია საკუთარი შვილის მოკვლა, თითქმის ფსიქიკურ დაავადებამდე მიიყვანეს სექტის ზოგიერთი წევრი, რომლებმაც ამის შედეგად თავი მოიკლეს. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თავის 1961 წლის 1 იანვრის განჩინებაში მიუთითა, რომ რელიგიური სექტის წევრები, რომელნიც სექტის ხელმძღვანელებმა სხვადასხვა უკანონო მოთხოვნებით და სასტიკი მოპყრობით დებრესიულ მდგომარეობამდე მიიყვანეს, დამოკიდებული იყვნენ სექტის ხელმძღვანელებისაგან და ამიტომ ამ უკანასკნელებმა პასუხი უნდა აგონ მათი თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის<sup>102</sup>.

9. თუ დაზარალებული, რომელიც დამნაშავის მხრივ სასტიკი მოპყრობის ან პირადი ღირსების სისტემატურად დამცირების შედეგად თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მივიდა, არ იყო არც მატერიალურად, არც სამსახურებრივად და არც სხვაგვარად დამოკიდებული დამნაშავისაგან, ამ უკანასკნელმა პასუხი უნდა აგოს არა 109-ე მუხლით, არამედ შესაბამისად სხეულის დაზიანების, ცემის, წამების ან შეურაცხყოფისათვის და ა. შ.

10. თვითმკვლელობა ან მისი ცდა გამოწვეული უნდა იყოს დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით.

სასტიკი მოპყრობა შეიძლება გამოიხატებოდეს იმაში, რომ დამნაშავე დაზარალებულს სცემს, აწამებს, თავისუფლებას უზღუდავს (მაგალითად, სისტემატურად ამწყვდევს სარდაფში), ძლიერ ყინვაში გარეთ აგდებს, არსებობის მინიმალურ საშუალებებს არ აძლევს, მუშაობის აუტანელ პირობებს უქმნის და ა. შ.

11. თუმცა კანონი მოითხოვს სისტემატურობას მხოლოდ დაზარალებულის პირადი ღირსების დამცირების მიმართ, მაგრამ სასტიკი მოპყრობაც, როგორც წესი, სისტემატურ ხასიათს გულისხმობს. ცემის ცალკეული შემთხვევა არ შეიძლება ჩაითვალოს სასტიკ მოპყრობად, რომლის შედეგიც იყო თვითმკვლელობა.

ცოლქმარი გ. და ჯ., რომლებიც 1964 წელს დაქორწინდნენ, ერთმანეთთან ხშირად ჩხუბობდნენ. უკანასკნელი უსიამოვნების შემდეგ, როდესაც ქმარმა არ მოინდომა ცოლთან შერიგება, ამ უკანასკნელმა დანით თავი მოიკლა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ამ საქმეზე ნათქვამია: „იმისათვის რომ ქმედობა

<sup>102</sup> იხ. «БВС РСФСР», 1961, № 4, с. 8—9.

დავაკვალიფიცირით საქ. სსრ სსკ 109-ე მუხლით, უნდა დადგინდეს, რომ ადგილი ჰქონდა დაზარალებულისადმი სასტიკ მოპყრობას და მისი ღირსების ისეთ სისტემატურ დამცირებას, რომელიც გამოიჩინოდა ხასიათისა და მოტივების ერთიანობით და რომელმაც დაზარალებული სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა.

საქმის მასალებით დაგენილია, რომ ცოლქმარს შორის მომხდარ უსიამოვნებას ორმხრივი ხასიათი ჰქონდა. ისინი ერთმანეთს ხშირად აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, მაგრამ მალე რიგდებოდნენ. მათ უყვარდათ ერთმანეთი და გ. სათანადო მზრუნველობას იჩენდა ჯ.-ს მიმართ...

გ.-ს მიერ ცოლისათვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ერთეული შემთხვევები არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მისდამი სასტიკი მოპყრობა ან მისი ღირსების სისტემატური დამცირება. თვითმკვლელობა შედეგად მოჰყვა არა დაზარალებულისადმი სასტიკ მოპყრობას ან მისი ღირსების სისტემატურად დამცირებას, არამედ ოჯახურ უსიამოვნებას<sup>103</sup>.

12. პირადი ღირსების სისტემატური დამცირება შეიძლება დაზარალებულის სისტემატური შეურაცხყოფით ან მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცილისმწამებლური მონაჭორის გავრცელებით, სისტემატური ცრუ დასმენით დაზარალებულის მიერ ვითომდა დანაშაულის ჩადენის შესახებ და ა. შ.

13. დაზარალებულისადმი სასტიკ მოპყრობად ან მისი ღირსების შელახვად არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერი მოქმედება, ე. ი. მოქმედება, რომელიც საბჭოთა სამართლისა და სოციალისტური ზნეობის წესებს არ ეწინააღმდეგება, თუნდაც დაზარალებულმა ეს მოქმედება განიცადოს როგორც მისი ღირსების დამამცირებელი და პირადად მისთვის აუტანელი. ასე, მაგალითად, არ ჩაითვლება დაზარალებულისადმი სასტიკ მოპყრობად მისი სისტემატური მკაცრი გაკიცხვა უფროსის მიერ ცუდი მუშაობისათვის, თუ ეს გაკიცხვა უწესო ფორმით არ არის გამოთქმული. ასევე არ ჩაითვლება შეურაცხყოფად მასწავლებლის მიერ მოწაფის სამართლიანი დატუქსვა მისი უწესო ყოფაქცევის გამო, თუ ეს დატუქსვა პედაგოგიური მიზნით მოხდა და სათანადო ფორმით იყო მიცემული და ა. შ. დაზარალებულისადმი სასტიკ მოპყრობად ან

<sup>103</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1972, № 3, გვ. 23.

მისი ღირსების შელახვად არ ჩაითვლება აგრეთვე მასთან სქესობრივი კავშირის გაწყვეტის ფაქტი<sup>104</sup>. ასევე არ ჩაითვლება სასტიკ მოპყრობად ან მძიმე შეურაცხყოფად მამაკაცის უარი ცოლად შეერთოს ქალი, რომლისთვისაც წინათ პირობა ჰქონდა მიცემული.

14. დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობა და მისი პირადი ღირსების სისტემატურად შელახვა გამოიწვევს პასუხისმგებლობას 109-ე მუხლით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შედეგად მოჰყვა დაზარალებულის თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის ცდა.

თუ სასტიკ მოპყრობას ან პირადი ღირსების შელახვას თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის ცდა არ მოჰყოლია, დამნაშავის მოქმედება შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს შესაბამისი მუხლებით როგორც სხეულის დაზიანება (111-ე ან 112-ე მუხლები), ცემა და წამება (116-ე მუხლი), უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა (137-ე მუხლი), ცილისწამება (137-ე მუხლი), შეურაცხყოფა (138-ე მუხლი) და ა. შ.

15. მოქმედება, რომელიც სასტიკ მოპყრობაში ან პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებაში გამოიხატება, არა მარტო ობიექტურად უნდა ატარებდეს ასეთ ხასიათს, არამედ სუბიექტურადაც მიზნად უნდა ისახავდეს დაზარალებულის დამცირებას ან, ყოველ შემთხვევაში, დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს ამ მოქმედების დამამცირებელი ხასიათი. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ ცნო თვითმკვლელობამდე მიყვანის უშედეგობა ა.-ს მოქმედებაში. ა.-მ (დედამ) რამდენჯერმე სასტიკად დატუქსა თავისი ქალიშვილი, როცა იგი უცხო მამაკაცთან დაინახა, და თანაც გასინჯა იგი იმის გამოსარკვევად, ხომ არ დაუკარგავს მას ქალწულობა. შეურაცხყოფილმა ქალიშვილმა თავი მოიკლა. მიუხედავად იმისა, რომ დედის მოქმედება ობიექტურად მეტად უხეშ და შეურაცხმყოფელ ფორმაში გამოვლინდა, კოლეგიამ მიუთითა, რომ იგი ჩადენილი არ ყოფილა შვილის დამცირების მიზნით, არამედ გამოწვეული იყო დედის უკიდურესი ჩამორჩენილობით და უფიცობით, რის გამოც იგი არ ითვალისწინებდა არც თავისი მოქმედების დამამცირებელ ხასიათს და არც შესაძლებელ შედეგებს<sup>105</sup>.

შედგის, ე. ი. თვითმკვლელობის ან თვითმკვლელობის მცდე-

<sup>104</sup> იხ. საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება ბ.-ს საქმეზე, „საბჭოთა სამართალი“, 1958, № 2, გვ. 77—78.

<sup>105</sup> იხ. «ВВС СССР», 1965, № 5, с. 30—32.

ლობის მიმართ დამნაშავეს შეიძლება პქონდეს როგორც განზრახვა, ისე გაუფრთხილებლობა. უფრო ხშირად ასეთი დანაშაული ჩადენილია ხოლმე გაუფრთხილებლობით ან ევენტუალური განზრახვით, მაგრამ გამორიცხული არ არის მისი ჩადენა პირდაპირი განზრახვითაც.

16. თუ სასტიკი მოპყრობა ისეთი მოქმედებით გამოიხატება, რომელიც, თავისთავად აღებული, დანაშაულს წარმოადგენს, მაგრამ ნაკლებად ან იმგვარადვე ისჯება, როგორც თვითმკვლელობამდე მიყვანა (მაგალითად, სხეულის განზრახვი მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანებით, ცემითა და წამებით, შეურაცხყოფით და ა. შ.), დამნაშავეს ქმედობა დაკვალიფიცირდება 109-ე მუხლით, ხოლო თუ სასტიკი მოპყრობა გამოიხატა სხეულის განზრახვი მძიმე დაზიანებით, რისთვისაც კანონი უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებს, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 109-ე და 110-ე მუხლებით, დანაშაულთა ერთობლიობის წესისამებრ.

**მ უ ხ ლ ი 110. სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება**

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ეხეიგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ან რომელსაც მოპყვა მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ან სულიერი ავადმყოფობა, ან ორსულობის შეწყვეტა, ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, დაკავშირებული შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან სულ ცოტა ერთი მესამედით, აგრეთვე სახის წარუშლელი დამახინჯება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან რვა წლამდე.

იგივე ქმედობა, თუ მან სიკვდილი გამოიწვია ან ჩადენილია მტანჯავი საშუალებით ან წამებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე. სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე.

1. სხეულის დაზიანებად სისხლისსამართლებრივი გაგებით ჩითვლება ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის, ორგანოების და ქსოვილების ანატომიური მთლიანობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის მართლსაწინააღმდეგო დარღვევა, გამოწვეული ფიზიკური (მექანიკური, თერმული და სხვ.), ქიმიური ან ფსიქიკური ზემოქმედებით.

2. სხეულის დაზიანების ხელყოფის უშუალო ობიექტს სხვა აღმნიშნავი ჯანმრთელობა წარმოადგენს. საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანება არ ჩაითვლება სხეულის დაზიანებად სისხლისსამართლებრივი გაგებით. ასოთდაზიანებისათვის პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების მიზნით (საქ. სსრ სსკ 81-ე და 267-ე მუხლები).

3. სხეულის დაზიანება შეიძლება გამოწვეული იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. სხეულის დაზიანება უმოქმედობითაა გამოწვეული, როდესაც დამნაშავე ვალდებული იყო და მას შეეძლო კიდევაც შეესრულებინა გარკვეული მოქმედება, თუ ამ მოქმედების შესრულების შემთხვევაში სხეულის დაზიანება თავიდან იქნებოდა აცილებული. მაგალითად, მუშა ვალდებული იყო ელექტროგაყვანილობის შეკეთების წინ გამოერთო ელექტროდენი. მან ეს არ გააკეთა, თუმცა თავისი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა ჰქონდა, და მის უმოქმედობას შედეგად მოჰყვა მეორე მუშის დაშავება. პირველ მუშას რომ თავისი მოვალეობა შეესრულებინა, ასეთი შედეგი არ დადგებოდა.

კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა, დამნაშავემ აღმნიშნავი დაშავა რაიმე იარაღის (თოფი, დანა, კეტი და სხვ.), ბუნების ძალის (წყალი, ცეცხლი და სხვ.), ტექნიკური და ქიმიური საშუალებების (ელექტროდენი, მომწამლავი ნივთიერებანი და სხვ.) გამოყენებით, თუ მათი გამოყენების გარეშე. სხეულის დაზიანება შეიძლება გამოწვეული იქნეს ხელის ან ფეხის დარტყმით, ან ფსიქიკური ზემოქმედებით და სხვ.

იმას, თუ რა იარაღი გამოიყენა დამნაშავემ სხეულის დაზიანებისათვის, შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს მხოლოდ სასჯელის განსაზღვრისათვის. მაგალითად, სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც გამოწვეულია ხელის დარტყმით, სხვა თანაბარი პირობების არსებობისას, შეიძლება უფრო მსუბუქად დაისაჯოს, ვიდრე ისეთივე დაზიანება, გამოწვეული საწამლავის გამოყენებით, ვინაიდან საწამლავის გამოყენება მიუთითებს თვით დამნაშავისა და მისი ქმედობის მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებაზე.

4. თავისი ობიექტური ნიშნებით სხეულის დაზიანების შემადგენლობანი მატერიალურ შემადგენლობებს მიეკუთვნებიან. მათთვის აუცილებელია განსაზღვრული შედეგის დადგომა. დამდგარი შედეგის სიმძიმის მიხედვით განასხვავებენ სხეულის დაზიანების

სამ სახეს: მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქ სხეულებრივ დაზიანებას.

5. სხეულის დაზიანება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო. სხეულის დაზიანების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი გამორიცხულია აუცილებელი მოგერიების, დამნაშავეის დაკავების ან უკიდურესი აუცილებლობის დროს<sup>106</sup>.

სხეულის დაზიანების მართლსაწინააღმდეგობას გამორიცხავს აგრეთვე დაზარალებულის თანხმობა, თუ ასეთი მოქმედების მიზანია რაიმე საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის განხორციელება. მაგალითად, დაზარალებული იძლევა სისხლს სხვა ადამიანისათვის გადასახმელად. დაზარალებულის თანხმობა მხოლოდ მაშინ გამორიცხავს სხეულის დაზიანების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, როდესაც ასეთი თანხმობა განაცხადა შერაცხადმა, 16 წელს გადაცილებულმა პირმა, თანაც, თუ ეს თანხმობა არ იყო გამოძალული ან მოტყუებით მიღებული. დაზარალებულის თანხმობა არ გამორიცხავს სხეულის დაზიანების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, თუ ის მიცემული იყო დანაშაულებრივი მიზნით (მაგალითად, სამხედრო სამსახურისაგან თავის ასარიდებლად), ან რაიმე საზოგადოებრივად საზიანო მიზნის განსახორციელებლად (მაგალითად, მათხოვრობისათვის და ა. შ.).

6. სწავლობდა კურსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველ კურსზე. მას რამდენიმე საგანში არაღამაკმაყოფილებელი ნიშანი ჰქონდა მიღებული. ინსტიტუტიდან რომ არ გამოეგდოთ, ნ.-მ გადაწყვიტა საკუთარი თავისათვის სხეულებრივი დაზიანება შეეყენებინა, საავადმყოფოში დაწოლილიყო და აკადემიური შვებულება აეღო. თვითონ რომ საკუთარი თავის დაქრა ვერ მოახერხა, სთხოვა არასრულწლოვან ს.-ს ესროლა მისთვის, მაგრამ ს.-მ უარი უთხრა; მაშინ ასეთივე თხოვნით მიმართა თავის მეგობარ კ.-ს. მეგობარმა „ხათრი ვერ გაუტეხა“. ნ.-მ დაწერა წერილი, რომ კ. ესვრის მას მისი (ნ.-ს) თხოვნით. ამხანაგები წავიდნენ მდინარე ტუსკარისაკენ, ხიდზე გაიარეს და, როცა დარწმუნდნენ, რომ იქ არავინ არის, კ.-მ ოთხი მეტრის მანძილიდან ესროლა ნ.-ს პისტოლეთი და სასიკვდილოდ დაქრა იგი.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დააკვალიფიცირა ს.-ს მოქმედება როგორც

<sup>106</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 97—112.



განზრახი მძიმე სხეულებრივი დაზიანება, რომელსაც მოჰყვა გაუფრთხილებლობითი მკვლელობა, თანაც კოლეგიამ მიუთითა, რომ დაზარალებულის თხოვნა არ გამოირიცხავს პასუხისმგებლობას სხეულის დაზიანებისათვის<sup>107</sup>.

არ წარმოადგენს სხეულის დაზიანებას ოპერაციის გაკეთება, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის გამოჯანმრთელებას. ოპერაციის გაკეთებისათვის სპეციალური წესებია დადგენილი. სახელდობრ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონის 51-ე მუხლის თანახმად, ქირურგიული ოპერაციის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ ავადმყოფის თანხმობით, ხოლო ოპერაციის გაკეთება არასრულწლოვანისა და სულით ავადმყოფისათვის — მათი მშობლების, მეურვის ან მზრუნველის თანხმობით. გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია შეიძლება გაკეთებული იქნეს ავადმყოფის, ან მისი მშობლების, მეურვის თუ მზრუნველის თანხმობის გარეშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ოპერაციის დაყოვნება საფრთხეს უქმნის ავადმყოფის სიცოცხლეს, ხოლო აღნიშნულ პირთა თანხმობის მიღება შეუძლებელია. ანალოგიური წესები გათვალისწინებულია დიაგნოსტიკის რთული მეთოდების გამოყენებისთვისაც (მუხ. 51-ე).

6. სხეულის განზრახი დაზიანებისათვის, რამაც ჯანმრთელობის მოშლა გამოიწვია (110-ე, 111-ე, 112-ეს პირველი ნაწილი, 113-ე და 114-ე მუხლები), პასუხისმგებლობა იწყება 14 წლის ასაკიდან, ხოლო სხეულის ისეთი დაზიანებისათვის, რასაც ჯანმრთელობის მოშლა არ გამოუწვევია (112-ე მუხლის მეორე ნაწილი), აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დაზიანებისათვის (115-ე მუხლი) — 16 წლის ასაკიდან.

7. სხეულის დაზიანება შეიძლება მიყენებული იქნეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი, ხოლო გაუფრთხილებლობა შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც თვითიმედოვნებით, ისე დაუდევრობით.

პირდაპირი განზრახვით სხეულის დაზიანებისას განზრახვა შეიძლება ატარებდეს განსაზღვრულ ანუ კონკრეტულიზირებულ ხასიათს. განზრახვა კონკრეტულიზირებულია, როდესაც დამნაშავე ითვალისწინებს არა მარტო იმას, რომ იგი დაზარალებულს საერთოდ

<sup>107</sup> Сб. пост. Презид. и опред. судеб. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг., М., 1974, с. 286—287.

სხეულის დაზიანებას აყენებს, არამედ იმასაც, თუ რა სიმძიმის დაზიანებას გამოიწვევს მისი მოქმედება. დამნაშავეის განზრახვა და სურვილი მიმართულია კონკრეტული ზიანის მიყენებისაკენ. მაგალითად, დამნაშავე ენას მოჭრის, ან თვალებს თხრის, ანდა გოგირდმკვავს ასხამს დაზარალებულს სახეში. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე ითვალისწინებს და სურს დაზარალებულს მოაჭრას ენა, ან დასთხაროს თვალები ან დაუმახინჯოს სახე, ე. ი. დამნაშავე ითვალისწინებს და სურს მიაყენოს დაზარალებულს სწორედ სხეულის მძიმე დაზიანება.

თუ დამნაშავე ითვალისწინებს და მას სურს მიაყენოს დაზარალებულს სხეულის დაზიანება, მაგრამ არ ითვალისწინებს, თუ კონკრეტულად რა სიმძიმის დაზიანება მოჰყვება მის მოქმედებას, მაშინ ადგილი აქვს განუსაზღვრელ ანუ არაკონკრეტულობის პირდაპირ განზრახვას. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს სურს მიაყენოს დაზარალებულს ნებისმიერი დაზიანება. მაგალითად, დამნაშავე მოქალაქეს სცემს ხელით და ფეხით, ის არ ითვალისწინებს, თუ როგორი დაზიანება მოყვება ცემას. მას სურს მიაყენოს დაზარალებულს ის დაზიანება, რაც ფაქტიურად მოყვება მის მოქმედებას.

განზრახვა განუსაზღვრელი იქნება იმ შემთხვევაშიც, როცა პირს სურს მიაყენოს დაზარალებულს მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, მაგრამ ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შეიძლება უფრო მძიმე სახის დაზიანება მოჰყვეს და შეგნებულად უშვებს ასეთ უფრო მძიმე დაზიანებასაც. მაგრამ თუ პირი ითვალისწინებდა, რომ მის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ხოლო სინამდვილეში მის მოქმედებას უფრო მძიმე შედეგი (ე. ი. სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება) მოჰყვა, და, თუ ამავე დროს პირს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ამ უფრო მძიმე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა, ასეთ შემთხვევაში გვექნება შერეული ბრალი, ე. ი. სხეულის განზრახვი მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება (სსკ 111-ე, ან 112-ე მუხლი) და სხეულის გაუფრთხილებლობითი მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება (115-ე მუხლი).

8. სხეულის დაზიანება შედეგიან (მატერიალურ) დანაშაულს წარმოადგენს, ამიტომ იგი დამთავრებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულებრივ ქმედობას შედეგად მოჰყვა სხეულის დაზიანება.

პირდაპირი კონკრეტულობის განზრახვის დროს პასუხის-

შგებლობა დგება იმის მიხედვით, თუ სხეულის როგორი სიმძიმის დაზიანებისაკენ იყო მიმართული პირის განზრახვა. თუ, მაგალითად, დამნაშავემ სხეულის მძიმე დაზიანების განზრახვით დაზარალებულს გოგირდმქაფა შეასხა, რამაც დაზარალებულის დაბრმავება გამოიწვია, დანაშაული დაკვალიფიცირდება 110-ე მუხლის პირველი ნაწილით. თუ იმავე მოქმედებამ სხეულის მსუბუქი დაზიანება გამოიწვია ან მანვე შედეგი სულაც არ დამდგარა, დამნაშავის მოქმედება განიხილება როგორც სხეულის მძიმე დაზიანების მცდელობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც პირს შედეგის მიმართ არაკონკრეტული პირდაპირი განზრახვა ჰქონდა, პასუხისმგებლობა დგება იმის მიხედვით, თუ ფაქტიურად რა ზიანი გამოიწვია დამნაშავის მოქმედებამ. დანაშაულებრივი შედეგის დაუდგომლობის შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს ყველაზე მსუბუქი სხეულის დაზიანების მცდელობისათვის, რომელიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის მოქმედებას. მაგალითად, დამნაშავის მიერ ნასროლი ქვა პირს ასცდა. დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს სხეულის მსუბუქი დაზიანების მცდელობისათვის.

არაპირდაპირი განზრახვით სხეულის დაზიანების შემთხვევაში დამნაშავის ნება მიმართულია არა სხეულის დაზიანების, არამედ სხვა მიზნის მისაღწევად. სხეულის დაზიანება დამნაშავისათვის ის თანამდევია შედეგია, რომელიც შეიძლება მოჰყვეს დამნაშავის მიერ დასახული მიზნის შესრულებას. დამნაშავეს არ სურს სხეულის დაზიანება, მაგრამ იგი უშვებს ასეთი შედეგის დადგომას. აქაც დამნაშავე შეიძლება ითვალისწინებდეს კონკრეტულად, თუ რა სიმძიმის დაზიანება მოჰყვება მის ქმედობას, ან ითვალისწინებდეს მხოლოდ იმას, რომ მის მოქმედებას საერთოდ მოჰყვება სხეულის დაზიანება. ასე რომ, ევენტუალური განზრახვის დროსაც შეგვიძლია ვილაპარაკოთ კონკრეტული და არაკონკრეტული განზრახვაზე, თუმცა ამას დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ევენტუალური განზრახვით სხეულის დაზიანებისას პასუხისმგებლობა დგება ფაქტიურად მიყენებული ზიანის მიხედვით, ვინაიდან ევენტუალური განზრახვა გამორიცხავს მცდელობის არსებობას.

9. სსკ 110-ე მუხლში ჩამოთვლილია სხეულის განზრახ დაზიანების სახეები. ამ დაზიანებას მიეკუთვნება: ა. ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება; ბ. დაზიანება, რომელსაც შედეგად

მოპყვა მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა; გ. სულით ავადმყოფობა; დ. ორსულობის შეწყვეტა; ე. დაზიანება, რომელმაც გამოიწვია შრომის უნარის მყარი დაკარგვა სულ ცოტა ერთი მესამედით და ვ. დაზიანება, რომელმაც სახის წარუშლელი დამახინჯება გამოიწვია.

10. ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათოდ დაზიანებად ითვლება სხეულის ისეთი დაზიანება, რომელიც სხეულისათვის ზიანის მიყენების მომენტში ქმნის რეალურ საშიშროებას ადამიანის სიცოცხლისათვის. დაზიანება მაშინაც ჩაითვლება სიცოცხლისათვის საშიშად, როდესაც რთული ოპერაციის გაკეთების, ან თვით დაზარალებულის იშვიათი სიცოცხლისუნარიანობის გამო იგი სრულიად გამოჯანსაღდა. პირიქით, თუ სხეულის დაზიანება მისი მიყენების მომენტში სიცოცხლისათვის საშიში არ იყო, მაგრამ თვით დაზარალებულის დაუფერობის, სამედიცინო მომსახურების სისუსტის, ან რაიმე სხვა მიზეზების გამო მას დაზარალებულის სიკვდილი მოპყვა, სხეულის დაზიანება სიცოცხლისათვის სახიფათოდ არ ჩაითვლება.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ 1965 წლის 20 აპრილს დამტკიცებული სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის წესების თანახმად, სიცოცხლისათვის საშიშ დაზიანებას წარმოადგენს: ტვინის, მსხვილი სისხლძარღვების კრილობები ძლიერი სისხლისდენით და სხვ. მისთ, თავის ქალას, გულმკერდის, მუცლის ღრუში და ზურგის ტვინის არხში შეღწეული კრილობები შინაგანი ორგანოების დაუზიანებლადაც კი; აგრეთვე დაზიანება, რომელსაც თან ახლავს მძიმე კლინიკური შოკი, კოლაფსი, დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვა, რის გამოც საჭირო გახდა მნიშვნელოვანი რაოდენობის სისხლის გადასხმა, ცხამოვანი ემბოლია<sup>108</sup>. ამასთან ერთად სიცოცხლისათვის საშიშ სხეულებრივ დაზიანებად ჩაითვლება მეორე და მესამე ხარისხის სიღამწურე, რომელიც მოიცავს სხეულის ზედაპირის 25% მაინც და სხვ.

11. სხეულის მძიმე დაზიანების მეორე სახეს წარმოადგენს მხედველობის ან სმენის ან რაიმე სხვა ორგანოს დაკარგვა ან მისი ფუნქციის მოშლა.

მხედველობის დაკარგვად ითვლება არა მარტო სრული და განუკურნებელი დაბრმავება, არამედ აგრეთვე მხედველობის იმდენად დაკარგვა, რომ დაზარალებული ვერ არჩევს ახლო მდებარე

<sup>108</sup> იხ. წესები სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის, თბ., 1967, გვ. 9—10.

საგნების კონტურებს. სხეულის მძიმე დაზიანებად ჩაითვლება დაბრმავება ცალი თვალითაც, ვინაიდან იგი იწვევს შრომის უნარის დაკარგვის 35%-ზე მეტად.

სმენის დაკარგვად ითვლება როგორც სავსებით და სამუდამოდ დაყრუება, ისე სმენის ისეთი ჩამოქვეითება, როცა დაზარალებულს მეტად ახლო მანძილზე არ ესმის ხმამალა ლაპარაკი. ცალი ყურით დაყრუება სხეულის მძიმე დაზიანებად არ ჩაითვლება.

სხვა ორგანოს დაკარგვა ან მისი ფუნქციის მოშლა მაშინ ჩაითვლება სხეულის მძიმე დაზიანებად, როდესაც დაზიანებულია მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ორგანო, მაგალითად, ხელი ან ფეხი (ან ხელის მტევანი და ფეხის ტერფი), მეტყველების ორგანო, განაყოფიერების ორგანოები და ა. შ.. მძიმე დაზიანებად ჩაითვლება როგორც ამ ორგანოების სრული დაკარგვა, ისე მათი ფუნქციის მოშლა (ხელის ან ფეხის დამბლა, მეტყველების უნარის ან განაყოფიერების უნარის დაკარგვა და ა. შ.).

12. მძიმე დაზიანების სახეა აგრეთვე ისეთი დაზიანება, რომელსაც შედეგად მოჰყვა სულით ავადმყოფობა. სულით ავადმყოფობა ჩაითვლება მძიმე დაზიანებად იმისდა მიუხედავად, მუდმივი და განუკურნებელია ეს დაავადება თუ დროებითი. სულით ავადმყოფობა უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში დამნაშავეს მოქმედებასთან. ეს მოქმედება შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც ფიზიკურ ზემოქმედებაში ადამიანზე, ისე ფსიქიკურ ზემოქმედებაში; ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, უეცარი შეშინება და ა. შ. თავისთავად ცხადია, ფსიქიკური დაავადება მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება 110-ე მუხლით, როდესაც პირი ითვალისწინებდა, რომ მის მოქმედებას ასეთი შედეგი მოჰყვებოდა.

სხეულის მძიმე დაზიანებად არ ჩაითვლება ტრავმა, რომელმაც გამოიწვია ნევრასტენია, ფსიქოსტენია, ისტერია და სხვ. მისთ.

13. ო რ ს უ ლ ო ბ ი ს ძ ა ლ და ტ ა ნ ე ბ ი თ შ ე წ ყ ვ ე ტ ა ს კანონმდებელი სხეულის მძიმე დაზიანებად თვლის, ვინაიდან იგი საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს. ასეთი დაზიანება, როგორც წესი, იწვევს ძლიერ სისხლის დენას, ქმნის ორგანიზმში ინფექციის შეჭრისა და სხვა გართულებების წარმოშობის საშიშროებას. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენი თვის ორსულობაა შეწყვეტილი. სუბიექტური მხრივ აუცილებელია დამნაშავე ითვალისწინებდეს, რომ ქალი ორსულად არის და მის მოქმედებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ორსულობის შეწყვეტა.

14. ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა სხეულის მძიმე დაზიანებად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როდესაც მან გამოიწვია შრომის უნარის დაკარგვა ერთი მესამედით მაინც. შრომის უნარის დაკარგვა მყარი უნდა იყოს. შრომის უნარის დაკარგვა მყარად ჩაითვლება, თუ იგი სამუდამოდ არის დაკარგული ანდა შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ აღდგეს მხოლოდ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ. შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი უნდა დადგინდეს საერთო შრომის უნარის მუდმივად დაკარგვის პროცენტის განსაზღვრის იმ ცხრილის მიხედვით, რომელიც მოცემულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ 1960 წ. 18 მაისს გამოცემულ ინსტრუქციაში „დასაზღვევა საექიმო შემოწმების წესის შესახებ“.

სხეულის დაზიანების შედეგად ბავშვის შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რამდენად დაეკარგება მას შრომის უნარი მომავალში (ე. ი. მაშინ, როდესაც სრულწლოვანი გახდება), ხოლო მოხუცებისა და ინვალიდების მიერ შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი განისაზღვრება ისე, როგორც ჯანმრთელი ადამიანისა.

110-ე მუხლში ნაგულისხმებია არა სპეციალური შრომის უნარის (შრომის უნარი, რომელიც დაკავშირებულია, მაგალითად, ბაღრინის, მფრინავის, პიანისტის და სხვ. პროფესიასთან), არამედ საერთოდ შრომის უნარის დაკარგვა. ამიტომ ნებისმიერი მოკვება, თუგინდ ცნობილი პიანისტისათვის, არ უნდა იქნეს შეფასებული როგორც სხეულის მძიმე დაზიანება.

15. სახის წარუხზოცელ დამახინჯებად ითვლება ისეთი მყარი განუკურნებელი და გამოუსწორებელი დაზიანება, რომელიც დაზარალებულის სახეს ძლიერ აუშნოებს, ხდის მას შესაზიზღს. სახის დამახინჯება შეიძლება გამოიწვიოს ტუჩების, ცხვირის, ყურების მოცილებამ, თვალის ამოგდებად, სახის დაწვამ, დამღულვრამ, ან მწვავე მკვებებით ან ტუტით დანეკროზებამ, გატეხილი ცხვირის ძვლების არასწორად შეზრდამ, თვალის ანატომიურმა დაზიანებამ ან სახის ისეთმა დაზიანებამ, რომელიც არღვევს სახის სიმეტრიას, მიმიკას და სხვ. სახის დამახინჯება წარუშლელია, თუ იგი არ შეიძლება გამოსწორებულ იქნეს მკურნალობის ჩვეულებრივი მეთოდებით. დამახინჯება წარუშლელად ითვლება მაშინაც, როდესაც სიმპანჩის გამოსწორება შესაძლებელია პლასტიკური ოპერაციის საშუალებით (მაგალითად, ქალს, რომელსაც დამნაშავემ ცხვირის

წვერი მოაქრა, პლასტიკური ოპერაციის საშუალებით აღუდგენენ ცხვირის მთლიანობას). სახის წარუშლელი დამახინჯების საკითხს ორი მხარე აქვს: მედიკური და იურიდიული, პირველს წყვეტს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ხოლო მეორეს სასამართლო.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი ვალდებულია თავის დასკვნაში უჩვენოს, ხომ არ გამოიწვია დაზიანებამ სახის ასიმეტრია, მიმიკის დარღვევა და სხვა პათოლოგიური მდგომარეობა, არის თუ არა დაზიანება წარუშლელი და რამდენადაა შესაძლებელი ამ დაზიანების გამოსწორება პლასტიკური და კოსმეტიკური ოპერაციის გარეშე.

იმ საკითხს, ამახინჯებს თუ არა დაზიანება დაზარალებულის სახეს, ე. ი. ადგილი აქვს თუ არა სახის წარუშლელ დამახინჯებას, წყვეტს სასამართლო. ამ საკითხის გადაჭრისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს არა პათოლოგიურ-ანატომიური, არამედ ესთეტიკური კრიტერიუმით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში ერთ-ერთ თავის დადგენილებაში მიუთითებს: „სსკ-ის 110-ე მუხლის გამოყენება დასაშვებია მაშინ, თუ დაზიანება შეფასდება სახის წარუშლელ დამახინჯებად. განაჩენი არ ადგენს მ-სათვის სახის დამახინჯების მიყენების ფაქტს, მაშინ როცა ამ საკითხის გადაწყვეტა სწორედ სასამართლო შეფასების საგანია. პირიქით, სასამართლომ თავისი განაჩენით გამორიცხა სახის წარუშლელი დამახინჯება, როცა მიუთითა, რომ მ-სათვის მიყენებული ჭრილობები არ იწვევს ზიზღს... ასეთ ვითარებაში დანაშაულის დაკვალიფიცირება სსკ-ის 110-ე მუხლით დაუსაბუთებელია“<sup>109</sup>.

კანონმდებელი სხეულის მძიმე დაზიანებად თვლის მხოლოდ სახის და არა სხვა ორგანოს წარუშლელ დამახინჯებას. ამიტომ კისრის, ხელის ან სხვა ორგანოს დამახინჯება თავისთავად არ იძლევა საფუძველს ქმედობის 110-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის.

16. 110-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია სხეულის განზრახი მძიმე დაზიანება, ჩადენილი შემდეგ დამამძიმებელ გარემოებებში: ა. სხეულის განზრახი მძიმე დაზიანება, თუ მას შედეგად მოჰყვა სიკვდილი და ბ. სხეულის განზრახი მძიმე დაზიანება, ჩადენილი მტანჯავი საშუალებით ან წამებით.

17. დაზარალებულის სიკვდილი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებასთან დამნაშავე მხოლოდ

<sup>109</sup> იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1972, № 1, გვ. 16.

მაშინ აგებს პასუხს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, თუ მას დაზიანებულის სიკვდილი მოჰყვა და სიკვდილის მიმართ მას ჰქონდა გაუფრთხილებლობითი ბრალი. ობიექტურ შერაცხვას ჩვენი კანონმდებლობა არ იცნობს<sup>110</sup>.

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც სიკვდილი მოჰყვა, განსხვავდება განზრახი მკვლელობისაგან იმით, რომ აქ განზრახვა მოიცავს არა ადამიანის სიკვდილს, არამედ მის მხოლოდ მძიმე დაზიანებას. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებაში „განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ ნათქვამია: „სასამართლოებმა უნდა განასხვავონ განზრახი მკვლელობა სხეულის განზრახი მძიმე დაზიანებისაგან, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, როდესაც დამნაშავეს დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ გაუფრთხილებლობითი ბრალით გამოიხატება“<sup>111</sup>.

საკითხი, ადამიანის მოკვლის, თუ მხოლოდ სხეულის მძიმე დაზიანების განზრახვა ჰქონდა დამნაშავეს, ზოგჯერ ძნელი გადასაჭრელია. უმაღლესი სასამართლოს პლენუმის იგივე დადგენილება წინადადებას აძლევს სასამართლოებს ამ საკითხის გადაჭრისას მხედველობაში მიიღონ ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოების ერთობლიობა, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის იარაღი და საშუალება, ქრილობების რაოდენობა, ხასიათი და ლოკალიზაცია (მაგალითად, ადამიანის მნიშვნელოვან სასიცოცხლო ორგანოებში), დანაშაულებრივი მოქმედების შეწყვეტის მიზეზები, აგრეთვე დამნაშავეისა და დაზარალებულის მოქმედება დანაშაულის ჩადენის წინ, მათი ურთიერთდამოკიდებულება<sup>112</sup>.

თუ დამნაშავეს სურდა სხეულის მძიმე დაზიანება, მაგრამ ითვალაწინებდა, რომ მის მოქმედებას შეიძლება დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვეს და გულგრილად ეკიდებოდა ასეთ შედეგს, დამნაშავეს მოქმედება, როგორც არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით ჩადენილი, უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახი მკვლელობის მუხლით.

ამგვარად, განზრახი მკვლელობისაგან სხეულის ისეთი განზრახი მძიმე დაზიანების გამიჯვნისათვის, რომელსაც დაზარალებულის

<sup>110</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები“. თბ., 1976, გვ. 75—80.

<sup>111</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 187.

<sup>112</sup> იქვე.



სიკვდილი მოჰყვა, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სუბიექტურ მომენტს, ე. ი. იმას, თუ როგორი შედეგისაკენ იყო მიმართული დამნაშავეის განზრახვა, და არა იმას, თუ დროის რა მონაკვეთით არის დაცილებული დაზარალებულის სიკვდილი სხეულის მძიმე დაზიანებისაგან.

იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე არ ითვალისწინებდა და არც უნდა გაეთვალისწინებინა ან არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ სხეულის განზრახ დაზიანებას შეიძლება ადამიანის სიკვდილი მოჰყვეს, იგი პასუხს აგებს 110-ე მუხლის პირველი ნაწილით და არა მეორე ნაწილით.

სხეულის განზრახი მძიმე დაზიანება, რომელსაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, უნდა განვასხვავოთ გაუფრთხილებლობით მკვლელობისაგან. 110-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ორმაგ ბრალს — განზრახვას სხეულის დაზიანების მიმართ და გაუფრთხილებლობას სიკვდილის მიმართ, ხოლო გაუფრთხილებლობითი მკვლელობის დროს პირს არა აქვს განზრახვა სხეულის მძიმე დაზიანების მიმართ. თუ პირს გაუფრთხილებლობითი ბრალი აქვს როგორც სხეულის მძიმე დაზიანების, ისე დაზარალებულის სიკვდილის მიმართ, ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც გაუფრთხილებლობითი მკვლელობა. იმ შემთხვევაში, თუ პირს ჰქონდა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების განზრახვა, მაგრამ ასეთ დაზიანებას გაუფრთხილებლობით მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით, როგორც სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება (111-ე მუხლი) და გაუფრთხილებლობითი მკვლელობა (108-ე მუხლი), ხოლო თუ დაზარალებულის სიკვდილი სხეულის განზრახ მსუბუქ დაზიანებას მოჰყვა — როგორც გაუფრთხილებლობითი მკვლელობა (108-ე მუხლი).

18. 110-ე მუხლის მეორე ნაწილში დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია აგრეთვე სხეულის მძიმე დაზიანება მტანჯავი საშუალებით ან წამებით.

ტანჯვასა და წამებას შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ძნელია. წამებას ადამიანი განიცდის ტანჯვით. ტანჯვა კი წამების განცდაა. მტანჯავ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი საშუალებაც, რომელიც არ გამოიხატება დაზარალებულზე უშუალო ზემოქმედებით. ასეთია, მაგალითად, სხეულის დაზიანება, მიყენებული დაზარალებულის ყინვაში გარეთ გაგდებით ან მისთვის საკმლის ან

სასმელის მიუცემლობით და ა. შ. წამება გულისხმობს საშუალებას, რომელიც განსაკუთრებით მტკივნეულია დაზარალებულისათვის, მაგალითად, ჩხელეტა, ძლიერი ტკივილის გამომწვევი საწამლავის მიცემა და ა. შ.

ჩსფსრ უმაღლესი სასამართლოს განჩინებაში ლ.-ს საქმეზე მითითებულია, რომ „წამებად უნდა ჩაითვალოს სისტემატური, ე. ი. დრო და დრო განმეორებით ცემა ან სხეულებრივი დაზიანება, რომელიც მისი სისტემატური ხასიათის გამო დაკავშირებულია განსაკუთრებულ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვასთან“<sup>113</sup>.

აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილით კვალიფიკაციისათვის საჭიროა, პირმა განზრახვა მოიცავდეს იმას, რომ მისი მოქმედება განსაკუთრებულ ტანჯვას ან წამებას აყენებს დაზარალებულს.

სხეულის დაზიანება მხოლოდ ობიექტურად კი არ უნდა იყოს ჩადენილი მტანჯავი საშუალებით ან წვალებით, არამედ დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ იგი განსაკუთრებით მტანჯავი საშუალებით აყენებს პირს სხეულის დაზიანებას (წამების შესახებ იხ. 116-ე მუხლის კომენტარი).

19.სხეულის მძიმე დაზიანება, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, დაკვალიფიცირდება 110-ე მუხლის მე-საზე ნაწილში. ქმედობა დაკვალიფიცირდება 110-ე მუხლის მესამე ნაწილით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი წინასწარ იყო ცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად<sup>114</sup>.

**მუხლი 111. სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება**

სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის არ არის საშიში, მაგრამ რომელმაც გამოიწვია რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხანგრძლივი დარღვევა ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ხანგრძლივი მოშლა, რაც დაკავშირებულია შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან ერთ მესამედზე ნაკლებად, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი ტანჯვით ან წამებით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

<sup>113</sup> Сб. пост. Презид. и опред. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг., М., 1974, с. 297.

<sup>114</sup> იხ. საქართველოს სსრ სსსპს სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 262.

1. სხეულის დაზიანების ზოგადი ცნების შესახებ იხ. 110-ე მუხლის კომენტარი.

2. სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებასთან გვაქვს საქმე, თუ დაზიანება არ არის სახიფათო სიცოცხლისათვის და ამავე დროს არ შეიცავს იმ ნიშნებს, რომლებზედაც მიუთითებს 110-ე მუხლი (მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა და სხვ.). ქმედობის 111-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ დაზიანებამ გამოიწვიოს რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხანგრძლივი დარღვევა ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ხანგრძლივი მოშლა, რომელიც დაკავშირებულია შრომის უნარის ერთ მესამედზე ნაკლები ოდენობით მყარ დაკარგვასთან.

3. სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება გულისხმობს ისეთ დაზიანებას, რომელიც მისი ჩაღენის მომენტში არ იყო აღმანანის სიცოცხლისათვის საშიში და რომელსაც არ გამოუწვევია მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა ან სხვა შედეგი, რაც დამახასიათებელია სხეულის მძიმე დაზიანებისათვის. ამავე დროს სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის საჭიროა, რომ მან გამოიწვიოს ან რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხანგრძლივი დარღვევა ან ჯანმრთელობის ხანგრძლივი სხვაგვარი მოშლა, რასაც შედეგად მოჰყვა შრომის უნარის მყარი დაკარგვა ერთ მესამედზე ნაკლებად. არ არის სავალდებულო, რომ ორივე აღნიშნული ნიშანი ერთად იყოს მოცემული. საკმარისია, თუ სხეულის დაზიანებას ერთ-ერთი აღნიშნული შედეგი მოჰყვა. ნაშასადამე, სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება გვექნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას მოჰყვა რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხანგრძლივი დარღვევა შრომის უნარის დაკარგვის გარეშე, ან პირიქით, შრომის უნარის მყარი დაკარგვა თუნდაც ხანგრძლივი ავადმყოფობის გარეშე.

4. კანონი არ მიუთითებს, თუ რა უნდა ჩაითვალოს ფუნქციის ხანგრძლივი დარღვევად. ამ ცნებას აზუსტებენ „წესები სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის შესახებ“. ორგანოს ფუნქციის დარღვევად ისინი თვლიან ნაკლებ მნიშვნელოვან ორგანოს (მაგალითად, კბილების, ხელ-ფეხის თითების და სხვ. მისთ.) ან მისი ფუნქციის დაკარგვას, აგრეთვე ამ ორგანოთა ფუნქციის დროებით, მაგრამ ხანგრძლივი მოშლას, თუნდაც საბოლოოდ შრომის უნარის დაკარგვის გარეშე. სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებად „წესე-

ბი“ თვლიან რომელ-მე ფუნქციის ან ჯანმრთელობის ისეთ მოშლას, რომელიც, სულ ცოტა, 12 დღე მაინც გრძელდებოდა.

5. სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებად ითვლება აგრეთვე ისეთი დაზიანება, რომელმაც გამოიწვია შრომის უნარის დაკარგვა ერთ მესამედზე (ე. ი. 33%-ზე) ნაკლებად, მაგრამ, სულ მცირე, 10 პროცენტით მაინც. შრომის უნარის დაკარგვა უნდა იყოს მყარი, ანუ აღუდგენელი.

6. სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება 111-ე მუხლით დაკვალიფიცირდება, თუ იგი განზრახა ჩადენილი (სხეულის დაზიანების განზრახვის შესახებ იხ. სსკ 110-ე მუხლის კომენტარი).

7. 111-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, თუ იგი ჩადენილია ტანჯვით ან წამებით (ტანჯვის და წამების შესახებ იხ. 110-ე და 116-ე მუხლის კომენტარი) ან თუ ამ დანაშაულის ჩამდენი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტია<sup>115</sup>.

მუხლი 112. სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება

სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა შრომის უნარის დაუკარგავად ან შრომის უნარის აშკარად უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან საზოგადოებრივი ვაკიცხვით.

სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან საზოგადოებრივი ვაკიცხვით ან გამოიწვევს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების შეფარდებას.

1. სხეულის დაზიანების ცნების შესახებ იხ. 110-ე მუხ. კომენტარი.

2. 112-ე მუხლის I ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხეულის ისეთი დაზიანებისათვის, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა შრომის უნარის დაუკარგავად ან შრომის უნარის აშკარად უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა.

3. სხეულის მსუბუქ დაზიანებას ჯანმრთელობის მოშლით

<sup>115</sup> განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის შესახებ იხ. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები“. თბ., 1976, გვ. 254—263.

ეკუთვნის, უპირველეს ყოვლისა ისეთი დაზიანება, რომელიც საჭიროებს მოკლევადიან მკურნალობას არა უმეტეს 12 დღისა და რომელიც თავდება სრული გამოჯანსაღებით შრომის უნარის დაუკარგავად (მრავალი და საკმაოდ ფართო სისხლნაქლენთი, კანისა და კანქვეშა ქსოვილების მცირე ზომის კრილობები, წვრილ სახსართა ამოვარდნილობა, დაფის აპკის მცირე ზომის პერფორაცია, ცხვირის და ყვრიმალის ძვლების გაბზარვა და სხვ.).

4. სხეულის მსუბუქ დაზიანებას ჯანმრთელობის მოშლით ეკუთვნის აგრეთვე ისეთი დაზიანება, რომელსაც შედეგად მოჰყვა შრომის უნარის უმნიშვნელო, ან არამყარი დაკარგვა. სხეულის დაზიანება მსუბუქად ჩაითვლება, თუ არსებობს ერთ-ერთი პირობა მაინც: ან შრომის უნარის დაკარგვის უმნიშვნელობა, ანდა მისი არასიმყარე, ე. ი. ქმედობა დაკვალიფიცირდება 112-ე მუხლით მაშინ, როდესაც მან გამოიწვია შრომის უნარის უმნიშვნელო (10%-მდე), მაგრამ მყარი დაკარგვა და მაშინაც, როდესაც შრომის უნარის დაკარგვა მნიშვნელოვანია, მაგრამ არამყარია.

5. 112-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხეულის ისეთი მსუბუქი დაზიანებისათვის, რომელსაც ჯანმრთელობის მოშლა არ მოყოლია. ასეთი დაზიანება არსებობს მაშინ, როდესაც, მართალია, სხეულის ანატომიური მთლიანობა დარღვეულია, მაგრამ იგი იმდენად უმნიშვნელო ხარისხისაა, რომ არ გამოუწვევია არც ავადმყოფობა და არც რომელიმე ორგანოს ფუნქციის მოშლა. ასეთ შემთხვევებში სხეულის დაზიანება შეიძლება ატარებდეს იმდენად უმნიშვნელო ხასიათს, რომ სასამართლომ გამოიყენოს მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი ან 51-ე მუხლი.

6. ქმედობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს 112-ე მუხლით მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი განზრახაა ჩადენილი (სხეულის დაზიანების განზრახვის შესახებ იხ. 110-ე მუხლის კომენტარი).

7. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედობისათვის შეიძლება პასუხი აგოს პირმა 14 წლის ასაკიდან, ხოლო მე-2 ნაწილით — 16 წლის ასაკიდან.

8. სხეულის მსუბუქი დაზიანება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, კერძო ბრალდების საქმეებს მიეკუთვნება. მაშასადამე, საქმე სხეულის მსუბუქი დაზიანების შესახებ შეიძლება აღიძრას დაზარალებულის საჩივრით და შეწყდება დაზარალებულისა და სამართალში მიცემულის შერიგებით.

მ უ ნ ლ ი 113. სხეულის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში

სხეულის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეულია დაზარალებულის კანონსაწინააღმდეგო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით დამნაშავეის ან მისი ახლობლების მიმართ, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

1. კომენტარებული მუხლით კვალიფიცირდება სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი აფექტის მდგომარეობაში.

2. იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში გვაქვს საქმე უეცარ და ძლიერ სულიერ აღელვებასთან, იხილეთ 106-ე მუხლის კომენტარი.

3. 113-ე მუხლის დისპოზიციაში მოცემული ისეთი პირობები, როგორცაა ძლიერი სულიერი აღელვების გამოწვევა დაზარალებულის უკანონო მოქმედებით ან მძიმე შეურაცხყოფით, აგრეთვე პირობა, რომ ძალადობა ან მძიმე შეურაცხყოფა მიმართული უნდა იყოს დამნაშავეის ან მისი ახლობლების წინააღმდეგ, ემთხვევა 106-ე მუხლის დისპოზიციაში მოცემულ პირობებს (იხ. 106 მუხლის კომენტარი).

4. სხეულის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანების შესახებ იხ. 110-ე და 111-ე მუხლების კომენტარი.

5. სხეულის მსუბუქი დაზიანება უეცარი და ძლიერი აღელვების მდგომარეობაში დაკვალიფიცირდება არა 113-ე, არამედ 112-ე მუხლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1975 წლის 17 იანვრის ერთ-ერთ დადგენილებაში მითითებულია: „უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვება წარმოადგენს არა პასუხისმგებლობის გამომრიცხველ, არამედ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას, ამიტომ სხეულის მსუბუქი დაზიანება, ჩადენილი უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 112-ე მუხლით, ხოლო ის, რომ ეს დანაშაული აფექტში იყო ჩადენილი, სსკ 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად ჩაითვლება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად“<sup>116</sup>. აღნიშნული მოქმედება

<sup>116</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“. 1975, № 1, გვ. 23. იხ. აგრეთვე რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა

შეიძლება არ ჩაითვალოს დანაშაულად და საქმე შეწყდეს მცირე-მნიშვნელობის გამო მე-8 მუხლის ძალით და არა იმიტომ, რომ კანონი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი სხეულის მსუბუქი დაზიანების დასჯადობას საერთოდ არ ითვალისწინებს.

4. თუ სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებამ, რომელიც მიყენებული იყო ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია, მაშინ დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი გადაწყდება იმის მიხედვით, თუ რა ბრალი მიუქცვის დამნაშავეს ადამიანის მოკვლაში: თუ დამნაშავეს მკვლელობის მიმართ განზრახი ბრალი აქვს, მაშინ ქმედობა დაკვალიფიცირდება 106-ე მუხლით, ხოლო თუ ამ შედეგის მიმართ დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი ბრალი ჰქონდა, დანაშაული დაკვალიფიცირდება სსკ 108-ე და 111-ე მუხლების ერთობლიობით. თუ დამნაშავეს მკვლელობის მიმართ ბრალი არ ჰქონდა, მაშინ დანაშაული 113-ე მუხლით დაკვალიფიცირდება.

მუხლი 114. სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს

სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

1. 114-ე მუხლით დაკვალიფიცირდება მხოლოდ სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც შედეგად მრჰყვა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებას. თუ მომგერიებელმა თავდამსხმელს მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება, მაშინ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი საერთოდ არ დადგება.

2. იმის შესახებ, თუ როდის აქვს ადგილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებას, იხ. 107-ე მუხლის კომენტარი.

3. მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანების შესახებ იხ. 110-ე და 111-ე მუხლების კომენტარი.

4. ქმედობა დაკვალიფიცირდება 114-ე მუხლით იმის მიუხედავად, განზრახ არის იგი ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით.

---

სასამართლო კოლეგიის ანალოგიური განჩინება ჩ. ს საქმეზე, Сб. пост. Презид. и опред. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг., М., 1974, с. 295—296.

5. ამ მუხლით პასუხი შეიძლება აგოს პირმა მხოლოდ 16 წლის ასაკიდან.

**მ უ ხ ლ ი 115. სხეულის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით**

**სხეულის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, —**

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.**

**სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.**

1. სხეულის გაუფრთხილებლობით დაზიანებისათვის პირი იმ შემთხვევაში მიეცემა პასუხისგებაში, თუ ეს არის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება (სხეულის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანების შესახებ იხ. 110-ე და 111-ე მუხ. მუხ. კომენტარი). სხეულის მსუბუქი დაზიანება გაუფრთხილებლობით სისხლის სამართლის წესით არ ისჯება. იგი იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ კანონით საგანგებოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში (იხ., მაგ., მუხ. 146, ნაწ. მეორე, მუხ. 241, ნაწ. მეორე), სხვა შემთხვევებში კი შეიძლება გამოყენებული იქნეს აღმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი.

2. სხეულის დაზიანება შეიძლება მოჰყვეს ან დანაშაულებრივ თვითმედოვნებას ან დანაშაულებრივ დაუდევრობას. პირველ შემთხვევაში სუბიექტს შეგნებული აქვს, რომ ამგვარ მოქმედებას (ან უმოქმედობას) საზოგადოდ შეიძლება მოჰყვეს სხეულის დაზიანება, მაგრამ ქარაფშუტულად იმედოვნებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აიცილენ ასეთ შედეგს. მეორე შემთხვევაში სუბიექტი სრულიად არ ითვალისწინებს სხეულის დაზიანების მიყენების შესაძლებლობას, თუმცა ვალდებული იყო და შეეძლო ეს გაეთვალისწინებინა<sup>117</sup>.

3. სხეულის გაუფრთხილებლობითი დაზიანება გულისხმობს ან უსაფრთხოების რაიმე სპეციალური ნორმების ან სოციალისტურ ყოფაცხოვრებაში შექმნილი დაუწერელი გამაფრთხილებელი წესების დარღვევას, თანაც ეს დარღვევა მიზნობრივ კავშირში უნდა იყოს დამდგარ შედეგთან (იხ. 108-ე მუხ. კომენტ.).

4. დაზარალებულის მოქმედება, რომელმაც ხელი შეუწყო მის

<sup>117</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 63—75.



სხეულებრივ დაზიანებას, არ გამორიცხავს სუბიექტის პასუხისმგებლობას, თუ მას შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა მიზეზობრივი კავშირის განვითარების ძირითადი რგოლები და აეცდინა აღნიშნული შედეგის განხორციელება (იხ. 108-ე მუხ. კომენტ.). ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ მიზეზობრივი კავშირის ჩაქვში ჩართულია მესამე პირთა გაუფრთხილებლობითი მოქმედება. პირიქით, თუ მესამე პირმა განზრახ გამოიყენა სხვისი გაუფრთხილებლობა იმ მიზნით, რათა ვინმესთვის სხეულებრივი დაზიანება მიეყენებინა, გაუფრთხილებლობით მოქმედი პირის პასუხისმგებლობა ყველა შემთხვევაში გამორიცხულია. მაგალითად, ექთანმა დაუღვევრობის გამო არ შეინახა ქირურგიული დანა. ამით ისარგებლა ავადმყოფმა და სანიტართან ჩხუბის დროს მიაყენა მას მძიმე სხეულებრივი დაზიანება. ექთანს შეიძლება დაედოს მხოლოდ დისციპლინური სახდელი დაუღვევრობისათვის, მაგრამ იგი პასუხს არ აგებს გაუფრთხილებლობით სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებისათვის.

5. გაუფრთხილებლობით სხეულებრივი დაზიანების ის შემთხვევები, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებში, პასუხისმგებლობას იწვევს არა 115-ე მუხლით, არამედ შესაბამისი მუხლებით, სადაც სხეულებრივი დაზიანება გათვალისწინებულია როგორც დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი ან როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება (იხ., მაგ., მუხ. 146, ნაწ. მეორე, მუხ. 241, ნაწ. მეორე და მესამე, მუხ. 244, ნაწ. მეორე, მუხ. 250, ნაწ. მეორე და სხვ.).

6. თუ სუბიექტის განზრახვაში შედიოდა პირის ცემა, მაგრამ ამას შედეგად მოჰყვა მძიმე ან ნაკლებად მძიმე სხეულებრივი დაზიანება, რომელიც სუბიექტს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 115-ე მუხლით. სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ გაუფრთხილებლობით მძიმე ან ნაკლებად მძიმე სხეულებრივი დაზიანება შედეგად მოჰყვა განზრახ დარტყმას. სასამართლოები ზოგჯერ შეცდომას უშვებენ და განზრახი დარტყმით გამოწვეულ გაუფრთხილებლობით სხეულებრივ დაზიანებას აკვალიფიცირებენ როგორც განზრახ სხეულებრივ დაზიანებას. ჩხუბის დროს გ.-მ მუშტი ჩაარტყა თავში ხ.-ს. ხ. დაეცა, თავი კიბეს დაარტყა და მძიმედ დაშავდა. სასამართლომ გ.-ს მსჯავრი დასდო სხეულის განზრახი მძიმედ დაზიანებისათვის. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამარ-

თლოს პრეზიდენტმა, რომელმაც ეს საქმე სსრ კავშირის პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე განიხილა, აღიარა, რომ გ.-ს განზრახვას შეადგენდა დარტყმა და სხეულის მძიმედ დაზიანების შესაძლებლობას იგი არ ითვალისწინებდა, თუმცა შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა. ამიტომ გ.-ს ბრალი მიუძღვის სხეულის გაუფრთხილებლობით და არა განზრახ დაზიანებაში<sup>118</sup>.

7. კანონი ითვალისწინებს სხვადასხვა სასჯელს სხეულის დაზიანების ხარისხის მიხედვით. სხეულის მძიმე გაუფრთხილებლობითი დაზიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ხოლო ნაკლებად მძიმე გაუფრთხილებლობითი დაზიანება — გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან საზოგადოებრივი გაკაცებით.

8. სხეულის გაუფრთხილებლობითი დაზიანებისათვის პასუხს აგებს ყოველი პირი, რომელმაც 16 წელს მიაღწია.

მუხლი 116. ცემა და წამება

ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულს ფიზიკური ტკივილი მიაყენა, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან გამოიწვევს საზოგადოებრივი წემოკმედების ღონისძიებების შეფარდებას.

სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რასაც წამების ხასიათი აქვს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

1. ეს მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი — ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულს ფიზიკური ტკივილი მიაყენა, და, მეორე — სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელსაც წამების ხასიათი აქვს.

2. ცემა, როგორც წესი, გამოიხატება იმაში, რომ დაზარალებულს დამნაშავე ურტყამს რამდენჯერმე. ერთხელ გარტყმა არ ჩაითვლება ცემად. არა აქვს მნიშვნელობა, რითი სცემს დამნაშავე დაზარალებულს: ხელით, ფეხით, მათრახით თუ სხვა საგნით.

სხვაგვარ ძალადობად, რომელზედაც მითითებულია 116-ე მუხლის პირველ ნაწილში, უნდა ვიგულისხმოთ ფიზიკური ძალადობის ისეთი აქტები, როგორცაა გარტყმა (მაგ. დამნაშავემ სილა გააწნა დაზარალებულს), ხელის კერა, შებოჭვა, ხელის, კისრის ან სხვა ორგანოს გადაგრეხა და სხვ.

<sup>118</sup> Социалистическая законность, 1961, № 11, გვ. 89—90.

ძალადობის დროსაც არა აქვს მნიშვნელობა, რაიმე იარაღით მოქმედობს დამნაშავე, თუ იარაღის გარეშე.

3. ცემა ან სხვაგვარი ძალადობა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაი-სკება 116-ე მუხლის პირველი ნაწილით, როდესაც ამან დაზარალე-ბულს ფიზიკური ტკივილი მიაყენა.

თუ ცემას ან სხვაგვარ ძალადობას შედეგად მოჰყვა დამნაშავის სიკვდილი ან სხეულის მძიმე, ნაკლებად მძიმე, თუ მსუბუქი და-ზიანება მაშინ ქმედობა დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ ჰესუხისმგებლობას მკვლელობისა და სხეულის დაზიანებისათვის.

4. 116-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირდება არა უბ-რალოდ სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, არამედ ისე-თი სისტემატური ცემა და ძალადობა, რომელსაც წამების ხასიათი აქვს.

სისტემატური ცემა და ძალადობა არსებობს მაშინ, როდესაც ცემას ან ძალადობას არაერთგზისი ხასიათი აქვს, ე. ი. როდესაც იგი ჩადენილია სამჯერ ან მეტჯერ. მაგრამ სისტემატურობა არაერთ-გზისობაზე მეტს ნიშნავს. ასეთ შემთხვევებში ჩვენ გვაქვს არა მოქმედებათა განმეორების უბრალო ჯამი, არამედ შინაგანი კავ-შირი — განმეორების ტენდენცია.

ცემა და ძალადობა სისტემატურია მაშინ, როდესაც ერთხელ ცემასა თუ ძალადობას არაერთგზის მოსდევს ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, ისე რომ ტრავმა, მიღებული წინა ცემისა თუ ძალადო-ბისაგან, დაზარალებულის მეხსიერებიდან ჯერ კიდევ გამჭრალი არ არის. ის საკითხი, თუ რამდენად ახლო უნდა იყოს ერთმანეთთან ცემის ან ძალადობის ცალკეული აქტები, ანდა კონკრეტულად როდის იღებენ ისინი წამების სახეს, ფაქტის საკითხია და მისი გა-დაწყვეტის დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ცე-მის ან სხვა ძალადობის ხასიათი, დამნაშავისა და დაზარალებულის ურთიერთდამოკიდებულება და ა. შ.

წამებას უფრო ხშირად ადგილი აქვს არასრულწლოვანების, მოხუცებისა და ინვალიდების მიმართ, მაგრამ არ არის გამორი-ცხული წამების სხვა შემთხვევებიც.

წამება შეიძლება გამოიხატოს სისტემატურ ფიზიკურ შეურაც-ხყოფაში, ბნელ სარდაფში ჩამწყვდევაში, მუდმივ ცემასა თუ ფიზი-კური ტკივილის სხვაგვარად მიყენებაში და სხვ.

5. თუ სისტემატურ წამებას შედეგად მოჰყვა სხეულის მძიმე

ან ნაკლებად მძიმე დაზიანება და დამნაშავე ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, იგი პასუხს აგებს შესაბამისად 110-ე მუხლის მეორე ნაწილით ან 111-ე მუხლის მეორე ნაწილით.

6. 116-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ 16 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

7. სუბიექტური მხრივ 116-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ განზრახვით.

მ უ ხ ლ ი 117. გაუპატიურება

გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირის დაჭერა ფიზიკური ძალადობით, მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

გაუპატიურება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი ასეთივე დანაშაული, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

გაუპატიურება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ან რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ან ისჯება სიკვდილით.

(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1962 წ., № 11, მუხ. 158).

1. გაუპატიურება წარმოადგენს ქალის ნებისა და თანხმობის გარეშე მასთან სქესობრივი კავშირის დაჭერას ფიზიკური ან ფსიქიკური (მუქარა) ძალადობის მეშვეობით ანდა დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

გაუპატიურების ობიექტია ქალის სქესობრივი თავისუფლება, ხოლო როცა გაუპატიურებული არასრულწლოვანია, აგრეთვე მისი სქესობრივი ხელშეუხებლობა.

გაუპატიურების ობიექტი არ შეიძლება იყოს მამაკაცი. მამაკაცის სქესობრივი თავისუფლების ხელყოფა უნდა იქნეს კვალიფიცირებული არა როგორც გაუპატიურება, არამედ როგორც მამათმავლობა (სისხლის სამართლის კოდექსის 121 მუხლის მე-2 ნაწილი).

გაუპატიურების ობიექტი შეიძლება იყოს ყოველი ქალი, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი მორალური სახე ან როგორ დამოკიდებულებაში იმყოფება იგი დამნაშავესთან. ასე, მაგალითად, გაუპატიურება მაშინაც იქნება, თუ ქალს წინათ სქესობრივი კავშირი ჰქონდა დამნაშავესთან ან თუ იგი საზოგადოდ მსუბუქი ყოფაქცევის ქალია. მთავარი ის არის, რომ ამ კონკრეტულ მომენტში ქალთან სქესობრივი კავშირის დასაჭერად მიმართავენ ძალადობას.

2. საბჭოთა სასამართლო პრაქტიკის თანახმად, გაუპატიურებად ითვლება ქალთან იძულებითი სქესობრივი კავშირის დაჭერა არა მარტო ნორმალური ფორმით, არამედ გაუკუღმართებული ფორმითაც.

მ. ცდილობდა 4 წლის გოგონას გაუპატიურებას. რადგან ნორმალური გზით მან ეს ვერ მოახერხა, გაუკუღმართებულ ფორმას მიმართა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1964 წლის 28 მარტის დადგენილებაში ამ საქმეზე მიუთითა, რომ „დამნაშავეს განზრახვა მიმართული იყო... არასრულწლოვანთან ძალადობის მეშვეობით სქესობრივი კავშირის დაჭერაზე. ამის მხედველობაში მიღებით და საქმის კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, დამნაშავეს მოქმედება, რომელაც გამოიხატება მცირეწლოვანთან ძალადობით გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირის დაჭერაში, წინასწარი გამოძიების ორგანოებმა სწორად დააკვალიფიცირეს როგორც გაუპატიურება“<sup>119</sup>.

3. გაუპატიურება გულისხმობს ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერას ძალადობით ანუ მისი ნების წინააღმდეგ.

ძალდომიერობა ქალის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ფიზიკურ ძალადობას, ე. ი. ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერას მისი წინააღმდეგობის ფიზიკურად დაძლევათ — ჭიდილის, ცემის, სხეულის დაზიანების, შეკვრის და სხვა საშუალებით.

ქალის წინააღმდეგობა უნდა იყოს ნამდვილი და შეუპოვარი და არა მოჩვენებითი, თვალმაქცური. ამასთან დაკავშირებით ყოველთვის ისმის საკითხი: შეუძლია თუ არა მამაკაცს ფიზიკურად დაძლიოს ქალის წინააღმდეგობა და დაიჭიროს მასთან სქესობრივი კავშირი? ეს მთლიანად არის დამოკიდებული კონკრეტულ პირობებზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოძალადისა და დაზარა-

<sup>119</sup> Сб. пост. Плен. и опред. кол. ВС СССР по уголов. делам 1959—1971 гг., М., 1973, с. 242—243.

ლებულის ფიზიკური განვითარების მდგომარეობას და აგრეთვე ქალის წინააღმდეგობის შეუპოვრობას და ინტენსივობას.

4. ფსიქიკური ძალადობა ნიშნავს მუქარას, რომლის საშუალებითაც მამაკაცი აიძულებს ქალს დაიჭიროს მასთან სქესობრივი კავშირი. მუქარა უნდა შეეხებოდეს დაზარალებულის ან მისი ახლობლების მნიშვნელოვან ინტერესებს. კერძოდ იგი შეიძლება გამოიხატებოდეს მკვლელობის, სხეულის დაზიანების ან დასახიჩრების მუქარაში. „მუქარად, რომელიც გამოიყენება როგორც დაზარალებულის წინააღმდეგობის დაძლევის საშუალება მისი გაუპატიურების მიზნით, უნდა ჩაითვალოს დაზარალებულის დაშინება ისეთი მოქმედებით ან სიტყვებით, რომლებიც გამოჰხატავენ დამნაშავეს განზრახვას დაუყოვნებლივ მიმართოს ფიზიკურ ძალადობას დაზარალებულის ან მისი მახლობლების... მიმართ“<sup>120</sup>. ასეთია, მაგალითად, მუქარა დაზარალებულის ბავშვის მიმართ, რომელსაც სძინავს იქვე, ან მონიჯნავე ოთახში.

მკვლელობის და სხეულის დაზიანების მუქარა შეიძლება გამოიხატებოდეს სიტყვიერად, იარაღის დემონსტრირებით და ა. შ. მუქარა უნდა იყოს ობიექტურად საკმაოდ შთამაგონებელი და რეალური.

ამასთან საქმე ისე არ უნდა იქნეს წარმოდგენილი, თითქოს სინამდვილეში გაუპატიურება ხდებოდეს ან მხოლოდ ფიზიკური ძალადობით ან მხოლოდ მუქარის საშუალებით, ასე ვთქვათ, ხალასი სახით. უფრო სავარაუდოა შერეული ფორმა, როცა ფიზიკური ძალადობა მისი უშედეგობის გამო შეიძლება გადაიზარდოს მუქარად და პერიქით.

5. გაუპატიურება შეიძლება აგრეთვე დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, ე. ი. დაზარალებულთან სქესობრივი კავშირის დაჭერით მისი ფიზიკური ან ფსიქიკური უმწეობის გამოყენებით.

ფიზიკური უმწეობის მაგალითებს წარმოადგენს: დაზარალებულის ძალზე დაღლილობა, ფიზიკური ნაკლი, სისუსტე, გამოწვეული ავადმყოფობით და სხვა ამგვარი მდგომარეობა, რომლის შედეგად დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას გაუწიოს მოძალადეს ფიზიკური წინააღმდეგობა.

<sup>120</sup> იხ. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წ. 25 მარტის № 2 დადგენილება. „გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, СБ. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 195.

ფსიქიკური უმწეობის მაგალითებია: გრძობადაკარგულობა, ძლიერი სიმთვრალე და სხვა მდგომარეობა, როცა ქალს არ ესმის, თუ რას სჩადის მასთან დამნაშავე, და არ ძალუძს გაუწიოს მას წინააღმდეგობა.

კერძოდ, მთვრალ ქალთან სქესობრივი კავშირის დაქერა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გაუპატიურებად, როცა ქალი უმწეო მდგომარეობაში იყო, ე. ი. როცა სიმთვრალემ ისეთ დონეს მიაღწია, რომ დაუკარგა დაზარალებულს უნარი არსებული ვითარების შეგნებისა, დამნაშავეის მოქმედების მნიშვნელობის გაგებისა ან წინააღმდეგობის გაწევისა<sup>121</sup>. პირიქით, თუ მიუხედავად სიმთვრალისა, ქალს დაკარგული არ ჰქონდა არსებულ გარემოებებში გარკვევის ან წინააღმდეგობის გაწევის უნარი, არ არსებობს უმწეო მდგომარეობა და, მაშასადამე, ასეთ ქალთან სქესობრივი კავშირის დაქერა არ ჩაითვლება გაუპატიურებად<sup>122</sup>.

მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოძალადემ თვით ჩააყენა დაზარალებული უმწეო მდგომარეობაში, თუ ისარგებლა ასეთი მდგომარეობით, რომელიც მის გარეშე იყო შექმნილი. ამან შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მხოლოდ სასჯელის კონკრეტული ზომის განსაზღვრაზე.

საქ. სსრ სასამართლო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: სახალხო სასამართლომ დამნაშავედ ცნო ს. იმ-სათვის, რომ მოტყუებით და დაძალებით დააღვინა არაყი მებუფეტე ქალს ლ. კ.-ს, ხოლო როცა კ. უგრძობ მდგომარეობაში ჩავარდა, ისარგებლა ამით და გაუპატიურა იგი. საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ეს განაჩენი უცვლელად დატოვა: რესპუბლიკის პროკურორმა პროტესტი შეიტანა ამ საქმეზე, თანაც პროტესტის საბაზად იმაზე მიუთითა, რომ ქალმა არაყი ნებაყოფლობით დალია და ამით თვით ჩაიყენა თავი უმწეო მდგომარეობაში. საქ. სსრ პლენუმი სამართლიანად არ დაეთანხმა პროკურორის პროტესტს. პლენუმის 1968 წლის 8 ივნისის დადგენილებაში ნათქვამია: „პროტესტის მოტივი იმის შესახებ, რომ ლ. კ.-მ არაყი ნებაყოფლობით დალია და ამით თვითონ ჩაიყენა თავი უმწეო მდგომარეობაში, იურადიულ მნიშვნელობას მოკლებულია, რადგან საქარ-

<sup>121</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 195.

<sup>122</sup> იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წ. 2 დეკემბრის დადგენილება ვ.-ის საქმეზე. Сб. пост. Плен. и опред. кол. ВС СССР 1959—1971 гг., М., 1973, с. 254.

თველოს სსრ სსკ 117 მუხლი ითვალისწინებს სქესობრივი კავშირის დაქვრას დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, რაც მოიცავს დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში ჩაყენებას როგორც დამნაშავის მოქმედებით, ასევე სხვა გარემოებათა შედეგად<sup>123</sup>.

დაზარალებულის უმწეო მდგომარეობად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მისი ფსიქიკური დაავადება, როდესაც დაზარალებულს არა აქვს უნარი შეიგნოს იმ მოქმედების ხასიათი, მნიშვნელობა და შედეგი, რასაც მის მიმართ სჩადის დამნაშავე.

დაბოლოს, უმწეო მდგომარეობა შეიძლება არსებობდეს მცირეწლოვანობის გამო. კანონი ამაზე პირდაპირ არ მიუთითებს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წ. 25 მარტის დადგენილებაში „გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მითითებულია უმწეო მდგომარეობის ერთ-ერთ სახედ მცირეწლოვანება, როგორც დაზარალებულის ისეთი მდგომარეობა, როცა მას თავისი ფსიქიკური განუვითარებლობის გამო არ შეეძლო გარკვეულიყო იმ მოქმედებათა ხასიათში და მნიშვნელობაში, რომელსაც მასთან სჩადის დამნაშავე. ამ უკანასკნელს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ დაზარალებული იმყოფება ასეთ უმწეო მდგომარეობაში<sup>124</sup>. ამიტომ მცირეწლოვანის გაუპატიურების დადგენისას უადგილოა იმის გამოძიება, გაუწია თუ არა მან მოძალადეს წინააღმდეგობა. მეტიც, მასთან სქესობრივი კავშირის დაქვრა მისი ე. წ. „თანხმობით“ წარმოადგენს მის გაუპატიურებას. ამ „თანხმობას“ სქესობრივ კავშირზე არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. დამნაშავე ამ შემთხვევაში ბოროტად იყენებს მცირეწლოვანის შეუგნებლობას და სარგებლობს მისი უმწეობით.

ს.-მ მოტყუებით შეიყვანა ცხრა წლის სვეტლანა კ. წყლის ნაპირას ბუჩქებში, სადაც დაემუქრა და შემდეგ იქონია მასთან სქესობრივი კავშირი. როსტოვის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა თავის 1961 წლის 30 სექტემბრის დადგენილებაში ამ საქმეზე მართებულად მიუთითა: „ასეთ გარემოებებში, როდესაც სვეტლანა კ.-ს თავისი ასაკის გამო არ შეეძლო გაეგო იმ მოქმედების მნიშვნელობა, რომელსაც მის მიმართ იდენენ, ხოლო ს.-მ ისარგებლა მისი უმწეო მდგომარეობით და... დაიჭირა მასთან სქესობრივი კავშირი,

<sup>123</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1969, № 1, გვ. 11.

<sup>124</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 195.



დამნაშავის მოქმედება განხილულ უნდა იქნეს როგორც გაუპატიურება, გათვალისწინებული რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით<sup>124</sup>.

6. თანახმად სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წ. 25 მარტის დადგენილებისა „გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, „რამდენადაც რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები არ ითვალისწინებენ ისეთ ნიშანს, როგორცაა მოტყუება, ამდენად იმ პირის ქმედობა, რომელმაც მოახერხა მიეღო დაზარალებულის თანხმობა სქესობრივ აქტზე მისი ნდობის ბოროტად გამოყენებით, მაგალითად, შეგნებულად ტყუილი დაპირებით, რომ ცოლად შეირთავს, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გაუპატიურება“<sup>125</sup>.

ამგვარ შეხედულებას საჭოთა სასამართლოების პრაქტიკა უფრო ადრეც იზიარებდა. ასე, მაგალითად, რსფსრ-ს სასამართლო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: ს.-მ წინადადება მისცა ვ.-ს მისი ცოლი გამხდარიყო, უქანასკნელი დათანხმდა და მათ შეიტანეს მმაჩის ორგანოებში განცხადება ქორწინების რეგისტრაციის შესახებ, ამის შემდეგ ს.-მ კ.-სთან სქესობრივი კავშირი დაიჭირა, მაგრამ როცა ქორწინების გაფორმების დრო დადგა, ს.-მ ქორწინების რეგისტრაციაზე უარი განაცხადა. ამასობაში კ. დაორსულდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ს. დამნაშავედ სცნო კ.-ს გაუპატიურებაში. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და მიუთითა: „სასამართლომ ს. დამნაშავედ ჩათვალა მოტყუების მეშვეობით კ.-ს გაუპატიურებაში. მაგრამ ის ფაქტი, რომ რეგისტრაციის თაობაზე მმაჩ-ში განცხადების შეტანის შემდეგ ს.-მ იქონია კ.-სთან სქესობრივი კავშირი, შემდეგ კი უარი თქვა ქორწინების რეგისტრაციაზე, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ს.-ს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში მიცემას. ს.-ს მოქმედება შეიძლება გაკიცხულ იქნეს საზოგადოებრიობის მიერ როგორც

<sup>124</sup> იხ. «ВВС РСФСР», 1962, № 3, с. 16. Сб. пост. Пленума и опред. кол. ВС СССР по уголов. делам 1959—1971 гг., М., 1973, с. 242.

<sup>125</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977, ч. 2, М., 1978, с. 194.

ამორალური და მის მიმართ გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები“<sup>126</sup>.

7. გაუპატიურების სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი მამაკაცი, რომელმაც 14 წლის ასაკს მიაღწია.

8. სუბიექტური მხრით გაუპატიურება გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. დამნაშავემ იცის, რომ ის იჭერს სქესობრივ კავშირს ქალის ნებისა და თანხმობის გარეშე, ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის გამოყენებით, და სურს ეს. როდესაც დამნაშავეს ბრალად ედება უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქალის გაუპატიურება, მან შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ქალი უმწეო მდგომარეობაში იმყოფება.

9. გაუპატიურება დამთავრებულად ითვლება სქესობრივი აქტის დაწყების მომენტიდან. ამ დანაშაულის დამთავრებისათვის საჭირო არ არის, რომ სქესობრივი აქტი დასრულებული იყოს ბიოლოგიური თვალსაზრისით (ეიაკულაცია) ან რომ დაზარალებულმა ქალწულობა დაკარგოს (დეფლორაცია).

10. დამნაშავე პასუხს აგებს გაუპატიურების მცდელობისათვის, თუ მან ისეთი მოქმედება ჩაიდინა, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის განხორციელებაზე, მაგრამ ვერ მიაღწია შედეგს მისი ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო (ვერ დასძლია თვით დაზარალებულის წინააღმდეგობა, ხელი შეუშალეს ნებაზე პირებმა და ა. შ.). თანახმად სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წ. 25 მარტის დადგენილებისა „გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, „როცა სასამართლოები წყვეტენ საკითხს, ადგილი ჰქონდა თუ არა ფიზიკური ძალადობის მეშვეობით გაუპატიურების მცდელობას, მათ უნდა დაადგინონ, მოქმედებდა თუ არა სამართალში მიცემული სქესობრივი აქტის ჩადენის მიზნით და წარმოადგენდა თუ არა მის მიერ ნახმარი ძალადობა ამ მიზნის მიღწევის საშუალებას. მხოლოდ ამ გარემოებათა არსებობისას დამნაშავის ქმედობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გაუპატიურების მცდელობა. ამასთან დაკავშირებით გაუპატიურების მცდელობა უნდა განვასხვავოთ სხვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ქალის პატივის, ღირსების და პიროვნების ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (ხულიგნობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა და სხვ.)“<sup>127</sup>.

<sup>126</sup> Сб. пост. Плен. и опред. Суд. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1957—1959 гг., М., 1960, с. 16—17.

<sup>127</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 197, 198.

დამნაშავე პასუხს აგებს გაუპატიურების მომზადებისათვის, როდესაც მან შექმნა საამისოდ შეაფერისი პირობები, მაგალითად, შეიტყუა ქალი განმარტოებულ ადგილას ან ჩაუსხა სასმელში ნარკოტიკი უგრძობ მდგომარეობაში მოსაყვანად, რათა ამით გაეადვილებინა დანაშაულის ჩადენა, თუ ბოროტმოქმედმა ვერ მიაღწია თავის მიზანს მის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. სასამართლო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: არასრულწლოვანმა ტ.-მ გაიგო, რომ მისი ამხანაგები აუპატიურებენ ქალს და თვითონაც გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც ბოროტმოქმედმა ხდებოდა იმ განზრახვით, რომ მონაწილეობა მიეღო დანაშაულში, მაგრამ მისვლისთანავე მილიციის თანამშრომლებმა ყველანი დააპატიმრეს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1972 წლის 26 იანვრის განჩინებაში ამ საქმეზე ნათქვამია: „ტ.-ს მისვლა დანაშაულის ადგილზე ზ.-ს გაუპატიურების მიზნით არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც განზრახვის გამომჟღავნება, რაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს. ტ.-ს მოქმედების მიზანი იყო შეექმნა შესაძლებლობა ზ.-ს გაუპატიურებისა, ამიტომ იგი უნდა შევაფასოთ როგორც გაუპატიურების მომზადება“<sup>128</sup>.

11. დამნაშავე გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე.

გაუპატიურების ნებაყოფლობით ხელის აღებას მომზადების სტადიაზე ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავემ თვითონვე, ვისიმეს ძალდაუტანებლად, მოსპო დანაშაულისათვის შემზადებული პირობები, მაგალითად, გადააქცია სასმელი, რომელშიც ნარკოტიკი შეურია, გამოუშვა ქალი ბინიდან, სადაც გაუპატიურების მიზნით შეიტყუა, ისე, რომ ხელი არ უხლია და ა. შ., თუ ამავე დროს პირი თვლიდა, რომ მას აქვს დანაშაულის გაგრძელების შესაძლებლობა.

გაუპატიურების მცდელობაზე ხელის აღება გვექნება მაშინ, როდესაც პირი უკვე შეუდგა დანაშაულის განხორციელებას, მაგალითად, ხელ-ფეხი შეუკრა ქალს, რომ წინააღმდეგობა ვერ გაეწია, ან უკვე მიმართა შესაშინებლად მუქარას ან შექმნა ქალის უმწეო მდგომარეობა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და თავი დაანება დანაშაულის აღსრულებას, თუმცა თვლიდა, რომ ობიექტური შესაძლებლობა აქვს ბოლომდე მიიყვანოს თავისი განზრახვა.

მოტივს, რის გამოც დამნაშავემ ხელი აიღო გაუპატიურებაზე, მნიშვნელობა არა აქვს. ნებაყოფლობით ხელის ამღები მაშინაც გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მცდელობისათვის, როდესაც დანაშაულზე ხელის აღების დროს მას არ ამოძრავებდა კეთილშობილი მოტივი, არამედ, მაგალითად, შიში, რომ დანაშაული გაიხსნება და მას დასჯიან. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის 1963 წლის 16 მაისის განჩინება ა.-ს საქმეზე. შოფერმა ა.-მ, რომელიც კაჯარანიდან ერევანში მიემგზავრებოდა, სხვა მგზავრებთან ერთად მანქანაში ჩაისვა ზ., რომელსაც დაპირდა ერევანში წაყვანას. როდესაც ყველა მგზავრი თავის დანიშნულების ადგილას მიიყვანა და მანქანაში მხოლოდ ს. დარჩა, შოფერმა მოინდომა მისი გაუპატიურება. ქალი დაემუქრა, რომ მისმა ქმარმა ჩაიწერა მანქანის ნომერი და ამიტომ, თუ მას რაიმე შეემთხვევა, მას (შოფერს) ამისთვის პასუხს აგებინებენ. შოფერი ამან შეაშინა და მან დანაშაული ბოლომდე აღარ მიიყვანა. სომხეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენით ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ ქალის გაუპატიურების მცდელობაში. სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა ეს განაჩენი და თავის 1963 წლის 16 მაისის განჩინებაში მიუთითა: „კიდევაც რომ დავეთანხმით სასამართლოს, რომ ა. ნამდვილად ეცადა გაუპატიურებინა ს., მაინც მის მოქმედებაში არ შეიძლება ვალიართ იმ დანაშაულის შემადგენლობა, რაც გათვალისწინებულია სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 15-ე და 112-ე მუხლის I ნაწილით, რადგან მან ნებაყოფლობით უარი თქვა გაუპატიურებაზე. საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებზე მე-16 მუხლის... შესაბამისად ა. პასუხს არ აგებს გაუპატიურების მცდელობისათვის“<sup>129</sup>.

და აქვე შემდეგ განმარტებულია: „დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ხელის აღება არის პირის მიერ უკვე დაწყებული დანაშაულის სავსებით მიტოვება ამა თუ იმ მოტივით, როდესაც პირს შეგნებული აქვს ფაქტიური შესაძლებლობა მისი დამთავრებისა... ხოლო იმ მოტივებს, რის გამოც დანაშაულის მცდელობა ხელი აიღო დანაშაულის დამთავრებაზე, მნიშვნელობა არა აქვს იმისათვის, რათა ვალიართ, რომ პირმა ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე“<sup>130</sup>.

<sup>129</sup> «ВВС СССР», 1963, № 5, с. 25—26.

<sup>130</sup> იქვე, გვ. 26.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღები პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის, რაც მან დანაშაულზე ხელის აღების მომენტამდე მოიმოქმედა, შეიცავს რაიმე სხვა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას. გაუპატიურებაზე ხელის აღების შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედობა, საქმის გარემოებების მიხედვით, შეიცავს ხულიგნობის, ან სხეულის დაზიანების, ან ადამიანის ღირსებისა და პატივის დამცირების (შეურაცხყოფის) ან რომელიმე სხვა დანაშაულის ნიშნებს. ასეთ შემთხვევაში ქმედობის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს იმ დანაშაულის მიხედვით, რომლის დამთავრებული შემადგენლობის ნიშნები არის ბოროტმოქმედის ქმედობაში.

მოვიტანოთ მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან.

შ.-მ და ლ.-მ ამხანაგის სახლში მიიტყუეს ქალები ვ. და ფ. და დააპირეს მათი გაუპატიურება. ამისათვის მიმართეს ძალადობას, რასაც თან ახლდა ცემა და უშვერი სატყვებით ლანძღვა-გინება. ბოროტმოქმედებმა ვერ დაიყოლიეს ქალები და ბოლოს გადაწყვიტეს ხელი აეღოთ თავისი განზრახვის შესრულებაზე. მისცეს მათ შესაძლებლობა ჩაეცვათ და სახლში წასულიყვნენ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1967 წლის 16 დეკემბრის დადგენილებაში ამ საქმეზე აღნიშნა, რომ შ. და ო. პასუხს არ აგებენ გაუპატიურების მცდელობისათვის, რადგანაც მათ ნებაყოფლობით აიღეს ხელი დანაშაულზე. ამავე დროს პლენუმმა მიუთითა, რომ, „მათ პასუხი უნდა აგონ ქალის პატივისა და ღირსების განზრახ დამცირებისათვის და სხეულის განზრახ მსუბუქად დაზიანებისათვის ან ცემისათვის“<sup>131</sup>.

შესაბამის შემთხვევაში დამნაშავემ შეიძლება პასუხი აგოს არასრულწლოვანის გახრწნისათვის.

ფ. შეეცადა გაეუპატიურებინა 8 წლის გოგონა ნატაშა ლ. როგორც საქმის გარემოებებით დადასტურდა, მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა თავისი ბოროტი განზრახვა ბოლომდე მიეყვანა, მაგრამ ბოლოს შეეცადა ბავშვი და გაუშვა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ თავისი 1964 წლის 5 ივნისის განჩინებით გაათავისუფლა ფ. პასუხისმგებლობისაგან გაუპატიურების მცდელობისათვის. ამავე დროს კოლეგიამ მიუთითა, რომ ფ.-მ პასუხი უნდა აგოს იმ მოქმედებისათვის, რომელმაც მან

<sup>131</sup> იხ. «БВС СССР», 1968, № 3, с. 26.

ფაქტურად ჩაიდინა, ე. ი. გარყვნილი მოქმედებისათვის, ზადგანაც გარყვნილი მოქმედება არასრულწლოვანის მიმართ გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსში როგორც დამოუკიდებელი დანაშაული<sup>132</sup>.

12. 117-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს გაუპატიურებას, ჩადენილს მეორე და მესამე ნაწილებში მითითებული დამამძიმებელი ნიშნების გარეშე.

13. 117-ე მუხლის მეორე ნაწილი გულისხმობს გაუპატიურებას, ჩადენილს იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი ასეთვე დანაშაული. ამ ნაწილით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა პირი, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა იგი მსჯავრდებული წინათ ჩადენილი გაუპატიურებისათვის, იყო თუ არა გაუპატიურება დასრულებული და იყო თუ არა დამნაშავე გაუპატიურების უშუალო ამსრულებელი თუ თანამონაწილე.

გაუპატიურება არ ჩაითვლება განმეორებით ჩადენილად, თუ ნასამართლობა წინათ ჩადენილი გაუპატიურებისათვის მოხსნილია ამნისტიის ან პატიების წესით, ან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე თუ განმეორებითი გაუპატიურების მომენტისათვის გავიდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადები ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის, ან გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადები, რომლებიც მითითებულია ამვე კოდექსის 49-ე და 50-ე მუხლებში.

მთელ რიგ შემთხვევებში განმეორებით გაუპატიურება უნდა იქნეს კვალიფიცირებული როგორც დანაშაულთა ერთობლიობა. სახელდობრ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილება „გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მოითხოვს გაუპატიურებათა კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობის წესით, როდესაც დამნაშავეს მიერ ჩადენილია ორი ან მეტი გაუპატიურება, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილებით. უმაღლესი სასამართლო გვთავაზობს დანაშაულთა ერთობლიობის წესით კვალიფიკაციას მაშინაც, როდესაც ერთ შემთხვევაში ჩადენილია გაუპატიურების მცდელობა ან თანამონაწილეობა დანაშაულში, ხოლო მეორე შემთხვევაში — დამთავრებული გაუპატიურება<sup>133</sup>.

<sup>132</sup> იხ. «БВС СССР», 1964, № 6, с. 38—39.

<sup>133</sup> იხ. Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., т. 2, М., 1978, с. 196.

ამავე დროს, თუ დაზარალებულს პირველად ჩადენილი გაუპატიურების გამო არ აღუძრავს საქმე მოძალადის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი მეორე გაუპატიურება განმეორებით გაუპატიურებად არ ჩაითვლება. ეს იმით აიხსნება, რომ საქმე გაუპატიურების შესახებ, რომელიც კვალიფიცირდება 117-ე მუხლის პირველი ნაწილით, შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის განცხადებით.

კ. ცნობილი იყო დამნაშავედ 117-ე მუხლის მეორე ნაწილით, ვინაიდან ჯერ შეეცადა გაუპატიურებინა დაზარალებული მ., რომელიც გაექცა, და რამდენიმე ხნის შემდეგ ასევე უშედეგოდ შეეცადა გაუპატიურებინა ე. რსფსრ უმაღლესი სასამართლო კოლეგიამ არამართებულად ცნო კ.-ს მოქმედების კვალიფიკაცია 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით. კოლეგიის აზრით, მ.-ს გაუპატიურების ეპიზოდი გამორიცხულ უნდა იქნეს განაჩენიდან, ვინაიდან მ.-ს, მოძალადის დედის თხოვნის გამო, არც უშუალოდ გაუპატიურების მცდელობის შემდეგ და არც უფრო მოგვიანებით არ დაუწერია განცხადება კ.-ს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. ამიტომ, კოლეგიის აზრით, ეს ეპიზოდი არ შეიძლება შეერაცხოს კ.-ს როგორც მისი ბრალის დამამძიმებელი გარემოება<sup>134</sup>.

გაუპატიურება შეიძლება იყოს განმეორებით ჩადენილი ერთი და იმავე ქალის მიმართ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში პირველ გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობასა და მეორე გაუპატიურებას შორის უნდა იყოს გავლილი გარკვეული დრო.

14. 117-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს გაუპატიურების ოთხ დამამძიმებელ გარემოებას.

პირველი — ეს არის გაუპატიურება, ჩადენილი შეთანხმებულად პირთა ჯგუფის, ე. ი. ორი ან რამდენიმე პირის მიერ. ჯგუფის მონაწილენი უნდა ახორციელებდნენ გაუპატიურების შემადგენლობას. შემადგენლობის განხორციელება არ გულისხმობს აუცილებლად, რომ თითოეულმა თანამონაწილემ დაიჭიროს სქესობრივი კავშირი დაზარალებულთან. ჯგუფის მონაწილედ ითვლება არა მართო ის, ვინც დანაშაულის მთელ შემადგენლობას ასრულებს, არამედ ისიც, ვინც ასრულებს მის მხოლოდ ნაწილს. ამიტომ ჯგუფური გაუპატიურების მონაწილედ ითვლება ისიც, ვინც მონაწილეობას იღებს ძალადობის განხორციელებაში, მაგალითად, ხელ-ფეხს

<sup>134</sup> Сб. пост. Презид. и опред. судеб. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг., М., 1974, с. 301—302.

დაუპერს დაზარალებულს ან იარაღს დაუმიზნებს მას და ა. შ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ „ჯგუფურ გაუპატიურებად უნდა დაკვალიფიცირდეს არა მარტო იმ პირთა მოქმედება, რომლებმაც სქესობრივი აქტი ძალადობით ჩაიდინეს, არამედ იმ პირთა მოქმედებაც, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მათ დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენებით. ამასთანავე იმ პირთა მოქმედებაც, ვისაც უშუალოდ სქესობრივი აქტი არ ჩაუდენია. მაგრამ ძალადობის გამოყენებით ხელი შეუწყო სხვებს, კვალიფიცირებულ უნდა იქნეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების ანალოგიური მუხლებით“<sup>135</sup>. აქედან გამომდინარე ჯგუფური გაუპატიურების მონაწილედ შეიძლება ჩაითვალოს ქალიც.

სასამართლო პრაქტიკაში ჯგუფურ თანამონაწილეობად ითვლება აგრეთვე ისეთი თანამონაწილეობა გაუპატიურებაში, როდესაც ბოროტმოქმედი ურთიერთშეთანხმებით აუპატიურებენ არა ერთ, არამედ რამდენიმე ქალს. სკალპელებით შეიარაღებულმა კ.-მ და ს.-მ ურთიერთშეთანხმებით, გაუპატიურების მიზნით, შეიტყუეს ქალები ჩ. და დ. ბოტანიკური ბაღის სიღრმეში. კ.-მ სკალპელით დაჭრა, წააქცია და გააუპატიურა ჩ., ხოლო ს. შეეცადა ბ.-ს გაუპატიურებას, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგანაც ქალის ყვრილზე ხალხი შეგროვდა. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წ. 3 დეკემბრის დადგენილებაში ამ საქმეზე ნათქვამია: „კანონის აზრით გაუპატიურება ჯგუფურად ჩაითვლება არა მარტო მაშინ, როდესაც ერთ ქალს აუპატიურებს რამდენიმე პირი, არამედ მაშინაც, როდესაც ბოროტმოქმედი, წინასწარი შეთანხმების მიხედვით, აუპატიურებენ რამდენიმე დაზარალებულს. თანაც მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ თითოეული ბოროტმოქმედი ასრულებს სქესობრივ აქტს მხოლოდ ერთ ქალთან...“<sup>136</sup>.

ჯგუფური თანამონაწილეობა გულისხმობს პირთა შეთანხმებულ მოქმედებას და არა ბოროტმოქმედთა დანაშაულებრივი ქმე-

<sup>135</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 197. იხ. აგრეთვე რსფსრ უმაღლესი სასამართლოს განჩინება შ. და რ.-ს საქმეზე. Сб. Пост. Презид. и опред. суд. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг., М., 1973, с. 306—307.

<sup>136</sup> Сб. пост. Плен. и опред. кол. ВС СССР по уголов. делам 1959—1971 гг., М., 1973, с. 251.



დობების შემთხვევით დამთხვევას. ტ.-მ შეიყვანა ტყეში არასრულწლოვანი მ. და იქ გააუპატიურა. ამას უთვალთვალებდა კ., რომელიც ტ.-ს არ იცნობდა. კ. გამოვიდა ბუჩქებიდან და სთხოვა ტ.-ს ქალის გაუპატიურების ნებართვა. როცა ტ.-მ ნებართვა მისცა, კ.-მაც გააუპატიურა მ. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ამ საქმეზე ნათქვამია: „... ტ. და კ. წინაშე ერთმანეთს არ იცნობდნენ. მსჯავრდებულნი ერთიერთმანეთთან შეთანხმებული არ იყვნენ და ერთი-მეორეს გაუპატიურებაში დახმარებას არ უწყევდნენ. ამ პირობებში თითოეულმა პასუხი უნდა აგოს იმისათვის, რაც თვით მან ჩაიდინა“<sup>137</sup>.

ჯგუფური გაუპატიურების მონაწილენი პასუხს აგებენ 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით მე-19 მუხლზე მიუთითებლად (ე. ი. იმ მუხლზე, სადაც საუბარია თანამონაწილეობის თაობაზე).

თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილებისა, ჯგუფური გაუპატიურების ორგანიზატორის მოქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით იმ შემთხვევაშიც, როდესაც გაუპატიურების უშუალო ამსრულებელნი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის) ძალით (ე. ი. არასრულწლოვნების გამო), პასუხს არ აგებენ სისხლის სამართლის წესით<sup>138</sup>.

15. ჯგუფური გაუპატიურებისაგან უნდა განვასხვავოთ თანამონაწილეობა დანაშაულში, როდესაც პირი გამოდის წამქეზებლის, დამხმარის ან ორგანიზატორის როლში, მაგრამ უშუალო მონაწილეობას გაუპატიურებაში არ იღებს. ასეთი თანამონაწილეობა უნდა დაკვალიფიცირდეს მე-19 მუხლის მეშვიშობით.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 1975 წლის 21 იანვრის განჩინებაში მიუთითა, რომ ა.-ს ქალის გაუპატიურებაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია და ამიტომ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ამსრულებლად და დაისაჯოს ჯგუფური გაუპატიურებისათვის. საქმის მასალებით დადასტურდა, რომ ბ. დაეხმარა რ.-ს მანქანაში ჩაესვა ქალი, შემდეგ როდესაც რ. ავტომანქანაში ქალს აუპატიურებდა, რ.-ს წინადადებით ბ. გადმოვიდა მანქანიდან და მოშორებით დადგა, ხოლო გაუპატიურების დამთავრებისას ისევ დაეხმარა რ.-ს ქალი მანქანით რ.-ს ბინა-

<sup>137</sup> იხ. «БВС РСФСР», 1974, № 2, с. 10.

<sup>138</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977, т. 2, М., 1978, с. 197.

ში მიეყვანა. „ამ მოქმედებებით, — ნათქვამია კოლეგიის განჩინებაში, — ა. ფაქტიურად დაეხმარა რ.-ს მიეყვანა დაზარალებული გაუპატიურებისათვის მოსახერხებელ ადგილას, რითაც ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლით (თანამონაწილეობა) და 108-ე მუხლის I ნაწილით (გაუპატიურება)“<sup>139</sup>.

იმ შემთხვევაში, როცა გაუპატიურების ჩამდენ ჯგუფს ახასიათებს ბანდის ნიშნები (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლი), ამ ჯგუფის ქმედობა უნდა დაკვალიფიციკირდეს 78-ე მუხლისა და 117-ე მუხლის შესამე ნაწილით როგორც იდეალური ერთობლიობა.

16. 117-ე მუხლის შესამე ნაწილის თანახმად შემდგომ დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს გაუპატიურების ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. ამ ნიშნით გაუპატიურების კვალიფიკაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა დამნაშავე გაუპატიურების ჩადენამდე კანონით დადგენილი წესისამებრ ცნობილია განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად.

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი გაუპატიურების არსებობისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ როგორ დანაშაულთა ჩადენის გამო არის ცნობილი პირი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად.

17. შესამე დამამძიმებელი გარემოება, გათვალისწინებულია 117-ე მუხლის შესამე ნაწილით, ეს არის გაუპატიურება, რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა. განსაკუთრებით მძიმე შედეგად ჩაითვლება გაუპატიურების შემდეგ დაზარალებულის სიკვდილი ან თვითმკვლელობა ან სულიერი მოქმედების მოშლილობა, აგრეთვე გაუპატიურების დროს ან მასზე მცდელობისას დაზარალებულისათვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება, ე. ი. ისეთი დაზიანებისა, რასაც მოჰყვა მხედველობის, სმენის დაკარგვა, ორსულობის შეწყვეტა ან სხვა შედეგი, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით<sup>140</sup>.

გაუპატიურების კვალიფიკაციისათვის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით საჭიროა განსაკუთრებით მძიმე შედეგი რეალურად განხორციელდეს. რკინიგზის სადგურის ცოტა მოშორებით ლ. შეხვდა გზაზე მიმავალ ქალს და მოინდომა მისი გაუპატიურება. ქალის წი-

<sup>139</sup> «НВС СССР», 1976, № 1, с. 31.

<sup>140</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 196.

ნააღმდეგობის დასაძლევად ლ. ახრჩობდა მას და სიკვდილით ემუქრებოდა. ქალი გადაარჩინა მილიციელმა, რომელმაც მოულოდნელად გზაზე გამოიარა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 13 ოქტომბრის დადგენილებაში ამ საქმეზე ნათქვამია, რომ „დამნაშავის ისეთი მოქმედება, რომელიც გაუპატიურების მომენტში საფრთხეს უქმნიდა დაზარალებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მაგრამ რომელსაც მძიმე შედეგები არ მოჰყოლია, არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ დამამძიმებელ გარემოებად, რაც საფუძველს გვაძლევს დაკვალიფიცირდეს დანაშაული 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით“<sup>141</sup>.

განსაკუთრებით მძიმე შედეგად ითვლება, უპირველეს ყოვლისა, დაზარალებულის თვითმკვლელობა. ჩ.-მ გააუპატიურა არასრულწლოვანი — ა. უკანასკნელმა ვერ აიტანა მისი ღირსების ასეთი გათელვა და მაშინვე თავი მოიკლა (მატარებელს ჩაუვარდა). ბრალდებული თავს იმართლებდა იმით, რომ არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა თავისი მოქმედების ასეთი შედეგი. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ სცნო, რომ ჩ.-მ პასუხი უნდა აგოს 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით, კოლეგიამ აღნიშნა, რომ თუმცა „ჩ.-ს არ უნდოდა ქალის თვითმკვლელობა, მაგრამ მას შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ეს შედეგი“<sup>142</sup>.

შემდეგ, განსაკუთრებით მძიმე შედეგად უნდა ჩაითვალოს ქალის სიკვდილი. როგორც ქალის თვითმკვლელობა, ისე მისი სიკვდილი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს გაუპატიურებასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედება 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით არ შეიძლება იქნეს კვალიფიცირებული. ტ., რომელიც ნასვამი იყო, შეხვდა სოფლის ქუჩაში მიმავალ მთვრალ ქალს, გააუპატიურა იგი და იქვე მიატოვა. მეორე დილას ქალი ქუჩაში მკვდარი ნახეს: იგი გაყინულიყო. მორდოვის ასსრ რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ დააკვალიფიცირა ტ.-ს მოქმედება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის არა მე-3 ნაწილით, არამედ ამავე მუხლის პირველი ნაწილით და 127-ე მუხლის მე-2 ნაწილით (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხ.). რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ სწორად ცნო ეს გან-

<sup>141</sup> «BBC СССР», 1964, № 6, с. 21.

<sup>142</sup> Сб. пост. Плен. и опред. кол. ВС СССР по уголов. делам 1959—1971 гг., М., 1973, с. 252—253.

ჩინება იმის გამო, რომ დაზარალებულის სიკვდილი გამოწვეული იყო არა გაუპატიურებით, არამედ მთელი ორგანიზმის გაყინვით, რასაც ხელი შეუწყო დაზარალებულის ძლიერმა ალკოჰოლურმა სიმთვრალემ<sup>143</sup>.

გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგი საკმაოდ ხშირად გამოიხატება ქალის ფსიქიკურ დაავადებაში. გაუპატიურება ისეთ უხეშ შეჭრას წარმოადგენს ქალის სქესობრივ თავისუფლები-სა და მისი ადამიანური ღირსების სფეროში, რომ იგი სამუდამოდ მეტად მძიმე კვალს ტოვებს ქალის ფსიქიკაში და ზოგჯერ სულიერი მოქმედების დროებითი ან სამუდამოდ მოშლით თავდება. ამიტომ დამნაშავე ვერ გაიმართლებს თავს იმით, რომ მას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა ასეთი შედეგი. ქმედობის კვალიფიკაციისათვის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით არ არის აუცილებელი, რომ სულაერა შერყევა მუდმივი იყოს, საკმარისია სულიერი მოქმედების დროებით მოშლაც. აუცილებელია მხოლოდ, რომ სულაერი შერყევა მიზეზობრივ კავშირში იყოს გაუპატიურებესთან.

შ., რომელიც ნასვამი იყო, შევიდა მისთვის უცნობ მოქალაქეთა ბინაში, დაინახა მართო მყოფი ქალი, წააქცია იგი და დაუბირა გაუპატიურება. დაზარალებულმა მოძალადეს აქტიური წინააღმდეგობა გაუწია. მალე ბინაში ქალის დედაც დაბრუნდა და ქალი გაუპატიურებას გადაარჩინა. მაგრამ ძლიერი სულიერი ტრავმის შედეგად ქალი ფსიქიკურად დაავადდა. სტაციონარულმა სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ქალს აქვს ფსიქიკური დაავადება შიზოიდური სიმპტომატიკით. მუხედავად იმისა, რომ სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის ქალის მდგომარეობა უკვე დამაკმაყოფილებელი იყო, რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ მაინც სამართლიანად ჩათვალა შ.-ს მოქმედების კვალიფიკაცია 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით<sup>144</sup>.

განსაკუთრებით მძიმე შედეგად საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში ითვლება აგრეთვე ფსიქიკური დაავადების გართულება. 1963 წელს კ. დაავადებული იყო შიზოფრენიით, მაგრამ აქტიური მკურნალობის შედეგად მოხდა მტკიცე და სრული რემისია და 1965 წლის 4 იელისისათვის იგი პრაქტიკულად ჯანმრთელი იყო.

<sup>143</sup> Сб. пост. Презид. и опред. суд. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг., М., 1974, с. 304—305.

<sup>144</sup> იქვე, გვ. 307—308.

ამ დღეს კი კ.-მ მძიმე ფსიქო-ფიზიკური ტრავმა მიიღო: იგი გააუპატიურა შ.-მ. ამას მოჰყვა ავადმყოფობის მკვეთრად გაუარესება, რასაც თან ახლდა ბოდვითი იდეები, ჰალუცინაციები და სხვა მძიმე მოვლენები, რაც მოითხოვდა ხანგრძლივ სტაციონალურ მკურნალობას. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს განჩინებაში ამ საქმეზე მითითებულია, რომ სულიერი დაავადების გართულება, მისი გადასვლა მძიმე ფორმაში, რაც ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს, უშედეგოდ განსაკუთრებით მძიმე შედეგად უნდა ჩაითვალოს<sup>145</sup>.

განსაკუთრებით მძიმე შედეგი გამოიხატება აგრეთვე სხეულის მძიმე დაზიანებაში (110-ე მუხლის 1 ნაწილი).

ერთ-ერთ ასეთ შედეგად ითვლება მშობიარობის უნარის დაკარგვა. ი.-მ გააუპატიურა ბ. და გაუპატიურების პროცესში მიაყენა მას მრავალი სხეულებრივი დაზიანება. ამ დაზიანების შედეგად ბ.-მ დაკარგა ნორმალური მშობიარობის უნარი, რომელიც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად არ შეიძლება აღდგენილი ყოფილიყო ოპერაციული გზითაც კი. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ მართებულად ცნო ი.-ს მოქმედების კვალიფიკაცია 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით<sup>146</sup>.

ასეთივე ხასიათის შედეგად ითვლება სახის წარუხოცელი დამახინჯება. ტ.-მ ქალის წინააღმდეგობის დაძლევის პროცესში მიაყენა მას მრავალი დაზიანება, სცემდა თავში და ცხვირი მოაკვნიტა, რასაც მოჰყვა სახის წარუხოცელი დამახინჯება. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ სწორად მიიჩნია ტ.-ს მოქმედების კვალიფიკაცია 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით<sup>147</sup>.

იმავე კოლეგიამ ანალოგიურად დააკვალიფიცირა ტ.-ს დანაშაული, რომელმაც ქალის წინააღმდეგობის დასაძლეად ქალს ორივე ფეხის წვივი გადაუმტვრია, რაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ სხეულის მძიმე დაზიანებად ჩათვალა<sup>148</sup>.

18. 117-ე მუხლის მესამე ნაწილით პირი პასუხს აგებს, დაბოლოს, იმ შემთხვევაშიც, როდესაც გაუპატიურებულია არასრულწლოვანი, ე. ი. 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი. მნიშვნელობა არ აქვს მიაღწია თუ არა დაზარალებულმა სქესობრივ სიმწიფეს.

<sup>145</sup> Сб. пост. Плен. и опред. суд. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг., М., 1974, с. 308—309.

<sup>146</sup> იქვე, გვ. 310.

<sup>147</sup> Сб. пост. Презид. и опред. суд. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972 гг., М., 1974, с. 310—311.

<sup>148</sup> იქვე, გვ. 311.

იმისათვის, რომ დამნაშავემ პასუხი აგოს არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის, აუცილებელია მან იცოდეს ან უშვებდეს (განზრახვა) ან ჰქონდეს ვალდებულება და შესაძლებლობა გაითვალისწინოს (გაუფრთხილებლობა), რომ ის ძალადობას ხმარობს არასრულწლოვანის მიმართ. „...თუ დამნაშავე კეთილსინდისიერად ცდებოდა დაზარალებულის ფაქტიურ ასაკში, დაზარალებულის არასრულწლოვანება არ შეიძლება გამოდგეს საფუძვლად იმისათვის, რათა მისი ქმედობა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მესამე ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით“<sup>149</sup>.

19. გაუპატიურების კვალიფიცირებისას 117-ე მუხლს პირველი და მეორე ნაწილით, დაზარალებულისათვის სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების (მუხლი 111-ე) და სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანების (მუხლი 112-ე) შემთხვევაში, დამნაშავეს ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ 117-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით და არა 117-ე მუხლის ამ ნაწილები-სა და 111-ე მუხლების ერთობლიობით. ასევე, თუ გაუპატიურების მსვლელობაში დაზარალებულს მიყენებული აქვს სხეულის დაზიანება, რომელსაც მოჰყვა 110-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება), დამნაშავეს ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ 117-ე მუხლის მესამე ნაწილით, ვინაიდან გაუპატიურების შესახებ არსებული კანონის დისპოზიცია მოიცავს ძალადობის გამოყენებას და ქალის სხეულზე-რივ დაზიანებას<sup>150</sup>.

რაც შეეხება დაზარალებულის განზრახ მკვლელობას მისი გაუპატიურების შემდეგ, რამდენადაც აქ ორ დამოუკიდებელ დანაშაულთან გვაქვს საქმე, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა რეალური ერთობლიობით 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით და 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით<sup>151</sup>.

20. გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის კოდექსი მეტად მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს. კერძოდ, გაუპატიურება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე (111-ე მუხლის პირველი ნაწილი) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

<sup>149</sup> იხ. Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 197.

<sup>150</sup> იქვე, გვ. 194.

<sup>151</sup> იქვე, გვ. 189—190.

განმეორებით ჩადენილი გაუპატიურება (117-ე მუხლას მეორე ნაწილი) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ხოლო გაუპატიურება, ჩადენილი ჭკუფურად, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ან არასრულწლოვანის გაუპატიურება (117-ე მუხლის მესამე ნაწილი) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, რასაც შეიძლება დაემატოს გადასახლება ვადით ორიდან ხუთ წლამდე, ანდა ისჯება სიკვდილით.

„სასამართლოს განაჩენის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის დადგენილების თანახმად, სასამართლოებმა სიკვდილით დასჯას უნდა მიმართონ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხოლოდ მაშინ, „როდესაც მისი დანიშვნის აუცილებლობა განპირობებულია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი განსაკუთრებული გარემოებებით და დანაშაულის ჩამდენი პირის განსაკუთრებული საშიშროებით საზოგადოებისათვის. გარემოებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო სიკვდილით დასჯის გამოყენებას, ნაჩვენები უნდა იყოს განაჩენში“<sup>152</sup>.

**მ უ ხ ლ ი 118. ქალის იძულება სქესობრივი კავშირის დაქვრისათვის**

ქალის იძულება სქესობრივი კავშირის დაქვრისათვის დაზარალებულის მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

1. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტი იგეგვია, რაც გაუპატიურებისა — ქალის სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა.

2. ობიექტური მხრით ეს ქმედობა გამოიხატება ქალის ნებაზე თანდათანობითი ზეგავლენის მოხდენის შედეგად მის იძულებაში სქესობრივი კავშირის დაქვრისათვის.

3. ეს დანაშაული იმით განსხვავდება გაუპატიურებისაგან, რომ გაუპატიურების დროს დამნაშავე ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის გამოყენებით ცდილობს დაუყოვნებლივ დაიპიროს სქესობრივი კავშირი დაზარალებულთან, ხოლო ამ დანაშაულის დროს დამნაშავე ცდილობს გამოსძალოს დაზარალებულს თანხმობა სქე-

<sup>152</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1978, с. 330.

სობრივი კავშირის დაკერაზე, რისთვისაც იყენებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებული დამოკიდებულია მისგან.

ამ შემთხვევაში სქესობრივი კავშირის დაკერა ხდება გარე-გნულად თითქოს დაზარალებულის თანხმობით, მაგრამ სინამდვილეში ეს თანხმობა ნაიძულევია, ქალის თანხმობა განპირობებულია შიშით, რომ მას მატერიალურად თუ სხვაგვარად შეავიწროებენ.

იძულება გულისხმობს ქალის ნებისყოფაზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედებას. დამნაშავე შეიძლება ემუქრებოდეს ქალს, რომ გააუარესებს მის მატერიალურ მდგომარეობას, დაითხოვოს სამსახურიდან ან გადაიყვანს ნაკლებხელფასიან თანამდებობაზე, არ მისცენ კუთვნილ პრემიას ან რაიმე შეღავათს თუ უპირატესობას ან ბინის ორდერს, რაც ქალს კანონიერად ეკუთვნის, გაასახლებს მას ბინიდან და ა. შ.. პირიქით, არ ჩაითვლება იძულებად ქალის დაყოლიება სქესობრივ კავშირზე საჩუქრების დაპირებით ან უფრო მაღალ თანამდებობაზე გადაყვანის ან ისეთი შეღავათისა და უპირატესობების დაპირებით, რისი უფლებაც ქალს არ ჰქონდა. იძულებად არ ჩაითვლება აგრეთვე სამსახურგებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული ქალისათვის უბრალო წინადადების მიცემა სქესობრივი კავშირის დაკერისა, თუ ამას არ მოჰყვა თავისი მდგომარეობის გამოყენება ქალის თანხმობის მისაღებად.

პედაგოგმა ა.-მ დაიყოლია პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი პ. სქესობრივ კავშირზე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა არ ცნო ა.-ს მოქმედებაში ქალის სქესობრივ კავშირზე იძულებით დაყოლიების ნიშნები. „რაც შეეხება სამსახურგებრივ დამოკიდებულებას, — აღნიშნულია პლენუმის 1967 წლის 21 სექტემბრის დადგენილებაში ამ საქმეზე, — თუმცა ა. იმ პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელია, სადაც პ. სწავლობდა, მაგრამ საქმის მასალით დადგენილი არ არის, რომ ა.-მ ეს გარემოება გამოიყენა პ.-ს დასაყოლიებლად ინტიმურ კავშირზე. თვით ფაქტი ა.-ს ინტიმური კავშირისა სტუდენტ ქალთან თუმცა ამორალურია, მაგრამ დანაშაულს არ წარმოადგენს“<sup>153</sup>.

4. დამნაშავემ შეიძლება აიძულოს ქალი სქესობრივი კავშირი დაიკიროს არა პირადად მასთან, არამედ მისი მითითებით სხვა პირთან. ის, ვინც აიძულა, ამ შემთხვევაშიც პასუხს აგებს 118-ე მუხლით, მაგრამ მის თანაამსრულებლად ჩაითვლება და ამავე

<sup>153</sup> Сб. пост. Плен. II опред. судеб. кол. ВС СССР по уголов. делам 1959—1971 гг., М., 1973, с. 259.



მუხლით პასუხს აგებს ის პირიც, ვისთანაც ქალმა იძულებით სქესობრივი კავშირი დაიჭირა, თუ ამ პირმა იცის, რომ ქალის სქესობრივი კავშირი მასთან ნაიძულები იყო.

5. დანაშაული დამთავრებულად ითვლება სქესობრივი კავშირისადმი იძულების მომენტიდან. ამ მუხლით პასუხისმგებლობისათვის არ არის აუცილებელი, რომ იძულებას შედეგად თვით სქესობრივი კავშირის დაჭერა მოჰყვეს.

6. დანაშაულის სუბიექტია 16 წელს მიღწეული პირი, ვისგანაც დაზარალებული მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად არის დამოკიდებული. წამქეზებლად და დამხმარედ შეიძლება სხვა პირიც გამოვიდეს.

7. დაზარალებული ამ მუხლით შეიძლება იყოს მხოლოდ ქალი. თუ დაზარალებული 16 წელზე ნაკლები ხნისაა, პირი პასუხს აგებს 118-ე და 119-ე მუხლებით, ერთობლიობის წესით.

8. მატერიალური დამოკიდებულება გულისხმობს, რომ დაზარალებული დამნაშავის სრულ ან ნაწილობრივ კმაყოფიზე იმყოფება. მატერიალური დამოკიდებულება არის მაშინაც, როდესაც დაზარალებული ცხოვრობს დამნაშავის საბინაო ფართობზე და სხვა ბინაზე გადასვლის შესაძლებლობა არა აქვს.

სამსახურებრივი დამოკიდებულება არის მაშინ, როცა დაზარალებული დამნაშავის ხელქვეითია ან მის სამსახურებრივ კონტროლს ემორჩილება, სხვაგვარი დამოკიდებულება იქნება, მაგალითად, დაზარალებულის დამოკიდებულება საპყრობილას კომენდანტისაგან ან დამოკიდებულება საგამოძიებო ან სასამართლოს მუშაისაგან, როდესაც ასეთი მუშაკი ცდილობს გამოიყენოს შექმნილი მდგომარეობა, რათა აიძულოს ქალი სქესობრივი კავშირის დაჭერისათვის ამა თუ იმ შეღავათის შეპირებით თვით ამ ქალისათვის, თუ იგი მიცემულია პასუხისგებაში, ანდა ქალის მახლობელი პირისათვის, რომელიც მიცემულია პასუხისგებაში.

თუ მამაკაცი შესთავაზებს მასზე დამოკიდებულ ქალს სქესობრივი ურთიერთობის დამყარებას და ამასთან არ გამოიყენებს მას დასათანხმებლად მათ შორის არსებულ მატერიალურ, სამსახურებრივ ან სხვაგვარ დამოკიდებულებას, პასუხისმგებლობა 118-ე მუხლით არ წარმოიშვება.

9. სუბიექტური მხრით ეს დანაშაული ჩაიდინება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი ძლევს დაზარალებულის წინააღმდეგობას, ლებულობს მის იძულებ-

ბით თანხმობას მათ შორის არსებული დამოკიდებულების გამოყენებით და სურს ასეთი გზით მიაღწიოს სქესობრივ კავშირს ქალთან.

მუხლი 119. სქესობრივი კავშირი პირთან, რომელსაც წელი არ შესრულებია

სქესობრივი კავშირი პირთან, რომელსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებია, თუ ეს დამნაშავეისათვის წინასწარ იყო ცნობილი, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

იგივე ქმედობა, რომელიც ჩადენილია სქესობრივი უინის გარყვნილ ფორმებში დაკმაყოფილებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

1. დანაშაულის ობიექტია ორივე სქესის მოზარდი თაობის სქესობრივი ხელშეუხებლობა, ნორმალური სქესობრივი და ზნეობრივი განვითარება. დანაშაულის ჩამდენი ნაადრევად უღვიძებს მოზარდს სქესობრივ გრძნობას. ამასთან ერთად ნაადრევმა სქესობრივმა კავშირმა შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანის ჯანმრთელობასაც.

2. 119-ე მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ობიექტური მხარე გამოიხატება ძალდატანების გარეშე სქესობრივი კავშირის დაქერაში იმ პირთან, რომელსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებია, გოგონა იქნება ის, თუ ვაჟი. მნიშვნელობა არა აქვს იმას, მიაღწია თუ არა დაზარალებულმა სქესობრივ სიმწიფეს. სქესობრივი კავშირი მცირეწლოვანთან, რომელსაც არ ესმის იმ მოქმედების არსი, რასაც მასთან ჩადიან, განიხილება როგორც გაუპატიურება დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით (მუხ. 117-ე).

3. 119-ე მუხლის მეორე ნაწილის ობიექტური მხარე განსხვავდება ამავე მუხლის პირველი ნაწილის ობიექტური მხარისაგან. აქ, მეორე ნაწილში აღგალი აქვს არა ნორმალური სქესობრივი კავშირის დაქერას, არამედ სქესობრივი უინის დაკმაყოფილებას არაბუნებრივი, ე. ი. გაუკუღმართებული ფორმით. სწორედ ამიტომ იგი უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა. გარყვნილი ფორმები, რომლებიც ნახსენებია 119-ე მუხლში, არ მოიცავენ მამათმავლობას. ამ ქმედობას ითვალისწინებს 121-ე მუხლი.

4. დამთავრებულად 119-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული ითვლება სქესობრივი კავშირის მომენტიდან.

5. დაზარალებული ამ მუხლის მიხედვით შეიძლება იყოს არა-

სრულწოვანი 16 წლამდე, როგორც ქალი, ისე ვაჟი. უფრო ხშირად დაზარალებული ქალია. არ არის საჭირო, რომ დაზარალებული სქესობრივად მოუმწიფებელი იყოს.

6. დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხვის უნარის მქონე პირი ორივე სქესისა, ვისაც 16 წელი შეუსრულდა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილებაში „გაუპატიურების საქმეზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, პლენუმი რეკომენდაციას აძლევს სასამართლოებს მეტად ფრთხილად და ფაქიზად მოეპყრან იმ არასრულწლოვან დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, რომელთაც ბრალი ედებათ არასრულწლოვანთან სქესობრივ კავშირში და გარყვნილი ქმედობის ჩადენაში. პლენუმი მიუთითებს, რომ კანონი მიმართულია ორივე სქესის არასრულწლოვანთა ნორმალური განვითარების დაცვისაკენ და ამიტომ სასამართლოებმა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ორივე არასრულწლოვანის ასაკის, მათი პიროვნებების დამახასიათებელი თვისებების, დამდგარი შედეგების და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით უნდა იმსჯელონ, არის თუ არა მიზანშეწონილი არასრულწლოვანის მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება. უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ურჩევს სასამართლოებს არასრულწლოვანი დამნაშავეს მიმართ უფრო ფართოდ გამოიყენონ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიება<sup>154</sup>.

7. დამნაშავეისათვის ცნობილი უნდა იყოს, რომ დაზარალებულს 16 წლისათვის არ მიუღწევია. მაშასადამე, აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახვით.

#### მ უ ხ ლ ი 120. გარყვნილი ქმედობა

გარყვნილი ქმედობა იმ პირის მიმართ, რომელსაც 16 წელი არ შესრულებია, თუ ეს დამნაშავეისათვის წინასწარ ცნობილი იყო, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

1. აღნიშნული დანაშაულის ობიექტია ორივე სქესის არასრულწლოვანის ნორმალური ფიზიკური და ზნეობრივი განვითარება. გარყვნილი მოქმედება, ჩადენილი მათ მიმართ, არა მარტო ნაადრევად აღვიძებს მათში სქესობრივ გრძნობას, არამედ რყვნის

<sup>154</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг. т. 2, М., 1978, с. 198—199.

მათ, აჩვენებს გაუკუღმართებული ფორმებით სქესობრივი ეინის და-  
კმაყოფილებას.

კანონი მოითხოვს, რომ დაზარალებული არ იყოს მიღწეული  
16 წლის ასაკს. სქესობრივად მომწიფებას ამ დანაშაულისათვის  
მნიშვნელობა არა აქვს.

2. ობიექტური მხრით მოქმედება შეიძლება გამოიხატებოდეს  
ფიზიკური გარყვნით (მაგალითად, დაზარალებულის სასქესო ორ-  
განობის შეხება ან მათი გაღიზიანება, მის წინაშე სქესობრივად  
ურცხვი ქმედობის ჩადენა), ან ინტელექტუალური გარყვნით (მაგა-  
ლითად, დაზარალებულთან გამრყენელი საუბარი, პორნოგრაფიუ-  
ლი სურათების და საგნების ჩვენება და სხვ. მისთ.).

3. ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც მამა-  
კაცი, ისე ქალი, რომელმაც 16 წლის ასაკს მიაღწია.

არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის შესახებ ამ დანაშაუ-  
ლისათვის იხ. სსკ 119-ე მუხლის კომენტ. პ. მე-6.

4. სუბიექტური მხრით ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილი  
იქნეს მხოლოდ განზრახვით, ე. ი. დამნაშავეს შეგნებული აქვს,  
რომ იგი ჩადის გარყვნილ ქმედობას იმ პირთან, რომელსაც 16  
წელი არ შესრულებია.

თუ დადგენილი იქნა, რომ გარყვნილი ქმედობით დამნაშავეს  
განზრახული ჰქონდა დაეყოლიებინა დაზარალებული სქესობრივი  
კავშირის დასაქერად ან სქესობრივი ეინის გარყვნილ ფორმებში  
დასაკმაყოფილებლად, მაშინ მისი ქმედობა გადაიზრდება შესაბა-  
მისი დანაშაულისათვის მზადებაში და იგი მიეცემა სისხლის სამარ-  
თლის პასუხისგებაში საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17  
და 119-ე მუხლებით, ხოლო მამაკაცის ასეთი ქმედობა ბიჭუნას  
მიმართ მე-17 და 121-ე მუხლებით.

**მ უ ხ ლ ი 121. მამათმავლობა**

**მამათმავლობა, ესე იგი სქესობრივი კავშირი მამაკაცისა მამა-  
კაცთან, —**

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გა-  
დასახლებით იმავე ვადით.**

**მამათმავლობა, რომელიც ჩადენილია არასრულწლოვანის მი-  
მართ, ან ფიზიკური ძალადობის ან მუქარის ან დაზარალებულის  
უმწეო ან დამოკიდებული მდგომარეობის გამოყენებით, —**

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვა წლამდე.**

1. მამათმავლობის ობიექტია სქესობრივი ურთიერთობის ნორმალური, ბუნებრივი წყობა.

2. ობიექტური მხრით მამათმავლობა გამოიხატება სქესობრივი ურთიერთობის გარყვნილი, გაუკუღმარებელი ფორმით დაკმაყოფილებაში მამაკაცის მიერ მამაკაცთან.

3. მამათმავლობის სუბიექტი შეიძლება იყოს მამაკაცი 16 წლის ასაკიდან.

4. სუბიექტური მხრით ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

5. კომენტირებული მუხლი ითვალისწინებს მამათმავლობის შემადგენლობის ორ სახეს — მარტივსა და კვალიფიციურს.

მარტივი მამათმავლობა გამოიხატება მამაკაცის მიერ მამაკაცთან სქესობრივი ურთიერთობის ნებაცხადობით დაკმაყოფილებაში, მეორე ნაწილში მითითებული მაკვალიფიცირებელი ნიშნების გარეშე. ამ შემთხვევაში არ არსებობს დაზარალებულის ცნება. მამათმავლობის ორივე მონაწილე პასუხს აგებს ამ მუხლის პირველი ნაწილით.

6. მეორე ნაწილი მოიცავს მამათმავლობას, რომელიც ჩადენილია:

ა. არასრულწლოვანის მიმართ. ამ შემთხვევაში დამნაშავე გაძლიერებულად აგებს პასუხს იმის გამო, რომ მან ჩაიდინა მამათმავლობა არასრულწლოვანთან, თუნდაც მისი თანხმობით. ვინაიდან საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 12-ე მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე თექვსმეტი წელი შეუსრულდა, თუ მამათმავლობას ადგილი ჰქონია თექვსმეტი წელს მიღწეულ არასრულწლოვანთან და მისი თანხმობით, ეს არასრულწლოვანიც პასუხისმგებელია, ოღონდ ამ მუხლის პირველი ნაწილით; ხოლო თუ ორივე პირი 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანია, ისინი პასუხს აგებენ 121-ე მუხლის პირველი ნაწილით.

არასრულწლოვანთან მამათმავლობის დროს დამნაშავემ უნდა იცოდეს, რომ დაზარალებული არასრულწლოვანია ან შეგნებულად უნდა უშვებდეს, რომ დაზარალებული შესაძლოა არასრულწლოვანი იყოს.

ბ. ფიზიკური ძალადობის, მუქარისა და დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით (იხ. 117-ე მუხლის კომენტარი).

გ. დაზარალებულის დამოკიდებული მდგომარეობის გამოყენებით (იხ. 118-ე მუხლის კომენტარი).

მუხლი 122. ვენერული სენის შეყრა ან ვენერული სენის მკურნალობისათვის თავის არიდება

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისაგან მიღებული გაფრთხილებების შემდეგ ვენერული სენის მკურნალობისაგან თავის არიდება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე.

წინასწარი შეცნობით ვენერული სენის შეყრის საფრთხეში სხვა პირის ჩაყენება სქესობრივი კავშირით თუ სხვაგვარი ქმედობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე.

ვენერული სენის შეყრა სხვა პირისათვის იმ პირის მიერ, რომელმაც იცოდა, რომ ეს სენი სჭირდა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ადრე გასამართლებული იყო სხვა პირისათვის ვენერული სენის შეყრის გამო, აგრეთვე 'ორი ან მეტი პირისათვის ან არასრულწლოვანისათვის ვენერული სენის შეყრა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულება, „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1971, № 10, მუხ. 171).

1. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქმნის ვენერული დაავადების შეყრის საფრთხეს სხვა ადამიანებისათვის. ვენერულ სენად ითვლება სიფილისი, ათაშანგი, სუსუნატი და სხვ.

ვენერული სენი მძიმე ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ხანგრძლივი სერიოზული მკურნალობა სჭირდება და მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით—თუ პირი არ მკურნალობდა ან ცუდად მკურნალობდა, შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად მავნე შედეგები მოჰყვეს (პროგრესული დამბლა, შვილის ყოლის უნარის დაკარგვა და სხვა). სწორედ ამიტომ არის, რომ ჯანმრთელობის ორგანოებს ევალებათ მთელი რიგი პროფილაქტიკურ-

სამკურნალო ღონისძიებათა განხორციელება. ამასთან ერთად ვენერულ სენთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე სისხლანსამართლებრივ ღონისძიებებსაც.

2. 122-ე მუხლი ითვალისწინებს სამი სახის დანაშაულს. პირველი — ეს არის ვენერული სენის მკურნალობისათვის თავის არიდება. ასეთი მოქმედება ისჯება იმ შემთხვევაში, როდესაც ჯანმრთელობის ორგანოები გააფრთხილებენ ვენერული სენით დაავადებულს მკურნალობის აუცილებლობის შესახებ და იგი მაინც თავს არიდებს მკურნალობას. არსებული კანონმდებლობისა და სამკურნალო დაწესებულებათა პრაქტიკაში მიღებული წესის მიხედვით ავადმყოფს უნიშნავენ სავალდებულო მკურნალობას, აფრთხილებენ მას, რომ იგი მოვალეა დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური წესები და, ამავე დროს, პასუხისმგებლობის რაღით, ჩაატაროს მკურნალობა.

მკურნალობისათვის თავის არიდება შეიძლება გამოიხატოს არა მარტო იმაში, რომ ავადმყოფი აშკარად აცხადებს უარს მკურნალობაზე, უარს ამბობს დანიშნული მედიკამენტების მიღებაზე, იპარება სამკურნალო დაწესებულებებიდან, არანაღ იმაშიც, რომ იგი სისტემატურად არ ცხადდება დანიშნულ ვაჯანზე სამკურნალო დაწესებულებაში და ამით ხელს უშლის თავის გამოჯანმრთელებას, განაგრძობს ალკოჰოლური სასმელების მიღებას, ნიჟნედავად სასტიკი აკრძალვისა და ა. შ.

3. 122-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ. პირმა იცის, რომ დაავადებულია ვენერული სენით, ისიც იცის, რომ უკვე მიღებული აქვს გაფრთხილება და, მიუხედავად ამისა, არ ემორჩილება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს მოთხოვნას და არ მკურნალობს.

4. 122-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს საფრთხის შემქმნელ დელიქტს: სხვა პირის ჩაყენებას ვენერული სენის შეყვრის საფრთხეში. ამ დანაშაულის დამთავრებისათვის არ არის საჭირო, რომ საფრთხეს მოყვეს მისი რეალიზაცია, ე. ი. რომ ვენერული სენით დაავადებულმა ნამდვილად შეყაროს ეს სენი სხვა პირს. თუ ასეთი შედეგი განხორციელდა, მაშინ დამნაშავის მოქმედება დაკვალიფიცირდება არა 122-ე მუხლის მეორე ნაწილით. არამედ ამ მუხლის მესამე ნაწილით. მაშასადამე 122-ე მუხ. მე-2 ნაწ. გულისხმობს, რომ დამნაშავის მოქმედების შედეგად არსებობდა მეორე პირისათვის ვენერული სენის შეყვრის რეალური და კონკრეტული საფრთხე.

5. აღნიშნული დანაშაულის სუბიექტი, თანახმად სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1973 წ. 8 ოქტომბრის დადგენილებისა „ვენერული სენის შეყრის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, ვინც თვით არის დაავადებული ვენერული სენით<sup>155</sup>. მაშასადამე ამ დანაშაულის სუბიექტად არ შეიძლება ჩაითვალოს მედიცინის მუშაკი, რომელსაც უშუალო კონტაქტი აქვს ავადმყოფთან და ამ გზით შეიძლება შექმნას ვისიმე დაავადების საშიშროება.

6. ჩვეულებრივად ვენერული სენის სხვა პირისათვის შეყრის საფრთხე იქმნება სქესობრივი კავშირით. მაგრამ გამორიცხული არ არის საფრთხის შექმნა რაიმე სხვაგვარი მოქმედებითაც. „სხვაგვარ მოქმედებად“, სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოხსენებული დადგენილების თანახმად, უნდა ჩაითვალოს „ვენერული სენით დაავადებულის მიერ ყოფაქცევის ჰიგიენური წესების დარღვევა ოჯახში, ყოფა-ცხოვრებაში, სამუშაოზე და ა. შ., რასაც ავადმყოფისათვის წინასწარი შეცნობით შეეძლო ჩაეყენებინა სხვა პირი ვენერული სენის შეპყრობის საფრთხეში“<sup>156</sup>.

7. სუბიექტური მხრით აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახვ. პირმა იცის, რომ დაავადებულია ვენერული სენით, რომ იგი თავისი მოქმედებით ქმნის სხვა პირისათვის ამ სენის შეყრის საფრთხეს და სურს ეს საფრთხე ან უშვებს მას.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1973 წ. 8 ოქტომბრის დადგენილება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს 122-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარის დადგენას. ამ დადგენილების თანახმად, „სასამართლომ უნდა დაადგინოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ, რომ განსასჯელმა იცოდა თავისი ავადმყოფობის შესახებ (მაგალითად, სამკურნალო დაწესებულების გაფრთხილება ან სხვა გარემოება, რომელიც მოწმობს, რომ განსასჯელმა იცოდა, თუ რით არის დაავადებული, და იცოდა ისიც, რომ მისი დაავადება გადამდებია)“<sup>157</sup>.

8. ზემოთ მოხსენიებული დადგენილების თანახმად, სუბიექტი პასუხს აგებს 122-ე მუხლის მეორე ნაწილით არა მარტო ავადმყოფობისა და მისი მკურნალობის პერიოდში შექმნილი საფრთხი-

<sup>155</sup> «ВВС СССР», 1973, № 6, с. 17.

<sup>156</sup> იქვე.

<sup>157</sup> იქვე.



სათვის, არამედ აგრეთვე იმ საფრთხის შექმნელი მოქმედებისათვის (მაგალითად, სქესობრივი კავშირისათვის), რომელიც მან ჩაიდინა სამკურნალო დაწესებულების მიერ დანიშნული საკონტროლო დაკვირვების პერიოდში, ვიდრე იგი აღრიცხვიდან არ მოიხსნება<sup>158</sup>. როგორც ცნობილია, ვენერული სენით დაავადებული განკურნებულიად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ სამედიცინო დაწესებულება ჩაატარებს კლინიკურ-ლაბორატორიულ გამოკვლევებს და ამის შემდეგ მოხსნის მას ვენდისპანსერის აღრიცხვიდან.

9. პლენუმის ზემონახსენები დადგენილება შეიცავს აგრეთვე დებულებას, რომ დაზარალებულის თანხმობა, რათა იგი ჩაყენებულ იქნეს ვენერული სენის შეყრის საფრთხეში, არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ვენერული სენით დაავადებულს. მაგალითად, თუ ერთ-ერთმა მხარემ იცის, რომ მეორე მხარე დაავადებულია ვენერული სენით და, მიუხედავად ამისა, მაინც თანახმაა დაიჭიროს მასთან სქესობრივი კავშირი, ეს არ გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ვენერული სენით დაავადებულს.

10. 122-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს ვენერული სენის შეყრას სხვა პირისათვის, თუ პირმა იცის, რომ იგი დაავადებულია ამ ავადმყოფობით.

აღნიშნული დანაშაულის ობიექტური მხარე გულისხმობს ისეთ მოქმედებას, რომელმაც გამოიწვია სხვა ადამიანის ვენერული სენით დაავადება. ეს არის შედეგიანი დელიქტი, მაშასადამე, სუბიექტის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი.

როგორც წესი, ვენერული სენის შეყრა ხდება ხოლმე სქესობრივი კავშირის მეშვეობით. მაგრამ ვენერული სენის შეყრა შეიძლება სხვა საშუალებებითაც, კერძოდ სანიტარულ-პიგიენური წესების დაუცველობით (საერთო ჭურჭლის ან საერთო კბილის ჭაგრის ხმარებით და სხვ. მისთ.).

11. დაზარალებულის თანხმობა ამ შემთხვევაშიც არ გამორიცხავს ქმედობის მართლსაწინააღმდეგო და, მაშასადამე, დანაშაულებრივ ხასიათს (იხ. ამ მუხლის კომენტ., პ. მე-9).

12. ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ვენერული სენით დაავადებული (იხ. 122-ე მუხ. კომენტ., პ. მე-5).

თუ პირი თვითონ არ არის დაავადებული ვენერული სენით,

მაგრამ სანიტარულ-ჰიგიენური წესების დარღვევის მეშვეობით შე-  
ყრის ვენერულ სენს სხვა პირს იგი პასუხს აგებს არა 122-ე მუხ-  
ლით. არამედ შესაბამისი მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სხვა  
პირის განზრახ ან გაუფრთხილებლობით სხეულებრივ დაზიანებას.  
ასეთი შემთხვევა იქნება, მაგალითად, თუ ვინმემ შურისძიების  
მიზნით ვენერული სენით დაავადებულის კბილის ჯაგრისი შეაპარა  
თავის მტერს იმ მიზნით, რომ ისიც დაავადებულიყო. თუ ბოროტ-  
მოქმედის გეგმა მართლაც განხორციელდა, იგი პასუხს აგებს არა  
122-ე მუხლით, არამედ შესაბამისი მუხლით განზრახვი სხეულებ-  
რივი დაზიანების შესახებ.

13. სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული მავენ შედეგის მიმართ  
შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებ-  
ლობით, მაგრამ ორივე შემთხვევაში აუცილებელია პირმა იცოდეს,  
რომ მას ვენერული სენი სჭირს. დანაშაული განზრახ იქნება ჩადე-  
ნილი, როდესაც პირი ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით  
მან შეიძლება შეპყაროს ვენერული სენი მეორე პირს და სურს  
ასეთი შედეგი (პირდაპირი განზრახვა) ან შეგნებულად უშვებს,  
რომ მის მოქმედებას ასეთი შედეგი მოჰყვება (ევენტუალური გან-  
ზრახვა). გაუფრთხილებლობას ადგილი ექნება მაშინ, როცა პირმა  
საზოგადოდ იცის, რომ ასეთი ხასიათის მოქმედებას შეიძლება  
მოჰყვეს სხვა პირისათვის ვენერული სენის შეყრა, მაგრამ დარწმუ-  
ნებულია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მავენ შედეგი რაიმე  
გარემოების გამო არ განხორციელდება. გაუფრთხილებლობით  
ბრალი შეიძლება არსებობდეს არა მარტო თვითიმედოვნების, არა-  
მედ აგრეთვე დაუდევრობის ფორმითაც, ე. ი. როცა პირი არ ით-  
ვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს  
ვენერული სენის გადადება, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა, და  
შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა ეს გარემოება. მაგალითად,  
პირმა იცის, რომ ის ვენერული სენით არის დაავადებული, მაგრამ  
ფიქრობს, რომ ამ სენის გადადება საერთო ჯაგრისის ან საერთო  
პირსახოცის თუ ჭურჭლის ხმარებით არ შეიძლება. თუმცა ეს გა-  
რემოება უნდა სცოდნოდა და შეეძლო კიდევ სცოდნოდა.

თუ პირმა არ იცის, რომ ვენერული სენით არის დაავადებული,  
მისი ბრალი 122-ე მუხლით გამორიცხულია.

14. 122-ე მუხლის მეოთხე ნაწილში გათვალისწინებულია ვე-  
ნერული სენის შეყრა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.

დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება: ა) დანაშაულის ჩადენა  
იმ პირის მიერ, ვინც წინათ გასამართლებული იყო სხვა პირისათ-

ვის ვენერული სენის შეყრის გამო (ე. ი. 122-ე მუხლის მესამე ნაწილით:) ბ) ვენერული სენის შეყრა ორი ან მეტი პირისათვის და გ) ვენერული სენის შეყრა არასრულწლოვანისათვის.

15. საზოგადოების ჯანმრთელობის უზრუნველყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვენერული სენით დაავადებულ პირთა დროზე გამოვლინებას და მკურნალობას. ამიტომ პლენუმის ზემონახსენები დადგენილება წინადადებას აძლევს სასამართლოებს ცნობები იმ პირების შესახებ, რომელთაც კონტაქტი ჰქონდათ ვენერული სენით დაავადებულთან, მაგრამ წინათ ცნობილი არ იყვნენ ჯანმრთელობის ორგანოებისათვის, აუცილებლად გადასცენ ორგანოებს მათ მიმართ სამედიცინო ხასიათის პროფილაქტიკური ღონისძიებების მისაღებად<sup>159</sup>.

16. ამასთან ერთად სასამართლოებს ევალებათ გამოიტანონ კერძო განჩინებები სათანადო უწყებებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ ვენერულ დაავადებათა გავრცელებას<sup>160</sup>.

ნ უ ხ ლ ი 123. აბორტის უკანონოდ გაკეთება

ექიმის მიერ აბორტის გაკეთება საავადმყოფოს ან სამშობიარო სახლის გარეშე ან ანტისანიტარულ პირობებში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, საექიმო საქმიანობის აკრძალვით ვადით სამ წლამდე ან ასეთი აკრძალვის გარეშე.

აბორტის გაკეთება იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილში გათვალისწინებული აბორტის გაკეთება ხელობის სახით ან აბორტის გაკეთება, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი ან სხვაგვარი მძიმე შედეგები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან რვა წლამდე, საექიმო საქმიანობის აკრძალვით ვადით ხუთ წლამდე.

1. აბორტის საერთო აკრძალვა, რომელიც წინათ არსებობდა, გაუქმდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 23 ნოემბრის ბრძანებულებით „აბორტების აკრძალვის გაუქმების შესახებ“<sup>161</sup>. ამჟამად აბორტი ისჯება არა როგორც ჩანასახის სიცო-

<sup>159</sup> «БВС СССР», 1973, № 6, с. 18.

<sup>160</sup> იქვე.

<sup>161</sup> იხ. Ведомости Верховного Совета СССР, 1955, № 22, с. 425.

ცხლისუნარიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, არამედ როგორც დანაშაული, რომელიც საფრთხეში აგდებს ქალის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ზემოაღნიშნულს გამო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1955 წლის ინსტრუქცია „ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის (აბორტის) ოპერაციის გაკეთების შესახებ“ დასაშვებად თვლის აბორტს, თუ იგი გაკეთებულია ექიმის მიერ სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში და თუ სამედიცინო თვალსაზრისით არ არსებობს აბორტის საწინააღმდეგო ჩვენება. ამის შესაბამისად 123-ე მუხლი ითვალისწინებს არა საზოგადოდ აბორტის, არამედ კანონსაწინააღმდეგო აბორტის დასჯადობას.

2. აბორტი ნიშნავს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტას. ჩვეულებრივად იგი ხდება ოპერაციის გზით. მაგრამ აბორტი შეიძლება გაკეთდეს, აგრეთვე სპეციალური ხელსაწყოთი ქალის საშოს გაფართოების ან ქალიათავის რაიმე წამლის მიცემის მეშვეობით. უკანასკნელ საშუალებებს, როგორც წესი, მიმართავენ ისეთი პირები, რომლებსაც სპეციალური საექიმო განათლება არა აქვთ.

3. 123-ე მუხლი განასხვავებს უკანონო აბორტს, რომელიც გაკეთებულია ექიმის მიერ, და აბორტს, რომელიც გაკეთებულია უმალღესი საექიმო განათლების არამქონე პირის მიერ. ამ უკანასკნელის მიერ აბორტის გაკეთება უფრო მეტ საფრთხეს ქმნის ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და ამიტომ კანონი მისთვის უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებს.

4. ექიმად ითვლება უმალღესი საექიმო განათლების მქონე პირი. არ არის სავალდებულო, რომ იგი გინეკოლოგი იყოს. ექიმად ითვლება სხვა საექიმო სპეციალობის წარმომადგენელიც (ქირურგი; თერაპევტი). მაგრამ ზოგიერთი საექიმო სპეციალობაც არ იძლევა აბორტის გაკეთების უფლებას. ასეთებია სტომატოლოგია, ეპიდემიოლოგია, მიკრობიოლოგია. ექიმად არ ჩაითვლება საშუალო სამედიცინო განათლების მქონე პირი.

5. ექიმის პასუხისმგებლობა აბორტისათვის გათვალისწინებულია 123-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამ მუხლის თანახმად ექიმი პასუხს აგებს აბორტისათვის ორ შემთხვევაში: როდესაც აბორტი გაკეთებულია საავადმყოფოს ან სამშობიარო სახლის გარეშე და როდესაც აბორტის გაკეთების დროს დაცული არ იყო სანიტარიის მოთხოვნები, თუნდაც იგი სათანადო სამკურნალო დაწესებულებაში იყოს გაკეთებული.

6. ექიმი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან სამკურნალო დაწესებულების გარეშე აბორტის გაკეთებისათვის, თუ აბორტის დაუყოვნებლივ გაკეთება აუცილებელი იყო ქალის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, მაგრამ რადგანაც სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ზემონახსენები ინსტრუქციის თანხმად უკანონო აბორტად ითვლება აგრეთვე აბორტის გაკეთება მისი საწინააღმდეგო ჩვენების დროს, ასეთი აბორტიც უკანონოდ უნდა ჩაითვალოს. აბორტის საწინააღმდეგო ჩვენება არსებობს შემდეგი დაავადებების დროს: მწვავე გონორეა, სასქესო ორგანოების მწვავე ანთებითი პროცესები, ჩირქოვანი პროცესი; ორგანიზმის რა ნაწილშიც არ უნდა იყოს იგი ლოკალიზებული. გარდა ამისა, აბორტის საწინააღმდეგო ჩვენება არსებობს მაშინ, როდესაც ფეხმძიმობა 12 კვირას აღემატება, აგრეთვე მაშინ, როცა წინათ გაკეთებული აბორტის შემდეგ ექვს თვეზე ნაკლები გავიდა.

7. ექიმი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან სამკურნალო დაწესებულების გარეშე აბორტის გაკეთებისათვის, თუ აბორტის დაუყოვნებლივ გაკეთება აუცილებელი იყო ქალის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და საავადმყოფოში გადაყვანას შეიძლებოდა ქალის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა საფრთხეში ჩაეგდო.

ექიმი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, როცა ქალის ორსულობიდან 12 კვირაზე მეტი გავიდა ან სხვა საწინააღმდეგო ჩვენების არსებობისას, თუ აბორტის გაკეთება აუცილებელი იყო ქალის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას, რომელიც გამორიცხავს ქმედობის მართლწინააღმდეგობას.

8. 123-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს აბორტისათვის უმაღლესი საექიმო განათლების არამქონე პირების პასუხისმგებლობას. ასეთებად ითვლებიან არა მარტო ის პირები, რომლებსაც არავითარი სამედიცინო განათლება არა აქვთ, არამედ ისეთებიც, რომლებსაც თუმცა აქვთ სამედიცინო განათლება, მაგრამ არა უმაღლესი (მაგალითად, ექთანი, ბებია-ქალი, ფერშალი და ა. შ.). ასეთ პირებს აბორტის გაკეთება ყველა შემთხვევაში აკრძალული აქვთ. მათ შეუძლიათ თავი გაითავისუფლონ პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ მაშინ, როცა აბორტი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით იყო გამოწვეული, მაგალითად, წარმოად-

გენდა ამ პირობებში ერთადერთ საშუალებას ქალის სიცოცხლის გადასარჩენად.

9. უკანონო აბორტი უნდა განვასხვავოთ სხეულის მძიმე დაზიანებისაგან, რომლის შედეგიც იყო ორსულობის შეწყვეტა (110-ე მუხლი). ეს უკანასკნელი გულისხმობს ცემას, წამებას, დაქრას ან სხვა მისთ., რასაც შედეგად მოჰყვა მუცლის მოშლა, და არა მოქმედებას, უშუალოდ მიმართულს აბორტის გამოსაწვევად (ოპერაცია, სპეციალური ხელსაწყოთა ხმარება საშვილოსნოს გაფართოებისა და ჩანასახის გამოძევებისათვის ან საამისოდ წამლის მიცემა).

10. სუბიექტური მხრივ აბორტი შეიძლება მხოლოდ განზრახი ბრალით გამოიხატებოდეს. თუ უკანონო აბორტის გამკეთებელია ექიმი, მისი განზრახვა მოიცავს იმ ფაქტის შეგნებას, რომ იგი ხელოვნურად წყვეტს ორსულობას და მისი მოქმედება მართლსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებს, ხოლო როცა აბორტს ისეთი პირი აკეთებს, ვისაც უმალღესი სამედიცინო განათლება არა აქვს, მისი განზრახვა საკმარისია მოიცავდეს მხოლოდ იმ ფაქტის შეგნებას, რომ იგი აბორტს აკეთებს. დანაშაულის მოტივს, აგრეთვე მიზანს, რისთვისაც დამნაშავე აბორტს აკეთებს, სუბიექტის პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ეს მომენტები შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული მხოლოდ სასჯელის კონკრეტული ღონისძიების დანიშვნის დროს როგორც ბრალის შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებანი. მაგალითად, ანგარების მოტივი ჩაითვლება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. პირიქით, თუ აბორტი ჩადენილია თვით ქალის დაჟინებითი თხოვნით და სიბრაღულის გრძნობის ზეგავლენით, ეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება იქნება.

11. 123-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი აბორტისათვის. მუხლის ამ ნაწილით აბორტის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ექიმი, რომელმაც სამკურნალო დაწესებულების გარეშე ან ანტისანიტარულ პირობებში გააკეთა აბორტი, ისე ის პირი, ვისაც უმალღესი საექიმო განათლება არა აქვს. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად აბორტი მაშინ ითვლება, როცა იგი ხელობის სახით ხდება ან როცა მას ორსული ქალის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა.

12. ხელობის სახით აბორტი გვაქვს მაშინ, როდესაც იგი ორჯერ მაინც არის გაკეთებული, თუნდაც დამნაშავეს არც ერთისთვის

ნასამართლობა არ ჰქონდეს, თუ ამავე დროს აბორტის კეთება დამნაშავეს შემოსავლის წყაროდ აქვს გადაქცეული.

13. მეორე დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ქალის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი. სხვა მძიმე შედეგად ითვლება სხეულის მძიმე დაზიანება, რომელსაც უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ქალის უნაყოფობა.

სუბიექტური დამოკიდებულება ქალის სიკვდილის მიმართ 123-ე მუხლის მეორე ნაწილით შეიძლება მხოლოდ გაუფრთხილებლობით გამოიხატებოდეს. დანაშაულებრივ თვითიმედოვნებას ადგილი ექნება მაშინ, როდესაც უკანონო აბორტის გამკეთებელი ითვალისწინებს, რომ ასეთმა აბორტმა შეიძლება საზოგადოდ სიკვდილი გამოიწვიოს, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს შედეგი არ დადგება. დანაშაულებრივ დაუდევრობას ადგილი ექნება მაშინ, როდესაც პირი არ ითვალისწინებს, მაგრამ შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ასეთ პირობებში აბორტის გაკეთებას შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა ქალის სიკვდილი. განზრახვა ქალის სიკვდილის მიმართ 123-ე მუხლის მესამე ნაწილით გამოირიცხულია. თუ უკანონო აბორტის გამკეთებელი ითვალისწინებდა მისი მოქმედების შედეგად ქალის სიკვდილის შესაძლებლობას და შეგნებულად უშვებდა ასეთ შედეგს, ე. ი. თუ დამნაშავე მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით ქალის სიკვდილის მიმართ, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს არა 123-ე მუხლის მესამე ნაწილით, არამედ 104-ე მუხლის მე-5 პუნქტით (წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა).

რაც შეეხება სხვა მძიმე შედეგს, რომელიც შეიძლება გამოიხატებოდეს სხეულის მძიმე დაზიანებაში, აბორტის გამკეთებლის ბრალი მის მიმართ შეიძლება იყოს როგორც გაუფრთხილებლობითი, ისე განზრახვითი.

14. სისხლის სამართლის კოდექსი სპეციალურად არ ითვალისწინებს ქალის იძულებას აბორტისათვის. ასეთი მოქმედება მოცემულია 135-ე მუხლით, რომელიც სჯის ძალდატანებით ან დასასჯელი მუქარით სხვა პირის იძულებას შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება (იხ. 135-ე მუხ. კომენტ.). ეს მუხლი გამოყენებული უნდა იქნეს ყველა შემთხვევაში, როცა ქალი აიძულეს, გაეკეთებინა აბორტი, თუნდაც აბორტი გაკეთებული იყოს საავადმყოფოს პირობებში და ექიმის მიერ.

15. ექიმის მიერ აბორტის უკანონო გაკეთება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოე-

ზით იმავე ვადით. დამატებითი სასჯელის სახით ექიმს შეიძლება დაენიშნოს საექიმო საქმიანობის აკრძალვა ვადით სამ წლამდე. აბორტის გაკეთება იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს სამედიცინო განათლება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

აბორტის გაკეთება დამამძიმებელ გარემოებებში საქმაოდ მძიმე სასჯელს იწვევს — თავისუფლების აღკვეთას ორიდან რვა წლამდე, ხოლო თუ ასეთი აბორტი ექიმმა გააკეთა — მას დამატებით ენიშნება თავისუფლების აღკვეთასთან ერთად საექიმო საქმიანობის აკრძალვა ხუთი წლის ვადით.

**მ უ ხ ლ ი 124. ალიმენტის გადახდის ან შეიღების რჩენისათვის ბოროტად თავის არიდება**

მშობლების მიერ ბოროტად თავის არიდება შეიღების რჩენისათვის სასამართლოს მიერ დადგენილი სახსრების გადახდისაგან, აგრეთვე მშობლების მიერ თავის არიდება მათ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი ან შრომისუნარო ბავშვების რჩენისაგან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამსწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

1. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, მშობლებს ეკისრებათ ვალდებულება არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე სრულწლოვანი, მაგრამ შრომისუნარო მკვლევარი შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ამ მოვალეობის განსაკუთრებით ბოროტად დარღვევისათვის. შვილების რჩენის ვალდებულების შეუსრულებლობა იმავდროულად არღვევს მოქალაქის კონსტიტუციურ მოვალეობას იზრუნოს შვილების აღზრდისათვის, მოამზადოს ისინი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის. საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ არღვევს რა მშობლის ძირითად მოვალეობას, პირი ხელყოფს მოზარდი თაობის ნორმალურ განვითარებას და ჯანმრთელობას.

2. 124-ე მუხლში დანაშაულის ორი შემადგენლობაა გათვალისწინებული: 1) მშობლების მიერ ბოროტად თავის არიდება იმ სახსრების (ალიმენტების) გადახდისაგან, რაც მათ სასამართლომ შვილების რჩენისათვის დააკისრა; 2) მშობლების მიერ თავის არიდება მათ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი ან შრომისუნარო მკვლევარი ბავშვების რჩენისაგან. 124-ე მუხლის პირველი ნაწილის



მიხედვით ისჯება ალიმენტის (სათანადო ფულადი სახსრის) არგადახდა, ხოლო მისი მეორე ნაწილის მიხედვით ისჯება მშობლის მიერ თავის არიდება ბავშვის რჩენისაგან, ტანისამოსის და სხვ. საჭირო ნივთების, აგრეთვე აუცილებელი საცხოვრებელი ფართობის მიცემისაგან და. ა. შ. ამგვარად, 124-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული უმოქმედობით გამოიხატება. ამის შესაბამისად 124-ე მუხლით პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია, რომ მშობლებს ჰქონდეთ ფაქტიური შესაძლებლობა გადაიხადონ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ალიმენტი ან უშუალოდ მისცენ სარჩო შეილებს და, მიუხედავად ამისა, მაინც არ ასრულებდნენ ამ მოვალეობას.

124-ე მუხლში გათვალისწინებული ორი დანაშაულებრივი შემადგენლობა იმითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ალიმენტის გადაუხდელობა მხოლოდ მაშინ ისჯება, როცა არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, ხოლო მეორე შემთხვევაში სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილება საჭირო არ არის.

3. ალიმენტის გადახდისაგან თავის შეკავებას უნდა ჰქონდეს ბოროტი ხასიათი. ეს იმას ნიშნავს, რომ მშობელი სისტემატურად არ იხდის ალიმენტს, ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ალიმენტის გადახდა: ხშირად იცვლის საცხოვრებელ ადგილს, გაემგზავრება უცნობი მიმართულებით, მალავს თავის ნამდვილ შემოსავალს, თხზავს ყალბ საბუთებს უმუშევრობის შესახებ, ალიმენტისაგან თავის არიდების მიზნით სრულიად ანებებს თავს მუშაობას და ა. შ.

ალიმენტის ბოროტ გადაუხდელობად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირმა დროებით დაანება თავი სამუშაოს რაიმე საპატიო გარემოების გამო (მაგალითად, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გამო) ან როდესაც პირს არა აქვს შესაძლებლობა შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება დროებითი ან მუდმივი ინვალიდობის გამო, რამაც მას შრომის უნარი დროებით ან მუდმივად დაუკარგა.

4. ალიმენტის გადახდისაგან ბოროტად თავის არიდებისათვის, როგორც უკვე მითითებული იყო, აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული. სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილება საჭიროა გამოტანილ იქნეს არა მარტო მაშინ, როდესაც ალიმენტს არ უხდნიან არასრულწლოვან,

ე. ი. 18 წელს მიუღწეველ შვილებს, არამედ მაშინაც, როდესაც ალიმენტს არ უხდიან სრულწლოვან, მაგრამ შრომისუნარობაზე მყოფ შვილებს. შრომისუნაროდ ითვლებიან, I, II და III კატეგორიის ინვალიდები<sup>162</sup>.

5. 124-ე მუხლით გათვალისწინებული ორივე დანაშაულის სუბიექტია მშობლები, ე. ი. ის პირები, რომლებიც ჩაწერილი არიან ბავშვის დედად და მამად დაბადების ჩაწერის წიგნში, აგრეთვე ის პირები, რომელთა მამობა დადასტურებულია სათანადო წესით საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 51-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად. სისხლიერ მშობლებთან ერთად ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მშვილებელიც. ამ დანაშაულის სუბიექტი ის პირიც შეიძლება იყოს, ვისაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, ვინაიდან, საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, მშობლის უფლება არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან.

6. დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ განზრახ. პირმა იცის, რომ სასამართლომ მას გადაუწყვიტა სახსრის გადახდა შვილისათვის ან შეგნებული აქვს, რომ იგი სარჩოს არ აძლევს თავის არასრულწლოვან ან სრულწლოვან, მაგრამ შრომისუნაროდ შვილს, და მინც არ ასრულებს თავის მოვალეობას.

მუხლი 125. სამეურვეო უფლებების ბოროტად გამოყენება მეურვეობის, მზრუნველობის ან პატრონატის გამოყენება ანგარების მიზნით, სამეურვეო პირის ინტერესების საზიანოდ, ან სამეურვეო ბავშვების დატოვება მეთვალყურეობისა და აუცილებელი მატერიალური დახმარების გარეშე, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ორას მანეთამდე.

1. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 128-ე და 129-ე მუხლების თანახმად, მეურვეობა ენიშნება არასრულწლოვანს 15 წლამდე, რომელიც მშობლებს გარდაცვალების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობელთა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო დარჩა მშობლის მზრუნველობის გარეშე, აგრეთვე სულით ავადმყოფს ან ჰეპათისის, რომელიც გამოცხადებულია არაქმედუნარიანად. მზრუნველი ენიშნება არასრულწლოვანს 15-დან 18 წლამდე, აგრეთვე სრულწლოვან, ქმედ-

<sup>162</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., ч. 1, М., 1978, с. 235.

უნარიან პირს მისი თხოვნით, თუ მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი (საქ. სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 130-ე მუხლი).

2. მეურვეს დაკისრებული აქვს მთელი რიგი ვალდებულებანი სამეურვეო პირის მიმართ: იგი ვალდებულია მოუაროს სამეურვეო პირის ქონებას, იზრუნოს სამეურვეო ბავშვის მოვლაზე და აღზრდაზე, სამეურვეო სულით. ავადმყოფის ან ჭკუასუსტის მოვლა-პატრონობაზე და მკურნალობაზე და ა. შ.

გარკვეული ვალდებულებები დაკისრებული აქვს მზრუნველსაც და იმ პირს, ვისაც ბავშვი პატრონატისათვის გადაეცა.

მეურვის, მზრუნველის ან პატრონის მოვალეობათა უხეში დარღვევა ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით.

3. 124-ე მუხლი სჯის, უპირველეს ყოვლისა, მეურვეობის, მზრუნველობის ან პატრონატის გამოყენებას ანგარების მიზნით სამეურვეო პირის ინტერესების საზიანოდ. ამ დანაშაულის ობიექტებია: სამეურვეო პირები, არასრულწლოვანები, რომელთაც მზრუნველი ჰყავთ დანიშნული და ბავშვები, რომლებსაც დაენიშნათ პატრონატი.

4. ობიექტური მხარისათვის დამახასიათებელია ის, რომ მეურვე, მზრუნველი და პატრონი იყენებენ მეურვეობას, მზრუნველობას და პატრონატს, რათა თავიანთ სასარგებლოდ მოიხმარონ მათთვის მინდობილ პირთა ქონება. მაგალითად, ფლანგავენ სამეურვეო პირის ქონებას, სდებენ მისი სახელით სამეურვეო პირისათვის საზარალო გარიგებებს, სარგებლობენ მისი ბინით ან სხვა ქონებით, ერთი სიტყვით, მოვლის მაგივრად, იყენებენ ამ ქონებას სამეურვეო პირის საზიანოდ.

5. დანაშაულის სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ განზრახ. თანაც კანონი მოითხოვს ანგარების მიზანს, მაშასადამე, ზემოაღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

6. 124-ე მუხლი ითვალისწინებს აგრეთვე სამეურვეო ბავშვების დატოვებას მეთვალყურეობისა და აუცილებელი მატერიალური დახმარების გარეშე.

7. ამ დანაშაულის ობიექტია მხოლოდ სამეურვეო ბავშვები, ე. ი. მცირეწლოვანები 15 წლამდე. მეურვეობაში მყოფი სხვა პირები, აგრეთვე ის პირები, ვისაც მზრუნველი ჰყავს დანიშნული

ან ვინც პატრონატშია მიცემული, ამ დანაშაულის ობიექტს არ წარმოადგენენ.

8. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სამეურვეო ბავშვების მეთვალყურეობისა და აუცილებელი მატერიალური დახმარების გარეშე დატოვებაში. მამასადამე, ამას მიეკუთვნება შემთხვევები, როცა მეურვე არავითარ ყურადღებას არ აქცევს ბავშვებს, არ ასწავლის, არ უვლის, უპატრონოდ ქუჩაში უშვებს, არ აძლევს აუცილებელ საზრდოს და ა. შ.

9. სუბიექტური მხრით ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.

მუხლი 125<sup>1</sup>. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება  
შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილებლის  
ნება-სურვილის გარეშე, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორმოცდაათი მანეთიდან ას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე. (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 25 სექტემბრის ბრძანებულება, „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1970, № 9, მუხ. 138).

1. საქ. სსრ საქორწ. და საოჯ. კოდექსის 117-ე მუხლის მიხედვით, შვილად აყვანის საიდუმლოება დაცულია კანონით. ამ საიდუმლოების უზრუნველსაყოფად, შვილად ამყვანის თხოვნით, სამოქალაქო მდგომარეობის და აქტების სარეგისტრაციო დავთარში შეიძლება შეცვლილ იქნეს შვილად აყვანილი ბავშვის დაბადების ადგილი. რაიმე ცნობების გამჟღავნება ან რაიმე ამონაწერების მიცემა მამა-ის აქტებიდან შვილად აყვანის თაობაზე მშვილებლის თანხმობის გარეშე აკრძალულია. მშვილებლების სიკვდილის შემთხვევაში შვილად აყვანის თაობაზე რაიმე ცნობის გაცემა ნებადართულია მხოლოდ სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს თანხმობით.

2. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს იმის გამო, რომ მან შეიძლება ძლიერი სულიერი ტრავმა მიიყენოს შვილად აყვანილ ბავშვს, დამლუბველი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვის შემდგომ განვითარებაზე, გამოიწვიოს მწვავე ოჯახური კონფლიქტი ან სხვა მძიმე შედეგი.

3. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება გულისხმობს ამ საიდუმლოების გამჟღავნებას როგორც უშუალოდ შვილად

აყვანილისათვის, ისე სხვა პირებისათვის. არა აქვს მნიშვნელობა იმას, არასრულწლოვანია შვილად აყვანილი, თუ სრულწლოვანი.

4. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შვილად ამყვანთა ნება-სურვილის წინააღმდეგ მოხდა. შვილად ამყვანთა ნება-სურვილით ბავშვისათვის მისი წარმოშობის საიდუმლოების გამჟღავნება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებად არ ჩაითვლება. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებისათვის არ შეიძლება დაისაჯოს პირი, რომელიც მიმართავს სათანადო წესისამებრ შესაბამის ოფიციალურ ორგანოს (სასამართლოს, სამეურვეო ორგანოს და ა. შ.) და მოითხოვს შვილად აყვანის გაუქმებას ან ბათილად ცნობას.

5. 125<sup>1</sup>-ე მუხლით პასუხს აგებენ როგორც მშრომელთა დეპუტატების სარაიონო ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკები, რომლებმაც გააფორმეს შვილად აყვანა, ისე სხვა პირები, რომლებმაც ამა თუ იმ გზით გაიგეს შვილად აყვანის საიდუმლოება. თუ თანამდებობის პირმა შვილად აყვანის საიდუმლოება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით გაამჟღავნა და ამას მძიმე შედეგი მოჰყვა, იგი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობის წესით 125<sup>1</sup>-ე და 186-ე მუხლებით.

6. 125<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი ფორმალურ დელიქტს წარმოადგენს. დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტში, როდესაც პირმა გაამჟღავნა შვილად აყვანის საიდუმლოება.

7. 125<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განზრახი დანაშაულია. პირმა იცის, რომ არა აქვს მიღებული შვილად ამყვანთა ნებართვა, რომ შვილად აყვანილმა არ იცის თავისი ნამდვილი წარმოშობა და, მიუხედავად ამისა, ამჟღავნებს საიდუმლოებას. მოტივს, რის გამოც დამნაშავემ გაამჟღავნა შვილად აყვანის ფაქტი, ამ დანაშაულის 125<sup>1</sup> მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

8. 125<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნების დამამძიმებელ გარემოებას. ეს დამამძიმებელი გარემოებაა მძიმე შედეგი, რომელიც მოყვა საიდუმლოების გამჟღავნებას.

9. მძიმე შედეგად უნდა ჩაითვალოს შვილად აყვანილის თვითმკვლელობა, თვითმკვლელობის ცდა, მისი ფსიქიკური ან ნერვული დაავადება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვაგვარი ძლიერი შერყევა და ა. შ.. ბრალი მძიმე შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობით უნდა გამოიხატებოდეს.

მ უ ხ ლ ი 126. მშობლების ან მეუღლისათვის დახმარების გა-

წევაზე ბოროტად თავის არიდება ;

ბოროტად თავის არიდება იმ მატერიალური დახმარების გაწევისათვის, რომელიც სასამართლომ შრომისუუნარო მშობლებს ან მეუღლეს დაუნიშნა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს თვემდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

1. საქორწინო და საოჯახო კოდექსის შესაბამისი მუხლების (მუხ. 80) საფუძველზე სრულწლოვანი შვილები და შვილად აყვანილები ვალდებული არიან გადაუხადონ სარჩო მშობლებს, რომლებიც მოკლებულნი არიან შრომის უნარს და არა აქვთ ცხოვრების სახსარი. ასეთივე მოვალეობა ეკისრება სათანადო პირობებში გერს დედინაცვლისა და მამინაცვლის მიმართ (იხ. საქორწინო და საოჯახო კოდექსის 88 მუხ.), აგრეთვე მეუღლეს — შრომისუუნარო და ცხოვრების სახსრის არამქონე მეუღლის მიმართ (იხ. იმავე კოდექსის 26-ე მუხლი). შვილების მოვალეობა იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ დღეს საბჭოთა მოქალაქის საკონსტიტუციო მოვალეობად არის გამოცხადებული (იხ. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 64-ე მუხლი).

აღნიშნული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ იგი არღვევს საბჭოთა კონსტიტუციისა და საოჯახო სამართლის ნორმებს და ამით ქმნის ჭანმრთელი და კომუნისტურ პრინციპებზე აგებული ოჯახის დაშლის საფრთხეს.

2. შრომის უნარს მოკლებულად ითვლებიან I—II და III ჯგუფის ინვალიდები, პირები, რომლებმაც დროებით დაკარგეს შრომის უნარი ავადმყოფობის გამო, აგრეთვე 55 წელს გადაცილებული ქალები და 60 წელს გადაცილებული მამაკაცები<sup>163</sup>.

3. 126-ე მუხლით პასუხისმგებლობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება მშობლის ან მეუღლისათვის ალიმენტის გადახდის შესახებ.

4. დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს შვილი და მასთან გათანაბრებული პირი (გერი, ნაშვილები), აგრეთვე მეუღლე, თუ მათ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვთ სარჩოს გადახდა მეუღლის ან მშობლისათვის.

<sup>163</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг., т. 1, М., 1978, с. 235.

5. სუბიექტური მხრით ამ დანაშაულისათვის საჭიროა, რომ პირი ბოროტად არიდებდეს თავს აღიმენტის გადახდას (იხ. 124-ე მუხლის კომენტარი). მაშასადამე, იგი მხოლოდ განზრახ შეიძლება იქნეს ჩადენილი.

მუხლი 127. ბავშვის შეცვლა

ბავშვის შეცვლა, რომელიც ჩადენილია ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 6 დეკემბრის ბრძანებულება. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1979, № 12, მუხ. 10).

1. ბავშვის შეცვლა მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესების, მისი ნორმალური ინტელექტუალური და ზნეობრივი განვითარების წინააღმდეგ. ბავშვის შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს მისი არაჯანსაღი აღზრდა ან მიაყენოს მას სხვაგვარი ზიანი. ამავე დროს ბავშვის შეცვლა ხელყოფს მშობლებისა და მათი შემცველელი პირების (მშვილებლის და სხვ.) ინტერესებს, მშობლის უფლებას თავისთან იყოლიოს შვილი და აღზარდოს იგი.

2. ბავშვის შეცვლა ფაქტიურად შესაძლებელია მაშინ, როცა იგი ახალშობილია ან სულ რამდენიმე თვის არის (ძუძუმწოვარია), რადგან უფრო მოზრდილი ბავშვის შეცვლა მშობლებისათვის ადვილი გამოსაცნობი იქნება. თუმცა იშვიათ შემთხვევაში გამორიცხული არ არის უფრო მოზრდილი ბავშვის შეცვლა.

3. ბავშვის შეცვლა, 127-ე მუხლის მიხედვით, შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, მაშასადამე, დამნაშავეს უნდა ესმოდეს, რომ ცვლის ერთ ბავშვს მეორეთი და თანაც სურდეს ეს.

ამავე დროს აღნიშნული დანაშაულის სუბიექტური მხარისათვის საკმარისი არ არის უბრალო განზრახვა, არამედ აუცილებელია კიდევ ანგარების მოტივი ან სხვა ქვენა გრძნობა. ანგარებით ეს დანაშაული მაშინაა ჩადენილი, როდესაც, მაგალითად, ბავშვს ცვლიან მისი გაყიდვას მიზნით, ან იმ მიზნით, რომ მოსთხოვონ მშობლებს გამოსასყიდი მათი ნამდვილი შვილისათვის. ქვენა გრძნობა იქნება, მაგალითად, შური ან შურისძიება და ა. შ.

თუ ბავშვი შეცვალეს თუმცა განზრახ, მაგრამ ანგარებითი მოტივის ან სხვა ქვენა გრძნობის გარეშე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

4. აღნიშნული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომელმაც 16 წელს მიაღწია.

5. თუ სამშობიარო სახლის თანამშრომელმა დაუდევრობით შეცვალა ერთი ახალშობილი მეორეთი, იგი პასუხს აგებს არა 127-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, არამედ — დანაშაულის შემადგენლობის სხვა ნიშნების არსებობისას — სამსახურებრივი დაუდევრობისათვის (მუხ. 188-ე).

6. 127-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ერთი ბავშვის მეორე ბავშვით შეცვლის მომენტიდან. მისთვის საჭირო არ არის, რომ ბავშვის შეცვლას მოჰყვეს სხვა რამ მანვე შედეგი, მაგალითად, ბავშვის სიკვდილი ან მისი დაავადება და ა. შ. არ არის საჭირო აგრეთვე, რომ დამნაშავემ მიიღოს ის გამოჩენა, რის გამოც მან ბავშვი შესცვალა, მაგალითად, მიიღოს გამოსასყიდი თანხა. მცდელობას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავემ ჩაიდინა მოქმედება, მიმართული ბავშვის მოსატაცებლად, მაგრამ ვერ მოახერხა თავის განზრახვის სისრულეში მოყვანა მისი ნებისაგან დამოუკიდებელი გარემოების გამო.

მუხლი 128. საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება

შეგნებულად ჩაყენება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში პირისა, რომელსაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

1. 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული საფრთხის შექმნელ დელიქტს წარმოადგენს. იგი ითვალისწინებს საფრთხის შექმნას ადამიანის სიცოცხლისათვის. სხეულის დაზიანების საფრთხის შექმნა ამ მუხლით არ დაისჯება.

2. ობიექტური მხრით ეს დანაშაული ისეთ მოქმედებას გულისხმობს, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლისათვის რეალურ და კონკრეტულ საფრთხეს. მაშასადამე, სასამართლომ უნდა დაამტკიცოს, რომ დამნაშავის მიერ შექმნილი ვითარება სახიფათო იყო კონკრეტული ადამიანის სიცოცხლისათვის, ე. ი. უნდა დაამტკიცოს მიზეზობრივი კავშირი დამნაშავის მოქმედებასა და საფრთხის ვითარებას შორის. დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდა. რაიმე შემდგომი შედეგის განხორციელება ამ დანაშაულისათვის საჭირო არ არის. პირიქით, საფრთხის რეალიზაციის, ე. ი. ადამიანის სიკვდილის შემთხვევაში ეს მუხლი არ გამოიყენება.

3. სუბიექტური მხრით ეს დანაშაული გულისხმობს განზრახ



ბრალს; სუბიექტს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ იგი თავისი მოქმედებით ქმნის საშიშროებას ადამიანის სიცოცხლისათვის. განზრახვა მიმართული უნდა იყოს არა ადამიანის სიკვდილზე, არამედ საფრთხის შექმნაზე, მაგალითად, დედა ტოვებს ახალშობილს სხვისი სახლის კიბეზე. დედას არ სურს ბავშვის სიკვდილი, მისი მოქმედების მიზანია — თავიდან მოიცილოს ახალშობილი და არა მოკლას იგი. მაგრამ იგი ითვალისწინებს, რომ უმწურო ბავშვის მიგდებით სხვის კარზე იგი საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს.

რაც შეეხება ფსიქიკურ დამოკიდებულებას ადამიანის სიკვდილისადმი, იგი არ შეიძლება იყოს პირდაპირი განზრახვის სახით. თუ პირი ითვალისწინებდა მის მიერ შექმნილი საფრთხის შედეგად ადამიანის სიკვდილს და სურდა ასეთი შედეგი ან თუმცა არ სურდა, მაგრამ გარდუვალად მიაჩნდა მისი განხორციელება, იგი პასუხს აგებს მკვლელობის მცდელობისათვის<sup>164</sup>.

პირიქით, თუ დამნაშავე ითვალისწინებდა, რომ მის ქმედობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ადამიანის სიკვდილი და არ სურდა ეს შედეგი, თუმცა უშვებდა ასეთ შესაძლებლობას, მისი ქმედობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახი მკვლელობის მცდელობა, ვინაიდან მცდელობა ევენტუალური განზრახვით გამოირიცხულია<sup>165</sup>. ასეთი ქმედობა კვალიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შეგნებულად შექმნა, 128-ე მუხლით.

4. როდესაც ადამიანის სიცოცხლისათვის შეგნებულად საფრთხის შექმნას შედეგად მოჰყვა სიკვდილი, დანაშაული დაკვალიფიცირდება არა 128-ე მუხლით, არამედ, — იმისდა მიხედვით, თუ როგორია პირის დამოკიდებულება ადამიანის სიკვდილისადმი, — როგორც მკვლელობა ევენტუალური განზრახვით ან მკვლელობა გაუფრთხილებლობით.

მუხლი 129. განსაცდელში მითოვება

შეგნებულად მითოვება დახმარების აღმოუჩენლად პირისა, რომელიც იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმთოვებელს ევალებოდა ამ პირზე ბრუნვა და შესაძლებლობა ჰქონდა დახმარება აღმოეჩინა მისთვის, —

<sup>164</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ., 1976, გვ. 56—57.

<sup>165</sup> იქვე, გვ. 119—120.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამსწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჭარიშით ორმოცდაათ მანეთამდე ან საზოგადოებრივი გაიციხვით.

1. უმწეო ადამიანის განსაცდელში მიტოვების საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ პირი, ვისაც სპეციალურად დაკისრებული აქვს ასეთ ადამიანზე ზრუნვა, არ ასრულებს თავის მოქალაქეობრივ ვალდებულებას დახმარება აღმოუჩინოს სიცოცხლის საფრთხეში მყოფ პირს, რითაც არღვევს საბჭოთა სამართლისა და კომუნისტური მორალის ნორმებს.

2. 129-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს პირი, რომელსაც არა აქვს უნარი იზრუნოს თავის დასაცავად მცირეწლოვანობის, ავადმყოფობის, უგონო მდგომარეობის, ფიზიკური ნაკლის (მაგალითად, უსინათლობის) და სხვ. შიშთ. გამო.

3. ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს არა ყოველი შერაცხადი, 16 წლის ასაკს მიღწეული პირი, არამედ მხოლოდ ის, ვისაც აქვს სპეციალური ვალდებულება იზრუნოს დაზარალებულზე.

საფრთხის აცილების სპეციალური ვალდებულება შეიძლება გამოწინააღმდეგებდეს უშუალოდ თვით კანონიდან. ასეთი ვალდებულება აკისრიათ, მაგალითად, მშობლებს მცირეწლოვანი შვილების მიმართ, ან შვილებს შრომის უნარის არაქონე მშობლების მიმართ. იგი შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდანაც, მაგალითად, ტურისტებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, გიდი ვალდებულია იზრუნოს მათ უსაშიშროებაზე მთაზე ასვლის დროს ან უსინათლოს გამყოლი ვალდებულია იზრუნოს, რომ უსინათლოს არ დაეჭახოს მანქანა და სხვ.; დახმარების აღმოჩენის სპეციალური ვალდებულება შეიძლება ეფუძნებოდეს აგრეთვე იმას, რომ პირმა თავისი წინა აქტიური მოქმედებით შექმნა საშიშროება ადამიანის სიცოცხლისათვის. მაგალითად, შოფერი, რომელიც დაეჭახა გამვლელს და დააზიანა იგი, ვალდებულია იზრუნოს მასზე.

4. პიროვნების სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შექმნისაგან განსხვავებით, 129-ე მუხლის შემადგენლობა გულისხმობს, რომ სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა შექმნილია დამნაშავეს ნებისაგან დამოუკიდებლად ან, თუმცა იგი დამნაშავეს მოქმედებით შეიქმნა, მაგრამ მისი ბრალის გარეშე. რამდენადაც პირს აკისრია სპეციალური ვალდებულება იზრუნოს ასეთ უმწეო მდგომ-

მარეობაში მყოფზე, ამდენად იგი გამოდის გარანტიის როლში, რომელმაც დაზარალებულს განსაცდელი თავიდან უნდა ააცილნოს. ასეთი გარანტიის როლში პირი, ცხადია, მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოდიოდეს, როდესაც მას არა მარტო აქისრია ასეთი ვალდებულება, არამედ აქვს შესაძლებლობა დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულს. წინააღმდეგ შემთხვევაში დახმარების აღმოუჩენლობა არ შეიძლება ჩაითვალოს ნებელობით ქცევად.

5. განსაცდელში მიტოვების ობიექტური მხარე გამოიხატება უმოქმედობით. პირს შეეძლო დახმარება აღმოეჩინა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის, რომელზე ზრუნვაც მას სპეციალურად ევალებოდა, მაგრამ იგი ამას არ აკეთებს. გარკვეული რისკი, რომელიც უნდა გაეწია პირს იმისათვის, რომ დახმარება აღმოეჩინა დაზარალებულისათვის, არ გაათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს რისკი მისთვის მეტად დიდი არ არის.

6. განსაცდელში დატოვება საფრთხის შემქმნელი დელაქტია. ამიტომ იგი დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც პირს წარმოეშვა დახმარების აღმოჩენის მოვალეობა და ეს მან არ შეასრულა. პასუხისმგებლობა აღნიშნული დანაშაულისათვის გამოიციხული არ არის იმ შემთხვევაშიც, როდესაც სათანადო დახმარების აღმოჩენაც კი ვერ გადაარჩინდა პირს და იგი მაინც მოკვდებოდა. ვ.-ს, რომელიც ავტომანქანას მართავდა, ქ. ბაქოს მახლობლად, ავტოავარია მოუხდა: მისი მანქანა დაეჯახა 15 წლის ბიჭს მ.-ს, რომელიც შოულოვნულად გადმოხტა. ვ.-ს ბრალი არ მიუძღვოდა, მაგრამ, ვინაიდან მისი მოქმედების შედეგად ბავშვის სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა, მას ევალებოდა მძიმედ დაშავებული მ. სასწრაფოდ საავადმყოფოში წაეყვანა. ვ.-ს შეეშინდა პასუხისმგებლობისა და, საავადმყოფოს მაგივრად, ავარიის დაფარვის მიზნით, ბავშვი თავის სახლში მიიყვანა. როდესაც ვ.-მ ბავშვი მანქანიდან გადმოიღო, იგი მკვდარი აღმოჩნდა. სსრკ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ განჩინებაში ამ საქმეზე აღნიშნა, რომ ვ.-ს სატრანსპორტო წესები არ დაურღვევია, პირიქით, ეს წესები თვით დაზარალებულმა დაარღვია და ამიტომ არავითარ ბრალზე მ.-ს სიკვდილის მიმართ არ შეიძლება ვილაპარაკოთ. ამასთან ერთად სასამართლომ, სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზის საფუძველზე, დადასტურებლად ჩათვალა, რომ მ.-ს ჭრილობა უცილობლად სასიკვდილო იყო და დროზე აღმოჩენილი დახმარების შემთხვევაშიც იგი სიკვდილს ვერ ასცდებოდა. სამაგიეროდ კოლეგიამ დასაბუთებულად ჩათვალა

ვ.-ს მსჯავრდება განსაცდელში მყოფი პირისათვის დახმარების აღ-  
მოუჩენლობისათვის. კოლეგიამ აღნიშნა, რომ ვ.-მ არ წაიყვანა და-  
ზარალებული საავადმყოფოში და ამით დაარღვია მოვალეობა, რო-  
მელიც მას დაედო სხეულებრივი დაზიანების (თუნდაც ბრალის  
გარეშე) მიყენების გამო. ამიტომ, კოლეგიის აზრით, ვ.-ს მოქმედე-  
ბა კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც შეგნებულად მიტოვე-  
ბა დახმარების აღმოუჩენლად პირისა, რომელიც იმყოფებოდა სი-  
ცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და რომელსაც არ ჰქონდა  
შესაძლებლობა მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვე-  
ბელს ევალებოდა ამ პირზე ზრუნვა და შეეძლო მისთვის დახმარე-  
ბა აღმოეჩინა<sup>166</sup>.

7. იხევე, როგორც საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, განსა-  
ცდელში მიტოვებაც განზრახ ბრალს გულისხმობს. პირი, ვისაც  
ევალება დაზარალებულზე ზრუნვა, შეგნებულად მოქმედებს. იგი  
ითვალისწინებს, რომ დაზარალებული იმყოფება სიცოცხლისათვის  
საშიშ მდგომარეობაში და მოკლებულია შესაძლებლობას თვით  
დაიცვას თავისი თავი; იცის ისიც, რომ აქვს შესაძლებლობა აღ-  
მოუჩინოს დაზარალებულს დახმარება ისე, რომ დიდ საფრთხეში  
არ ჩააგდოს თავისი თავი.

ამასთან პირდაპირი განზრახვა დაზარალებულის სიკვდილის  
მიმართ გამორიცხულია. თუ პირს, რომელსაც ჰქონდა სპეციალუ-  
რი მოვალეობა დახმარება აღმოეჩინა განსაცდელში მყოფისათვის,  
სურდა, რომ მის უმოქმედობას დაზარალებულის სიკვდილი მო-  
ჰყოლოდა, ან თუ იგი თვლიდა, რომ სიცოცხლისათვის საშიშ  
მდგომარეობაში მყოფის მიტოვებას აუცილებლად მოჰყვება დაზა-  
რალებულის სიკვდილი, იგი პასუხს აგებს მკვლელობის მცდელო-  
ბისათვის. მაშასადამე; დაზარალებულის სიკვდილის მიმართ სუბი-  
ექტს შეიძლება ჰქონდეს ფსიქიკური დამოკიდებულება მხოლოდ  
ევენტუალური განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით.

8. თუ დაზარალებულის განსაცდელში მიტოვებას ისეთი პი-  
რის მიერ, ვისაც სპეციალურად ევალებოდა დაზარალებულზე  
ზრუნვა და შეეძლო კიდევაც აღმოეჩინა მისთვის დახმარება, შე-  
დეგად მოჰყვა განსაცდელში დატოვებულის სიკვდილი, დამნაშავემ  
პასუხი უნდა აგოს არა 129-ე მუხლის მიხედვით, არამედ განზრახი  
ან გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის. სასამართლო პრაქ-  
ტიკაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: პ.-მ მიატოვა თავისი

<sup>166</sup> Суд. практика ВС СССР, 1948, вып. 11, с. 17—18.

ღრმად მოხუცებული და ავადმყოფი დედა მარტომარტო და ოთხი დღით წავიდა სახლიდან ისე, რომ არ დაუტოვებია მისთვის სასმელ-საჭმელი, რის გამოც მოხუცი გარდაიცვალა. სასამართლომ სავსებით სწორად დააკვალიფიცირა პ.-ს მოქმედება არა როგორც შეგნებულად მიტოვება დახმარების აღმოუჩენლად პირისა, რომელიც იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, არამედ როგორც განზრახი მკვლელობა<sup>167</sup>.

მ უ ხ ლ ი 130. დახმარების აღმოუჩენლობა

სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების აღმოჩენ-ლობა, თუ ამ დახმარების აღმოჩენა დამნაშავეს შეეძლო თავისი თავისათვის ან სხვა პირისათვის სერიოზული საშიშროების გარეშე, აგრეთვე სათანადო დაწესებულების ან პირისათვის დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობა, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვს თვემდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

1. 130-ე მუხლი ითვალისწინებს იმ პირის დასჯადობას, ვისაც თუმცა არ ჰქონდა დაზარალებულზე ზრუნვის სპეციალური ვალდებულება, მაგრამ შეეძლო, დიდი რისკის გარეშე, დახმარება გაეწია ისეთი პირისათვის, რომელიც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამით კანონმდებელმა სამართლებრივ ვალდებულებად გახადა ზოგადადამიანური მორალური ვალდებულება გაჭირვებაში ურთიერთდახმარებისა, რომელიც კომუნისტურ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ზნეობრივ ნორმებს შეესაბამება.

2. სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა არ უნდა იყოს შექმნილი დამნაშავეს წინასწარი მოქმედებით. ასეთ შემთხვევაში გვექნება უკვე არა დახმარების აღმოუჩენლობა, არამედ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (128-ე მუხლი). იგი გულისხმობს აგრეთვე, რომ პირს არ ჰქონდა დაკისრებული განსაკუთრებული ვალდებულება დაზარალებულზე ზრუნვისა ვინაიდან ასეთი საქციელი დაკვალიფიცირდება 129-ე მუხლით. პირი, რომელმაც დახმარება არ აღმოუჩინა დაზარალებულს შემთხვევით აღმოჩნდება ისეთ ვითარებაში, როცა მისი მხრით დახმარების აღმოჩენა აუცილებელი იყო.

3. ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხე შეიძლება შექმნას მრავალმა გარემოებამ. იგი შეიძლება შექმნას რაიმე ბუნებრივმა მოვლენამ; მაგალითად, მიწისძვრამ, ხანძარმა, წყალდიდობამ და

<sup>167</sup> «Советская юстиция», 1963, № 16, с. 21.

ა. შ., საფრთხე შეიძლება გამოწვეული იქნეს ავადმყოფობით, მაგალითად, კაცი უეცრად ქუჩაში დაეცა სისხლის ჩაქცევის ან გულის შეტევის გამო. საფრთხე სიცოცხლისათვის შეიძლება შექმნას ტრანსპორტზე მომხდარმა ავარიამ, მაგალითად, მანქანის გადაბრუნებით დაჭრილი მგზავრები სისხლისაგან იცლებიან. საფრთხის შემქმნელი წყარო შეიძლება სხვა ადამიანის დანაშაულებრივი ქმედობაც იყოს, მაგალითად, ხულიგნების თავდასხმა ადამიანზე და ა. შ.

საფრთხე უნდა იყოს უშალო და რეალური. იგი უნდა არსებობდეს სინამდვილეში და არა მარტო დაზარალებულის წარმოდგენაში.

4. დახმარების აღმოჩენა უნდა იყოს აუცილებელი. ამიტომ თუ პირი ხედავს, რომ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფს უკვე სხვა პირები ეხმარებიან, იგი არ დაისჯება იმისათვის, რომ თვითონაც არ მიიღო მონაწილეობა ამ დახმარებაში, თუკი, რა თქმა უნდა, მის მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

დახმარების აღმოჩენა აშკარად გადაუდებელი უნდა იყოს, ე. ი. შექმნილი ვითარებიდან ნათლად უნდა სჩანდეს, რომ თუ დაზარალებულს დაუყოვნებლივ არ აღმოუჩენენ დახმარებას, იგი დაიღუპება..

5. დახმარების აღმოუჩენლობა დანაშაულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა პირს შეეძლო აღმოეჩინა დახმარება ისე, რომ ამით სერიოზულ საფრთხეში არ ჩაეგდო თავისი თავი ან მესამე პირები. ამიტომ არ ჩაითვლება დანაშაულად დახმარების აღმოუჩენლობა არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა პირს ფაქტიურად არ შეეძლო დახმარება გაეწია, არამედ მაშინაც, როცა დახმარების აღმოჩენა დაკავშირებული იყო დიდ რისკთან. კანონი არ მოითხოვს პირისაგან სხვა, მისთვის უცხო ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინოს და ამას საკუთარი სიცოცხლე ან ჯანმრთელობა შესწიროს, მაგალითად, შეეხებას შეიარაღებულ ბანდიტს ცარიელი ხელებით ან გადაეშვას წყალში სხვის გადასარჩენად, როცა თვითონაც არ იცის ცურვა. მაგრამ ამავე დროს კანონი არ ათავისუფლებს პაუხისმგებლობისაგან, როდესაც დახმარების აღმოუჩენლობა დაკავშირებულია ერთგვარ რისკთან, პირადი ინტერესების ერთგვარ შეწირვასთან, თუ ეს რისკი არ უქმნის სერიოზულ საფრთხეს რაიმე მნიშვნელოვან სიკეთეს. მაგალითად, პირი ვერ გაიმართლებს თავს იმ მოტივით, რომ სამსახურში აგვიანდებოდა და ამიტომ არ გააჩერა მანქანა, როცა გზაში დაჭრი-

ლი კაცი დაინახა, ან არ უნდოდა სისხლით გაესვარა ახლად შექმნილი მანქანა და ა. შ.

6. დანაშაულის ობიექტური მხარე უმოკმედობით გამოიხატება თუ პირი თავს იკავებს დახმარების აღმოჩენისაგან, როცა მას ამისი შესაძლებლობა აქვს, ან არ ატყობინებს სათანადო დაწესებულებას ამ პირისთვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობის შესახებ.

ამგვარად, 130-ე მუხლი სჯის მხოლოდ მაშინ, თუ პირმა არც თვითონ აღმოუჩინა დახმარება საფრთხეში მყოფს და არც სხვებს აცნობა საფრთხის შესახებ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირმა აცნობა სხვა პირს ან დაწესებულებას არ გაათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან. იგი პასუხისმგებლობისაგან მარტო მაშინ გათავისუფლდება, როცა აცნობებს სხვა პირებს დროის ისეთ მონაკვეთში, ვიდრე არსებობდა დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა.

სათანადო დაწესებულებად ჩაითვლება ორგანო, რომელსაც ევალება ბრძოლა ისეთი საფრთხის წინააღმდეგ, რამაც პირი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩააგდო. ასეთი დაწესებულება იქნება, მაგალითად, მილიციის ორგანო, სასწრაფო დახმარება, სახანძრო რაზმი და ა. შ. სხვა პირად იგულისხმება არა ყოველი შემთხვევითი პირი, არამედ ისეთი პირი, რომელსაც თავისი სპეციალური ცოდნის, თანამდებობის ან დაზარალებულთან დამოკიდებულების გამო შეუძლია და ევალება სათანადო ვითარებაში ადამიანისათვის სიკვდილის საშიშროების აცილება. ეს იქნება, მაგალითად, ექიმი, დაზარალებულის ახლო ნათესავები, მეურვე, საბავშვო სახლის პერსონალი და ა. შ. დებულება „საბჭოთა მილიციის ძირითადი ვალდებულებებისა და უფლებების შესახებ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულთან ბრძოლის სფეროში“ აკისრებს მილიციის ორგანოებს დაუყოვნებლივ დახმარება გაუწიოს იმ პირებს, ვინც საფრთხეში ჩავარდა დანაშაულის ან უბედური შემთხვევის გამო, აგრეთვე იმ პირებს, ვინც საზოგადოებრივ ადგილებში უგრძობ მდგომარეობაში აღმოჩნდება. მოქალაქე, რომელიც შეატყობინებს მილიციის ორგანოებს ასეთი ფაქტების შესახებ, გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

7. 130-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი პირი 16 წლის ასაკიდან, რომლის თვალწინ შექმნილია ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხე და რომელსაც აქვს შესაძლებლობა დახმარების აღმოჩენისა. ამ მუხლით პასუხს არ აგებს ის, ვისაც დაკისრებული აქვს სპეციალური მოვალეობა დაზარალებულზე ზრუნვისა, აგრეთვე თანამდებობის პირები,

რომელთაც მათი პროფესიის შესაბამისად ეკისრებათ სამსახურებრივი ვალდებულება იმ საშიშროებასთან ბრძოლისა, რამაც დაზარალებულის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა. ასეთმა თანამდებობის პირებმა სათანადო შემთხვევაში შეიძლება პასუხი აგონ თანამდებობრივი დანაშაულისათვის.

8. სუბიექტური მხრით დახმარების აღმოუჩენლობა განზრახი დანაშაულია. განზრახვა უნდა ვრცელდებოდეს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანზე. მაშასადამე, პირი უნდა ითვალისწინებდეს, რომ ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია, რომ მას აქვს შესაძლებლობა, დიდი რისკის გარეშე, დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულს, მაგრამ გულგრილად ეკიდება თავის ზოგადადამიანურ მოვალეობას და არ მოქმედობს.

9. დახმარების აღმოუჩენლობა წმინდა უმოქმედობას წარმოადგენს. თვით ფაქტი დახმარების აღმოუჩენლობისა დამთავრებული დანაშაულია. შედეგის განხორციელებას, ე. ი. საფრთხეში მყოფი პირის სიკვდილს დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ იგი შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში სასჯელის კონკრეტული ღონისძიების დანიშვნის დროს როგორც დამამძიმებელი გარემოება.

მ უ ხ ლ ი 131. ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობა მედიცინის მუშაკის მიერ .

საპატიო მიზეზის გარეშე ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობა მედიცინის მუშაკის მიერ, რომელიც ვალდებული იყო აღმოეჩინა ეს დახმარება, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

იგივე ქმედობა, თუ მას ავადმყოფისათვის მძიმე შედეგი მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე პროფესიული საქმიანობის შემდგომი აკრძალვით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

1. მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვას საბჭოთა კავშირში უდიდესი ყურადღება ექცევა. სსრკ კონსტიტუციის მიხედვით მოქალაქის ჯანმრთელობის უფლება უზრუნველყოფილია უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარებით, სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის მუდმივი ზრდითა და გაუმჯობესებით და ა. შ. საბჭოთა კანონმდებლობა ითვალისწინებს ღონისძიებებს იმ შემთხვევისთვისაც, როდესაც მოქალაქე მოულოდნელად აღმოჩნ-



და ისეთ მდგომარეობაში, რომ მას სასწრაფო დახმარება ესაჭიროება. სახელდობრ, ჯანმრთელობის დაცვის საფუძველების 33-ე მუხლის (საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონის 47-ე მუხლის) თანახმად, მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკები მოვალენი არიან პირველი გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინონ მოქალაქეებს გზაში, ქუჩაში, სხვა საზოგადოებრივ ადგილებსა და ბინაზე. მედიცინის და ფარმაცევტიკის მუშაკი, რომელიც არ შეასრულებს ამ მოვალეობას და ამით დაარღვევს თავის პროფესიულ და ზნეობრივ ვალს, პასუხს აგებს 131-ე მუხლის საფუძველზე.

2. აღნიშნული დანაშაულის ობიექტია იმ მოქალაქის ჯანმრთელობა ან სიცოცხლე, რომელსაც ესაჭიროება გადაუდებელი სამედიცინო დახმარება უბედური შემთხვევის ან უეცარი დაავადების გამო, თანაც საქმე ეხება დახმარებას, რომელიც მედიცინის მუშაკმა მას უნდა აღმოუჩინოს გზაზე, ქუჩაში, საზოგადოებრივი შეკრების ადგილზე — მაგალითად, თეატრში, სხდომაზე და სხვ. მისთ., აგრეთვე სახლში.

3. 131-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული უმოკმედობით გამოიხატება. კონკრეტულად დახმარების აღმოუჩენლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემდეგი ფორმით: ა) როცა მედიცინის მუშაკი უარს ამბობს წავიდეს ავადმყოფთან, რომელთანაც გამოიძახეს, ან დამალავს თავის პროფესიას, როდესაც მოულოდნელად საავადმყოფოს ან სახლის გარეშე საჭირო შეიქნა საექიმო დახმარება (მაგალითად, თეატრში, კინოში, მატარებელში და ა. შ.); ბ) როცა მედიცინის მუშაკი გამოცხადდება ავადმყოფთან, მაგრამ უარს ამბობს დახმარების აღმოჩენაზე. სსრკ უმაღლესმა სასამართლომ 1955 წ. 17 დეკემბრის განჩინებით დააკვალიფიცირა როგორც ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობა სასწრაფო დახმარების მორიგი ექიმის ზ.-ს საქციელი. ზ. თუმცა გამოცხადდა ავადმყოფ ო.-სთან, მაგრამ არაფერი არ გაუყეთა მას, არ გამოკითხა რა აწუხებდა, არ გასინჯა ავადმყოფი, ტემპერატურაც არ გაიგო მისი, რეგისტრაციის ქურნალში კი ჩასწერა, ო.-ს დახმარება არ ესაჭიროებაო. სინამდვილეში ო.-ს თორმეტგოჯა ნაწლავის გახვრეტა ჰქონდა და თავის ღროზე დახმარების აღმოუჩენლობის შედეგად იგი ჩირქოვანი პერიტონიტისაგან გარდაიცვალა<sup>168</sup>.

<sup>168</sup> СП ВС СССР, 1956, № 5, с. 11—12: об. аგრეთვე რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება მ.-ს საქმეზე, Сб. пост. Презид. и опред. суд. кол. по уголов. делам ВС РСФСР 1964—1972, М., 1974, с. 312—313.

თუ მედიცინის მუშაკს, რომელიც ავადმყოფთან გამოიძახეს, თავისი სპეციალობის ან ცოდნის არასაკმარისობის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო არ შეუძლია აღმოუჩინოს ავადმყოფს გადაუღებელი დახმარება, ის ვალდებულია მიუთითოს ავადმყოფს ან მის ახლობლებს, რომ საჭიროა სხვა მედიცინის მუშაკის გამოიძახება ან ავადმყოფის სამკურნალო დაწესებულებაში მიყვანა. ამ მოვალეობის შეუსრულებლობაც მოგვცემს 131-ე მუხლის შემადგენლობას.

4. დახმარების აღმოუჩენლობამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობდა დახმარებაზე უარის თქმის საპატიო მიზეზი.

საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ორი მოვალეობის კოლიზია, მაგალითად, თუ ექიმი გამოიძახებულია მძიმე ავადმყოფთან, მაგრამ ამავე დროს მას გამოიძახება აქვს მეორე უფრო მძიმე ან თანაბრად მძიმე ავადმყოფთან. ექიმმა ლ.-მ უარი განაცხადა მისულიყო პირველ რიგში შორს მცხოვრებ მძიმე ავადმყოფთან, თანაც თავისი უარი იმით დაასაბუთა, რომ მას აქვს რამდენიმე გამოიძახება არა ნაკლებ მძიმე ავადმყოფებთან და რომ შორს მცხოვრებ ავადმყოფთან წასასვლელი სატრანსპორტო საშუალება არ იყო. სსრკ უმაღლესმა სასამართლომ ლ.-ს უარი საპატიოდ ჩათვალა<sup>169</sup>.

საპატიო მიზეზად ჩაითვლება აგრეთვე დაუძლეველი ძალა, მედიცინის მუშაკის ავადმყოფობა, მისი მძიმე ფსიქიკური განცდები ახლობელი ადამიანის დაკარგვასთან დაკავშირებით და ა. შ..

იმ საკითხის გადაჭრა, საპატიოდ უნდა ჩაითვალოს თუ არა მედიცინის მუშაკის უარი დახმარების აღმოჩენაზე, ფაქტის საქმეა. ყოველ შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკა საპატიოდ არ თვლის ისეთ საბაბს, რომ მედიცინის მუშაკი გამოიძახებული იყო ავადმყოფთან არა სამუშაო დროს ან შაშინ, როცა ის შევებულებაში იმყოფებოდა, ან იმის მომიზეზებას, რომ პირი, ვისაც გადაუღებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდა, არ ეკუთვნის იმ პირთა წრეს, ვისაც მომსახურებას უწევს ეს სამედიცინო დაწესებულება და ა. შ..

5. აღნიშნული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს არა ყოველი ადამიანი, არამედ მხოლოდ მედიცინის მუშაკი. მედიცინის მუშაკად ითვლება არა მარტო უმაღლესი სამედიცინო განათლების

<sup>169</sup> იხ. Сб. пост. Плен. и опред. кол. ВС СССР за 1938 г. и первое полугодие 1939 г., М., 1940, с. 103.

მქონე პირი, არამედ ყოველი პირი, ვინც კანონიერ საფუძველზე პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობას ეწევა, იმისდა მიუხედავად, მუშაობს თუ არა იგი სამედიცინო დაწესებულებაში. ასეთია, მაგალითად, ფერშალი, ექთანი, ბებია-ქალი და სხვ. სამედიცინო დაწესებულების მოვალეობა აკისრია აგრეთვე ფარმაცევტიკის მუშაკებს. ცხადია, ისინი მიეცემიან სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში ისეთი მოვალეობის შეუსრულებლობისთვის, რომელიც მათ ეკისრებათ და რომლის შესრულებაც მათ შეუძლიათ.

თანამდებობის პირი, რომლის მიერ დახმარების აღმოუჩენლობა დაკავშირებული იყო მისი ადმინისტრაციულ-მმართველობითი ფუნქციის შესრულებასთან (მაგალითად, სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს გამგე, რომელიც უარს იტყვის მძიმე ავადმყოფის მიღებაზე), პასუხს აგებს არა 131-ე მუხლის საფუძველზე, არამედ თანამდებობრივი დანაშაულისათვის.

6. სუბიექტური მხრით 131-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ განზრახვ. მედიცინის მუშაკმა იცის, რომ ავადმყოფს გადაუდებელი დახმარება ესაჭიროება და, მიუხედავად ამისა, არ უწევს მას დახმარებას. განზრახვა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ დახმარების აღმოუჩენლობაზე და არა შედეგზე. თუ პირი ითვალისწინებს, რომ მის უმოქმედებას შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგი (ადამიანის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება) და სურს ეს შედეგი ან ითვალისწინებს, რომ მის მიერ დახმარების აღმოუჩენლობასთან ასეთი შედეგი აუცილებლობითაა დაკავშირებული, იგი პასუხს აგებს არა 131-ე მუხლის პირველი ნაწილით, არამედ განზრახვი მკვლელობის მცდელობისათვის.

7. 131-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მედიცინის მუშაკს უნდა აღმოეჩინა ავადმყოფისათვის დახმარება და მან ეს არ გააკეთა.

8. 131-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობას, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. მძიმე შედეგად ჩაითვლება ადამიანის მძიმე დაავადება, სხეულის დაზიანება და ა. შ. თუ მძიმე შედეგი ავადმყოფის სიკვდილში გამოიხატა, მაშინ შეიძლება საკითხი დაისვას გაუფრთხილებლობითი მკვლელობის შესახებ.

9. დახმარების აღმოუჩენლობასა და მძიმე შედეგს შორის უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი, ე. ი. დადგენილი უნდა იქნეს,

რომ თუ მედიცინის მუშაკი აღმოუჩენდა ავადმყოფს გადაუდებელ დახმარებას, რომელიც პას შეეძლო და უნდა აღმოეჩინა, მძიმე შედეგი არ დადგებოდა. პირიქით, თუ დაგენილი იქნება, რომ დახმარების თავის დროზე აღმოჩენის შემთხვევაში მძიმე შედეგი მაინც დადგებოდა, ეს შედეგი მიზეზობრივად დაკავშირებული არ არის პირის უმოქმედობასთან და დამნაშავე პასუხს აგებს მხოლოდ 131-ე მუხლის პირველი ნაწილით.

10. მძიმე შედეგის მიზართ პირს უნდა ჰქონდეს გაუფრთხილებლობითი ბრალი. ამგვარად 131-ე მუხ. წარმოადგენს მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტს.

**მ უ ხ ლ ი 132. განსაცდელში მყოფ პირთათვის დახმარების აღმოუჩენლობა გემის კაპიტანის მიერ**

გემის კაპიტანის მიერ დახმარების აღმოუჩენლობა იმ პირთათვის, რომლებიც ზღვაში ან სხვა წყალსავალ გზაზე იღუპებოდნენ, თუ ამ დახმარების აღმოჩენა შესაძლებელი იყო მისი გემისათვის, გემის ეკიპაჟისა და მგზავრებისათვის სერიოზული საფრთხის გარეშე, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

1. აღნიშნული მუხლი შეტანილია მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დასაცავად მიმართული საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, რომელიც 1910 წლის 23 სექტემბერს იქნა მიღებული ბრიუსელში, ხოლო საბჭოთა კავშირში ძალაში შევიდა 1926 წლის 2 თებერვლიდან. ანალოგიური ნორმა შეტანილი იყო აგრეთვე 1914, 1929, 1948 და 1960 წლების კონვენციებში, რომლებიც ეხებიან ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვას.

2. გემის კაპიტანი ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს განსაცდელში მყოფ პირებს არა მარტო მაშინ, როცა ისინი ზღვაში იმყოფებიან, არამედ მაშინაც, როცა ასეთი საფრთხე სხვა წყალსავალ გზებზეა შექმნილი.

დახმარება უნდა აღმოუჩინონ არა მარტო საბჭოთა მოქალაქეებს, არამედ უცხო სახელმწიფო მოქალაქეებსაც, როდესაც მათ გემს ჩაძირვის საფრთხე ემუქრება.

3. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა მიზეზით არის გამოწვეული განსაცდელი: უამინდობით, ხომალდის ჩაძირვით თუ სხვ., აგრეთვე — უშუალოდ წყალშია ჩავარდნილი დაზარალებული, თუ ჯერ კიდევ იმყოფება ჩაუძირავ ხომალდზე ან მამველ ნაგზე.

4. დანაშაული გამოიხატება უმოქმედობით, ე. ი. იმ პირებისათვის დახმარების ამოუჩენლობით, რომლებიც წყალში ილუპებიან. იგი დამთავრებულად ითვლება დახმარების აღმოუჩენლობის მომენტიდან. ადამიანთა დალუპვის შემთხვევაში ეს გარემოება შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში მხოლოდ როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

5. კანონი არ მოითხოვს გემის კაპიტნისაგან განსაკუთრებულ გმირობას და თავგანწირვას. იგი დაისჯება მხოლოდ მაშინ, როცა შეეძლო დახმარება აღმოეჩინა ისე, რომ სერიოზულ საფრთხეში არ ჩაეგდო საკუთარი გემი, გემის ეკიპაჟი და მგზავრები.

6. დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ გემის კაპიტანი, ან ის პირი, ვინც კაპიტნის მოვალეობას ასრულებს. ეკიპაჟის სხვა წევრები 132-ე მუხლით პასუხს არ აგებენ, მაგრამ თუ მათ არ შეასრულეს კაპიტნის ბრძანება განსაცდელში მყოფთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ — პასუხი უნდა აგონ 129-ე მუხლით (განსაცდელში მიტოვებისათვის), ხოლო თუ კაპიტნის ბრძანება არ არსებობდა — 130-ე მუხლით (დახმარების აღმოუჩენლობისათვის).

7. სუბიექტური მხრით ეს დანაშაული გულისხმობს იმის ცოდნას, რომ ზღვაში ან სხვა წყალსავალ გზაზე ილუპებიან ადამიანები და კაპიტანს აქვს შესაძლებლობა მათ დახმარება აღმოუჩინოს. მაშასადამე, ეს დანაშაული განზრახია.

მ უ ხ ლ ი 133. თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა

ვინმეს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, რომელიც ჩადენილია ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით, ანდა 16 წლის ასაკამდე არასრულწლოვანის მიმართ, ანდა განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ანდა დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში საშუალებით, ან რომელსაც თანახლავს ფიზიკური ტანჯვის მიყენება ანდა მოკვლის ან დიდი ზიანის მიყენების მუქარა დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ და გასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გასახლების გარეშე.

(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 6 დეკემბრის ბრძანებულება. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1979 № 12, მუხ. 10).

1. საქ. სსრ კონსტიტუციის 55-ე მუხლი იცავს მოქალაქეთა პირად თავისუფლებას კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამ კონსტიტუციური უფლების ჭეშოვნად დაცვის სადარაჯოზე სისხლის სამართალიც დგას. 133-ე მუხლი ითვალისწინებს უკანონოდ ვისიმე თავისუფლების აღკვეთის დასჯადობას. ამ დანაშაულს არსი მდგომარეობს იმაში, რომ პიროვნებას უკანონოდ ძალმომრეობით ართმევენ შეაძლებლობას თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს ის ადგილი, სადაც მას სურს იყოს, ე. ი. აღუქვეთავენ მიმოსვლის თავისუფლებას. მაშასადამე, დანაშაულის ობიექტი არის პიროვნების მიმოსვლის თავისუფლება, მისი უფლება იმყოფებოდეს იმ ადგილას. რომელიც მან თვითონ აირჩია. როდესაც თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა დაკავშირებულია არასრულწლოვანის მოტაცებასთან, ასეთ შემთხვევაში იგი ხელყოფს აგრეთვე ბავშვის ინტერესებს, მის ნორმალურ ინტელექტუალურ და ზნეობრივ განვითარებას. ამავე დროს იგი ხელყოფს მშობლებისა და მისი შემცველი პირების (მშვილებლების და სხვ.) ინტერესებს, მათ უფლებას თავისთან იყოლიონ შვილი და აღზარდონ იგი.

2. თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს უკანონო, ე. ი. იმ პირს, ვინც ადამიანს თავისუფლება აღუქვეთა, არ უნდა ჰქონდეს ამის უფლება, თუ თავისუფლების აღკვეთას ახორციელებს სპეციალურად სამისოდ უფლებამოსილი პირი, მაგალითად, მოკვლევის და გამოძიების ორგანოს წარმომადგენელი ან სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი და ა. შ., 133-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა არ გვექნება. თანამდებობის პირი, რომელიც უკანონოდ დააკაებს ან დააპატიმრებს პირს, პასუხს აგებს არა 133-ე, არამედ 194-ე მუხლით, ხოლო სათანადო შემთხვევაში — აგრეთვე 192-ე ან 193-ე მუხლით ერთობლიობის საფუძველზე.

თავისუფლების აღკვეთა არ არის მართლსაწინააღმდეგო, როდესაც მას მიმართავენ აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის უფლების განხორციელების დროს, თუკი გადამეტებული არ არის მოგერიებისათვის საჭირო ღონისძიებანი ან დარღვეული არ არის უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერების პირობები.

თავისუფლების უკანონო აღკვეთად არ ჩაითვლება აგრეთვე დანაშაულის დაკავება კერძო პირის მიერ დანაშაულზე წასწრების

დროს ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 26 ივლისის ბრძანებულება „ხულიგნობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ მე-16 პუნქტში სპეციალურად მიუთითებს, რომ მოქალაქის მოქმედება, რომელიც მიმართულია დანაშაულის აღსაკვეთად და დამნაშავეის დასაკავებლად, საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, მართლზომიერად ითვლება და არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან სხვაგვარ პასუხისმგებლობას, თუნდაც ამგვარმა მოქმედებამ დამნაშავეს რაიმე ზიანი მიაყენოს<sup>170</sup>.

ანალოგიურ პოზიციაზე დგას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, რომელიც თავის 1969 წლის 4 დეკემბრის დადგენილებაში „სასამართლოთა მიერ აუცილებელი მოგერიების თაობაზე არსებული კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“ მიუთითებს, რომ მოქალაქის მიერ დამნაშავეის დაკავება, რათა აღკვეთილ იქნეს მისი დანაშაულებრივი საქმიანობა ან მისი დაკავება უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რათა დამნაშავე წარედგინოს ხელისუფლების სათანადო ორგანოს, განხილულ უნდა იქნეს როგორც ჩადენილი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში<sup>171</sup>.

მართლზომიერია აგრეთვე სულით ავადმყოფის მოთავსება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მისი მკურნალობის მიზნით ან გადამდები სენით დაავადებული და გარშემო მყოფთათვის საშიში ავადმყოფის მოთავსება საავადმყოფოში, იმ პირთა კარანტინში მოთავსება, რომლებიც ჩამოსული არიან ისეთი ადგილიდან, სადაც ეპიდემიაა გავრცელებული. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში პირის იზოლაცია აუცილებლობით არის გამოწვეული.

უკანონოდ არ ჩაითვლება აგრეთვე ბავშვის ხანმოკლე დროით დამწყვდევა მშობლიური ან პედაგოგიური უფლების განხორციელების მიზნით. მაგალითად, მშობელმა, ბავშვის დასჯის მიზნით, ერთი საღამოს განმავლობაში არ გამოუშვა შვილი სახლიდან, ან პედაგოგმა იმავე მიზნით, ზედმეტ გაკვეთილზე ერთი საათით დატოვა ბავშვები სკოლაში.

3. თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს ძალმომრეობითი, ე. ი. დაზარალებულის თანხმობის გარეშე ან მისი აშკარად გამოთქმული

<sup>170</sup> «BBC СССР», 1966, № 30, с. 595.

<sup>171</sup> იხ. «Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977». М., 1978, с. 74.

ნების საწინააღმდეგოდ. დაზარალებულის თანხმობა გამოორიციხავს პასუხისმგებლობას 133-ე მუხლის მიხედვით. თავისუფლების აღკვეთა ძალმომრეობითია, უპირველეს ყოვლისა, მაშინ, როცა იგი ჩადენილია ფიზიკური ძალადობით (მაგალითად, დაზარალებულის მოტაცება, მისი ჩამწყვდევა ჩაკეტილ სადგომში, მისთვის ხელფეხის შეკვრა და ამით მოძრაობის შესაძლებლობის მოსპობა, მისი დაბმა და ა. შ.). იგი შეიძლება ჩადენილი იქნეს აგრეთვე ფსიქიკური ძალადობის (მუქარის) მეშვეობით (მაგალითად, დაზარალებულს ემუქრებიან, რომ თუ იგი ბინიდან გამოვა, მოკლავენ ან ახლობლებს ამოუხოცავენ ან რაიმე სხვა სერიოზულ ვნებას მიაყენებენ). თავისუფლების აღკვეთა ძალმომრეობითია იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი, რომელსაც თავისუფლება წაართვეს, უგონო მდგომარეობაში იყო, მაგრამ შემდეგ, როცა თხოვეს გათავისუფლებას, არ უშვებენ, ანდა როცა იგი თავდაპირველად მოტყუების მეშვეობით განხორციელდა. საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკაში იყო ასეთი შემთხვევა: ბოროტმოქმედებმა გამოიტყუეს სახლიდან დაზარალებული, თითქოს მას მამა იბარებდა, ჩასვეს იგი მანქანაში, შემდეგ კი გადამალეს მშობლებისათვის ფულის გამოძალვის მიზნით.

4. თვითონ დანაშაულებრივი ქმედობა შეიძლება გამოიხატებოდეს დაზარალებულის დაკავებაში, როდესაც მას საშუალება ესპობა წაეიდეს იმ ადგილიდან, სადაც იგი არის (დაზარალებულის შეკვრა ან მისთვის მოძრაობის საშუალების მოსპობა დამუქრებით და ა. შ.) ან ისეთ ადგილას მოთავსებაში, საიდანაც მას გამოსვლა არ შეუძლია (დამწყვდევა ჩაკეტილ სადგომში, სარდაფში, მოთავსება მანქანაში, რომელიც დიდი სისწრაფით მიჰყავდა და ა. შ.).

5. სუბიექტური მხრით დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ განზრახვით. სუბიექტმა უნდა იცოდეს, რომ იგი ძალმომრეობით, ე. ი. დაზარალებულის ნების წინააღმდეგ უსპობს პირს თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობას. მოტივს, რითაც ხელმძღვანელობდა დამნაშავე, 133-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. გამონაკლისს წარმოადგენს ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით, რომელიც გამოყოფილია სისხლის სამართლის კოდექსში განსაკუთრებული დანაშაულის სახით (იხ. 134-ე მუხლი).

6. დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი 16 წელს მიღწეული პირი.



7. თუ პირს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, რათა ამით შესაძლებლობა ჰქონოდათ ჩაედინათ რაიმე დანაშაული ან გაეღვილებინათ იგი, ამ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა განხილული უნდა იქნეს როგორც ამ დანაშაულის მომზადება ან მცდელობა და ქმედობა დაკვალიფიცირდეს ერთობლიობის წესით.

8. დანაშაული დამთავრებულად ითვლება დაზარალებულის დაკავების ან დამწყვედების მომენტიდან. რამდენ ხანს გრძელდება თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, ამას დანაშაულის შეზღვევნილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასჯელის კონკრეტული ღონისძიების დანიშვნის დროს.

თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა მყოფარი (დენადი) დანაშაულია. მაშასადამე, იგი გრძელდება დამთავრებულ მდგომარეობაში მანამდე, ვიდრე პირი არ იქნება განთავისუფლებული დამნაშაის ან სხვა პირების მიერ ან ვიდრე თვით დაზარალებული არ გაინთავისუფლებს თავს.

9. 133-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად ითვლება თავისუფლების აღკვეთა ჩადენილი ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით. ანგარება იქნება, მაგალითად, ადამიანის გატაცება მისთვის გამოსასყიდი თანხის მიღების მიზნით, ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ადამიანის მოტაცების შემთხვევები მისი გამოსყიდვის მიზნით. დანაშაული ანგარებით მაშინაც არის ჩადენილი, როდესაც ბავშვს იტაცებენ, მაგალითად, იმისათვის, რომ გამოიყენონ იგი მათხოვრობისათვის, ან ქალს იტაცებენ იმ მიზნით, რომ აიძულონ იგი პროსტიტუციისათვის და ამ გზით თვით მიიღონ შემოსავალი. ქვენა გრძნობა იქნება, მაგალითად, შურისძიება და სხვ.

10. მეორე დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს იმ პირს თავისუფლების აღკვეთა ვისაც 16 წელი არ შესრულებია. 16 წელს მიუღწეველი არასრულწლოვანის თავისუფლების აღკვეთა განსაკუთრებით საშიშია იმის გამო, რომ ამან შეიძლება ძლიერად და სამუდამოდ შეარყიოს მისი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ფსიქიკა, წარუშლელი დადი დაასვას ბავშვის ინტელექტუალურ და ზნეობრივ განვითარებას. არასრულწლოვანს აცილებენ მის მშობლებს, მეურვეს ან მზრუნველს, აცილებენ სკოლას და გარემოს, რომელსაც იგი მიეჩნია. ამან შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო არასრულ-

წლოვანის ძლიერი ფსიქიკური ტრავმა, არამედ მისი არაჩანსალი აღზრდა ან მიაყენოს მას სხვაგვარი ზიანი.

არასრულწლოვანის თავისუფლების აღკვეთა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილია ანგარების და საერთოდ ქვენა გრძნობის ანდა სხვა დამამძიმებელი გარემოების გარეშე.

სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი, შეიძლება თუ არა საკუთარი შეილის გატაცებისათვის პასუხი აგოს მშობელმა, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება სასამართლოს გადაწყვეტილებით. ყაზანის სახალხო სასამართლომ და თათართა ასსრ უმაღლესმა სასამართლომ დამნაშავედ აღიარეს ბავშვის მოტაცებისათვის რ., რომელსაც, ჩამორთმეული ჰქონდა რა მშობლის უფლება, მოიტაცა საკუთარი შეილი სკოლა-ინტერნატიდან, თანაც ასეთი გადაწყვეტილება სახალხო სასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ კანონს მხედველობაში აქვს არა სისხლის, არამედ იურიდიული ნათესაობა, რომელიც მშობლის უფლების ჩამორთმევის შემდეგ უკვე აღარ არსებობს.

ასეთი დებულება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. მშობელს, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, არა აქვს უფლება თვითონ აღზარდოს საკუთარი შეილი, მაგრამ ნათესაური კავშირი მათ შორის გაწყვეტილი არ არის. ასეთი მშობელი ვალდებულია გადაუხადოს შეილის ალიმენტი, არჩინოს იგი, მშობლის სიკვდილის შემთხვევაში მისი მემკვიდრე შეილია და ა. შ. (იხ. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 64-ე მუხლი). ამიტომ ჩვენის აზრით, სწორად მოიქცა რსფსრ უმაღლესი სასამართლო, რომელმაც არ სცნო დანაშაულის შემადგენლობა რ.-ს მოქმედებაში<sup>172</sup>.

არასრულწლოვანის მოტაცების საშუალება შეიძლება სხვადასხვა იყოს. იგი შეიძლება მოხდეს აშკარად — არასრულწლოვანის მშობლების ან სხვა პირების თვალწინ ან მალულად, ძალადობის გარეშე. მოტყუებით და ა. შ. არასრულწლოვანის თანხმობას მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ მოტაცება შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც არასრულწლოვანის ნების წინააღმდეგ, ისე მისი თანხმობით. არასრულწლოვანის მოტაცებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც იგი თავისი ნებით მივიდა დამნაშავესთან, ხოლო შემდეგ ეს უკანასკნელი ძალით ან მოტყუებით აკავებს მას,

<sup>172</sup> «БВС РСФСР», 1963, № 3, с. 11.

ან როდესაც არასრულწლოვანი იმდენად პატარაა, რომ არ ესმის სად იმყოფება.

11. თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის შემდგომ დამამძიმებელ გარემოებებში ითვლება აგრეთვე თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ.

განმეორებით თავისუფლების აღკვეთისათვის აუცილებელია, რომ დამნაშავეს წინათ ჩადენილი ჰქონოდა ასეთივე დანაშაული. თუ პირს ჩადენილი აქვს რაიმე სხვა დანაშაული და შემდეგ ვინმეს უკანონოდ თავისუფლებას აღუკვეთავს, იგი პასუხს აგებს 133-ე მუხლის არა მეორე, არამედ პირველი ნაწილით. ასეთივე იქნება მისი პასუხისმგებლობა, თუ პირველი დანაშაულის ჩადენის დღიდან გასულაა ხანდაზმულობის ვადა ან მოხსნილია ნასამართლობა.

პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა გულისხმობს, რომ დანაშაულში მონაწილეობას იღებს ორი ან რამდენიმე პირი, რომლებიც მოქმედებენ როგორც ამსრულებლები, თანაც მათ შორის არსებობს წინასწარი შეთანხმება დანაშაულის ჩადენის შესახებ. პირიქით, თუ ერთი პირი, ვთქვათ, მონაწილეობას იღებს დანაშაულში როგორც წაბქეზებელი ან დამხმარე, ხოლო მეორე როგორც ამსრულებელი, ამ შემთხვევაში გვექნება უბრალო თანამონაწილეობა და არა პირთა წინასწარ შეთანხმებული ჯგუფი<sup>173</sup>.

თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე, ვიდრე იგი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისათვის პაუზისგებაში იქნებოდა მიცემული, უკვე ცნობილი იყო განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლით დადგენილი წესისამებრ<sup>174</sup>.

12. დამამძიმებელ გარემოებებში ითვლება აგრეთვე თავისუფლების უკანონოდ აღსაკვეთად სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში საშუალების გამოყენება. ასეთი საშუალება იქნება, მაგალითად, ცივ, ბნელ და ნესტიან სარდაფში მოთავსება ან ღრმა

<sup>173</sup> პირთა დანაშაულებრივი ჯგუფის შესახებ იხ. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები“, თბ., 1976, გვ. 227—228.

<sup>174</sup> განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის შესახებ იხ. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები“, თბ., 1976, გვ. 254—263.

ორმოში თუ ქაში დამწყვედვეა ან ისეთ ადგილას მოთავსება, სადაც ყოველ წუთს შეიძლება ქერი ჩამოინგრეს და ა. შ.

თუ ის პირი, ვისაც თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს, მკვლელობის ან სხეულის დაზიანების მიზნით იყო ჩაყენებული სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ მდგომარეობაში, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს, დანაშაულთა ერთობლიობის წესის თანახმად, როგორც თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და მკვლელობის ან სხეულებრივი დაზიანების მცდელობა.

13. შემდგომი დამამძიმებელი გარემოება არის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, რომელსაც თან ახლავს დაზარალებულისათვის ფიზიკური ტანჯვის მიყენება, მაგალითად, ცემა, წამება, ფეხებით დაკიდება და სხვ. მისთ. საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც დაზარალებული — საკმაოდ სრული მამაკაცი, მანქანის საბარგულში მოათავსეს და საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასე ატარეს.

14. დაბოლოს დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს აგრეთვე დაზარალებულის მოკვლის ან დიდი ზიანის მიყენების მუქარა, რომელიც თან ახლავს თავისუფლების აღკვეთას. მუქარა ხშირად დაკავშირებულია ხოლმე განსაზღვრული თანხის მიღებასთან. დაზარალებულს ან მის მახლობლებს ემუქრებიან, რომ თუ გამოსასყიდი თანხა არ იქნება გადახდილი, მას ან მის მახლობელს მოკლავენ ან რაიმე სხვა დიდ ზიანს მიაყენებენ.

დიდი ზიანის მიყენება გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, მძიმე სხეულებრივ დაზიანებას, მაგალითად, სახის წარუხოცველ დამახინჩებას, თვალის ამოთხრას და სხვ. მისთ. დიდი ზიანის მუქარა შეიძლება გამოიხატებოდეს აგრეთვე გაუპატიურების მუქარაში. დაბოლოს დაზარალებულს ან მის მახლობლებს შეიძლება ემუქრებოდნენ მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის მიყენებით, მაგალითად, სახლის გადაწვით, ვენახის აყრით, ავტომანქანის აფეთქებით და ა. შ.

15. თუ თავისუფლების უკანონო აღკვეთამ ადამიანის სიკვდილი ან სხეულებრივი დაზიანება გამოიწვია, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს ერთობლიობის წესის მიხედვით. თანაც თუ დამნაშავე ითვალისწინებდა ადამიანის სიკვდილის ან სხეულებრივი დაზიანების შესაძლებლობას, მოქმედება დაკვალიფიცირდება როგორც თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და განზრახი მკვლელობა ან სხეულის დაზიანება. ხოლო თუ პირი ზოგადად ითვალისწინებდა ასეთი შედეგის შესაძლებლობას, მაგრამ ვარაუდობდა მის

აცდენას, ან არ ითვალისწინებდა, თუმცა შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა იგი, — როგორც გაუფრთხილებლობითი მკვლელობა ან სხეულებრივი დაზიანება.

თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისათვის 133-ე მუხლით ამჟამად საკმაოდ მძიმე სასჯელია დაწესებული. სახელდობრ, თუ იგი დამამძიმებელი გარემოებების გარეშეა ჩადენილი — თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ წლამდე, ხოლო თუ იგი დამამძიმებელ გარემოებებშია ჩადენილი — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე, თანაც ძირითად სასჯელს დამატებითი სასჯელის სახით შეიძლება დაემატოს ქონების კონფისკაცია და გასახლება ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

სასჯელის ასეთი გაძლიერების მიზეზი ის იყო, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთგვარად იმატა ქონების გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცების რიცხვმა. რადგანაც სასჯელი ასეთი შემთხვევებისათვის აშკარად არ შეესაბამებოდა დანაშაულის სიმძიმეს, ზოგიერთი სახალხო სასამართლო კანონის დარღვევაზეც კი წავიდა და აშკარად არასწორად აკვალიფიცირებდა ასეთ შემთხვევებს როგორც ყაჩაღობას. გაითვალისწინა რა პრაქტიკის მოთხოვნები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1979 წლის 6 დეკემბერს მიიღო ბრძანებულება „უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

მუხლი 134. ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

1. 134-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული წარმოადგენს უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთ კერძო სახეს.

2. აღნიშნული დანაშაულის ობიექტია ქალის ქორწინების თავისუფლება.

3. ობიექტური მხარე გამოიხატება ქალის გატაცებაში, ე. ი. ქალის ნების წინააღმდეგ მის ძალმომრეობით წაყვანაში იმ ადგილიდან, სადაც იგი იმყოფებოდა, ან ძალით დაკავებაში რაიმე სხვა ადგილას, სადაც მას არ უნდა ყოფნა.

4. დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს 16 წელს მიღწეულმა ყველა შერაცხადმა პირმა.

5. დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ განზრახ. ამასთან 134-ე მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ მიზანს — ქალ-

თან დაქორწინებას. თუ ქალის მომტაცებელს მასთან დაქორწინების მიზანი არ ჰქონდა, მისი ქმედობა შეიძლება დაკვალიფიციროდეს 133-ე მუხლით, ხოლო თუ იგი მოქმედებდა რაიმე სხვა დანაშაულის ჩადენის, მაგალითად, გაუპატიურების მიზნით — ქმედობა უნდა დაკვალიფიციროდეს როგორც ამ დანაშაულის მომზადება.

6. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ქალის მოტაცების მომენტიდან, იმისდა მიუხედავად, მოახერხა თუ არა იმ პირმა, ვისთვისაც ქალი იყო გატაცებული, მისი ცოლად შერთვა. ქალის შემდგომი თანხმობა დაქორწინებაზე არ გაათავისუფლებს გამტაცებელს პასუხისმგებლობისაგან.

### მ უ ხ ლ ი 135. იძულება

ძალდატანებით ან დასასჯელი მიუქართ სხვა პირის იძულება, რომ შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჭარიშით ას მანეთამდე.

1. იძულება ხელყოფს პირის უფლებას განკარგოს თავისი მოქმედება. დაზარალებულს აიძულებენ რაიმე გააკეთოს ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედებისაგან, მაგალითად: მოსპოს წერილი თუ დოკუმენტი, რომელიც სხვა პირის სახელგამტეხ ცნობებს შეიცავს, ან ქალს აიძულებენ გაიკეთოს აბორტი, ან გამომცდელს — დაუწეროს გამოსაცდელს მისთვის საჭირო ნიშანი, ან პირს აიძულებენ არ შეიტანოს განცხადება ვაკანტურ თანამდებობაზე გამომცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ან ცოლად არ შეირთოს განსაზღვრული ქალი, ან გაუპატიურებულ ქალს აიძულებენ არ აცნობოს სათანადო ორგანოებს ჩადენილი გაუპატიურების შესახებ (ეს შეიძლება ჩაიდინოს იმ პირმაც, ვისაც მონაწილეობა არ მიუღია გაუპატიურებაში) და ა. შ.

2. ადამიანის მოქმედების საკუთარი სურვილის მიხედვით განკარგვის, ე. ი. რაიმე მოქმედების შესრულების ან, პირიქით, მოქმედებისაგან თავის შეკავების თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვა თავისთავად საზოგადოებრივად საშიშია და დასაგმობია კომუნისტური ზნეობის მიერ. მოქმედების თავისუფლების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა შუქზე, რომლებიც ფართოდ უზრუნველყოფენ პიროვნების სხვადასხვა უფლებებსა და თავისუფლებებს, მის სულიერ და მატერიალურ ინტერესებს, და რომელთა ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება ადამიანის მიერ თა-

ვისი მოქმედების თავისუფლად განკარგვის ყოველგვარი უკანონო შეზღუდვა.

3. თვითგამორკვევის თავისუფლების ხელყოფის აღიარება სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედობად — საქართველოს სსრ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის თავისებურებაა. იძულების ზოგადი შემადგენლობა არ იყო გათვალისწინებული წინათ მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მას ამჟამად არ ითვალისწინებენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები.

4. არა ყოველგვარი ზემოქმედება სხვა პირის ნებაზე იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ მხოლოდ იეთი, რომელიც ჩადენილია ფიზიკური ძალადობის ან მუქარის მეშვეობით. იძულების შემადგენლობა არ არსებობს, თუ პირის ნებაზე სხვაგვარად მოახდინეს ზემოქმედება, კერძოდ, მოტყუების მეშვეობით (მაგალითად, თუ პირს დეპეშით გამოიძახებენ სხვა ქალაქში, ვითომდა მისი ახლობელი ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით) ან სამსახურებრივი, მატერიალური თუ რაიმე სხვა დამოკიდებულების გამოყენებით.

ფიზიკური ძალადობა როგორც იძულების საშუალება არის ფიზიკური ძალის გამოყენება (მაგალითად, ვინმეს ხელში ჩაჩრეს კალამი და ძალით მოაწერიან ხელი დოკუმენტზე, ჩამოათრეს მატარებლიდან, რომ არ მიეცათ წასვლის შესაძლებლობა, გადმოაგდეს ავტომანქანიდან მისი მფლობელი, რომ ესარგებლათ მანქანით და ა. შ.). ძალადობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მართო იმ პირის მიმართ, ვისგანაც მოითხოვენ რაიმე მოქმედებას ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას, არამედ მისი ახლობლების მიმართაც. ეს მაშინაა, როცა ამ პირების ხელყოფას დაზარალებული განიცდის ისე, თითქოს ეს ხელყოფა უშუალოდ მის წინააღმდეგ იყოს მიმართული (მაგალითად, ქმრის თვალწინ სცემენ მის ცოლს, რათა ამით აიძულონ ქმარი განსაზღვრული მოქმედების ჩადენისათვის).

თუ ფიზიკური ძალადობა სხეულის დაზიანებაში გადაიზარდა, დამნაშავე პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობის წესით იძულებისა და სხეულის დაზიანებისათვის.

5. იძულების საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუქარაც. მუქარა მხოლოდ მაშინ წარმოადგენს 135-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საშუალებას, როდესაც იგი დასჯადია (იხ. 136-ე მუხ. კომენტ.).

6. პასუხისმგებლობა იძულებისათვის მხოლოდ მაშინ იქნება დასაბუთებული, როდესაც იგი მართლსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებდა. თუ ვინმე უფლებამოსილია აიძულოს სხვა პირი განსაზღვრული მოქმედების შესრულების ან, პირიქით, მოქმედებისაგან თავის შეკავებისათვის, პასუხისმგებლობის საკითხი იხსნება. ამიტომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიიქცემა პირი, ვინც დააკავა დამნაშავე დანაშაულის ჩადენის ადგილას და ფიზიკურ ძალას მიმართა, რათა იგი მილიციაში მიეყვანა.

არ დაკვალიფიცირდება 135-ე მუხლით აგრეთვე მოვალის იძულება რომ დაუბრუნოს კრედიტორს მისგან ნასესხები თანხა, ან პირის იძულება დაუბრუნოს პატრონს ნივთი, რომელიც დროებით მისგან ინათხოვრა, თუნდაც ამისათვის გამოყენებული იქნეს ძალადობა ან მუქარა. ამ შემთხვევაში არა გვაქვს მოქმედების განკარგვის თავისუფლების შეზღუდვა, რადგან პირი, მართლწესრიგის მოთხოვნათა საფუძველზე, ვალდებული იყო შეესრულებინა სწორედ ის მოქმედება, რომელსაც მისგან მოითხოვდა ის, ვინც მასზე ზემოქმედება მოახდინა. აქ საკითხი შეიძლება შეეხოს მხოლოდ იმას, ხომ არ უნდა აგოს პირმა პასუხი, საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით, ძალადობისათვის (116-ე მუხ. პირველი ნაწილი), მუქარისათვის (136-ე მუხ.) ან თვითნებობისათვის (მუხ. 220-ე), რამდენადაც პირი თავის უფლებას უკანონო გზით ახორციელებს.

7. იძულება შეიძლება შეეხოს ადამიანის საქმიანობის ყოველგვარ სფეროს. იძულების შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, რა მოქმედებას ჩაადენინებენ ძალადობით დაზარალებულს. ამ მოქმედებას შეიძლება ჰქონდეს იურიდიული მნიშვნელობა (მაგალითად, დაზარალებულს აიძულებენ წერილობითი თანხმობა განაცხადოს განქორწინებაზე) ან იგი იურიდიული თვალსაზრისით შეიძლება იყოს სრულიად ინდიფერენტული (მაგალითად, მთვრალი ახალგაზრდები გართობის მიზნით, აიძულებენ ხანში შესულ ქალს იცეკვოს მათ წინაშე).

იძულების შემადგენლობა მაშინაც გვექნება, როდესაც პირს აიძულებენ ჩაიდინოს ისეთი მოქმედება, რომელიც ზნეობრივი თვალსაზრისით გასაკიცხი არ არის. ეს შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში მხოლოდ როგორც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება.

თუ იძულება წარმოადგენდა აუცილებელ საშუალებას რაიმე უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის გადასარჩენად, იგი ჰკარგავს საზო-



გადოებრივად საშიშ და მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. ასე, მაგალითად, თუ ფიზიკური ზემოქმედების მეშვეობით ვინმეს ხელი შეუშალეს თვითმკვლელობაში, ამით, რა თქმა უნდა, პირის თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა შეზღუდულია, მაგრამ ასეთი მოქმედებით გადარჩენილია ისეთი დიდი ღირებულების სიკეთე, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე. ასეთ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ნორმები უკიდურესი აუცილებლობის შესახებ.

8. დამნაშავემ ფიზიკური ძალადობის ან მუქარის მეშვეობით შეიძლება აიძულოს სხვა პირი ჩაიდინოს დანაშაული. ასეთი ქმედობა შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს 135-ე მუხლით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იმ დანაშაულისათვის, რომელიც დაზარალებულს იძულებით ჩაადენინეს, კანონით შეიძლება დაინიშნოს იმავე სიმძიმის ან უფრო მსუბუქი სასჯელი, ვიდრე 135-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელია. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს როგორც იმ დანაშაულის წამქეზებელი, რომელიც პირს იძულებით ჩაადენინეს თუ ზემოქმედებამ ისეთ ინტენსიობას მიაღწია, რომ დანაშაულის ფიზიკური ამსრულებლის ნება სრულიად პარალიზებულია და იგი დამნაშავის ხელში მხოლოდ ბრმა იარაღს წარმოადგენს. უკანასკნელი პასუხს აგებს არა როგორც დანაშაულის წამქეზებელი, არამედ როგორც შუალობითი ამსრულებელი. მაგალითად, თუ ერთმა პირმა რევოლვერით ხელში სიკვდილის დამუქრებით აიძულა მეორე ცეცხლი წაეკიდებინა თავისი მტრის სახლისათვის, იგი პასუხს აგებს არა ცეცხლის წაკიდების წაქეზებისათვის, არამედ თვით ცეცხლის წაკიდებისათვის (მუხ. 157-ე, 2 ნაწილი), ხოლო ამ მოქმედების უშუალო შემსრულებელი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.

9. იძულების სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი 16 წლის ასაკიდან.

10. სუბიექტური მხრით იძულება შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ. პირი ითვალისწინებს, რომ ძალადობით ან მუქარით აიძულებს მეორე ადამიანს ჩაიდინოს განსაზღვრული მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედებისაგან. მოტივს, რომელმაც განსაზღვრა დამნაშავის მოქმედება, ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, იგი შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში მხოლოდ სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

11. 135-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ღამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეასრულა ის მოქმედება, რასაც მისგან დამნაშავე მოითხოვდა. თუ

11. დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ

დანაშაული ძალადობის ან მუქარის გამოყენების სტადიაზე გაჩერდა, ეს ნაკლებობად უნდა ჩაითვალოს.

12. 135-ე მუხლით გათვალისწინებული იძულებისაგან უნდა განვასხვავოთ იძულების სპეციალური შემთხვევები, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებშია გათვალისწინებული და რომლებთანაც დაკავშირებულია მნიშვნელოვანი სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან პირადი ინტერესების ხელყოფა. ასეთია, მაგალითად, გაუპატიურება (მუხ. 117-ე), როდესაც იძულებას იყენებენ დაზარალებულის სქესობრივი თავისუფლების ხელყოფისათვის, მოწმის იძულება ცრუ ჩვენების მისაცემად (მუხ. 199-ე), რაც ხელყოფს მართლმსაჯულების ინტერესებს, ხელისუფლების წარმომადგენლის იძულება აშკარად უკანონო მოქმედების ჩადენისათვის (207-ე მუხლის მეორე ნაწილი), რაც ხელყოფს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის სწორ საქმიანობას და ა. შ. 135-ე მუხლი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც მოცული არ არიან იძულების სხვა სპეციალური შემადგენლობებით.

13. იძულება უნდა განვასხვავოთ თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისაგან (მუხ. 133-ე). უკანასკნელ შემთხვევაში პიროვნება მთლიანად არის შეპყრობილი; განსაზღვრულ სადგომში მოთავსებით ან დაკავებით მას უსპობენ თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობას (იხ. 133-ე მუხლის კომენტ.). იძულების დროს კი პირის თავისუფლების შეზღუდვა შეეხება მხოლოდ ცალკეული განსაზღვრული მოქმედების შესრულებას ან არ შესრულებას.

14. პრაქტიკაში 135-ე მუხლს საკმაოდ იშვიათად იყენებენ. ხშირად იმ პირებს, ვინც აიძულა სხვა პირი ესა თუ ის მოქმედება ჩაედინა, ან სულ არ აძლევენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან აკვალიფიცირებენ მათ მოქმედებას იმ მუხლით, რომელიც სხვა სახის დანაშაულს ითვალისწინებს. მოვიტანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. ს.-ს, ნ.-ს, გ.-ს და ლ.-ს ბრალად ედებოდათ, რომ მათ, მთვრალეებმა, წინასწარი შეთანხმებით, სიკვდილის მუქარით აიძულეს დაზარალებული გამოსულიყო თავისი ავტომანქანა „მოსკვიჩი“-დან და გამოიყენეს ეს მანქანა საკუთარი საჭიროებისათვის. პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკვალიფიცირა განსასჯელთა ქმედობა 152-ე მუხლის მეორე ნაწილით როგორც ყაჩაღური თავდასხმა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი უშედეგოდ დატოვა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს

პრეზიდიუმში არ დაეთანხმა ამ კვალიფიკაციას. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ყაჩაღობა, როგორც გატაცების სახე, გულისხმობს თავის აუცილებელ ნიშნად მითვისების მიზანს, ე. ი. სხვიათი ქონების თავის საკუთრებად გადაქცევის მიზანს. ეს მიზანი კი აღნიშნულ პირებს არ ჰქონდათ. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მათ ავტომანქანა „მოსკვიჩი“ დროებით გამოსაყენებლად ჩაიგდეს ხელში. პრეზიდიუმმა სამართლიანად მიუთითა, რომ ს.-ს, ნ.-ს, გ.-ს და ლ.-ს მოქმედება უნდა იქნეს კვალიფიცირებული 135-ე მუხლით, ვინაიდან მათ აიძულეს მანქანის პატრონი გამოსულიყო საკუთარი მანქანიდან, და 243-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ავტოსატრასპორტო საშუალების გატაცებას დროებით გამოყენების მიზნით<sup>175</sup>.

მ უ ხ ლ ი 136. მუქარა

მოკვლის ან სხეულის მძიმე დაზიანების ან საყოველთაოდ საშიში საშუალებით ქონების დაზიანების მუქარა პირის ან მისი მხლობლების მიმართ, როდესაც საკმაოდ ჩაფუძვლიანია მუქარის განხორციელების საფრთხე, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

1. მუქარა ხელყოფს პიროვნების მნიშვნელოვან სიკეთეს — სულიერი სიმშვიდისა და უშიშროების გრძობას. მუქარა ზემოქმედებას ახდენს იმ პირის ფსიქიკაზე, რომლის წინააღმდეგაც იგია მიმართული, არღვევს მის სულიერ წონასწორობას, აფერხებს მის ჩვეულებრივ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას, აიძულებს პირს მიაპყროს მთელი ყურადღება ისეთ გარემოებებს, რომლებიც მასში შიშისა და შეშფოთების, დაძაბულობის გრძობას იწვევენ. პანიკით შეპყრობილმა პირმა თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად შეიძლება მთელი რიგი მოქმედებები ჩაიდინოს. მაგრამ მუქარის შემადგენლობა მაშინაც არსებობს, როცა პირი პა-

<sup>175</sup> საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილება № 109, საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი.

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 18 აპრილის ბრძანებულებით „ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ 243-ე მუხლის რედაქცია შეცვლილია. კერძოდ, იგი შეესებულა ორი ნაწილით, რომლებშიც გათვალისწინებულია ავტომოტორტრანსპორტის საშუალებათა გატაცება, დაკავშირებული ძალადობასთან ან მუქარასთან. ამიტომ ეს მოქმედებანი უნდა დაკვალიფიცირდეს არა 135-ე მუხლით, არამედ, შესაბამისად, 243-ე მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით.

სიურად განიცდის ზემოქმედებას ფსიქიკაზე. ამასთანავე თუ მუქარის მიზანია აპქლოს პირი ჩაიდინოს რაიმე მოქმედება, ასეთ შემთხვევაში მუქარა უკვე მოქმედების განსაზღვრულ საშუალებად გვევლინება და იგი სხვა დანაშაულში გადაიზრდება. მუქარის მეშვეობით პირმა შეიძლება ხელყოს სხვადასხვაგვარი მნიშვნელოვანი ინტერესები. რომელთაც იცავს სისხლის სამართლის კანონი (იხ. მაგალითად, 92-ე მუხლის მეორე ნაწ., 96-ე, 97-ე, 117-ე, 151-ე მუხლის მეორე ნაწ., მუხლები 152-ე, 154-ე, 209-ე და სხვ.). მუქარა წარმოადგენს მოქმედების საშუალებას აგრეთვე იძულების საერთო შემადგენლობაში, რომელიც მოიცავს პიროვნების თავისუფლების ყოველგვარ დარღვევას (იხ. 135-ე მუხლის კომენტ.).

2. რამდენადაც მუქარის ობიექტი მოქალაქის ფსიქიკური ხელშეუხებლობაა. ამდენად იგი შეიძლება მიმართული იქნეს მხოლოდ ფიზიკური პირისადმი. იურადიული პირი არ შეიძლება იყოს მუქარის ობიექტი.

3. დამნაშავე ემუქრება დაზარალებულს, რომ ზიანს მიაყენებს ან უშუალოდ მას ან მის ახლობლებს. ახლობლებად ჩაითვლებიან ან უახლოესი ნათესავეები (მეუღლე, შვილები, მშობლები, და-ძმა, შვილიშვილები, პაპა და დიდედა) ან დაზარალებულისათვის იმდენად ახლო პირები, რომ მათთვის დამუქრებას იგი განიცდის ისევე, ან უფრო მწვავედაც, ვიდრე მის წინააღმდეგ მიმართულ მუქარას (მაგალითად. საცოლე, კმაყოფაზე მყოფი პირი და ა. შ.).

მუქარა უფროსის მიმართ, მის მიერ სამხედრო მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს დამოუკიდებელ დანაშაულს, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს (იხ. 259-ე მუხლი).

4. ობიექტური მხრივ მუქარა შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს. უფრო ხშირად იგი ზეპირად გამოითქმება. დაზარალებულს დამნაშავე შეიძლება დაემუქროს პირისპირ ან ტელეფონით ან სხვა პირის მეშვეობით. დაზარალებულს შეიძლება ემუქრებოდნენ წერილობით (ხელმოწერით ან ანონიმურად), ქესტებით, სიმბოლური მოქმედებით (მაგალითად, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის დემონსტრირებით უსიტყვოდ და ა. შ.).

5. ყოველგვარი ბოროტებით დამუქრება როდი ისჯება 136-ე მუხლის მიხედვით. კანონი პირდაპირ მიუთითებს „მოკვლის ან სხეულის მძიმე დაზიანების ან საყოველთაოდ საშიში საშუალებით ქონების დაზიანების“ მუქარაზე. სხვა, თუნდაც მნიშვნელოვანი სიკეთის დაზიანებით დამუქრება (მაგალითად, გაუპატიურებით, ცე-

მით, სახელგამტები მონაპორის გავრცელებით, ცრუ დასმენით, ბავშვის მოტაცებით და ა. შ.) არ იწვევს პასუხისმგებლობას 136-ე მუხლით. ქონების დაზიანებით დამუქრება მხოლოდ მაშინ ისჯება, როცა პირი იმუქრება, რომ დააზიანებს ან გაანადგურებს ქონებას საყოველთაოდ საწინა საშუალებით (ცეცხლის წაყიდებით, აფეთქებით, წყლის მიწვებით და ა. შ.).

6. მუქარა სერიოზული უნდა იყოს, ე. ი. უნდა ქნინდეს შთაბეჭდილებას, რომ იგი რეალიზებული იქნება. კანონი ხაზს უსვამს ამ გარემოებას მითითებით, რომ მუქარის განხორციელების საფრთხე საკმაოდ საფუძვლიანი უნდა იყოს. რა კრიტერიუმით უნდა განისაზღვროს მუქარის საფუძვლიანობის ხარისხი? თუმცა მუქარის ობიექტი პიროვნების სიმშვიდისა და უშიშროების გრძობაა, მაგრამ არა ყოველი მუქარა, რომელიც გამოიწვევს პიროვნების სულაერი სიმშვიდის დარღვევას, ასაბუთებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. წმინდა სუბიექტური მასშტაბის გამოყენებას ის მოყვებოდა, რომ თუნდაც არასერიოზული მუქარა, მიმართული ზედმეტად მგრძობიარე და მშინა სუბიექტისადმი, გამოიწვევდა პასუხისმგებლობას; ხოლო ასეთივე მუქარა, მიმართული გულადი ადამიანისადმი, რომელშიც ამ მუქარამ ვერ შექლო ვერავითარი ფსიქიკური ემოციების გამოწვევა, უნდა დარჩენილიყო დაუსჯელი. ეს კი დაარღვევდა მუქარისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთგვაროვნულად განხორციელების პრინციპს.

ამიტომ გამოყენებული უნდა იქნეს ობიექტური მასშტაბი, რომლის დროსაც ნხედველობაში მიიღება, თუ როგორი იქნებოდა ანალოგიურ პირობებში ჩვეულებრივი ფსიქიკური კონსტიტუციის მქონე პირის რეაქცია ასეთ მუქარაზე. პასუხისმგებლობა მუქარისათვის ამ თვალსაზრისით დასაბუთებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ ადამიანსაც შეიძლებოდა შექმნოდა შთაბეჭდილება მუქარის განხორციელების რეალური საფრთხის შესახებ.

7. არის თუ არა მუქარა საკმაოდ რეალური — ეს ფაქტის საკითხია, და სასამართლომ იგი საქმის ყველა გარემოების შეფასების საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს. სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მუქარის გამოთქმის ფორმას. ვითარებას, რომელშიც იგი იყო გამოთქმული (მაგალითად, არ შეიძლება სერიოზულად ჩავთვალოთ მუქარა, მიმართული მთვრალი ადამიანისადმი მთვრალი ადამიანის მიერ, ან ხუმრობის ტონით გამოთქმული მუქარა და სხვ.). სხვადასხვაგვარად უნდა შეფასდეს მუქარა, რომელიც გამოთქმული იყო შემთხვევითი წაყინკლავების შედეგად, და

მუქარა, დაკავშირებული დამნაშავესა და დაზარალებულს შორის ხანგრძლივ მტრულ დამოკიდებულებასთან. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განჩინებაში ჩ.-ს საქმეზე მითითებულია, რომ ეს მომენტი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ საკითხის გადაჭრისას, ჰქონდა თუ არა მუქარას რეალური ხასიათი<sup>176</sup>. რა თქმა უნდა, სათვალავში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე დამნაშავეს პიროვნებაც, მისი მორალური სახე (მაგალითად, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ან ცნობილი ზულიგნის დამუქრება უფრო მეტ შეშფოთებას და შიშს გამოიწვევს, ვიდრე უწყინარი ბაქიას დამუქრება და ა. შ.). მუქარას შეიძლება თან სდევდეს რაიმე მოქმედება, რომელიც შიშს ბადებს, რომ პირი ნამდვილად აპირებს მის სისრულეში მოყვანას.

თუ მუქარას თან ახლავს ისეთი მოქმედება, რაც თავის თავად სხვა რამ დანაშაულს წარმოადგენს (მაგალითად, ცემა, თავისუფლების აღკვეთა ან სხვა ძალმომრეობითი მოქმედება), მაშინ დამნაშავე პასუხს აგებს მუქარისა და ამ მეორე დანაშაულისათვის ერთობლიობის წესით. მაგრამ თუ დამნაშავე, მუქარის გარდა, ასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მიმართულია მუქარის რეალიზაციისაკენ (მაგალითად, ყიდულობს საწამლავს ან იარაღს), ამ შემთხვევაში პირი პასუხს აგებს სათანადო დანაშაულის (მკვლელობის, სხეულის დაზიანების, საყოველთაოდ საშიში საშუალებით ქონების განადგურების) მომზადებისათვის და არა მუქარისათვის.

8. სუბიექტური მხრით მუქარა შეიძლება ჩადენილი იყოს მხოლოდ განზრახვ. პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ თავისი მოქმედებით იგი ხელყოფს სხვისი სულიერი სიმშვიდისა და უშიშროების გრძობას.

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა მტკიცედ აღვია იმ თვალსაზრისს, რომ დამუქრებელი იმ შემთხვევაში აგებს პასუხს მუქარისათვის, როდესაც მას განზრახული არა აქვს მუქარის სისრულეში მოყვანა, არამედ მიზნად ისახავს მხოლოდ დააშინოს დაზარალებული. ასე, მაგალითად, რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ 1963 წლის 31 ოქტომბრის განჩინებაში უარყო მკვლელობის განზრახვა ო.-ს მოქმედებაში, რადგანაც ო.-ს, რომელიც ემუქრებოდა ე.-ს, რომ გაუსწორდებოდა მას, არ ჰქონდა ე.-ს მოკვლის განზრახვა; ამავე დროს კოლეგიამ აღიარა, რომ ო.-მ პასუხი უნდა აგოს მუქარისათვის, რამდენადაც იგი მიზნად ისახავდა დაზა-

<sup>176</sup> «БВС СССР», 1972, № 2, с. 34.

რალებულის დაშინებას<sup>177</sup>. ასეთსავე შეხედულებას იზიარებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმიც 1967 წლის 26 მაისის დადგენილებაში კ.-ს საქმეზე. კ. იმუქრებოდა, რომ ანგარიშს გაუსწორებდა თავის სიმამრს შ.-ს, მიაყენა იგი კედელს და დანას უქნევდა, თანაც ყვიროდა, მოკლავო. პლენუმის აზრით, კ.-ს მოქმედებაში არ არის დანაშაულის მცდელობა. მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა განეხორციელებინა თავისი მუქარა, მაგრამ არ უცდია ამის გაკეთება, რადგან არ აპირებდა მის მოკვლას. პლენუმმა დააკვალიფიცირა კ.-ს მოქმედება როგორც მუქარა და ხულიგნობა<sup>178</sup>.

9. მუქარას ეწოდება მარტივი მუქარა, როდესაც პირს არა აქვს მისი ოდესმე რეალიზაციის განზრახვა, არამედ სურს მხოლოდ ზემოქმედება მოახდინოს დაზარალებულზე, დაარღვიოს მისი სულიერი სიმშვიდე, დააშინოს იგი. პირიქით, რთული მუქარა გვაქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე ფიქრობს, რომ ოდესმე ნამდვილად განახორციელებს განზრახვას, ე. ი. როდესაც მუქარა შეიცავს განზრახვის გამომჟღავნების ნიშნებს. მარტივი მუქარა წარმოადგენს მუქარას საკუთარი მნიშვნელობით. რთული მუქარა, თუ იგი განმტკიცებულია მის განსახორციელებლად მიმართული მოქმედებით, შეიძლება გადაიზარდოს, მოქმედების ხასიათის მიხედვით, დანაშაულის მომზადებაში ან მცდელობაში.

10. მუქარის მოტივს ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს; მოსამართლემ იგი შეიძლება სათვალავში მიიღოს მხოლოდ სასჯელის კონკრეტული ღონისძიების შერჩევის დროს. მაგრამ თუ მუქარა წარმოადგენდა რეაქციას დაზარალებულს მართლსაწინააღმდეგო ან ზნეობრივად გასაკიცხ საქციელზე, რომელმაც დამმუქრებელში ძლიერი სულიერი მღელვარება გამოიწვია, იგი არ შეიძლება დასჯად მუქარად ჩაითვალოს.

11. მუქარა შედარებით მცირე სასჯელს იწვევს. თუ არსებობს 51-ე, 51<sup>1</sup>, 52-ე ან 53-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები, სასურველია მიღებული იქნეს ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება (საქმის გადაცემა განსახილველად ადმინისტრაციული წესით ან ამხანაგური სასამართლოსათვის ან პირის გადაცემა თავლებქვეშ).

<sup>177</sup> «БВС РСФСР», 1964, № 3, с. 7.

<sup>178</sup> «БВС СССР», 1967, № 4, с. 19—20.

## მუხლი 137. ცილისწამება

ცილისწამება, ესე იგი შეგნებულად მონაქორის გავრცელება, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე, ან გამოიწვევს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდებას.

ცილისწამება ნაბეჭდ ან სხვაგვარი ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებებში და აგრეთვე იმ პირის მიერ, რომელიც აღრე იყო მსჯავრდებული ცილისწამებისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

ცილისწამება, რომელსაც თან ერთვის განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო ან სხვა მძიმე დანაშაულში ბრალდება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

1. პატივი და ღირსება ადამიანის მნიშვნელოვანი, თანაც მეტად სათუთი სიკეთეა. პატივი წარმოადგენს პიროვნების ინტელექტუალური და მორალურ-პოლიტიკური თვისებების შეფასებას განსაზღვრულ საზოგადოებრივ წრეში, რომელშიც მიმდინარეობს ამ ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. ღირსება წარმოადგენს ადამიანის მიერ მისი საკუთარი ინტელექტუალური და ზნეობრივ-პოლიტიკური თვისებების შეგნებას. მაშასადამე, პატივი და ღირსება როგორც დანაშაულის ობიექტი გაგებულ უნდა იქნეს კომპლექსურად: როგორც ობიექტური შეფასება და როგორც საკუთარი ღირსების შეგრძნობა, რომელიც თავისი მხრივ ემყარება საზოგადოების მიერ პიროვნების შეფასებას. ამისდა მიხედვით ადამიანს უფლება აქვს მოთხოვოს მესამე პირებს არ დაამცირონ მისი პატივი საზოგადოების სხვა წევრების თვალში და არ მოეპყრან მას უპატივცემულოდ, ე. ი. არ განაცდევინონ მას სულიერი ტკივილი მისი ღირსების დამცირებით.

2. თუ დამნაშავე იმით ამცირებს ადამიანის პატივს, რომ ცდილობს შექმნას საზოგადოების სხვა წევრების თვალში არასწორი წარმოდგენა მისი ინტელექტუალური თუ ზნეობრივი თვისებების ან მისი ცხოვრების წესის თუ საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ ყალბი ცნობების გავრცელების მეშვეობით, ადგილი აქვს ცილისწამებას (მუხ. 137-ე). მაშასადამე, ცილისწამების დროს წინა პლანზე წამოწეულია პიროვნების პატივის ობიექტური შეფასება, მისი შეფასება განსაზღვრულ საზოგადოებრივ წრეში, სადაც



იგი ცხოვრობს და მოღვაწეობს, ე. ი. პიროვნების პატივი, თუმცა სუბიექტური მომენტიც, ე. ი. თვითშეფასება პიროვნების მიერ საკუთარი ღირსებისა, არ შეიძლება იქნეს მთლიანად უგულვებელყოფილი. ხოლო თუ დამნაშავე ამცირებს სხვისი ღირსების გრძობას მის შესახებ უწესო ფორმით საკუთარი უარყოფითი შეფასების გამოხატვით, ადგილი აქვს შეურაცხყოფას (მუხ. 138-ე).

3. სწორედ ამიტომ ცილისწამება შეიძლება არა მარტო სრულწლოვანი შერაცხადი პირისა, არამედ აგრეთვე ისეთი პირისაც, ვისაც არა აქვს უნარი შეიგნოს, რომ მისი ღირსების დამამცირებელი საქციელია ჩადენილი. მაშასადამე, ცილისწამების ობიექტი შეიძლება იყოს სულით ავადმყოფიც და არასრულწლოვანიც. კერძოდ სულით ავადმყოფზე უნდა ითქვას, რომ ჭერ ერთი, მისი ავადმყოფობა შეიძლება არ აღწევდეს ისეთ ხარისხს, როდესაც პირს დაკარგული აქვს საკუთარი ღირსების შეგნების უნარი და, მეორე, ასეთი შეგნება მას შეუძლია აღუდგეს მისი მორჩენის შემდეგ და ასეთ შემთხვევაში მისთვის სულერთი არ იქნება, რომ მისი ავადმყოფობის პერიოდში მასზე გამაწილებელ ხმებს ავრცელებენ. ამ უკანასკნელ მოსაზრებას მნიშვნელობა აქვს მცირეწლოვანის თაობაზე ცილისწამებლური ხმების გავრცელების შემთხვევაშიც.

4. ცილისწამება გულისხმობს სახელგამტეხი ცნობების გავრცელებას, ე. ი. ისეთი ფაქტების მტკიცებას, რომლებიც ბლალავენ დაზარალებულის პატივს, ძირს უთხრიან მის ავტორიტეტს მესამე პირთა თვალში. ცილისწამებად არ ჩაითვლება პიროვნების ზოგადი უარყოფითი დახასიათება. თუ, მაგალითად, ვინმე სწორად გადასცემს მესამე პირებს ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ არასწორ, თანაც უარყოფით მორალურ-პოლიტიკურ შეფასებას აძლევს ამ ფაქტებს, ეს ცილისწამება არ იქნება. იგულისხმება, რომ საზოგადოებას თვითონ შეუძლია შეათვალიოს სათანადო ფაქტები და ცალკეული პირის თავისებურ ინდივიდუალურ შეხედულებას ანგარიში არ გაუწიოს. ადამიანს მხოლოდ ის შეუძლია მოითხოვოს, რომ მასზე გავრცელებული არ იქნეს ისეთი ფაქტიური მონაცემები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს საზოგადოების თვალში მისი პატივის შელახვას. ფაქტის მტკიცებად ჩაითვლება მტკიცება ისეთი მოვლენის არსებობისა, რომელსაც თითქოს ადგილი ჰქონდა წარსულში ან ადგილი აქვს აწმყოში. ამიტომ თუ ვინმე ავრცელებს ხმებს, რომ დაზარალებულმა მომავალში შეიძლება ჩაიღიონოს რაიმე უზნეო საქციელი (მაგალითად, თუ დაზარალებული თა-

ნამდებობის პირად დანიშნეს, იგი აუცილებლად ქრთამს აიღებს), ეს ცილისწამება არ იქნება. სათანადო პირობებში აქ შეიძლება საკითხი დაიხვას შეურაცხყოფის შესახებ.

5. გავრცელებული ცნობები სახელს უნდა უტეხდნენ დაზარალებულს, უნდა ამცირებდნენ მის ღირსებას, ძირს უნდა უთხრიდნენ მის რეპუტაციას საზოგადოებაში.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1971 წ. 17 დეკემბერს შემდგენიარად განმარტა „სახელგამტეხი ცნობების“ ცნება, რომელიც ნახსენებია სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მე-7 მუხლში („მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პატივისა და ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი წესით დაცვა“): „სახელგამტეხი ისეთი ცნობაა, რომელიც ამცირებს მოქალაქის პიროვნებას... პატივსა და ღირსებას საზოგადოების ან ცალკეულ მოქალაქეთა თვალში იმ მიმართულებით, თუ როგორ ასრულებს იგი კანონებს, სოციალისტური თანაცხოვრების წესებს და კომუნისტური მორალის პრინციპებს“<sup>179</sup>. ამგვარად, სახელგამტეხი ცნობები შეიძლება შეეხებოდეს პიროვნების ზოგადადამიანურ ზნეობრივ თვისებებს, მის საზოგადოებრივ; თუ პროფესიულ საქმიანობას, დამოკიდებულებას მესამე პირებისადმი, ყოფაქცევას ოჯახში, მისი ცხოვრების წესს და ა. შ..

ცილისწამებად არ ჩაითვლება ცნობების გავრცელება პირის ფიზიკური ნაკლის შესახებ, თუნდაც თვით პიროვნებისათვის ასეთი ნაკლის გახმაურება სასიამოვნო არ იყოს (მაგალითად, ხმების გავრცელება, რომ პირს ყურთ აკლია), აგრეთვე მისი ავადმყოფობის შესახებ, თუ რა, თქმა უნდა, ეს ავადმყოფობა დაკავშირებული არ არის უწესო ცხოვრებასთან (მაგალითად, ვენერული დაავადების შესახებ ყალბი ცნობების გავრცელება ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში ცილისწამებად ითვლება<sup>180</sup>). ცილისწამებად არ ჩაითვლება აგრეთვე ხმების გავრცელება პირის ისეთი სულიერი, გონებრივი თვისებების შესახებ, რომლებიც ამ პირზე დამოკიდებული არ არის, მაგალითად, მტკიცება, რომ პირს არ შესწევს უნარი უხელმძღვანელოს მისთვის მინდობილ საქმეს. მაგრამ თუ ასეთი ხმების გავრცელებას ემატება უწესო, შეურაცხმყოფელი ფორმა, შეიძლება საკითხი დაიხვას დაუსწრებელი შეურაცხყოფის შესახებ.

სახელგამტეხად უნდა ჩაითვალოს ხმების გავრცელება არა

<sup>179</sup> «ВВС СССР», 1972, № 1, с. 12.

<sup>180</sup> იხ. Сб. пост. Плен. и опред. кол. ВС СССР, 1942, с. 103.

მართო ადამიანის უწყესო საქციელზე, არამედ იმის შესახებაც, რომ ამ ადამიანის მიმართ სხვამ ისეთი მოქმედება ჩაიდინა, რაც მას ჩირქს ცხებს, მაგალითად, ცრუ ხმების გავრცელება, რომ ქალიშვილი გააუპატიურეს და ა. შ.

6. სახელგამტეხია თუ არა პირის მიერ გავრცელებული ხმები დაზარალებულისათვის — ეს ფაქტის საკითხია, და მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს იგი სოციალისტური საზოგადოების ზნეობრივი შეხედულებების მიხედვით და საქმის ყველა ფაქტიურ გარემოებათა მხედველობაში მიღებით. გაზეთის კორესპონდენტი მ. მსჯავრდებული იყო იმისათვის, რომ მოათავსა გაზეთში წერილი, სადაც მითითებული იყო, თითქოს კავშირგაბმულობის ალტაის რაიონული კანტორის ქსელი დროზე არ აწოდებს გამომწერლებს გაზეთებს. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა თავის 1965 წ. 17 აპრილის განჩინებაში სწორად არ ჩათვალა ო.-ს მსჯავრდება, თანაც, სხვა მოტივების აღნიშვნასთან ერთად, ისიც მიუთითა, რომ „ო.-ს მიერ გამოქვეყნებული ფაქტები არ შეიცავენ კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის ხელმძღვანელთა სახელგამტეხ ცნობებს“<sup>181</sup>.

7. ცილისწამება უნდა განვასხვავოთ კრიტიკისაგან, რომლის უფლება კონსტიტუციურად არის განმტკიცებული. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 47-ე მუხლის თანახმად ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება გააკრიტიკოს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია. უფრო მეტიც, კრიტიკისათვის მდევნელი პირები თვით მიეცემიან პასუხისმგებლობაში.

პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის გულისხმობს ცრუ, მონაჭორი, სინამდვილის შეუსაბამო ხმების გავრცელებას.

8. თუ პირი ავრცელებს სხვა ადამიანზე ხმებს ისეთი ფაქტების შესახებ, რომელთაც ნამდვილად ჰქონდათ ადგილი, ეს ცილისწამებად არ ჩაითვლება და საბჭოთა კანონმდებლობით არ ისჯება. ასე, მაგალითად, სსრკ უმაღლესი სასამართლოს ჩისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1941 წლის 19 ნოემბრის განჩინებით არა სწორად ჩათვალა კ.-სა და ა.-ს მსჯავრდება ცილისწამებისათვის, ვინაიდან მათ მიერ გაზეთში გამოქვეყნებული სახელგამტეხი ცნობები მ.-ს შესახებ სინამდვილეს შეესაბამებოდა<sup>182</sup>.

<sup>181</sup> «ВВС РСФСР», 1965, № 9, с. 10.

<sup>182</sup> об. Сб. пост. Плен. и опрец. кол. ВС СССР 1941, М., 1947, с. 73.

9. ცილისწამება გულისხმობს დაზარალებულის სახელგამტეხი მონაჭორის გავრცელებას, ე. ი. შეტყობინებას სხვა პირებისათვის. ამ სხვა პირთა რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს. საკმარისია, თუ სახელგამტეხ ცნობებს ატყობინებენ მარტო ერთ პირს, თუნდაც ამ უქანასკნელმა შემდგომ მონაჭორი არ გაახმაუროს. ცილისწამებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაზარალებულის დასწრებითაც. მაგრამ ცილისწამება არ იქნება სახელგამტეხი ცნობების შეტყობინება მხოლოდ დაზარალებულისათვის. ასეთ შემთხვევაში შეიძლება საკითხი დაისვას შეურაცხყოფის შესახებ.

სახელგამტეხი ცნობების გავრცელება შეიძლება მოხდეს ზეპირად, წერილობით, სურათის ან რაიმე სიმბოლური გამოსახულების მეშვეობით.

10. დამთავრებულად ცილისწამება ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავემ ერთ ადამიანს მაინც შეატყობინა სახელისგამტეხი მონაჭორი. არ არის აუცილებელი, რომ ცილისწამებლური ხმები გავრცელდეს სხვა ადამიანთა შორისაც, ან მიაღწიოს დაზარალებულამდე.

11. დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი 16 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. ცილისწამების დანაშაულისათვის არ არის აუცილებელი, რომ სახელგამტეხი ხმების გამავრცელებელი თვით იყოს მონაჭორის შემთხვეველი. საკმარისია, თუ იგი ავრცელებს სხვის მიერ შეთხზულ ცილისწამებლურ ხმებს.

12. სუბიექტური მხრივ ცილისწამება შეიძლება ჩადენილი იყოს მხოლოდ განზრახ, ცილისწამება გაუფრთხილებლობით შეუძლებელია. განზრახვა გულისხმობს, რომ პირს შეგნებული აქვს იმ ცნობების სახელგამტეხი და ცრუ ხასიათი, რომლებსაც იგი ავრცელებს და, მიუხედავად, ამისა, მაინც ავრცელებს ასეთ ხმებს. ცილისწამების მიზანს ან მოტივს დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს. ცილისწამება არ არსებობს, თუ იმ პირს, ვინც სხვის თაობაზე ხმებს ავრცელებს, არ ესმის ამ ხმების სახელგამტეხი ხასიათი, აგრეთვე თუ იგი ფიქრობს, რომ მის მიერ გავრცელებული ხმები სინამდვილეს შეესაბამება.

რსტპრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1965 წლის 17 აპრილის განჩინებაში ო. ო. -ს საქმეზე ნათქვამია: „ო. -მ დაწერა გაზეთში წერილი ზოგიერთ ხელმომწერთათვის გაზეთების დაგვიანებით მიწოდებისა და რადიოქსე-

ლის ცუდი მუშაობის შესახებ. ეს ფაქტები მან შეიტყო კავშირგაბმულობის კანტორიდან მოსული პირებისაგან. კავშირგაბმულობის კონტორის მუშაკთა სახელის შელახვის მიზანი ო.-ს არ ჰქონდა. საქმის მასალით არ დასტურდება შეგნებულად ყალბი ცილისმწამებლური ცნობების გავრცელება<sup>183</sup>. ამ მოსაზრებით კოლეგიამ უარყო ო.-ს მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა და ო.-ს საქმის წარმოება მოსპო.

თუ პირმა არ იცოდა, რომ მის მიერ გავრცელებული სახელგამტეხი ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება, დაზარალებულს შეუძლია სამოქალაქო სარჩელის წესით მოითხოვოს ამ ცნობების სიყალბის დადასტურება (იხ. საქ. სსრ სამოქ. სამ. კოდე., მუხ. მე-7). სამოქალაქო სარჩელის წესით პიროვნების ღირსებისა და პატივის დაცვა არ არის დამოკიდებული იმაზე, იცოდა თუ არა პირმა ღირსების შემლახველი ცნობების ცრუ ხასიათი. საკმარისია, თუ ეს ცნობები ობიექტურად არ შეესაბამება სინამდვილეს.

13. 137-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია ცილისწამების კვალიფიციური შემადგენლობა. აქ მითითებულია ორ დამამძიმებელ გარემოებაზე: ა) ცილისწამება ნაბეჭდ ან სხვაგვარი ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებებში და ბ) ცილისწამება იმ პირის მიერ, ვინც ადრე მსჯავრდებული იყო ცილისწამებისათვის.

ა) ცილისწამება მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავს მაშინ, როდესაც სახელგამტეხი ცნობები ვრცელდება საზოგადოების ფართო ფენებში. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ საშიშროებას წარმოადგენს ცილისწამება ნაბეჭდი სახით, მაგალითად, გაზეთში, ჟურნალში, წიგნში და ა. შ. კვალიფიციურ ცილისწამებად ჩითვლება აგრეთვე შეგნებულად ყალბი მონაქორის გავრცელება ჰექტოგრაფით, საწერი მანქანით და სხვ. მისთანით, მრავალი ეგზემპლარის გადაბეჭდვისა და სხვადასხვა პირებისათვის გაგზავნის მეშვეობით, ასეთივე ცნობების მრავალ ეგზემპლარად ხელით გადაწერა და გაგზავნა, აგრეთვე გამოქვეყნება კედლის გაზეთში, რომელიც მრავალი ადამიანის წასაკითხადაა განკუთვნილი და ა. შ..

ბ) თვით ცილისმწამებელი წარმოადგენს მომეტებულ საშიშროებას და ამიტომ უფრო მეტ სასჯელს იმსახურებს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ერთხელ კიდევ ნასამართლევია ამავე დანაშაულისათვის, მაგრამ დანაშაულს განმეორებით სჩადის, რითაც ადასტურებს, რომ მოხდილმა სასჯელმა მასზე სათანადო გამასწორებელი

<sup>183</sup> «ВВС РСФСР», 1965, № 9, с. 10.

ზეგავლენა ვერ მოახდინა. წინა ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება, თუ იგი სათანადო წესით გაქარწყლებული ან მოხსნილია.

14. 137-ე მუხლის მესამე ნაწილში გათვალისწინებულია ცილისწამება, რომელიც დაკავშირებულია ბრალდებასთან სახელმწიფო ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენაში. ასეთ ცილისწამებას შეიძლება მოჰყვეს მეტად მძიმე შედეგი და ამიტომ იგი ცილისწამების განსაკუთრებით საშიშ სახეს წარმოადგენს.

15. ცილისწამება უნდა განესახვაოთ ცრუ დასმენისაგან (მუხ. 196-ე). ჯერ-ერთი, ცილისწამება ყოველთვის როდი გულისხმობს ისეთი ხნების გავრცელებას, რომლებიც შეეხებიან დაზარალებულის მიერ დანაშაულის ჩადენას. ცრუ დასმენა, პირიქით, ნიშნავს ცრუ ცნობების გავრცელებას იმის თაობაზე, რომ დაზარალებულმა ჩაიდინა დანაშაული. და, მეორე, შეგნებულად ცრუ დასმენა გულისხმობს, რომ დამნაშავე ცრუ ცნობებს ამა თუ იმ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ აწვდის ისეთ ორგანოებს, რომელთაც აქვთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება ან ისეთ დაწესებულებებს, თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ვალდებული არიან გადაუგზავნონ განცხადება მართლმსაჯულების ორგანოებს. ხოლო ცილისწამება ნიშნავს პიროვნების სახელგამტები ცნობების გავრცელებას ან კერძო პირებს შორის ან ისეთ თანამდებობის პირთა შორის, რომლებსაც არა აქვთ უფლება აღძვრან სისხლის სამართლის საქმე.

16. ცილისწამება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე (137-ე მუხლის პირველი ნაწილი), კერძო ბრალდების დანაშაულად ითვლება. ამიტომ საქმე ასეთი ცილისწამების შესახებ აღძვრის დაზარალებულის საჩივრით და შეწყდება დაზარალებულისა და ბრალდებულის შერიგების შემთხვევაში (სისხლის სამართ. საპროც. კოდ. 115-ე მუხ. I ნაწ.). განსაკუთრებულ შემთხვევაში, რაც პირდაპირ მითითებულია კანონში, პროკურორს უფლება აქვს აღძვრას ასეთი საქმე დაზარალებულის საჩივრის გარეშეც (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

17. თანახმად ამხანაგური სასამართლოს დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა, საქმე კოლექტივის წევრის შემარცხვენილი მონაქორის გავრცელების შესახებ, თუ ცილისწამება პირველად არის ჩადენილი, ამხანაგურ სასამართლოს ექვემდებარება.

**მ უ ხ ლ ი 138. შეურაცხყოფა**

შეურაცხყოფა, ესე იგი პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება, გამოხატული უწესო ფორმით, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე ან საზოგადოებრივი ჯაჯიცხვით ან გამოიწვევს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების შეფარდებას.

შეურაცხყოფა, მიყენებული ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, აგრეთვე ისეთი პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო შეურაცხყოფისათვის, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე.

1. თუ ცილისწამების დროს პატივის ცნებაა წინ წამოწეული, შეურაცხყოფის დროს პირიქით ძირითადი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ღირსების შელახვას. აქ ზიანს განიცდის პირველ რიგში, თვით დაზარალებულის მიერ საკუთარი ღირსების შეგრძნობა. ამიტომ ეს დანაშაული შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ იმ პირის წინააღმდეგ, ვისაც შეუძლია აღიქვას მისი ღირსების დამამცირებელი ქცევა. ბავშვებისა და ისეთ სულით ავადმყოფთა შეურაცხყოფა, ვისაც არ აქვს უნარი აღიქვას მისი ღირსების დამცირება, თავის თავად დანაშაული არ არის, მაგრამ შეიძლება დაისაჯოს როგორც შუალობითი შეურაცხყოფა, ე. ი. შეურაცხყოფა, რომელიც არაპირდაპირ მიმართულია მათი ახლობლების (მშობლების, შვილების და ა. შ.) წინააღმდეგ. უგონო მდგომარეობაში მყოფი პირის ან მძინარის შეურაცხყოფა, აგრეთვე შეურაცხყოფა დაზარალებულის დაუსწრებლად, დანაშაულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე ითვალისწინებდა, რომ შეურაცხმყოფელი ქცევა ცნობილი გახდება დაზარალებულისათვის.

2. თუ ცილისწამების დროს დამნაშავე ცრუ მონაჭორი ფაქტების გავრცელებით სახელს უტეხს დაზარალებულის ღირსებას მესამე პირთა თვალში, შეურაცხყოფის დროს დამნაშავე ამცირებს სხვის პატივსა და ღირსებას მასზე საკუთარი უარყოფითი შეფასების გამოთქმის მეშვეობით. ეს უარყოფითი, დამამცირებელი შეფასება შეიძლება შეეხებოდეს არა მარტო პირის ზნეობრივ თვისებებს, არამედ აგრეთვე მის გონებრივ თვისებებს, ფიზიკურ თავისებურებას ან მის საქმიანობას.

3. იმ საკითხის გადაჭრისას, არის თუ არა პიროვნების თვისებების თუ მისი საქმიანობის უარყოფითი შეფასება ადამიანის ღირსების დამამცირებელი, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს საქმის ყველა გარემოება. თანაც სასამართლომ არ შეიძლება იხელმძღვანელოს წმინდა სუბიექტური კრიტერიუმით, ე. ი. მხო-

ლოდ იმით, თუ როგორ აღიქვა სხვა პირის აზრი მასზე თვით დაზარალებულმა. სასამართლო ანგარიშს ვერ გაუწევს ზოგიერთი პირის გადაჭარბებულ თავმოყვარეობას, რის გამოც ეს პირი ყოველ, თუნდაც სავსებით სამართლიან კრიტიკას მტკივნეულად განიცდის და მისი ღირსების დამამცირებლად თვლის. ასეთი გადაჭარბებული თავმოყვარეობისათვის ანგარიშის გაწევა მოსპობდა საზოგადოებაში ჯანსაღი კრიტიკის შესაძლებლობას, ურომლისოდანაც შეუძლებელია სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარება. სოციალისტური საზოგადოების წევრები უნდა მიეჩვიონ იმ აზრს, რომ მათი ზნეობრივი თვისებების, თუ მათი საქმიანობის სწორი და სამართლიანი კრიტიკა ხელს უწყობს საზოგადოების წინსვლას და განვითარებას და უნდა ეცადონ ასეთი კრიტიკა უმტკივნეულოდ მიიღონ. ამისდა მიხედვით შეურაცხყოფად ჩაითვლება არა ყოველგვარი შეფასება ადამიანის ზნეობრივი თუ სხვა თვისებებისა და საქმიანობისა, არამედ ისეთი, რომელიც უწესო, უზრდელი, კომუნისტური მორალისათვის შეუსაბამო, სოციალისტურ თანაცხოვრებაში მიუღებელი ფორმითაა გამოთქმული. ამ წესს განუხრელად იცავს საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა. ასე, მაგალითად, რსფსრ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1963 წ. 30 მაისის განჩინებაში შ.-ს საქმეზე ნათქვამია: „რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით შეურაცხყოფა წარმოადგენს პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირებას, გამოხატულს უწესო ფორმით... კ.-მ გამოთქვა თავისი აზრი შ.-ს მიერ ფასეულობათა მითვისების შესახებ ისეთი ფორმით, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხყოფლად“<sup>184</sup>. ამის გამო კ.-ს მსჯავრდება შეურაცხყოფისათვის კოლეგიამ არასწორად სცნო.

4. შეურაცხყოფისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, ასახავს თუ არა უარყოფითი შეფასება სინამდვილეს. პიროვნების ღირსების დამცირება იქნება ისეთი შეფასება, რომელიც თუმცა სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ უწესო, უზრდელი ფორმით არის გამოთქმული. არ შეიძლება, მაგალითად, ადამიანს, რომელიც მართლაც არ გამოირჩევა დიდი ჰკუთ, უთხრა, რომ ის არის სულელი, იდიოტი და ა. შ., ან მსახიობზე, რომელმაც ცუდად შეასრულა როლი, დასწერო, რომ იგი უტყინოდ თამაშობდა.

<sup>184</sup> «ВВС РСФСР», 1963, № 11, с. 7—8.



5. შეურაცხყოფა, როგორც წესი, მოქმედებით ხდება. არ შეიძლება შეურაცხყოფად ჩაითვალოს პიროვნების უპატივცემულობის გამომჟღავნება უმოქმედობის მეშვეობით, მაგალითად, იმით, რომ არ მიიბატიყეს პირი ბანკეტზე ან ქორწილში, ან არ გამოავლინეს რაიმე სხვა ფორმით პატივისცემა მის მიმართ. შეუძლებელია მოითხოვოთ სხვა ადამიანისაგან ყურადღების და პატივისცემის გამოვლინება თქვენს მიმართ. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც რაიმე მოქმედების შესრულება ადამიანთა ურთიერთობაში სავალდებულოა და მისი შეუსრულებლობა უწყესობად და უზრდელობად ითვლება, შეურაცხყოფა შეიძლება უმოქმედობითაც იქნეს ჩადენილი.

6. შეურაცხყოფა შეიძლება ყოველგვარი ფორმით, რითაც შეიძლება გამოხატულ იქნეს ადამიანის აზრი. მაშასადამე, იგი შეიძლება იყოს სიტყვიერი ან წერილობითი ან მოქმედების მეშვეობით. სიტყვიერ შეურაცხყოფა შეიძლება უშუალოდ ან ტელეფონით. წერილობითი შეურაცხყოფა, თავის მხრივ, შესაძლებელია კერძო წერილის მიწერით ან ნაბეჭდ ორგანოში გამოქვეყნებით ან სხვა გზით გავრცელებულ ნაწარმოებში მოთავსებით და ა. შ. შეურაცხყოფა მოქმედებით შეიძლება გამოიხატებოდეს რაიმე ნიშნის ან უესტის მეშვეობით ან ისეთი მოქმედების მეშვეობით, რომელიც პიროვნების ხელშეუხებლობას არღვევს. უკანასკნელ შემთხვევაში შეურაცხყოფა უნდა განვახსავოთ ცემისაგან. თუ პირი სხვა ადამიანისათვის სილის გაწის ან ცემის დროს მიზნად ისახავდა მისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენებას, — ადგილი აქვს ცემას, რომელიც გათვალისწინებულია 116-ე მუხლით. ხოლო თუ იგი ასეთი მოქმედებით მიზნად ისახავდა დაზარალებულის ღირსების შელახვას, — ადგილი აქვს შეურაცხყოფას.

7. შეურაცხყოფის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი 16 წელს მიღწეული პირი.

8. სუბიექტური მხრივ შეურაცხყოფა შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახვ. განზრახვა შეურაცხყოფის დროს ვრცელდება დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანზე, ე. ი. პირი ითვალისწინებს, რომ იგი უწყსო ფორმით გამოხატავს თავის შეხედულებას სხვა ადამიანზე და ამით ამცირებს ამ ადამიანის პატივსა და ღირსებას. ჩვეულებრივად შეურაცხყოფის დროს პირს აქვს პირდაპირი განზრახვა, ე. ი. მას არა მარტო შეგნებული აქვს თავისი საქციელის შეურაცხყოფელი ხასიათი, არამედ სურს კიდევაც შელა-

ზოს მისი პიროვნების პატივი და ღირსება. მაგრამ გამორიცხული არ არის შეურაცხყოფა ევენტუალური განზრახვითაც, როდესაც დამნაშავე უშვებს, რომ მისმა საქციელმა შეიძლება შელახოს პიროვნების პატივი და ღირსება. ევენტუალურ განზრახვას ვხვდებით დაუსწრებელი შეურაცხყოფის დროს. გაუფრთხილებლობით შეურაცხყოფა შეუძლებელია.

9. შეურაცხყოფა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც შეურაცხყოფელმა ქცევამ დაზარალებულამდე მიაღწია. ლოგიკურად შეიძლება წარმოვიდგინოთ შეურაცხყოფის მცდელობა წერილობითი შეურაცხყოფის ან დაუსწრებელი შეურაცხყოფის დროს, მაგრამ პრაქტიკულად ეს შეუძლებელია, რამდენადაც შეურაცხყოფა კერძო ბრალდების საქმეს წარმოადგენს და შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, ე. ი. მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა აღიქვა დამნაშავეს ქცევა როგორც მისი პატივისა და ღირსების შემლახველი.

10. შეურაცხყოფა ჩაითვლება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად, თუ იგი მიყენებულია: 1) ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით, ე. ი. გაზეთში, ჟურნალში, წიგნში და საერთოდ სასტამბო წესით დაბეჭდილ ყოველგვარ ნაწარმოებში და 2) თუ იგი ჩადენილია იმ პირის მიერ, ვინც წინათ ნასამართლელი იყო შეურაცხყოფისათვის. შეურაცხყოფა არ ჩაითვლება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად, თუ დამნაშავეს პირველი დანაშაულისათვის შოხსნილი აქვს ნასამართლობა ან თუ ის პირველად ჩადენილი შეურაცხყოფისათვის გაასამართლა არა სახალხო, არამედ ამხანაგურმა სასამართლომ.

11. საქმე შეურაცხყოფის შესახებ, როგორც კერძო ბრალდების საქმე შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და იგი შეწყდება დაზარალებულისა და დამნაშავეს შერიგებით (სისხლის სამართ. საპროც. კოდექსი, მუხ. 115-ე).

12. შეურაცხყოფა გადაიზრდება ხულიგნობაში, თუ იგი ჩადენილია საჯარო ადგილას და დაკავშირებულია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების აშკარა უპატივცემულობასთან.

13. შეურაცხყოფის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ხელისუფლების წარმომადგენლის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლის შეურაცხყოფა მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ხელქვეითის მიერ უფროსისა და უფროსის მიერ

ხელქვეითის შეურაცხყოფა, როცა ერთ-ერთი მათგანი მაინც ასრულებს სამხედრო სამსახურის მოვალეობას და ერთი სამხედრო მოსამსახურის მიერ მეორის შეურაცხყოფა ძალმომრეობითი მოქმედებით, როცა მათ შორის არ არის ხელქვეითობის თუ უმცროს-უფროსობის დამოკიდებულება.

## ПРЕСТУПЛЕНИЕ ПРОТИВ ЛИЧНОСТИ

### Резюме

Среди основных прав человека наиболее важными являются право на жизнь и телесную неприкосновенность, на свободу, в частности, половую свободу, честь и достоинство личности. Указанные права человека занимают наивысшую ступень в системе социальных ценностей социалистического общества. Понятно поэтому, что их всесторонняя охрана является первостепенной задачей советского государства.

Защите основных прав человека уделяется исключительное внимание в Конституции Союза ССР 1977 г. и конституциях союзных республик, предусматривающих целый ряд гарантий (экономических, идеологических, организационных и др.) для их успешной защиты. Среди этих гарантий одно из главных мест занимает правовая их защита. В статье 57 Конституции Союза ССР сказано: «Граждане Советского Союза имеют право на судебную защиту от посягательств на честь и достоинство, жизнь и здоровье, на личную свободу и имущество». Тем самым Основной Закон Советского Союза возвел защиту перечисленных прав человека в конституционный принцип.

Большую актуальность защита прав личности приобретает в связи с постановлением ЦК КПСС «Об улучшении работы по охране правопорядка и усилении борьбы с правонарушениями». Постановлением широко освещены различные аспекты борьбы с правонарушениями, в том числе и с теми, которые наносят вред интересам личности. Среди методов защиты прав личности от неправомерных посягательств наиболее действенным является их уголовно-правовая защита. Уголовная ответственность за преступные посягательства на указанные блага предусмотрена в главе третьей Уголовного кодекса Груз. ССР, озаглавленной «Преступления против жизни, здоровья, свободы и достоинства личности». Правда, существенные интересы личности охраняются и в статьях некоторых других глав Уголовного кодекса, но в этих главах они являются дополнительным объектом защиты, наряду с основным

объектом. Других статей в своем исследовании мы касаемся лишь попутно, поскольку это необходимо для уточнения составов преступлений, являющихся непосредственным предметом нашего рассмотрения.

Несмотря на большое практическое значение исследования вопросов о преступлениях против личности, специальной работы, посвященной этой важной проблеме, после издания действующего Уголовного кодекса Грузинской ССР 1960 г., на грузинском языке не существует, если не считать журнальных статей, посвященных отдельным частным вопросам темы.

Настоящая работа имеет задачей восполнение указанного пробела. В работе, на основе изучения обширного доктринального материала, накопившегося по данной проблеме в советской уголовно-правовой литературе, сравнительного изучения уголовного законодательства союзных республик и обобщения судебно-следственной практики дается юридический анализ статей главы третьей Уголовного кодекса Грузинской ССР. Авторы высказывают собственное мнение по отдельным спорным вопросам. При комментировании статей они отмечают особенности, характеризующие некоторые составы преступлений, предусмотренные в УК Грузинской ССР. При обобщении судебной практики авторы исходят из руководящих указаний Пленума Верховного Суда Союза ССР, и Пленума Верховного Суда Груз. ССР, а также учитывают постановления Пленума Верховного Суда РСФСР. Вместе с тем широко приводится практика коллегий высших судов по отдельным делам, причем практика судов Грузинской ССР — не только опубликованная, но и неопубликованная.

На основе указанных обобщений авторы предлагают рекомендации для правильного применения соответствующих статей Уголовного кодекса Грузинской ССР.

Тексты статей Уголовного кодекса Грузинской ССР приведены с дополнениями и изменениями в УК на 1 января 1980 года.

### ზემოკლებათა ბანკარბიბა

Сб. пост. Плен. ВС СССР 1924—1977 гг. — Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1977 гг. М., 1978.

Сб. пост. Плен. и опред. кол. ВС СССР по угол. делам 1959—1971 гг. — Сборник постановлений Пленума и определений коллегии Верховного Суда СССР по уголовным делам 1959—1971 гг., М., 1973.

Сб. пост. Презид. и опред. судеб. кол. по уголовн. делам ВС РСФСР 1964—1972 гг. — Сборник постановлений Президиума и определений судебной коллегии по уголовным делам Верховного Суда РСФСР 1964—1972 гг. М., 1974.

«БВС СССР» — Бюллетень Верховного Суда СССР.

«СП ВС ССР» — Судебная практика Верховного суда СССР.

«БВС РСФСР» — Бюллетень Верховного Суда РСФСР.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი . . . . .	3
საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი . . . . .	5
განსაკუთრებული ნაწილი . . . . .	5
თავი შესამე . . . . .	5
დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ . . . . .	5
მუხლი 104. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში	5
მუხლი 105. განზრახ მკვლელობა . . . . .	43
მუხლი 106. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში . . . . .	46
მუხლი 107. მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს . . . . .	51
მუხლი 108. გაუფრთხილებლობით მკვლელობა . . . . .	54
მუხლი 109. თვითმკვლელობამდე მიყვანა . . . . .	64
მუხლი 110. სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება . . . . .	70
მუხლი 111. სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება . . . . .	82
მუხლი 112. სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება . . . . .	84
მუხლი 113. სხეულის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში . . . . .	86
მუხლი 114. სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მო- გერიების ფარგლების გადაცილების დროს . . . . .	87
მუხლი 115. სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლო- ბით . . . . .	88
მუხლი 116. ცემა და წამება . . . . .	90
მუხლი 117. გაუპატიურება . . . . .	92
მუხლი 118. ქალის იძულება სქესობრივი კავშირის დაკერისათვის . . . . .	111
მუხლი 119. სქესობრივი კავშირი პირთან რომელსაც 16 წელი არ შესრულებია . . . . .	114
მუხლი 120. გარყვნილი ქმედობა . . . . .	115
მუხლი 121. მამათმავლობა . . . . .	116
მუხლი 122. ვენერული სენის შეყრა ან ვენერული სენის მკურნალობისათვის თავის არიდება . . . . .	118
მუხლი 123. აბორტის უკანონოდ გაკეთება . . . . .	123
მუხლი 124. ალიმენტის გადახდის ან შეიღების რჩენისათვის ბოროტად თავის არიდება . . . . .	128
მუხლი 125. სამეურვეო უფლებების ბოროტად გამოყენება . . . . .	130
მუხლი 125 <sup>1</sup> . შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება . . . . .	132

მუხლი 126.	მშობლების ან მეუღლისათვის დახმარების გაწევაზე ბოროტად თავის არიდება	134
მუხლი 127.	ბავშვის შეცვლა	135
მუხლი 128.	საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება	136
მუხლი 129.	განსაცდელში შიტოვება	137
მუხლი 130.	დახმარების აღმოუჩენლობა	141
მუხლი 131.	ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობა მედიცინის მუშაის მიერ	144
მუხლი 132.	განსაცდელში მყოფ პირთათვის დახმარების აღმოუჩენლობა გემის კაპიტნის მიერ	148
მუხლი 133.	თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა	149
მუხლი 134.	ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით	157
მუხლი 135.	იძულება	158
მუხლი 136.	მუქარა	163
მუხლი 137.	ცისლისწამება	168
მუხლი 138.	შეურაცხყოფა	174
	Преступление против личности (резюме)	179
	შემოკლებათა განმარტება	181